

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და
თეორიის საკითხები**

XXXV

**ISSUES OF HISTORY AND
THEORY OF CULTURE**

XXXV



**კულტურის ისტორიისა და
თეორიის საკითხები**

XXXV

**Ivane Javakishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies**

**ISSUES OF HISTORY AND
THEORY OF CULTURE**

XXXV

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXV



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი – მარიკა მშვილდაძე, თსუ პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor – Marika Mshvildadze Doctor of
Historical Sciences, Professor

სარედაქციო კოლეგია: მარიკა მშვილდაძე (რედაქტორი, საქართველო), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), მამუკა ბუცხრიკიძე (საქართველო), ელენე გეგეშიძე (საქართველო), ნანა გელაშვილი (საქართველო), დავარაშვილი ზაირა (საქართველო), მალხაზ დათუკიშვილი (საქართველო), რუსუდან დოლიძე (საქართველო), რეუვენ ენოხი (ისრაელი), ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი), ზვიად კვიციანი (საქართველო), კონსტანტინე ლერნერი (ისრაელი), ქეთევან ლორთქიფანიძე (საქართველო), იაკობ ოფირი (ისრაელი), გურამ პაატაშვილი (საქართველო), ანგრეტ პლონტკე-ლუნინგი (გერმანია), მანანა რუსიეშვილი (საქართველო), მარიკა ჩაჩიბაია (საქართველო), დავით ყოლბაია (პოლონეთი), გიორგი ყუფარაძე (საქართველო).

Editooral Board: Marika Mshvildadze (Editor. Georgia), David Braund (Great Britain), Mamuka Butskhrikidze (Georgia), Trevor Cartledge (Great Britain), Marika Chachibaia (Georgia), Malkhaz Datukishvili (Georgia), Zaira Davarashvili (Georgia), Rusudan Dolidze (Georgia), Reuven Enoch (Israel), Elene Gegeshidze (Georgia), Nana Gelashvili (Georgia), David Kolbaya (Poland), Giorgi Kuparadze (Georgia), Zviad Kvitsiani (Georgia), Konstantin Lerner (Israel), Ketevan Lortkipanidze (Georgia), Jacob Offir (Israel), Guram Paatashvili (Georgia), Annegret Plontke- Lüning (Germany), Manana Rusieshvili (Georgia).

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო
საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2021

ISSN 1512-0694

შინაარსი

CONTENTS

ქეთევან რ. რამიშვილი

„სპარსელი ქალის“ მოტივი ქართულ გლიპტიკურ ძეგლებზე 15

Ketevan R. Ramishvili

Image of a “Persian women” on Georgian glyptic artifacts 32

მარია მშვილდაძე

ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში 38

Marika Mshvildadze

Cult of Demeter in Iberia – Colchis 53

ნანა გელაშვილი

იაპონური კულტურა უძველეს ხანაში 56

Nana Gelashvili

Japanese Culture in Ancient Times 68

სოფიო გუგუნავა

ისე ჯინგუ - იაპონელი ხალხის ტრადიციების მცველი 70

Sopio Gugunava

Ise Jingu – Guardian of Japanese Traditions 74

ხათუნა თუმანიშვილი

მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად

შემადგენელთა საკითხისათვის

(არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით) ... 76

Khatuna Tumanishvili

Towards the Question of Main Components
of Minor Paroemia Constructin
(On the Example of Arabic Material with Georgian Parallels) .. 88

იზოლდა ბელთაძე

ბიზანტიის ურთიერთობა ფრანკთა სამეფოსთან
ხლოდვიგისა და კარლოს დიდის მმართველობის დროს 90

Izolda Beltadze

Byzantine relations with the Kingdom of the Franks
During the Khladvig and Carlos the Great 97

ნინო თომაძე

რუსთაველის პორტრეტის რემინისცენცია
იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიაში 99

Nino tomadze

Reminiscence of Rustaveli's Portrait in the History of
Jerusalem Cross Monastery 110

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

ფრანგულ ფონეტიკური თავისებურებანი 112

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

Phonetic features of Français 117

ხატია ცეცხლაძე

ხალხური აღზრდის მეთოდები სამეგრელოში 118

Khatia Tsetskhladze

Methods of folk upbringing in Samegrelo 124

ლალი გულედანი

მე-19 საუკუნეში საქართველოში მიგრირებული ებრაელები ... 126

Lali Guledani

Jews who migrated to Georgia in the 19th century 137

ელენე გეგეშიძე

ებრაული თემა ქართულ კულტურაში, გაზეთ

„დროების“ მიხედვით XIX საუკუნეში 141

Elene Gegeshidze

Jewish theme in Georgian culture, according to the

newspaper "Droeba" In the XIX century 155

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეიზე 158

Tamar Antadze

Varlam Cherkezishvili on Sir Edward Grey 172

უჩა ოქროპირიძე

კიდევ ერთხელ ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის

მემკვიდრედ გამოცხადების შესახებ 174

Ucha Okropiridze

Once again about announcing Noe Jordaniaas

Iliia Chavchavadze's successor 189

ბასსენება

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე
მედია ჩახავა 190

Natela Natliashvili-Kvinikadze
Medea Chakhava 197

მერაბ კალანდაძე
ნოდარ ლომოური - ჩინებული ლექტორი და ორატორი 200

Merab Kalandadze
Nodar Lomouri – Famous lecturer and orator 207

ასალი ნიშნი

გურამ პაატაშვილი
აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ 208

Guram Paatashvili
The World of Maestro's Ideas 255

წინამდებარე კრებული ეძღვნება
აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის
100 წლისთავს



კოტე წერეთელი - 100

აკადემიკოსმა კონსტანტინე წერეთელმა წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ მსოფლიო ორიენტალისტიკაში. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, არაბულ, ებრაულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებული 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მისი რედაქტორობით გამოცემული 30 წიგნი, ქართველი, რუსი, ჩეხი, გერმანელი, პოლონელი, არაბი, იტალიელი, უნგრელი, ფრანგი, ებრაელი მეცნიერების მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები - კონსტანტინე წერეთლის მონაგარია.

კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1921 წელს თბილისში და საკმაოდ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მისი მეცნიერული შემოქმედება დიდი დიაპაზონით გამოირჩეოდა. იგი იყო ფართო პროფილის ენათმეცნიერი და ორიენტალისტი, სხვადასხვა დროს კითხულობდა კურსებს არაბულში, ებრაულში, არამეულში, სემიტურ ენათა შესწავლის შესავალსა და შედარებით გრამატიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. 1991 წელს ბატონი კოტე დაინიშნა მის მიერ დაარსებულ ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგედ. 1994 წლიდან კი საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული აღმოსავლურ ენათა სწავლების ცენტრის ხელმძღვანელად. მისი ინიციატივით თბილისის ქართულ სკოლებში შემოღებულ იქნა აღმოსავლური ენების (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული) სწავლება. დიდი ხნის მანძილზე იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის პროფესორი, სადაც 1996 წელს საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა.

მის სახელთან ჯილდოების ვრცელი სიაა დაკავშირებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია; ი. ჯავახიშვილის მედალი (1978); ჰელსინკის უნივერსიტეტის მედალი (1979); ი. ჯავახიშვილის პრემია (1980); საპატიო ნიშნის ორდენი (1981); აკად. გიორგი წერეთლის პრემია (1989); ღირსების ორდენი (1996); სახელმწიფო პრემია (1998); თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1999); ისრაელის მეცნიერებათა ალბერტ აინშტაინის მედალი (1999).

კონსტანტინე წერეთლის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ღერძი არამეისტრია და ებრაისტიკა იყო. განუზომელია მისი წვლილი ძველი და ახალი არამეულის კვლევის საქმეში. ნაშრომებმა „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“ (1958), თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ (ასურულ-ქართული, 1958), რუსულ ენაზე მოსკოვში გამოცემული (1964) და მოგვიანებით ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე თარგმნილი და ნეაპოლში, ლაიფციგსა და მოსკოვში გამოქვეყნებული „თანამედროვე ასურული ენა“, „მასალები არამეული დიალექტოლოგიისათვის“ (რუსულ ენაზე, (1965), ტ. 1, ურმიის დიალექტი), თანამედროვე ასურული ენის გრამატიკან (1968) სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღება მიიქცია და მაღალი შეფასება დაიმსახურა იოჰანეს ფრიდრიხის (გერმანია), ფრანც ალტჰაიმის (გერმანია), დევიდ ლენგის (ბრიტანეთი), კარელ პეტრაჩეკის (ჩეხეთი), სტანისლავ სეგერტი (აშშ) და სხვ.

1970 წელს მოსკოვში გამოვიდა მისი ნაშრომი „სირიული ენა“, რომლისთვისაც ავტორს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

1963 წელს მან გამოაქვეყნა ვანის დიალექტზე შედგენილი ტექსტების ნიმუშები;

1975 წელს გამოვიდა კ. წერეთლის მიერ შედგენილი ასურული ზღაპრების კრებული მისი წინასიტყვაობით და შენიშვნებით. 1976 წელს კ. წერეთელმა გამოაქვეყნა ტექსტების ნიმუშებით თანამედროვე ასურული ენის, სალამასის დიალექტებზე.

დიდი ადგილი ეთმობა კ. წერეთლის შემოქმედებაში ებრაულ-არამეულ ეპიგრაფიკას. საქართველოში აღმოჩენილ არამეულ წარწერებს მკვლევარმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის საქართველოს უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლს, ძვ.წ. III-II უფლისციხის წარწერას. კ. წერეთელმა საქართველოში გავრცელებული არამეული დამწერლობის სამი ტიპი გამოავლინა: ჩრდილომესოპოტამიური, ფალაური და ძველი (ე.წ. სახელმწიფო) არამეული.

საქართველოში აღმოჩენილი ებრაული გრაფიკით შესრულებულ არამეულენოვან ეპიტაფიაში მან ამოიკითხა „ქართველის“ აღმნიშვნელი ტერმინი „გურგ“. ბატონ კოტეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ებრაულ ენას. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე იგი კითხულობდა ბიბლიური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმნიშვნელოვანესი ნაშრომია და ცალკე აღნიშვნის ღირსია „ბიბლიის ებრაული ენა“ (2001 წ.) „პარანომაზია ქართულში“ (1954), „კომპოზიტების შედგენილობისათვის ებრაულში“ (1961), „ადგილობრივი ბრუნვის (ლოკატივი) წარმოშობისათვის ძველ ებრაულსა და არამეულში“ (1963), „ებრაული დამწერლობა, ებრაული ენა“ (1977), „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ (1979), „ქართული ეთნიკური ტერმინის „ურია“-ს, „ჰურია“-ს შესახებ (1979), „ტერმინ „ივრითის“ ხმაურების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (რუსულ ენაზე 1983), „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ არამეულსა და ებრაულში“ (1993), „ქართველ ებრაელთა ენის საკითხისათვის“ (1994). ებრაული ენის სტრუქტურის საკითხების მკვლევარი შეეხო გამოკვლევებს

სემიტური ენების შესახებაც – „სემიტური ენები საბჭოთა კავშირში“ (ინგლისურად, ტოკიო 1968), „ხშულთა სპირანტიზაციის საკითხისათვის თანამედროვე სემიტურ ენებში“ (1976), გერმანულად 1980), „ერთი სუპრასემეტიკური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტურში“ (1976, ინგლისურად 1982), „მაკაცისა და ქალის აღმნიშვნელი სიტყვები სემიტურში“ (1987)...

აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მისი არჩევა გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო საზოგადოებისა და გერმანიის აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად (1971), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციების შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1975) და ამერიკის ორიენტალისტური საზოგადოების საპატიო წევრად (1978).

კონსტანტინე წერეთელი არაერთხელ წარმსდგარა მსმენელების წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით: ისრაელში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, ფინეთში, პოლონეთში, ერაყში, რუსეთში, ინგლისში, ინდოეთში, ავსტრალიასა და იაპონიაში.

წელს აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილეა. მისი, როგორც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის მოღვაწეობა და მისი ცხოვრების გზა სამუდამოდ დარჩება ერის სამსახურის ნიმუშად.

ქეთევან რ. რამიშვილი

„სპარსელი ქალის“

მოტივი ქართულ გლიპტიკურ ძეგლებზე

„სპარსელი ქალი“ – ეს გახლავთ მანდილოსნის ფეხზე მდგომი ან ტახტზე (უზურგო სკამზე) მჯდომი გამოსახულება პროფილში (ტაბ. 1/3, 4, 5, 7). მას აქვს აღმოსავლური ტიპის სახის ნაკვეთები და აღნაგობა – წვრილი წელი, ფართო თეძოები და საკმაოდ მოკლე ფეხები. სამოსი ტიპიური სპარსული ან მიდიურია – თხელი, ნაოჭმიყრილი, გრძელმკლავება, მაჯებთან გაგანიერებული ქიტონი, ფეხზე – რბილი, ჭვინტიანი ფეხსამოსი ან უბრალოდ ფეხსაცმელი აცვია, თავზე ხურავს ქსოვილის თავსაფარი, რომლის ქვემოდან გრძელი, ბოლოში „ჩხრიალა“ საკიდებით შეკრული ნაწნავი მოსჩანს. კომპოზიცია ხშირად ერთფიგურია, თუმცა, მისი გამოსახულება ჩართულია ორფიგურიან ან მრავალფიგურიან კომპოზიციებშიც. „სპარსელ ქალს“ ხელთ უპყრია ხოლმე სხვადასხვა საგანი: ყვავილი, სარკე, ფიალა, ალაბასტრონი, კილიკი, ფრინველი ანდა რგოლის ფორმის გვირგვინი. ქალის პოზა, ისევე, როგორც ატრიბუტები, შესაძლოა იყოს მიბაძვა ბერძნული ხელოვნების ნიმუშებისა, მაგრამ ფიგურის ტიპი რჩება წმინდად აღმოსავლურად, რაც სავსებით ცვლის მის გამომსახველობით არსს [26. 96]. ზოგი ატრიბუტი სამეცნიერო ლიტერატურაში მანდილოსნის საპირფარეშო ნივთადაა მიჩნეული [19. 133], თუმცა, ნაწილი ნივთებისა, როგორცაა ყვავილი, ნაყოფი, რგოლისებრი გვირგვინი, ფრინველი, თასი და სხვა, მათი სიმბოლური მნიშვნელობის გამო, მკვლევრების მიერ სავსებით მართებულად საკულტო რიტუალთან დაკავშირებულ ნივთებადაა აღიარებული [7. 45; 8. 48].

„სპარსელი ქალის“ მოტივი საკმაოდ ძველია და იგი უკვე გვხვდება ძვ. წ. V-IV სს-ით დათარიღებულ აქემენიდური ხელოვნების ძეგლებზე, მაგ., ოქროს თხელ მართკუთხა ფირფიტებზე (ტაბ. I/1) და ვერცხლის ცილინდრულ ხუფზე (ტაბ. I/2) ამუდარიის განძიდან [24. ~~№~~ 48-97; 26. სურ. 220, 221, 222]. ხუფზე და ფირფიტებზე ამოკვეთილი სპარსელი ქალები, ისე, როგორც მამაკაცები, ატარებენ აქემენიდური საიმპერატორო – „სასახლის სტილის“ გარეგნულ ნიშნებს, რაც გამოიხატა გამოსახულებათა შესრულების ხაზობრივ-სიბრტყობრივ მანერაში, პერსონაჟების ჩაცმულობასა და ატრიბუტიკაში (ტაბ. I/1, 2). სიუჟეტიდან გამომდინარე, ფირფიტებზე ამოკვეთილი ზოგი მამაკაცი ა. კანიგემს მაგებად ან ქურუმებად მიაჩნია. ო. დალტონი ოქროს ფირფიტებს ვოტივურ ნივთებად თვლიდა, რაც სავსებით გაიზიარა რ. გირშმანმა და მთლიანად განძი, განსაკუთრებით კი ოქროს ფირფიტები სპარსელი ქალებისა და მამაკაცების გამოსახულებებით, ქალღვთაება ანაჰიტას ძველი ბაქტრიული ტაძრისადმი 2-3 საუკუნის განმავლობაში მორწმუნეთა მიერ შეწირულ და დაგროვილ საგანძურად მიიჩნია [18. 248-250, 265; 24. 51].

ანაჰიტას საკმაოდ მძლავრი კულტი დასტურდება მცირე აზიაში, ძველი ბერძნები ანაჰიტას აიგივებდნენ არტემისტან [17. 314]. ამავდროულად, ანაჰიტა სამეფო დიდების მფარველიცაა, ამიტომ საინვესტიტურო სცენებში ხშირად ფიგურირებს ლოტოსი, ანუ მზის ყვავილი, ან შროშანისებრი ყვავილი, რომელიც მისი ატრიბუტი იყო [16. 794]. ქალღვთაება ანაჰიტა ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ მასალაში გამოსახულია, მაგ., ცისფერი ქალცედონის ცილინდრზე ანაპადან (პეტერბურგი, ძვ. წ. IV ს. „შერეული სტილი“). გვირგვინოსანი ქალღმერთი წარმოდგენილია მისკენ ხელგანვდილი მეფის ნინ და ლომის უკან – გასხივოსნებული მზის ფონზე (ტაბ. I/11) და, რაც მთავარია, ზუსტად იმეორებს „სპარსელი ქალის“ ფიზიკურ ტიპს –

როგორც სახის ნაკვეთებით, ისე ზურგზე ჩაშვებული გრძელი ნაწნავითა და ნაოჭმიყრილი აღმოსავლური სამოსით [17. 314 - №878].

გლიპტიკურ მასალაში „სპარსელი ქალი“ ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ-სპარსული ხელოვნების გემებზე. როგორც ცნობილია, ძვ. წ. V ს. დასასრულსა და IV ს. პირველ ნახევარში აქემენიდური ირანის დასავლეთ ნაწილში ყალიბდება და შემდგომ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება გლიპტიკური ნაწარმი, რომელიც ბერძნულ-სპარსულის სახელწოდებითაა ცნობილი. ბერძნულ-სპარსული გლიპტიკა წარმოიშვა მცირე აზიაში მოსახლე იმ ადგილობრივი ხალხების ხელოვნების წიაღში, რომლებიც ფორმალურად შედიოდნენ აქემენიდურ იმპერიაში. ბერძნულ-სპარსული წრის გემები წარმოადგენდნენ არა სავსებით ბერძნულ ან სრულად აქემენიდური ხელოვნების ნაწარმოებებს, არამედ ისეთ გლიპტიკურ ნაწარმს, რომელიც ერთდროულად განიცდიდა როგორც ირანულ, ისე ბერძნული კულტურების გავლენას. აქედან გამომდინარე, ბერძნულ-სპარსული ხელოვნება მთლიანობაში წარმოგვიდგება როგორც აქემენიდური იმპერიის პერიფერიული ნაწილის შემოქმედება, რომელიც იმყოფებოდა ძველ და მჭიდრო კავშირში როგორც ბერძნულ (განსაკუთრებით აღმოსავლურ ბერძნულთან, იონიურთან), ასევე ირანულ ოფიციალური სასახლის ხელოვნებებთან. ამ ფონზე ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ ძეგლებზე სავსებით ორგანულად გამოიყურება ძველბერძნული და ძველირანული კულტურების კავშირი, მათი ურთიერთგავლენები და ურთიერთგამოვლინებები [26. 15]. დასავლეთ მცირე აზია და კვიპროსი იყო რაიონები, სადაც ყველაზე მეტად ხვდებოდა ერთმანეთს ბერძნულ-სპარსული ინტერესები, რაც საფუძვლად დაედო და გამოვლინდა ე. წ. „შერეული სტილით“ შესრულებულ კომპოზიციებში: პირამიდულ საბეჭდავებზე, სკარაბეოიდებზე, მრავალნახნაგა საბეჭ-

დავებზე, ფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებსა და სხვ. [8. 9]. „მერეული სტილის“ გამოსახულებების უმეტესი ნაწილი ყველაზე ტიპურია ბერძნულ-სპარსულ ინტალიოებს შორის და თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრითა და IV საუკუნის დასაწყისით [8. 21]. თუმცა, ამ სტილთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული გლიპტიკური ნაწარმის გარკვეული გვიანდელი ჯგუფები (ბერნის ჯგუფი და გლობოლო, ძვ. წ. IV-III სს.), რომლებზეც გამოსახულებები განსხვავებული ტექნიკითაა შესრულებული და გაცილებით უფრო სქემატური და სტატიკურია.

გლიპტიკურ ძეგლებზე „სპარსელი ქალის“ გამოსახულებები გვხვდება როგორც აღმოსავლურ ბერძნულ, ისე ბერძნულ-სპარსულ ინტალიოებზე – ყველაზე ხშირად ქალცედონისა და სარდიონის დიდი ზომის სკარაბეოიდებზე (ბერლინი, ლონდონი), [17. №№ 854, 879, 903]. მათ შორის უადრესია №854 მცირეაზიური ქალცედონის საბეჭდავი, დათარიღებულია ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნით [26. №531]. მასზე ამოკვეთილ „სპარსელ ქალს“ ხელში სანელსაცხებლე ჭურჭლები უჭირავს. კომპოზიცია შესრულებულია აღმოსავლურ ბერძნული სტილით – თავისუფლად და სადად, განონასწორებული, მოცულობითი პლასტიკური ფორმებით (ტაბ. I/3). მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი წმინდად სპარსულია და ქალცედონიც აქემენიდებამდე არ გამოიყენებოდა ბერძნულ გლიპტიკაში, ის არსობრივად რჩება მაინც ბერძნულ ნაწარმოებად. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ბერძენ ოსტატებს აქემენიდების ბატონობის პირობებში უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა, ამდენად, ისეთ თემატიკასა და მოტივებს არჩევდნენ, რომლებიც სპარსელი მომხმარებლისთვის იქნებოდა მოსაწონი. №879 (ტაბ. I/4) და №903 (ტაბ. I/5) სკარაბეოიდებიც მცირეაზიურია, მათზე იგივე „სპარსელი ქალია“ ამოჭრილი, ორივე შემთხვევაში ხელში ყვავილით, №903 ქალცედონის გემაზე გამოსახულ ქალს მეორე ხელში რგოლის ფორმის გვირგვინი უჭირავს. ამ შემთხვევაში

ორივე გემა უკვე შესრულებულია ბერძნულ-სპარსული გლიპტიკისათვის დამახასიათებელი ყველაზე ტიპური – „შერეული სტილით“, შეინიშნება სწრაფვა გამოსახულების უფრო ბრტყელი კვეთისკენ და თუ №879 სარდერის სკარაბეოიდზე ქალს თავი ბერძნულის გავლენით 3/4-ით აქვს მობრუნებული, სახე და ტანსაცმელი უკვე აქემენიდური ოფიციალურ – „საკარო (სასახლის) სტილთან“ პოულობს მსგავსებას. №903 გემაზე კი ქალი მკაცრ პროფილშია მოცემული, აქ აქემენიდური „საკარო სტილის“ გავლენები მომატებულია, გამოსახულება უფრო სქემატური, სტატიკური და მანერულია.

გარდა სკარაბეოიდებისა, „შერეული სტილით“ შესრულებული „სპარსელი ქალები“ გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ფორმის ინტალიოებზე. მაგ., ძვ. წ. IV ს. ქალცედონის პირამიდული საკიდის ნახნაგებზე მიუნჰენიდან (ტაბ. I/6), ამ საკიდის დანარჩენ ორ ნახნაგზე სპარსელი მამაკაცებია გამოსახული [26. №529]. გვხვდება ისეთი ინტალიოებიც, რომლებზეც „სპარსელი ქალი“ მამაკაცთან ან ბავშვთან ერთადაა გამოსახული, მაგ., აქატის მსხლისებური ორმხრივი, მცირეაზიური საკიდი (ტაბ. I/7) ლონდონის ბრიტანული მუზეუმიდან (ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, „შერეული სტილი“), რომლის ერთ გვერდზე ამოკვეთილია ფეხზე მდგომი სპარსელი ქალი და მამაკაცი, ხოლო მეორეზე – ტახტზე მჯდომი ქალი, დედოფალი ან ქალღმერთი, რომელსაც ბავშვი ყვავილებს უძღვნის [26. №530]. აღსანიშნავია, აგრეთვე, ქალცედონის მცირეაზიური ორმხრივი სკარაბეოიდი, ცალ მხარეს – უზურგო სკამზე მჯდომი „სპარსელ ქალი“ (ტაბ. I/8), რომელსაც ქსოვილის გრძელი თავსაბურავი ხურავს და ინსტრუმენტზე უკრავს და ძალღი, მეორე მხარეს – სკამზე მჯდომი „სპარსელი ქალი“ ფრინველით ხელში და მისკენ ხელგანვიდლი ბიჭი (ძვ. წ. IV ს. ბოსტონის მუზეუმი) [26. №533]. ასევე საინტერესოა „სპარსელი ქალი“ ქალცედონის მცირეაზიურ მრავალნახნაგას ერთ-

ერთ ნახნაგზე მიუნჰენიდან (ტაბ. I/10), სხვა ნახნაგებზე ამოკვეთილია სპარსელი მეომრები და ცხოველები, შესრულებულია „შერეული სტილით“ (ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარი) [26. №473]; ასევე აღსანიშნავია „შერეული სტილის“ გვიანდელი ჯგუფის – გლობოლოს ტექნიკით შესრულებული ძალზე სქემატური „სპარსელი ქალი“ (ტაბ. I/12) ქალცედონის სკარაბეოიდზე აღმოსავლეთ ირანის პროვინციებიდან (ძვ. წ. III ს), და-ცულია პეტერბურგის ერმიტაჟში [26. №551].

როგორც ცნობილია, საბერძნეთში და აქემენიდურ ირანში ფართოდ იყო გავრცელებული ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები. ძალიან საინტერესოა ორი ფარაკიანი ბეჭედი ამუდარიის განძიდან (ძვ. წ. IV-III სს. ბრიტანეთის მუზეუმი) [24. 60, სურ. 103, 104]. ორივე ბეჭდის ოვალურ ფარაკზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ნაწნავიანი ქალი მკაფიოდ აღმოსავლური, ნაოჭებმიყრილი სამოსითა და თავზე დაკბილული გვირგვინით: ერთი ბეჭედის ფარაკზე ხელში ფრინველითა და ყვავილით, ხოლო მეორეზე – ყვავილითა და რგოლისებრი გვირგვინით (ტაბ. III/3). ო. დალტონის მოსაზრებით, ამუდარიის განძის ბეჭდებზე გამოსახულია თვით ანაჰიტა, რომლის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და შენარჩუნებული ბაქტრიაში მთელს ბერძნულ და ინდო-სკვითურ პერიოდშიც კი [24. 1979:60]. ამუდარიის განძის ფარაკიან ბეჭდებზე გამოსახული ანაჰიტა, როგორც კომპოზიციურად, ასევე იკონოგრაფიული დეტალებით, ახლოსაა იმ ტიპთან, რომელიც გვხვდება ზოგ აქემენიდურ ჭრილა ქვებზე, თუმცა, იქ ქალმერთი წარმოდგენილია არა გვირგვინით, არამედ თავზე შემოხვეული ქსოვილის თავსაბურავით, ისე, როგორც „შერეული სტილით“ შესრულებული „სპარსელი ქალები“ ქალცედონის ორმხრივ (ტაბ. I/8), მცირეაზიურ საბეჭდავზე ბოსტონის მუზეუმიდან (ძვ. წ. IV ს.) [26. 112, №533]. ანაჰიტას გამოსახულება ახლოსაა აგრეთვე უზურგო სკამზე, თიმატერიონის წინ მჯდომ უგვირგვინო „სპარსელი ქალის“ იმ

ტიპთან, რომელიც გამოსახულია ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე (ტაბ. II/4) მერსინიდან (ძვ. წ. IV-III სს. ბერნის ჯგუფი); უფრო ნაკლები მსგავსება შეინიშნება ღია წითელი ქვის ბეჭედზე ამოჭრილ დაბალზურგიან სკამზე მჯდომ მანდილოსნის ძალზე სქემატურ გამოსახულებასთან (ძვ. წ. III ს. ბერნის ჯგუფი). ქალს მაღალი, მართკუთხა თავსაბურავი ხურავს და ხელში ყვავილი უჭირავს [17. №990, 966]. ამუდარიის განძის ბეჭედებისა და მერსინული ბეჭდის ფორმა ისე, როგორც მათზე ამოკვეთილი გამოსახულებათა კომპოზიციური გადანწყვეტა, ნაწილობრივ გვახსენებს ბერძულ ქალღვთაებებს, რომლებიც ბერძნულ ფარაკიან ბეჭედებზეა ამოკვეთილი – ზოგი თიმატერიონის წინ, ზოგი ფეხზე მდგომი, ზოგიც ტახტზე ან უზურგო სკამზე მჯდომარე [17. №№ 749, 753, 754, 791; 26. № 348, 359, 360], რაც შესაძლოა იყოს შედეგი აღმოსავლურ ბერძნული, იონიური ხელოვნების გავლენისა, მაგრამ მხატვრული თავისებურებებით ნახატი უფრო მეტად უახლოვდება „შერეული სტილის“ აქემენიდურ ცილინდრებზე ამოჭრილ გამოსახულებებს [26. 112, №№ 418, 419], თუმცა, ნაწილობრივ ძვ. წ. V ს-ის „სასახლის სტილის“ აქემენიდურ ცილინდრებზე (ტაბ. I/9) ამოკვეთილ კომპოზიციებსა და გამოსახულებებთანაც პოულობს გარკვეულ მსგავსებას [26. №417].

საბეჭდავი-ბეჭედები, რომელთა ფარაკზე „სპარსელი ქალია“ გამოსახული, დასტურდება საქართველოშიც, მაგალითად, ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი კამარახევის სამაროვნის №9 გრუნტული სამარხიდან (მცხეთის რაიონი). ბეჭედს აქვს დაწახნაგებული რკალი (ტაბ. II/1), მის წაგრძელებულ და ბოლოებმომრგვალებულ ოვალურ ფარაკზე ამოკვეთილია ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული „სპარსელი ქალის“ ფეხზე მდგომი ფიგურა პროფილში მარჯვნივ. შესრულებულია სქემატურად, სუმარულად, ესკიზურად, ერთიანი დაბალი კვეთით, თუმცა ანაბეჭდზე გამოსა-

ხულება საკმაოდ მკვეთრია, განსაკუთრებით ზურგზე ჩაშვებუ-
 ლი, ბოლოშეუკვრელი ნაწნავი (შესაძლოა თავსაფარიც
 იყოს) და მარჯვენა, სახესთან ზეანეული ხელი, რომელშიც ბო-
 ლოში გაფართოებული (გადაშლილი) ყვავილი უჭირავს. მარ-
 ცხენა დაშვებულ ხელში რგოლისებრი გვირგვინი უპყრია. მიუ-
 ხედავად სქემატურობისა, სხეული ინარჩუნებს ერთგვარ
 პლასტიკურობასა და დინამიზმს, რაც გამობურცული მკერდი-
 თა და გავით, ასევე თავისებური დგომით – ნელში გაზნექილი
 სხეულითა და წინ ნადგმული მარჯვენა ფეხით მიიღწევა, რა-
 საც კიდევ უფრო აძლიერებს ჭვინტიანი ფეხსაცმელების მო-
 ნაცვლეობა. განსაკუთრებით სუმარულადაა შესრულებული
 მოზრდილი თავი, უხეში სახის ნაკვთები – მხოლოდ ნიკაპი და
 ცხვირია მინიშნებული ჰორიზონტალური შტრიხებით, ხელები
 და ნაწნავი კი უაღრესად სქემატურად – ვერტიკალური ხაზე-
 ბითაა გადმოცემული. ბეჭედი გამოსახულების თავისებური
 სტილური ნიშნებით, ტექნიკით, მხატვრული შესრულებით,
 განსხვავებული ფორმის ნაწნავითა თუ სამოსით, სავსებით სა-
 მართლიანად, მ. ლორთქიფანიძის მიერ ადგილობრივ ნახელა-
 ვადაა მიჩნეული და ეკუთვნის ბერძნულ-სპარსული საბეჭდა-
 ვების იმ წრეს, რომელიც „შერეული სტილის“ ძეგლებს, კერ-
 ძოდ, აქემენიდურ მოტივებს აერთიანებს, ამდენად, ინტალიო
 არასპარსული წარმოშობის „შერეული სტილის“ ჭრილა ქვების
 უშუალო გავლენით შექმნილი ადგილობრივი ნაკეთობაა [8. 49,
 ტაბ. II/7]. მ. ლორთქიფანიძემ ბეჭედი დაათარილა ძვ. წ. V ს-ის
 მეორე ნახევრით [7. 45; 8. 45-47, ტაბ. 2/7; ტაბ. 2/7a]. კამარა-
 ხევის სამაროვანი რ. რამიშვილმა დაათარილა ძვ. წ. V-III სს-
 ით [10. 9, სურ. 10]. აღნიშნულ ბეჭედს შეეხო ე. ჯავახიშვილი
 და იგი ძვ. წ. IV ს-ით დაათარილა. მანვე აღნიშნა, რომ ეს გამო-
 სახულება მართლაც პოულობს ერთგვარ მსგავსებას ბერ-
 ძნულ-სპარსული სტილის „სპარსელ ქალთან“ [14. 10].

როგორც ცნობილია, აქემენიდური ბექდების ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო პატარა ფარაკიანი ბექდები, წვრილი და სშირად დანახნაგებული რკალით; ფარაკის ფორმა ბოლოებთანვეტებულია, მსგავსად ბერძნული – ბორდმანიისეული კლასიფიკაციის III ტიპის ბექდებისა (ძვ. წ. V ს.), აქემენიდური ფარაკიანი საბექდავი-ბექდების მეორე გავრცელებული სახეობა ბორდმანიისეული კლასიფიკაციის ანტიკური – VII ტიპის ოვალურფარაკიანი ბექდების მსგავსია (ძვ. წ. IV ს.), მაგრამ იგი უფრო დამძიმებულ ფორმადაა მიჩნეული. ორივე ტიპის ბექდებზე „სპარსელი ქალის“ თემა ფართოდ გამოიყენებოდა და თუ ფეხზე მდგომი „სპარსელი ქალი“ III ჯგუფის ბექდებზე გვხვდება, მსგავსად კვიპროსის საბექდავ-ბექდებისა, სადაც „სპარსელი ქალის“ მოტივი ერთ-ერთი ძირითადი თემაა და ძალიან ჰგავს დიდ სკარაბეოიდებზე გამოსახულ „სპარსელი ქალების“ ტიპს, VII ჯგუფის საბექდავ-ბექდავებზე ქალი, როგორც წესი, ზის და ხელში ყვავილი უჭირავს [17. 213, 322; 8. 14-15, 47]. კამარახეური ბექედი ორივე ტიპთან პოულობს მსგავსებას. როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. V ს-ით თარიღდება ისეთი ბექდები, რომელთა ფარაკები არის ნანვეტებული ოვალის ფორმის. ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისიდან ნვეტები მრგვალდება და ფარაკი წაგრძელებული ოვალის ფორმას ღებულობს, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით ფარაკი კიდევ უფრო მრგვალდება და ოვალურ-მრგვალი ან სულაც მრგვალი კონფიგურაციის ხდება. კამარახევის ბექდის ფარაკი კი, ფორმის მიხედვით, წაგრძელებული ოვალისა, რომელიც ცალ მხარეს ოდნავ ნანვეტებულია. ჩვენი მოსაზრებით, ბექდისა და ფარაკის ფორმის მიხედვით და ასევე იმიტომაც, რომ კამარახეური ქალის გამოსახულება კომპოზიციურად და იკონოგრაფიულად, ასევე ატრიბუტებით (ლოტოსისებრი ყვავილი, რგოლისებრი გვირგვინი) ყველაზე მეტად ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ №903 სკარაბეოიდსა (ტაბ. I/5) და

მცირეაზიურ მრავალნახნაგას (ტაბ. I/10) ერთ-ერთ ნახნაგზე გამოსახულ „სპარსელი ქალის“ ტიპს უახლოვდება, ბეჭედს ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით ვათარილებთ. ამ თარიღს უნდა ამაგრებდეს კამარახევის №9 (იმავე) სამარხში აღმოჩენილი ოვალურზურგიანი ბრინჯაოს სამაჯურები ბოლოებზე გველის თავების სტილიზებული გამოსახულებებით (ტაბ. II/5) და ბრინჯაოს ცილინდრულთავიანი საკინძები (ტაბ. II/6), რომლებიც დამაჯურებლად დათარიღებული ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით [23. 48, სურ. 23, 24; 23. 6, 7].

„სპარსელი ქალის“ თემა აქემენიდურ იმპერიაში პრივილეგირებული კლასისთვის განკუთვნილ საბეჭდავებზეა წარმოდგენილი [8. 50]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კამარახევის სამაროვანზე №9 სამარხი ინვენტარით ყველაზე მდიდრულია [10. 15], მაშინ ეს მოტივი, შესაძლოა, მცხეთის რაიონშიც (კამარახევიც) სოციალურად დანიშნაურებული ფენისთვის დამახასიათებლად ვიგულისხმოთ.

„სპარსელი ქალის“ კიდევ უფრო სქემატური გამოსახულებაა ამოკვეთილი ვერცხლის ბეჭდის ოვალურ ფარაკზე ტახტიძირის სამაროვნის №7 სამარხიდან – ქარელის რაიონი, (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, საინ. №1444). ბეჭედი რკალგახსნილია, რომლის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული. ქალს გრძელი, წელში გამოყვანილი კაბა მოსავს; აქვს სქელი და ძალიან გრძელი ნაწნავი. იდაყვი მოხრილ და ზეანულ ხელში მომცრო თასი უჭირავს, ხელის ქვემოთ გაურკვეველი საგანია გამოსახული (ტაბ. II/2). სტილურად ტახტიძირული გამოსახულება კამარახევიურისგან სავსებით განსხვავებულია და თავისებურად ძალიან სქემატურად და უხეშადაა შესრულებული. გამოსახულება ძლივს ინარჩუნებს გარკვეულ მსგავსებას „სპარსელ ქალთან“. ბეჭედი ფორმით ჯ. ბორდმანისეული კლასიფიკაციის VII და IX ჯგუფების სინთეზს წარმოადგენს და ძვ. წ. IV ს-ითაა დათარიღებული

[14. 10]. თუმცა იმის გავითვალისწინებთ, რომ „სპარსელი ქალის“ გამოსახულება ძალზე სქემატურია, ხოლო ფარაკი – ოვალურ-მრგვალი, მაშინ ტახტიძირული ბეჭედი შესაძლებლად მიგვაჩნია ძვ. წ. IV-III სს-ეების მიჯნით დავათარილოთ.

რაც შეეხება კამარახევისა და ტახტიძირის საბეჭდავი-ბეჭდების ფარაკზე გამოსახული „სპარსელი ქალის“ სიმბოლიკას, მისი ატრიბუტების გათვალისწინებით (ლოტოსის ყვავილი, რგოლისებრი გვირგვინი, თასი), იგი ანაჰიტას კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენი მოსაზრებით, ქალი თვით ანაჰიტა არ არის, რადგან თავზე დაკბილული გვირგვინი არ ადგას, მაგრამ თავსაფარი, ხელში ლოტოსისებრი ან შროშანისებრი ყვავილი, რგოლისებრი გვირგვინი ან თასი ის ატრიბუტებია, რომლებიც გვავარაუდებინებს, რომ ქალი შესაძლოა, ასრულებდეს ანაჰიტასადმი მიძღვნილ რიტუალს, რომელიც ოჯახის მფარველობისადმი და გამრავლებისადმი მადლიერების გამოსახატავად უნდა იყოს მიძღვნილი.

ანაჰიტას ოფიციალური თაყვანისცემა ირანში ძვ. წ. IV საუკუნეში არტაქსერქსე II-ს შემოუღია. მისი კულტი ძვ. წ. IV ს-იდან შედის არმენიაში, კაპადოკიაში, პონტოსა და ლიდიაში. ლიდიაში მოხდა მისი ასიმილირება კიბელასთან და არტემის ეფესელთან [2. 88]. საფიქრებელია, მსგავსი პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობდა და ანაჰიტასა თუ მისი ტიპის ქალღვთაების არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შესაძლებლად მიგვაჩნია მისი სინკრეტიზაცია ისეთ ადგილობრივ ქალღვთაებებთან, როგორებიც იყვნენ ნადირობის ქალღვთაება დალი ან ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღვთაება ცა/ციისკრის ვარსკვლავი [2. 88-89]. როგორც ჩანს, ანაჰიტას კულტი ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისიდან უკვე ქართლშია. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც უნდა ამყარებდეს, რომ კამარახევიში №9 სამარხში ბეჭედთან ერთად აღმოჩენილი ცილინდრულთავიანი საკინძები (ტაბ. II/6) დიდ მსგავსებას ავლენს ამუდარიის განძის ასეთივე

ფორმის ნივთთან, რომელიც ხელში უჭირავს მამაკაცს (ტაბ. II/7), ფიგურა ვერცხლისაა და დათარიღებულია ძვ. წ. V ს-ით. რ. გირშმანის მოსაზრებით, ეს არის „სამეფო ქურუმი“, რომელსაც ხელში უჭირავს არა ბარსმანის შეკრული კონა, არამედ ყვავილი [18. 246; 24. 34, სურ. 1]. განძი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ქანდაკებასთან ერთად, ანაჰიტას ტაძრისადმი იყო შეწირული. ამდენად, კამარახევური ცილინდრულთავიანი საკინძიც სავსებით შესაძლებელია ანაჰიტას ყვავილის ძალზე სქემატური გამოსახულება იყოს და მის კულტთან იყოს დაკავშირებული. ანაჰიტას ტიპის ქალღვთაება რომ არსებობდა საქართველოში, ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს უფრო გვიანდელი არქეოლოგიური მასალა, მაგ., „დედოფლის მინდორზე“ ძვ. წ. I ს-ის სატაძრო კომპლექსი, სადაც კულტის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი ქალღვთაება უნდა ყოფილიყო [2. 88-89]. ამ ტაძრის სიახლოვეს სოფ. არადეთთან, დედოფლის მინდორზე ნაპოვნ ოქროს ფირფიტისაგან დამზადებულ ქალღმერთის ჰორელიეფურ ფიგურას დიადემა, ყელსაბამი და საყურეები ამკობს და როგორც იმდროინდელი უმაღლესი წრის ქალებს, თავზე ნამგალა მთვარე ადგას [3. 70-71]. ტაძრის სიახლოვეს ისეთი ექსპონატის აღმოჩენა, რომელიც ახლოს დგას ანაჰიტას აღწერილობასთან, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ იგი ირანული ქალღვთაება არდვისურა ანაჰიტაა. აღსანიშნავია, რომ თავზე ნამგალა მთვარე ადგას (ტაბ. II/8) აგრეთვე „სპარსელ ქალს“, რომელიც ცისფერი ქალცედონის (ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარი) მცირეაზიულ სკარაბეოიდზე არის გამოსახული [26. №311].

სელევკიდურ და არშაკიდულ პერიოდში ანაჰიტას კულტი ერთგვარად დაჩრდილულია სხვა კულტების მიერ და ემთხვევა, რომ ამ პერიოდში ე. წ. „სპარსელი ქალის“ გამოსახულება ქართლში არ ჩანს. თუმცა, არმაზისხევის №48 ქვის სამარხში აღმოჩენილია დაქანებული მხრებიანი ოქროს ბეჭედი მაღალი

ბუდით, რომელშიც ზის გრანატის გემა (ეროვნული მუზეუმი, გლ. ფ. 850; ბეჭდის სიმაღლე – 27 მმ; ინტალიო 14X10 მმ). ბეჭედი შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ და აღნიშნა, რომ იგი დაქანებულმხრებიანი ბეჭდების სახესხვაობა უნდა იყოს და ბეჭედი ახ. წ. III ს-ით დაათარიღა. მისი მოსაზრებით, ინტალიოს ოვალურ და ამობურცულ პირზე დაბალი რელიეფით, მაგრამ მკაფიოდ ამოკვეთილია ე. წ. „სპარსელი ქალი“ პროფილში მარცხნივ, შემოსილი გრძელი, ვიწრო კაბითა და სახეზე მჭიდროდ შემოხვეული თავსაფრით (ტაბ. II/9). გრძელი, ნაწნავისებურად ჩახვეული თმა ჩაშვებული აქვს. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში ყვავილი უჭირავს. მკვლევრის მოსაზრებით, ინტალიო პართული ხანის გლიპტიკის ნიმუშია და მასზე „სპარსელი ქალის“ ტიპია გადმოცემული, სადაც ბერძნულ-აღმოსავლური გლიპტიკის ძველი ტრადიციებია შემონახული (გვიანდელი რეპლიკა) [6. 74-76; ტაბ. VI/26]. აღსანიშნავია, რომ ქალის ეს გამოსახულება ზოგი დეტალით (ტერფები, ხელები და სხვ.) მეტად თავისებურადაა გააზრებული და გამოსახულებაც საკმაოდ სქემატურია და სტილიზებული. ამ სამარხის გამთხრელების ვარაუდით, ამ გემაზე შესაძლოა სულაც მამაკაცი იყოს გამოსახული მუზარადითა და ხელში ისრითა თუ შუბით [1. 126]. ჩვენი მოსაზრებით, ეს გამოსახულება მანდილოსნისაა, მაგრამ იგი პოზით, პროპორციებით, ნაწილობრივ ჩაცმულობით, ატრიბუტებითა და შესტიკულაციით უფრო მეტ მსგავსებას პოულობს ახ. წ. I-III სს. რომაულ ინტალიოებზე გამოსახულ ქალღვთაებებთან, მაგ., ისიდასთან (I ს.), ვენუს-ვიქტორისთან (II ს.) და ვიქტორიასთან (III ს.) ბონის მუზეუმიდან [20. ტაბ. 78, 60a, 61b], რაც მის „სპარსელ ქალობას“ ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს.

საერთოდ, ანაჰიტას კულტის კვლავ აღორძინება სასანიანთა გამეფების დროიდან იწყება. იგი სასანიდების დინასტიის მფარველი ხდება ახ. წ. IV ს-ის დასაწყისში, შაპურ II-ის (309 წ.)

გამეფების შემდეგ. ამ პერიოდიდან იგი სიყვარულის, წყლები-სა და მცენარეთა მფარველია, ავესტაში აღწერილია როგორც მშვენიერი ქალწული. ემთხვევა, რომ ნანწავიანი ქალის გამოსახულება ყვავილით ხელში ისევ ჩანს სასანურ გემებზე. ა. ბივარის მოსაზრებით, ქალის ეს გამოსახულება დაკავშირებულია ქალღვთაება არდვისურა ანაჰიტასთან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ღვთაება იყო. იგი გახლდათ სიყვარულისა და ნაყოფიერების სიმბოლო, ოჯახის მფარველი. მასში გაერთიანებულია ანტიკური აფროდიტე-ვენუსისა და სემიტური წარმოშობის ქალღმერთ ნანას თვისებები [16. 25]. ინტალიოებზე ასევე გამოსახება ტიტა ან შროშანი – ანაჰიტას ყვავილი, რომელიც სასანურ ხელოვნებაში ქალღვთაების სიმბოლო ხდება. ეს გამოსახულებები ამოკვეთილია, მაგალითად, მოსკოვის აღმოსავლურ მუზეუმში დაცულ მთლიანად ქვისგან გამოთლილ სასანურ ელიფსოიდებზე (ტაბ. II/12, 13), რომლებიც ოჯახის დიასახლისს ეკუთვნოდა და გარდა საბეჭდავისა, ავგაროზადაც გამოიყენებოდა [22. 132, 134, 152, 154; №№58, 59, 68, 69]. მსგავსი გამოსახულებები დასტურდება აგრეთვე ბორისოვ-ლუკონინის კატალოგში, მათ მკვლევრები VI-VII სს-ით ათარიღებენ [22. №№ 142, 170].

საქართველოში აღმოჩენილ სასანურ გლიპტიკურ ძეგლებზე ქალის გამოსახულება ამოჭრილია ყავისფერი ფრცხილისგან გამოთლილ ბეჭედზე სამთავროს (მცხეთის რაიონი) სამაროვნის №450 სამარხიდან (ეროვნული მუზეუმი, გლ. ფ. №310). ბეჭდის წაკვეთილ რკალზე – ოვალურსა და ბრტყელ არეზე ძალზე სქემატურად გამოსახულია ფეხზე მდგომი ქალი, პროფილში მარჯვნივ, „მტრისული“ მანერით შესრულებული ყაბალახისებური თავსაბურავით, გრძელი ნანწავითა და ნაოჭიანი, კალთებაკეცილი სამოსით. ხელები წინ აქვს გაწვდილი და შესაძლოა ყვავილი ან ნაყოფი ეჭიროს (ტაბ. II/10). ბეჭედი შეისწავლა ქ. ი. რამიშვილმა და იგი ახ. წ. V-VI სს-ით დაა-

თარიღა, ხოლო ქალის გამოსახულება ანაჰიტას კულტს დაუკავშირა [11. 100-101, ტაბ IV/50]. ანაჰიტას კულტთან ჩანს დაკავშირებული აგრეთვე სამთავროს სამაროვნის №203 სამარხში აღმოჩენილ რძისფერი ქალცედონის ელიფსისებრ საბეჭდავზე (ეროვნული მუზეუმი, გლ. ფ. 187; ინტალიო – 19X18 მმ, საბეჭდავის სიმაღლე – 20 მმ) ამოჭრილი სტილიზებული ტიტა (ტაბ. II/10), რომელიც ძალზე სქემატურად, ე. წ. შტრიხული მანერითაა შესრულებული (V-VI სს.) [11. 82-83, 105-106].

ადრეული შუასაუკუნეებიდან შეინიშნება ანაჰიტას ერთგვარი თანხვედრა და ასიმილაცია ქალწულ მარიამთან და ანაჰიტას ისეთი სიმბოლოები, როგორცაა: ლოტოსი, შროშანი, ბრონეული და სხვ. გაზიარებულია ქრისტიანული რელიგიის მიერ, ხოლო თეთრი შროშანი ღვთისმშობლის სიმბოლო ხდება, ვითარცა სისპეტაკისა და უმნიკვლობის განსახიერება [21. 152]. შუა და გვიანსასანურ ხანაში ბრონეულის ნაყოფმა გამოძახილი ჰპოვა საქართველოში ახ. წ. V-VII სს-ის ბრონეულისთავიანი ბრინჯაოს საკინძებისა და ახ. წ. VII-VIII სს. მარჯნის ბრონეულისთავიანი საკინძების დეკორში [2. 89-91; 5. 223]. ცნობილია, რომ სასანურ გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ ვრცელდება ისეთი ქრისტიანული სიმბოლო, როგორცაა ჯვარი, ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი სხვა სიმბოლოებთან ერთად. ა. ბივარის მოსაზრებით, ჯერჯერობით ვერ დასტურდება, რომ ჯვრის გამოსახულებიანი ბეჭდები აუცილებლად ქრისტიანის კუთვნილება იყო, რადგან ზოგჯერ მათ გამოსახულებებს თან ახლავს ზოროასტრული შინაარსის წარწერები [16. 27] და თუ სასანური ხელოვნება იღებს ქრისტიანულ სიმბოლოებს და მათ თავისი იდეოლოგიის სამსახურში აყენებს, საქართველოში შეინიშნება უკუპროცესი – მიმდინარეობს სასანური მხატვრული სახეების, მოტივების, სტილური თავისებურებების შეთვისება, ახლებურად გააზრება და ქრისტიანული იდეოლოგიის პროპაგანდისთვის გამოყენება [12. 63,

ტაბ. II], რაც კარგად აისახა ქართულ ადრექრისტიანულ რელიეფებზე [9; 13. სურ. 17] და ქვაფეხვარებზე (ტაბ. II/14), სადაც სასანური მცენარეული მოტივი და მათ შორის ანაჰიტას სიმბოლოები (ლოტოსი, ბრონეულის ნაყოფი და ყვავილი, შროშანი, ვარდული და სხვ.) ფართოდაა წარმოდგენილი.

ლიტერატურა – REFERENCES

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა, I, თბ., 1955.
2. აფხაზავა ნ., ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.
3. გაგოშიძე იუ., წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე, ძეგლის მეგობარი №35, თბ., 1974.
4. გოგიბერიძე ნ., საკინძებისა და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის, იბერია-კოლხეთი, №4, თბ., 2008.
5. მშვილდაძე მ., დიღმელაშვილი ქ., ბრონეულის სიმბოლოს შესწავლის საკითხისათვის, ამირანი, XVII-XVIII, თბ., 2007.
6. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ., 1958.
7. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969.
8. ლორთქიფანიძე მ., უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ., 1981.
9. მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაფეხვარები, თბ., 2008.
10. რამიშვილი რ., კამარახევის სამაროვანი – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959.
11. რამიშვილი ქ. ი., სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979.

12. რამიშვილი ქ. ი., მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან, ძიებანი, №6, თბ., 2000.
13. ჯავახიშვილი გ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება, თბ., 2014.
14. ჯავახიშვილი ქ., საქართველოს გლიპტიკური ძეგლები – იბერია-კოლხეთი, №11, თბ., 2015.
15. Ackermann Ph., Sasanian Seals. SPA, I
16. Bivar A., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum; Stamp Seals, II, London, 1963.
17. Boardman J., Greek Gems and Finger Rings, London, 1970.
18. Ghirshman R., Perse. Proto-iraniens. Medes. Achemenides. (Le Univers des forms. Collection dirigee par A. Malraux et G. Salles), Paris, 1963.
19. Richter G. M., Catalogue of Engraved Gems. Greek. Etruscan. And Roman, Roma, 1956.
20. Zwierlein-Diehl E., 2003: Siegel und Abdruck, Antike Gemmen in Bonn, Bonn, 2003.
21. Берзина С. Я., Древние геммы Востока, Москва, 2010.
22. Борисов А.Я., Луконин В.Г., Сасанидские геммы, Ленинград, 1963.
23. Гогиберидзе Н., Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н.э., Тбилиси, 2003.
24. Зеймаль Е. В., Амударьинский клад, Ленинград, 1979.
25. Максимова М. И., Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B (რედ. ა. აფაქიძე), გვ. 221-274, თბილისი, 1950.
26. Никулина Н. М., Искусство Ионий и Ахеменидского Ирана, Москва, 1994.
27. Тревер К.В., Луконин, В.Г., Сасанидское серебро, Москва, 1987.

Ketevan R . Ramishvili

**Image of a "Persian women"
on Georgian glyptic artifacts**

Summary

The work is about "Persian Woman", whose images are widely found on monuments of the Greco-Persian glyptic, so called mix style. The featured woman facing left, has a long braid, and holds a flower in one hand and various ritual items in the other.

The depiction of the "Persian woman" is also confirmed in Georgian glyptic materials, in particular on the surface of the rings from Kamarakhevi and Takhtidziri, dated to IV century BC. These images belong to the circle of Greco-Persian seals that combine "mixed style" monuments, in particular Achaemenid motifs, but stylistically and iconographically these images are so differently modeled that they are considered as local rings directly influenced by mixed style seals. In the Sassanid era, in Mtskheta region, the image of a woman with a long braid and a flower or fruit in her hand on a brown agate ring is confirmed again from Samtavro burial. The woman is presented facing right, performed in the Late Sasanian manner. The „Persian woman" featured on rings from Kamarakhevi and Takhtidziri must be associated with the syncretic cult of Anahita and the local goddesses with similar functions. Interestingly, that the woman depicted on the ring from Samtavro is also associated with the cult of Anahita. From this period, observed assimilation of Anahita with the Virgin Mary and such symbols of Anahita as lotus, lily, pomegranate, etc. are shared by the Christian religion and art. Sasanian artistic motifs and stylistic features were assimilated, re-understood and used for the propagation of Christian ideology, which was well reflected in the monuments of Georgian Early-Christian art.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I.

1. ოქროს მართკუთხა ფირფიტები „სპარსელი ქალისა“ და მამაკაცის გამოსახულებით, ამუდარიის განძი, ძვ. წ. V-IV სს.
2. ვერცხლის ხუფი „სპარსელი ქალისა“ და მამაკაცის გამოსახულებით, ამუდარიის განძი, ძვ. წ. V-IV სს.
3. №854 მცირეაზიური ქალცედონის საბეჭდავი, „სპარსელი ქალის“ გამოსახულებით, ძვ. წ. V-IV სს. აღმოსავლურ ბერძნული სტილი.
4. №879 მცირეაზიური ქალცედონის საბეჭდავი, „სპარსელი ქალის“ გამოსახულებით, ძვ. წ. V-IV სს. „შერეული სტილი“.
5. №903 მცირეაზიური ქალცედონის საბეჭდავი, „სპარსელი ქალის“ გამოსახულებით, ძვ. წ. V-IV სს. „შერეული სტილი“.
6. ქალცედონის პირამიდული საკიდი ნახნაგებზე „სპარსელი ქალისა“ და მამაკაცის გამოსახულებებით.
7. აქატის მსხლისებური ორმხრივი, მცირეაზიური საკიდი. ერთ გვერდზე ფეხზე მდგომი სპარსელი ქალითა და მამაკაცით, მეორეზე – ტახტზე მჯდომი ქალი, დედოფალი ან ქალღმერთი, რომელსაც ბავშვი ყვავილებს უძღვნის. ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, „შერეული სტილი“.
8. ქალცედონის მცირეაზიური ორმხრივი სკარაბეოიდი – ცალ მხარეს – უზურგო სკამზე მჯდომი „სპარსელი ქალი“ ქსოვილის გრძელი თავსაბურავით, ინსტრუმენტზე უკრავს და ძაღლი; მეორე მხარეს – სკამზე მჯდომი „სპარსელი ქალი“ ფრინველით ხელში და მისკენ ხელგაწვდილი ბიჭი. ძვ. წ. IV ს. „შერეული სტილი“.
9. აქემენიდური ცილინდრი ქალღმერთისა და „სპარსელი ქალის“ გამოსახულებით. ძვ. წ. V ს. „სასახლის სტილი“.

10. „სპარსელი ქალი“ ქალცედონის მცირეაზიურ მრავალნახ-
ნაგას ერთ-ერთ ნახნაგზე. სხვა ნახნაგებზე - სპარსელი
მეომრები და ცხოველები, ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევარი,
„შერეული სტილი“.
11. ცისფერი ქალცედონის ცილინდრი ანაჰიტას გამოსახუ-
ლებით, მისკენ ხელგანვიდილი მეფე და ლომი. ანაჰა, ძვ. წ.
IV ს. „შერეული სტილი“.
12. „სპარსელი ქალი“ ქალცედონის სკარაბეოიდზე აღმოსაფ-
ლეთ ირანის პროვინციებიდან, ძვ. წ. III ს. „გლობოლოს“
ჯგუფი.

ტაბ. II.


1. „სპარსელი ქალის“ გამოსახულება ბრინჯაოს ბეჭდის
ფარაკზე, კამარახევი, №9 სამარხი, ძვ. წ. IV ს-ის პირველი
ნახევარი.
2. „სპარსელი ქალის“ გამოსახულება ვერცხლის ბეჭდის ფა-
რაკზე, ტახტიძირი, №7 სამარხი, ძვ. წ. IV-III სს.
3. ტახტზე მჯდომი ნანნავიანი ანაჰიტა ხელში ყვავილითა და
რგოლისებრი გვირგვინით ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე,
ამუდარიის განძი, ძვ. წ. IV-III სს.
4. უზურგო სკამზე, თიმატერიონის წინ მჯდომი უგვირგვინო
„სპარსელი ქალი“ ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე, მერსინი,
ძვ. წ. IV-III სს.
5. გველისთავიანი ბრინჯაოს სამაჯურები, კამარახევი, №9
სამარხი, ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი.
6. ბრინჯაოს ცილინდრულთავიანი საკინძები, კამარახევი,
№9 სამარხი, ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი.
7. მამაკაცის ვერცხლის ფიგურა ხელში ცილინდრულთავიანი
ნივთით, ამუდარიის განძი, ძვ. წ. V ს.
8. „სპარსელი ქალი“ თავზე ნახევარმთვარით ცისფერი ქალ-
ცედონის სკარაბეოიდზე ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისი.

9. „სპარსელი ქალის“ გამოსახულება (გრაფიკული ნახატი) ოქროს ბეჭედში ჩასმულ გრანატის გემაზე არმაზისხევი, №48 ქვის სამარხი, ახ. წ. IV ს-ის დასაწყისი.
10. ქალის გამოსახულება ყავისფერი ფრცხილისგან გამოთლილ სასანურ ბეჭედზე, სამთავროს სამაროვანი, №450 სამარხი, ახ. წ. V-VI სს.
11. შროშანის გამოსახულება ქალცედონის სასანურ სფეროიდულ საბეჭდავზე, ახ. წ. IV-V სს. სამთავროს სამაროვანი, №203 სამარხი.
12. ქალის გამოსახულება სარდიონის სასანურ ელიფსოიდზე ახ. წ. IV-V სს. მოსკოვის აღმოსავლური მუზეუმი.
13. შროშანის გამოსახულება სარდიონის სასანურ ელიფსოიდზე, ახ. წ. IV-V სს. მოსკოვის აღმოსავლური მუზეუმი.
14. ქვაჯვარი ორი დიდებულის გამოსახულებით, ხელში ჯვრითა და შროშანით, განთიადი, ახ. წ. VI ს.


ტაბ. I



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12

ტაბ. II



სურ. 1




სურ. 2




სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

მარიაკა მშვილდაძე

ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში

ანტიკური ხანა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში, სადაც გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიდი სახელმწიფო - ერთი მხრივ, რომის იმპერია, ხოლო, მეორე მხრივ, პართია, ახ. წ. 326 წლიდან კი - სასანიანთა ირანი. საკუთარი გავლენის გავრცელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რელიგიური ფაქტორი, რაც კარგად ესმით ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მმართველებს. შესაბამისად, იბერია-კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს როგორც ანტიკური წარმართული კულტები, ისე მაზდიანობასთან დაკავშირებული ღვთაებები და რელიგიური სიმბოლოები (განსაკუთრებით სასანიანთა ირანის პერიოდიდან მოყოლებული).

დემეტრა (ძვ. ბერძნული - Δημήτηρ, ასევე - Δήω „დედამინა“, ლათინური - Demeter) ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღვთაება კრონოსისა და რეას მეორე ქალიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე თავყვანსაცემი და გავრცელებული ღვთაება იყო ანტიკურ სამყაროში. იგი ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების მფარველი (მიწათმოქმედების დამაარსებელი) ქალღმერთია, რომელსაც მიწის სამუშაოების დაწყებისას მართმეფდნენ ძღვენს. დემეტრა სიცოცხლის მომცემელი ღვთაებაა, რომელიც გამოისახებოდა შავი მოსასხამით, მიწის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ატრიბუტებით: ყვავილებით, ხილით, ხორბლის თავთავით, ყაყაჩოს ყვავილებით... იგი მალაღია, წარმოსადეგი, სქელთმიანია [22.165-167]. მან მისცა ელევსინის (ბერძნ. - Έλευσίς, Έλευσίνος) მეფე კელეოსის (ბერძნ. - Κελεύς) ახალგაზრდა შვილს ტრიპოლემოსს (ბერძნ. - Τριπτόλεμος, ლათ. - Triptolemus) ხორბლის მარცვლები, რომელ-

მაც პირველმა სამჯერ მოხნა და დათესა მიწა, შემდეგ კი ყველას ასწავლა მიწათმოქმედება. დემეტრა, იმავდროულად, არის დედა, რომელიც განიცდის შვილის დაკარგვას. იგი ეძებს თავის ქალიშვილს - პერსეფონეს (ბერძნ. Περσεφόνη, ლათ. Proserpina).¹ შესაბამისად, დემეტრას ასევე გამოსახავდნენ პერსეფონესთან ერთად... მოგვიანებით დემეტრა კანონმდებლობის, ოჯახისა და ქორწინების მფარველიცაა.

ანტიკურ სამყაროში ღვთაება დემეტრას პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მას ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ქალაქის მონეტებზე, მაგალითად, ქალაქ ამისოს მონეტებზე, რომელიც შემდეგში ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ემბლემა გახდა. ამისო-მილეტისა და ამისო-ნიკეის სამოკავშირეო მონეტებზე ეს ქალღმერთი ქალაქ ამისოს განსახიერებს ნარმოადგენდა [22.315]. დემეტრა იყო გამოსახული აგრეთვე, ქალაქების ტირასა და ოლბიის მონეტებზეც [20.67].

ბერძნების ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლისთანავე დემეტრა გაიგივებული იყო ადგილობრივ ქალღვთაებებთან, მაგალითად, ეგვიპტეში ისიდასთან. ჰეროდოტე ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში აღნიშნავდა, რომ ელინთა ენაზე ისიდა დემეტრაა (Herod., II,59). ისიდა (დემეტრა), აღნიშნავდა იგი, მიწისქვეშეთს მფარველობდა (Herod., II,123). ოქსირინქოსში აღმოჩენილი რელიგიური ხასიათის წერილების მიხედვით, ისიდას „მრავალი სახის მქონე“ ეწოდებოდა, რომელსაც სხვები დემეტრას, სილენას და ჰერას უწოდებდნენ... [18.91] მცირეაზიის ტე-

¹ დედა-ბუნებისა და მიწის ნიაღის დიდი ქალღმერთი, ჰადესის ცოლი, აჩრდილთა და ურჩხულთა მრისხანე დედოფალი. ჰომეროსთან მიცვალებულთა სამყაროს მბრძანებელი (ოდისეა, X, 491; XI, 217). პერსეფონე ჰადესთან ერთად ზის ბნელეთის ტახტზე, ისმენს სულთა საჩივრებს და აღასრულებს ქმრის განაჩენს. ჰესიოდესთან პერსეფონე სამყაროს დასალიერს ცხოვრობს (თეოგონია, 767-768). რომაელებთან იგი პროზერპინაა (ლათ. Proserpina).

რიტორიაზე დემეტრა გაიგივებული იყო ფრიგიულ ღვთაება ღმერთების დიდ დედასთან (Magna Mater)...

ელინისტურ პერიოდში, როდესაც დასავლური და აღმოსავლური ღვთაებების ერთმანეთთან შეერთება-შერწყმის პროცესი მიმდინარეობდა, დემეტრა ასევე ერწყმის ანალოგიური დანიშნულების სხვადასხვა ქალღვთაებებს, მაგალითად, რომაულ ქალღმერთ ცერერას.

არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტი საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე ადრე ანტიკური პერიოდიდან შემოდის, რაც დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგს წამოადგენდა.

დემეტრას 4 ტერაკოტული ქანდაკება აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარის სამაროვანზე. მათგან სამი შედარებით კარგად არის მოღწეული, ხოლო მეოთხე სამარხიდან ამოღებისას დაიშალა (შემორჩენილია მხოლოდ თავის ფრაგმენტი). ყველა ფიგურა გამოსახავს ტახტზე მჯდომ ქალღმერთს გამოკვეთილი ატრიბუტიკის გარეშე [13.26; 14.152] (არქეოლოგები არ გამორიცხავენ აღნიშნული ფიგურების ღმერთების დიდ დედასთან - კიბელესთან გაიგივებასაც). დემეტრას ერთი ფიგურა დაფიქსირდა 1998 წელს ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე ჭუმუსოვან ფენაში. ტერაკოტულ ფიგურას აკლია ქვედა ნაწილი და მარჯვენა მხარი. კეცი მოყვითალო-მოყავისფრო (შემორჩენილი ფიგურის სიმაღლე 7,9სმ), სტატუეტი ღრუა, დამზადებულია ყალიბში... სტატუეტს არ აღენიშნება სავარძლის ზურგი, იმის გამო, რომ არსებობს უზურგო საკარცხულზე მჯდომი ღვთაებების გამოსახულებები, მეცნიერები აღნიშნულ ტერაკოტას ტახტზე მჯდომი ქალღმერთების რიგს მიაკუთვნებენ. ფიგურა ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით თარიღდება. ერთი ტერაკოტული ფიგურის ფრაგმენტი ნაპოვნია ძვ.წ. IV ს-ის სააღაპო-სარიტუალო მოედანზე (შემორჩენილი ფიგურის სიმაღლე 4,2 სმ). კეცი ღია მოყვითა-

ლო ფერის. ანალოგიების მიხედვით, ანტიკური ნაწარმი უნდა იყოს. ორი ფიგურა აღმოჩნდა 2000 წელს №195-ე და №206-ე (სამარხიდან ამოღებისას დაშლილი) სამარხებში. №195-ე სამარხში დაფიქსირებული ქანდაკების (სიმაღლე 19,5 სმ) კეცი ნარინჯისფერში გარდამავალი ყვითელი, ყალიბშია შესრულებული, ღრუა, დაბალ პოცდამენტზე დგას, აკლია კვარცხლბეკისა და სავარძლის ნაწილი. ფიგურა შემოსილია სადა, ტერფებამდე დაშვებული ქიტონით, გამონვისას ზურგზე მართკუთხედის ფორმის ჭრილი აქვს გაკეთებული, სავარძლის ზურგს მომრგვალებული შვერილები აქვს გაკეთებული. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით [2. 74; 14.151-152].

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ.წ. VI საუკუნეში დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად გაჩნდა ბერძნული (მილეტული) ახალშენები - ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკური (სოხუმი). მოგვიანებით კი პიტიუნტი (ბიჭვინთა). ბერძნული ახალშენი იყო ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზეც. ნიშანდობლივია, რომ ფიჭვნარში ანტიკური ხანის ნაქალაქარზე ერთმანეთის გვერდით არსებობდა კოლხური და ბერძნული თემების სამაროვნები. დემეტრას ტერაკოტული გამოსახულებები ნაპოვნია ბერძნულ სამაროვანზე. ტერაკოტები ატიკურ იმპორტს წარმოადგენს. დემეტრას ფიგურების წარმომავლობისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ბერძნული მოსახლეობის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომლებმაც ბერძნული წარმართობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაება დემეტრა თავიანთი განსახლების ახალ ადგილას შეიტანეს, მაგრამ ადგილობრივ - კოლხურ მოსახლეობაში დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებელი არქტეფაქტები, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არ ჩანს.

აქვე გვინდა, აღვნიშნოთ ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილი ნითელფიგურიანი კრატერის (ბერძნ. κέρδυσσι - ვურევ, ვაზავებ) შესახებ, დემეტრასა და პერსეფონეს გამოსახულებით. კრატერი დამზადებულია ატიკაში, დაახლოებით ძვ.წ. 450 წელს. მისი მომხატველია ე.წ. ნიობიდების მხატვარი, რომელიც ნითელფიგურიანი ვაზათმომხატველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია და მონუმენტური ვაზათმომხატველობის ფუძემდებლად ითვლება [3.80, სურ. 23-24]. აღნიშნულ კრატერზე დემეტრას გამოსახულება, ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არა ამ ღვთაების კულტის გავრცელებას, არამედ ბერძნულ სამყაროსთან პოლიტიკურ და სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებს შეეძლია დავუკავშიროთ.

დემეტრას კულტთან აკავშირებენ არქეოლოგები 1986 წელს ციხისძირის ტერიტორიაზე №158-159 სამარხებში აღმოჩენილ ღორის (ტახის) ტერაკოტულ ფიგურებს. ღორი, როგორც ცნობილია, დემეტრას წმინდა ცხოველს წარმოადგენდა და დიდ როლს ასრულებდა ღვთაების კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში (თესმოფილიები). №158 სამარხში ღორის სამი ტერაკოტა აღმოჩნდა. №159 სამარხში კი - ერთი; კეცი მოყავისფრო-ნარინჯისფერი. ტერაკოტების ზედა ნაწილი ყალიბშია შესრულებული, ქვედა კი ხელით არის მოსწორებული. ფიგურებს მუცლის არეში აქვთ ჭრილი. დიდი ნაწილი დაზიანებულია. ტერაკოტები ძვ.წ. V საუკუნით არის დათარიღებული [19.109-135, სურ.4].

ელინისტური პერიოდით - ძვ.წ. III-II საუკუნეებით თარიღდება ვანის I უბნის კვადრატ №36-ის აღმოსავლეთ ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას ტერაკოტული თავის ქანდაკება [8.191-193, სურ.145]. ეს არც არის გასაკვირი, თუ ელინისტური პერიოდის ვანის ქალაქობის ისტორიას გავისხენებთ - დიდი სატაძრო ქალაქი, კონტაქტი ანტიკურ სამყაროს-

თან, სადაც ძვ. წ. III-I საუკუნეებით დათარიღებული არაერთი არტეფაქტია აღმოჩენილი.

არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად, მკვლევართა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ელინისტური პერიოდის ბოლოს დემეტრას კულტი ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვისაც. კერძოდ, დემეტრას გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს უფლისციხის¹ ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე, განძში აღმოჩენილი თიხის მჯდომარე ფიგურა [10.53-61; 11.6-7] (სურ.1) (გ. ყიფიანი აღნიშნულ ფიგურას მუზად მიიჩნევს [12.74-95, სურ.1]) და ძვ. წ. II-I სს-ით დათარიღებული ქალის ნიღბის ნატეხი (დამზადებულია ყალიბში, სუფთა განლექილი თიხისაგან) სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალური ტერასიდან, რომელსაც შემორჩა შუბლის, მარჯვენა თვალის, თმის ტალღური ვარცხნილობა და თავზე აღმართული კოშკის მაგვარი თავსაბურავი [1. 36-45].

საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას კულტის გავრცელებასთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული სიტუაციაა გვიან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში ღვთაების გამოსახულებები გვხვდება ძირითადად გლიპტიკურ ძეგლებზე, რაც ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა პანთეონის, კერძოდ, დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან გემა არის თანადროული ისტორიული დოკუმენტი, რომელიც სინათლეს ჰყფენს როგორც ამა თუ იმ პერიოდის სოციალურ, კულტურულ

¹ უფლისციხე ძვ. წ. IV-III სს-ში უნდა ყოფილიყო იბერიის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი, რომელსაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონია კოლხეთთან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ირანის სახელმწიფოებთან [16.69].

განვითარებას, ისე რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. ჭრილა ქვებზე არსებული გამოსახულებანი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ იმ ეპოქის მატერიალური, რელიგიური და სულიერი კულტურა, რომლის დროსაც იგი იქმნებოდა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებანი ინტალიო დაფიქსირდა ბიჭვინთის სამაროვანზე. ინტალიო რვანახნაგა ლუქისებრი იასპისა ვერცხლის ბეჭედში ღვთაება დგას თავით პროფილში მარჯვნივ. მას გრძელი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს. მარცხენაში მცენარის ტოტი (შესაძლოა თავთავი).¹

ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, აგრეთვე, დემეტრას კულთან დაკავშირებული ნაყოფიერების სიმბოლოიანი ჭრილა ქვები: 1. ოვალური ფორმის ინტალიო მოყავისფრო ფერის სარდიონისა ვერცხლის ბეჭედში. პირზე გამოსახულია მაღალფეხიანი ლარნაკი ხორბლის ორი თავთავითა და ყაყაჩოს ყვავილით (ბუნების ზამთრის ძილის სიმბოლო. დემეტრას (კერერა) რომაულ მონეტებზე სწორედ ხელში თავთავებითა და ყაყაჩოს ყვავილებით გამოსახავდნენ) და 2. ოვალური ფორმის ინტალიო ლუქისებრი იასპისა, ვერცხლის ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხორბლის ორი თავთავი. ორივე სიუჟეტი საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ხანაში.² ბიჭვინ-

¹ ბიჭვინთის სამაროვნი. 1989 წ. 04 თხრილი, №442 ორმო-სამარხი ხსნარიანი, ინვენტარიანი, ინვ. №1429, ინტალიოს სიგრძე - 10 მმ, სიგანე - 8 მმ. ინტალიოს სიმაღლე - 4 მმ. ბეჭდის სიმაღლე - 21 მმ, დმ - 19 მმ. ახ.წ. III საუკუნე [7. 141-142, №5, ინვ. №1429, ტაბ. IX, სურ.5].

² 1. 1984 წ., სამაროვანი, სამარხი №211, ორმო-სამარხი ინვენტარიანი. ინვ. №1417, ინტალიოს სიგრძე - 8 მმ, სიგანე - 6 მმ. ბეჭდის დიამეტრი - 19 მმ. ახ. წ. III საუკუნე; 2. 1989 წ., სამაროვანი, სამარხი №443, ორმო-სამარხი ხსნარიანი, ინვენტარიანი, ინვ. №1430 ინტალიოს სიგრძე - 5 მმ, სიგანე - 4 მმ. ბეჭდის სიმაღლე - 16 მმ. დიამეტრი - 17 მმ. ახ. წ. III საუკუნე [6. 53, 128-129, №4, ინვ. №1417, ტაბ. VIII, სურ.4; გვ. 142-143, №17, ინვ. №1430, ტაბ. IX, სურ. 6].

თის ინტალიოები დიდ მსგავსებას პოულობენ ჩრდილო შავიზღვისპირეთში დაფიქსირებულ გემებთან (მაგ., ოლბია - ხორბლის ორი თავთავი) [20].

ხორბლის თავთავები ძველი აღმოსავლური და ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, ნაყოფიერების ღვთაებებთან - ისიდა, დიდი დედა კიბელე, დემეტრა - არის დაკავშირებული. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით ხომ სწორედ დემეტრაა მიწათმოქმედების დამაარსებელი ქალღმერთი.

ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული ჭრილა ქვები ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ პიტიუნტის ციხე-ქალაქობის მეორე მხარე. როგორც ცნობილია, პიტიუნტი ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებიდან რომის საგარნიზონო ქალაქს წარმოადგენდა. დემეტრას გამოსახულებიანი ჭრილა ქვების აღმოჩენის შედეგად კი ჩანს, რომ ქალაქში რომის XV ლეგიონის ლეგიონერების გარდა, ცხოვრობდნენ მიწათმოქმედებიც, რაც, თავის მხრივ, ემთხვევა არქეოლოგიურ აღმოჩენებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დგინდება, რომ ბიჭვინთაში რომაულ კასტელუმთან ერთად წარმოიქმნა საქალაქო დასახლება კანაბე, რომელიც პიტიუნტის ციხაძელს ეკვრის წრიული მოყვანილობის გალავნით და კოშკით. მისი საერთო ფართი 4,5 ჰექტარს არ აღემატება. ამ ფორმის საქალაქო დასახლებები – უშუალოდ ციხესთან მიბმული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისთვის იყო დამახასიათებელი,¹ სადაც გადამდგარ ჯარისკაცებ-

¹ 25 წლის კარგი სამსახურისათვის რომელიც ლეგიონერების პროვინციული ჯარი (აუხილია) რიგ შემთხვევაში რომის მოქალაქეობას და მიწის ნაკვეთს იღებდა, ხშირად სამხედრო ბანაკის შემადგენლობაში. სვეერუსებიდან მომდინარე ახ. წ. II ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისში ჯარისკაცებს არა მარტო მიწის ნაკვეთის დამუშავების უფლება მისცეს, არამედ დააკანონეს მათი შერეული ქორწინება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. ახ. წ. III ს-ში რომაული

თან ერთად, როგორც ეს ადრიანესეულ ფასისში¹ იყო, ადგილობრივ მოსახლეობასაც უნდა ეცხოვრა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებიანი ინტალიოები დაფიქსირებულია ურბნისის, ჟინვალის, ქუშანანთ გორის II (მაგრანეთი), სამთავროს სამაროვნებზე. ურბნისი ანტიკური იბერიის (ქართლი) ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ანტიკურ ხანასა და ადრემუასაუკუნეებში ქალაქზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომლის მეშვეობითაც ურბნისი მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარესამყაროსთან. შესაბამისად, ქალაქზე მნიშვნელოვანწილად აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები.

ურბნისის სამაროვნის ტერიტორიაზე დემეტრას გამოსახულებიანი ორი ინტალიოა აღმოჩენილი: 1. ინტალიო ოვალური ფორმის მონითალო-ყავისფერი, შავი წინწკლებით სარდიონისა. ზურგი და პირი ამოზურცული, ინტალიოს პირზე გამოსახულია ზეზე მდგომი დემეტრა (ცერერა) გრძელი ქიტონით შემოსილი. მარცხენა ხელზე ლანგარი უდგას, მარჯვენა ხელში თავთავი უჭირავს; 2. ინტალიო ოვალური ფორმის მონითალო-ყავისფერი სარდიონისა რკინის ბეჭედში. ინტალიოს პირზე გამოსახულია ზეზე მდგომი დემეტრა (ცერერა) გრძელი სამოსით შემოსილი, მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, მარცხენაში თავთავი უჭირავს.²

სამხედრო ბანაკები მიწათმოქმედთა დასახლებად იქცნენ. ასეთი პროცესები უშუალოდ ბიჭვინთაშიც მიმდინარეობდა [6. 47,69].

¹ ფაიუმში აღმოჩენილ II ს-ით დათარიღებულ პაპირუსის ფრაგმენტზე (აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში) მოხსენიებულია იქ მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი.

² 1. 1962 წ. სამარხი №258, ინვ. №1094, ინტალიოს სიგრძე - 16 მმ, სიგანე - 12 მმ. ახ. წ. II საუკუნე; 2. 1960 წ. სამარხი №191, ინვ. №1049, ინტალიოს სიგრძე - 13 მმ, სიგანე - 10 მმ. ბეჭდის დიამეტრი - 19მმ. ახ.წ. II საუკუნე [17.53-54].

ურბნისის სამაროვანზე გვხვდება, აგრეთვე, დემეტრას კულტთან დაკავშირებული სიმბოლოების (ხორბლის თავთავები, ყაყაჩოს ყვავილი) გამოსახულებიანი რამდენიმე ჭრილაქვა: 1. ინტალიო ოვალური ფორმის ბაცი ცისფერი გამჭვირვალე მინისა, ბრტყელი, რკინის ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხელი, რომელსაც კონად შეკრული ყაყაჩოები და თავთავები უჭირავს; 2. ინტალიო ოვალური ფორმის რძისფერი ქალცედონისა, რკინის ბეჭედში. პირზე გამოსახულია კონად შეკრული ოთხი თავთავი; 3. ინტალიო მრგვალი ფორმის მწვანე, გამჭვირვალე მინისა ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია ორი თავთავი; 4. ინტალიო ოვალური ფორმის მონითალო-ყავისფერი სადიონისა, ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია კრატერი, რომელშიც თავთავები (?) დევს; 5. ინტალიო ოვალური ფორმის მოყვითალო-ნარინჯისფერი სარდიონისა ბრინჯაოს ბეჭედში. პირზე გამოსახულია ხელი, რომელსაც თავთავები უჭირავს; 6. ინტალიო ოვალური ფორმის, მონითალო-ყავისფერი სარდიონისა, ბრტყელი, ბრინჯაოს ბეჭედში; 7. ინტალიო ოვალური ფორმის მონითალო-ყავისფერი სარდიონისა, ბრტყელი, რკინის ბეჭედში, პირზე გამოსახულია ორი თავთავი; 8. ინტალიო ოვალური ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში (ძალზე დაზიანებული). პირზე გამოსახულია კალათა, რომელშიც პურის თავთავები და ყაყაჩოს ნაყოფებია ჩადგმული. კალათის მარჯვნივ და მარცხნივ სიუხვის ყანწები დგას.¹

¹ 1. ინვ. №1043. 1960 წ. სამნარხი №189, ინტალიოს სიგრძე დაახლოებით 11 – მმ, ბეჭდის დმ – 17 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 2. ინვ. №1028. 1960 წ. სამნარხი №172, ინტალიოს სიგრძე 12 – მმ, სიგანე – 10 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 3. ინვ. №1064. 1961 წ. სამნარხი №205, ინტალიოს დიამეტრი – 4მმ, ბეჭდის დმ – 17მმ, სიმაღლე – 19მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 4. ინვ. - 982. 1958 წ. სამნარხი №73, ინტალიოს სიგრძე – 8 მმ, სიგანე – 7 მმ ბეჭდის დმ – 17 მმ. ახ.წ. II საუკუნის მიწურული და III საუკუნის დასაწყისი; 5. ინვ. №1079. 1961 წ., სამნარხი №231, ინტალიოს სიგრძე – 9მმ, სიგანე – 8მმ.

ნიმანდობლივია, რომ ურბნისის სამაროვნისთვის უცხო არ არის სინკრეტული ღვთაებების, მათ შორის, დემეტრას კულტთან დაკავშირებული სინკრეტული ღვთაების დადასტურების ფაქტი. ხორბლის თავთავებთან სიუხვის ყანწების გამოსახვა, ჩვენი აზრით, სწორედ დემეტრას სიმბოლოს ტიხე-ფორტუნას სიმბოლოსთან სინკრეტიზაციის მაჩვენებელია.

ურბნისის სამაროვანზე დაფიქსირებული სინკრეტული ღვთაების ნიკა-ფორტუნა-ათენა გამოსახულებიანი გლიპტიკის ნიმუშები: 1. ოვალური ფორმის ინტალიო თეთრი გამჭვირვალე მინისა, რკინის ბეჭედში; 2. ინტალიო ოვალური ფორმის ორფენიანი ხელოვნური სარდიონ-ფრცხილისა, რკინის ბეჭედში.¹

ჟინვალის სამაროვანზე დემეტრას გამოსახულებიანი ერთი გემა ალმოჩენილი №355 ორმოსამარხში (12.VII.1980. სამარხში დაკრძალული იყო ორი (40-50 წლის) კიდურებმოკეცილი მამაკაცი მარჯვენა გვერდზე). ინტალიო ოვალური ფორმის ღია მწვანე ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში (09-XXV-80-368, რკალის დმ - 2,5 სმ; თვალის დმ - 1.3 სმ). №330 ორმოსამარხში კი დაფიქსირდა სინკრეტული ღვთაების დემეტრა-ტიქეს გამოსახულება სიუხვის ყანწითა და თავთავით. ინტალიო სარდიონის რკინის ბეჭედში (დაჟანგებული, დაშლილი) (25.VII.1980. სამარხში დაკრძალული იყო ორი – მამაკაცისა და დედაკაცის (40-45 წლის) (09-XXXV-80-123) [15.26.30].

ბეჭდის დმ. - 18მმ, სიმაღლე 20მმ. ახ.წ. II საუკუნე; 6. ინვ. №982. 1958 წ., სამარხი №73, ინტალიოს სიგრძე - 7 მმ, სიგანე - 5 მმ. ბეჭდის დმ. - 17 მმ, სიმაღლე 20 მმ. ახ. წ. II საუკუნის მინურული - საუკუნის დასაწყისი; 7. ინვ. №1089. 1962 წ. სამარხი №248, ინტალიოს სიგრძე - 7 მმ, სიგანე - 6 მმ. III საუკუნე; 8. ინვ. №1027. 1960 წ. სამარხი №172, ინტალიოს სიგრძე დაახლოებით 12 მმ, სიგანე 10 მმ. ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი [17.26.29,34-35,65,76].

¹ 1. ინვ. №1063. 1961 წ. სამარხი №205, ახ.წ. I-II ს-ის დასაწყისი; 2. ინვ. №1084. 1961 წ. სამარხი №234, ახ.წ. II საუკუნე [17.35,50].

ჟინვალის სამაროვნისთვის უცხო არ იყო დემეტრას კულტთან დაკავშირებული სიმბოლოებიანი ინტალიოებიც: 1. ინტალიო სარდიონისა ხორბლის ორი თავთავის გამოსახულებით, რკინის ბეჭედში. (ბეჭედი დაზიანებული, 09-XXV-81-245ა); 2. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (09-XXV-77-387), რომელზეც სქემატურად ამოკვეთილია თავთავები ლარნაკში (?) ან კალათაში; 3. ინტალიო სარდიონისა ხორბლის ორი თავთავის გამოსახულებით, ვერცხლის ბეჭედში (09-XXV-83-177).¹

ჟინვალის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული მასალის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ გვიან ანტიკური ხანის ჟინვალის ვახუშტი ბარათიონის აღწერისა არ იყოს, მართლაც „ძველი ქალაქია“. რომ იგი უკვე გვიან ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა საქალაქო დასახლებას, სადაც ინტენსიური აღებ-მიცემა - ვაჭრობა მიმდინარეობდა და რომლისთვისაც უცხო არ იყო ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობა, რაც აისახა კიდევ აქ გავრცელებულ ღვთაებებზე.

ფეხზე მდგომი კვართით შემოსილი დემეტრას გამოსახულებიანი სარდიონის ამობურცული ოვალური ინტალიო რკინის ბეჭდის ფრაგმენტში იქნა აღმოჩენილი 1966 წელს ერწოს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუშნაანთ გორის II (მაგრანეთი) სამაროვანზე №5 სამარხში (სურ.2).² ღვთაებას თავი

¹ 1. 12.VIII.1981. ორმოსამარხი №408. სამარხში დაკრძალული იყო 30-40 წლის დედაკაცი კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე; 2. 21.VI.1983. ორმოსამარხი №156. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული ერთმანეთის პირისპირ კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში. ერთი მარცხენა გვერდზე, ხოლო მეორე – მარჯვენაზე (დედა-შვილი. დედა-30-35 წლის, შვილი 10-12 წლის ბეჭდის დმ - 2სმ); 3. 29.VI.1983. ორმოსამარხი №521. ბეჭდის რგოლის დმ. 2,2 სმ [15.69,125,147].

² ინტალიო ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში. გადაცემულია 1976 წლის 12. 02. ინვ. №1230.

მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, ხოლო წინ განეულ მარცხენა ხელში თავთავებისა და ყაყაჩოს კონა უკავია.¹

ტახტზე მჯდომი დემეტრეა გამოსახული ოვალური ფორმის მონითალო ფერის სარდიონის ინტალიოზე, რომელიც ახალციხეში შემთხვევითი მონაპოვარია (სურ. 3) (შეძენილია 1945 წლის 27 დეკემბერს ვინმე ვ.კ. გვარამიძისაგან²). ღვთაებას წინ განვდილ მარჯვენა ხელში პურის თავთავები უჭირავს. მარცხენა ხელი არ ჩანს (ინტალიო დაზიანებულია).³

დემეტრას კულტთან დაკავშირებულ სიმბოლოს - პურის ორ თავთავს ვხვდებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ფ. ბაიერნის მიერ სამთავროს ტერიტორიაზე 1870-1877 წლებში მოპოვებულ გლიპტიკურ მასალაში, რომელიც თავის დროზე შეისწავლეს და სისტემაში მოიყვანეს მ. მაქსიმოვამ და მ. ლორთქიფანიძემ (მასალის ნაწილი მოსკოვის ისტორიული მუზეუმისა და სახელმწიფო ერმიტაჟის კუთვნილებას შეადგენს). ოვალური ფორმის მუქი ფერის სარდიონის ინტალიო, ბრტყელი, რკინის ბეჭედში.⁴

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი) ხდება ადრე ანტიკური ხანიდან დიდ ბერძნული კოლონიზაციის შედეგად. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში ღვთაების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში არტეფაქტების საფუძველზე ნაკლებად ფიქსირ-

¹ ინტალიოს სიგრძე - 15 სმ, სიგანე - 11 მმ, სიმაღლე - 4,5 სმ [9. 46].

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდის დავთარი.

³ ინვ. №178, ინტალიოს სიგრძე - 13 სმ, სიგანე - 11 მმ, სიმაღლე - 3 მმ. ახ.წ.II-III სს. [4.56].

⁴ ინვ. №311, ინტალიოს სიგრძე - 6 მმ; სიგანე - 4 მმ, ბეჭდის დიამეტრი - 13 მმ, სიმაღლე - 20 მმ, ბუდის სიგანე - 11 მმ. სამთავრო, ძველი ნომერი 2045. სამთავროს, ძველი ნომერი 2045. ახ. წ. III საუკუნე [5.99-100, სურ. №8].

დება. დემეტრას ძირითადად ბერძენი კოლონიზატორები სცემენ თავყვანს. ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული დემეტრას კულტი ცნობილია როგორც დასავლეთ (ცენტრალური კოლხეთი), ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც ანტიკურ სამყაროსთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს. განსხვავებული სიტუაციაა გვიან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც დემეტრას გამოსახულებები გვხვდება ძირითადად გლიპტიკურ ძეგლებზე. ქრილა ქვების დანიშნულებიდან გამომდინარე, ყოველივე, ჩვენი აზრით, რომის იმპერიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. გვიან ანტიკურ ხანაში კოლხეთის შავიზღვისპირეთი რომის იმპერიის პროვინცია პონტოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - იბერია (ქართლი) რომის მეგობარი და მოკავშირე (კლიენტი) ქვეყანა, სადაც გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიდი სახელმწიფო: ერთი მხრივ, რომის იმპერია, ხოლო, მეორე მხრივ, პართია, ახ. წ. 326 წლიდან კი – სასანიანთა ირანი. საკუთარი გავლენის მოპოვების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს რელიგიური ფაქტორი, რაც კარგად ესმით ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მმართველებს. შესაბამისად, იბერიის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს როგორც ანტიკური წარმართული კულტები, ისე აღმოსავლური ღვთაებები და მაზდიანობასთან დაკავშირებული რელიგიური სიმბოლოები (განსაკუთრებით სასანიანთა ირანის პერიოდიდან მოყოლებული).

ლიტერატურა – REFERENCES

1. ბოხოჩაძე ალ., სარკინის ნაქალაქარი, ძეგლის მეგობარი 33, თბ., 1973.
2. კახიძე ა., ვიკერსი მ., კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ფიჭვნარი, I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004.
3. კახიძე ა., ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ნეკროპოლი), ფიჭვნარი, II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007.
4. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ., 1961.
5. ლორთქიფანიძე მ., 1870-1877 წლებში სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი, იბერია-კოლხეთი, 2014, №10, გვ. 96-110.
6. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1989.
7. მშვილდაძე მ., რომაული ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 2012.
8. რამიშვილი ქ., ტერაკოტები ვანიდან, ვანი, II, თბ., 1976, გვ. 191-204.
9. რამიშვილი რ., ერნოს ველი გვიანანტიკური ხანაში, თბ., 1979.
10. სანიკიძე თ., მცირე პლასტიკის ერთი ნიმუში უფლისციხიდან, ჟურნ. „ხელოვნება“ 4-6, თბ., 1994.
11. სანიკიძე თ., ტერაკოტა უფლისციხიდან, საქ. ხელოვნების მუზეუმის IX სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ. 1987.
12. ყიფიანი გ., უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი, არქეოლოგიური ჟურნალი I, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2000.
13. ძნელაძე ნ., ტერაკოტები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, 2000, გვ. 25-32.

14. ძნელაძე ნ., დემეტრას კულტთან დაკავშირებული ფიგურები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 2006, №17-18, გვ. 151-154.
15. ჩიხლაძე ვ., ჟინვალის სამაროვანი, თბ., 2015.
16. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1964.
17. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.
18. Lewis N., La Mémoire des Sables. La vie en Égypte sous la domination romaine. Préface et traduction de Pierre Chuvin. Paris. 1988.
19. Tsetskhladze G. R., Vashakidze N. V., Terracotta Figures of Animals from Colchis. Dialogues d'Histoire Ancienne. 20.1. 1994, p.109-125. Fig.4. https://www.persee.fr/doc/dha_0755-7256_1994_num_20_1_2148
20. Зограф А. Н., Античные монеты. МИА. №16. Москва-Ленинград. 1951.
21. Кибальчич Т. В., Южнорусские геммы. Берлин. 1910.
22. Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград. 1956.
23. Тахо-Годи А., Греческая мифология, Москва, 1989.

Marika Mshvildadze

Cult of Demeter in Iberia – Colchis

Summary

Demeter - Goddess of the harvest, agriculture, fertility was one of the most worshipped Goddesses in the world of antiquity. From the instance of the appearance of the Greeks in other countries Demeter used to be identified with the local Goddesses. The given work involves the studies and analyses of the artefacts connected with Demeter's cult

discovered on the territory of Georgia. The results of the study prove that the cult of Demeter was introduced on the territory of Colchis from the period of early antiquity (4 terracotta statues were discovered at the Greek necropolis of Kobuleti-Pichvnari. While in burial sites #158,159 of Cikhisdziri tombs terracotta figurines of pigs, Demeter's sacred animal were found, being a direct result of the big Greek colonization, no artefacts, proving the spread of Demeter cult in the local Colchi population have been encountered.

The sculpted teracota head of the Goddess (dated by III-II cc. C.C.) on the Vani territory of Hellenistic period has been encountered. By the end of the Hellenistic period the cult of Demeter becomes familiar for the population of the Eastern Georgia as well (seated teracota figure discovered in the treasure of Upliscikhe site of former city (?), fragment of a spirelike woman with the covered head on the central terrace of Sarkine former city site.

From the period of later Antiquity Demeter cult is widely spread on the territories of both East and West Georgia, which is a result of the existing political situation. It is noteworthy that the images of the goddess are mostly encountered on the glyptic monuments. On the territory of Westren Georgia intaglios with symbols connected with Demeter and her cult, are mostly found at the Bitchvinta necropolis. While in East Georgia they are present at the necropolises of Urbnisi, Zhinvali, Kusganaant Mount II (Magraneti) Samtavro. They are also encountered in the glyptic materials obtained by F. Baiern on the Samtavro territory, preserved in Georgia's State Museum.



სურ. 1. ტერაკოტა უფლისციხიდან



სურ. 2.
დემეტრას გამოსახულებიანი
ინტალიო ქუშანანთ გორა II
(მაგრანეთი)



სურ. 2.
დემეტრას გამოსახულებიანი
ინტალიო ახალციხე

ნანა გელაშვილი

იაპონური კულტურა უძველეს ხანაში

უძველესი პერიოდის იაპონიის ისტორიისა და კულტურის შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ ეპოქის შესახებ არსებული წყაროების სიმწირით. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ახ. წ. მე-5 საუკუნემდე იაპონელებს საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ. ამიტომაც, მცირე რაოდენობით შემორჩენილი წყაროები ჩინურია და თანაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს განეკუთვნება. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირი მიწისძვრები და სხვა სტიქიური კატაკლიზმები იაპონიის არქიპელაგზე ხელს უშლიდა ადრეული ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების უხვი რაოდენობით შემონახვას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იაპონიის შორეული წარსულის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არქეოლოგიურ მასალას ენიჭება.

იაპონია შედარებით გვიან გამოჩნდა მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე - დაახლოებით ახ. წ. მე-3 საუკუნეში. აღნიშნული დროისათვის, როგორც ცნობილია, ბევრი ქვეყანა უკვე ძველიდან შუა საუკუნეების ეპოქაში გარდამავალ საფეხურზე იმყოფებოდა. იაპონია კი, თავისი სპეციფიკური გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი იყო და შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება და არტეფაქტების შესწავლა იაპონიაში ტოკუგავას პერიოდში (1603-1867) დაიწყო. ამ სფეროში მოღვაწე მკვლევართაგან აღსანიშნავია იანო კაძუსადა (1794-1879), გამოკუმპეი (1768-1813) და საიტო სადანორი (1774-1830). პირველი ევროპელი, რომელმაც დასავლურ სამყაროს იაპონური არტეფაქტები გააცნო თავისი ნაშრომით „ნიპპონ“ (ანუ

„იაპონია“), იყო გერმანელი ექიმი ფილიპ ფრანც ფონ ზიბოლ-დი (1796-1866). ის იაპონიაში იმყოფებოდა 1823-1828 წლებში, როდესაც კუნძულ დეშიმაზე ჰოლანდიურ მისიაში ექიმად მსახურობდა. პროფესიონალურ დონეზე არქეოლოგიური კვლევები იაპონიაში უკვე მეიჯის რესტავრაციის (1867-1868) შემდგომ დაიწყო, რაც ამერიკელი ბიოლოგის ე. მორსის (1835-1925) და ინგლისელი ვ. გოულენდის (1842-1922) სახელებს უკავშირდება, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებით მსოფლიო გააცნეს. ე. მორსი აღიარებულია იაპონური არქეოლოგიის პიონერად, რომელიც 1877 წლიდან არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ომორიში (ტოკიოს მახლობლად). იქ მან აღმოაჩინა უძველესი ხანის ნიჟარების გროვა, რომლის ანალოგი შემდეგ დიდი რაოდენობით იქნა ნაპოვნი იაპონიის სხვადასხვა მხარეში. ვ. გოულენდი კი ყორღანების გათხრებს აწარმოებდა ოსაკა-ნარას რაიონში 1872-1888 წლებში. სწორედ მას მიეწერება ყორღანების პერიოდის (მე-3-7 ს.ს.) რეალურ სამეცნიერო დონეზე შესწავლის დაწყება [11. 23-24; 13. 28-33]. 1896 წელს იაპონიაში შეიქმნა ეროვნული არქეოლოგიური საზოგადოება, რომელიც დღესდღეობით მეტად ნაყოფიერად აგრძელებს იაპონიის შორეული წარსულის მატერიალური კულტურის კვლევა-ძიებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, იაპონიის არქიპელაგზე პალეოლითის ანუ ძველი ქვის ხანაში (40000-13000 წინ) უკვე არსებობდა მოსახლეობა, რომლის ანთროპოლოგიური შემადგენლობა დაზუსტებით დადგენილი არ არის. როგორც ირკვევა, მათ საქმიანობას ძირითადად ნადირობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა. არქიპელაგის უძველესი მოსახლეობა აინების (იგივე - აინუ) სახელწოდებით მოიხსენიება, რომლებსაც მოგვიანებით აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან გადმოსული მიგრანტები შეერივნენ. ასიმილაციის პროცესში ჩინეთიდან

და კორეის ნახევარკუნძულიდან ჩასულებიც ჩაერთნენ, რის საფუძველზეც საბოლოო ჯამში იაპონური ეთნოსის ფორმირება მოხდა [3.6-7; 4.10-12]. საყურადღებოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, აინები კავკასიური რასის წარმომადგენლები იყვნენ [8.45-46; 15.10]. მართლაც აინების ტრადიციები, გარეგნული იერ-სახე განსხვავდებოდა იაპონიის დანარჩენი მოსახლეობისგან (ამჟამად ისინი უმთავრესად კონცენტრირებულები არიან კუნძულ ჰოკაიდოზე). ამ კონტექსტში, ვფიქრობ, გასაზიარებელია ცნობილ იაპონისტ მკვლევართა - მ. გრაჩოვის, ა. მეშჩერიაკოვის, ა. ჟუკოვის და სხვათა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, პალეოლითის კულტურის მატარებელი მოსახლეობა იაპონიის ტერიტორიაზე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამედროვე იაპონელთა წინაპრად. კერძოდ, პალეოლითის არტეფაქტები უფრო მეტად ზოგადად კაცობრიობის კულტურის ერთობას განასახიერებენ, ვიდრე მის რომელიმე კონკრეტულ განშტოებას ან სახესხვაობას. ეს უკანასკნელი გარემოება უკვე მომდევნო ხანის - ნეოლითისთვის და ენეოლითისთვისაა დამახასიათებელი [2.16; 11.29]. მანამდე კი საქმე გვაქვს არა რომელიმე ეთნოსის მონაპოვართან, არამედ გარკვეული ტერიტორიის და იქ მოსახლე ხალხის ისტორიასთან. ზოგადად, პალეოლითის ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები მეტად მწირია. მათ შესახებ საუბარი მხოლოდ ქვის იარაღის ტიპოლოგიის მიხედვითაა შესაძლებელი. პალეოლითის ადამიანის პირველი კვალი აღმოჩენილ იქნა 1949 წელს ივაძიუკოში (გუმას პრეფექტურა). მომდევნო ხანებში 5000 პალეოლითური სადგომი იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. აღნიშნული ეპოქის ქვედა ზღვარი კერამიკის პირველი ნიმუშების გამოჩენის პერიოდით სრულდება, რის შემდეგაც იაპონიის ისტორიის შემდგომი ხანა - ე. წ. ჯიომონის პერიოდი იწყება.

ჯიომონი ნეოლითის ანუ ახალი ქვის ხანას შეესატყვისება, რომელიც მოიცავს ძვ. წ. 13000 - მე-3 საუკუნეების დროის მონაკვეთს. ტერმინი „ჯიომონ“ იაპონურად ნიშნავს - დაგრეხილ თოკს, თოკის გრეხილს. სახელწოდება ამ ეპოქამ მიიღო იმუამად გავრცელებულ თიხის ნაკეთობებზე არსებული ორნამენტების გამო, რომელიც დაგრეხილ თოკს წააგავდა. აღნიშნული ტერმინი სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ე. მორსმა, რომელიც იაპონური არქეოლოგიის პიონერადაა აღიარებული [11. 30]. ჯიომონის პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები იაპონიის არქიპელაგის მთელ ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი - შოკაიდოდან რიუკუს კუნძულებამდე.

რთული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, იაპონიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა უძველეს ხანაშივე შეძლო მაქსიმალურად დაეხვეწა ქვისგან და შემდეგ უკვე თიხისგან დამზადებულ ნაკეთობათა ხელოვნება, რაზეც ნათლად მეტყველებს ჯიომონის პერიოდის კერამიკის მრავალფეროვნება. ადრეული ხანის ჯიომონის კერამიკას უმთავრესად უტილიტარული დანიშნულება ჰქონდა. კერძოდ, ის გამოიყენებოდა საკვების მოსახარშად, წყლისა და სხვა პროდუქტების მარაგის შესანახად. მოგვიანებით კერამიკამ უფრო დახვეწილი სახე მიიღო, მისი ზედაპირი პრიალდებოდა, ზოგ შემთხვევებში წითლად იღებებოდა, ორნამენტებიც გაცილებით რთული მოხაზულობის და მრავალფეროვანი გახდა, ასევე დაემატა ამობურცული დეტალები და დეკორატიული ხვრელები [1.11; 14.24]. ჯიომონის კულტურამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი საკულტო დანიშნულების შესანიშნავი ჭურჭლით, რომელსაც სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები ამშვენებდა. მთლიანობაში, ჯიომონის კერამიკის მხატვრული გაფორმება და ქვის დამუშავების შესაბამისი დონე იმის ნათელი დასტურია, რომ აღნიშნულ პერიოდში იაპონიის არქიპელაგზე უკვე ჩამოყალიბებული იყო მრავალფეროვან ნაკეთობათა მხატვრული და-

მუშავეების საკმაოდ მაღალი დონის და დახვეწილი ტექნიკა. რაც შეეხება წარმოების საშუალებებს, იაპონიის არქიპელაგზე ის მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. ჯიომონის ხანის მოსახლეობა ძირითადად ნადირობას (ირემზე, დათვზე, კურდღელზე, ტახზე, სხვადასხვა ფრინველზე) და თევზჭერას მისდევდა, სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა იმხანად ჯერ განვითარებული არ იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვაო რენვა, რომლის დაწყების ეკოლოგიურ წანამდღვარს ოკეანის დონის აწევა (დაახლოებით 2-3 მეტრით) და კუნძულების შექმნა წარმოადგენდა. სწორედ ამის შედეგად გამოიკვეთა სანაპირო ზოლი და ხელსაყრელი პირობებიც რენვისთვის, რომლის ერთ-ერთ მთავარ სახეობას მოლუსკების შეგროვება წარმოადგენდა. იმავდროულად გაჩნდა ე. წ. „ნიჟარების გროვები“, რომელთა ფართობი რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრს აღწევდა. ამ ნიჟარების შესწავლის საფუძველზე დადგინილია, რომ მათი შეგროვება გაზაფხულ-ზაფხულში ხდებოდა, რადგან ასეთ პერიოდში მათი მოპოვება ადვილი იყო, სხვა პროდუქტებთან შედარებით. შემოდგომაზე იწყებოდა მცენარეული საკვების (წაბლი, თხილი, რკო, წინიბურა, მოგვიანებით - ბრინჯი) შეგროვება და გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა. ამ პროდუქტებს ზამთარში სპეციალურ ორმოს საწყობებში ინახავდნენ [2. 16; 11. 29].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯიომონის ხანა საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონით გამოირჩეოდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ადამიანი ჯერ კიდევ ძლიერად იყო დამოკიდებული გარემომცველ ბუნებაზე. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების სულიერ განვითარებას ამუხრუჭებდა. ამ კონტექსტში ხაზგასასმელია მაგიის უდიდესი როლი არქიპელაგის პირველყოფილი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ მაგიას, ასევე ფეტიშიზმსა და ანიმიზმს უკავშირდება იაპონელთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ფორმირება,

რომელთა ტრანსფორმაციის პროცესში ჩამოყალიბდა იაპონური ეროვნული სარწმუნოება შინტოიზმი (შინტო იაპონურად ნიშნავს - ღმერთების გზას). ერთი მხრივ, ხელოვნების მაღალმხატვრულმა დონემ, მეორე მხრივ კი, სუსტად განვითარებული საზოგადოებრივმა ცნობიერებამ, იაპონური კულტურის მკვეთრად გამოხატული არათანაბარი განვითარება განაპირობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ჯიომონის პერიოდის საზღვაო რენვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო სანაპირო ზოლში დასახლებების გაჩენა, რომლებიც მანამდე არ არსებობდა. მეთევზეთა დასახლებების გამრავლება იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარეობდა მთის მოსახლეობის ბარში მიგრირება და მათი კონცენტრირება სანაპირო ზოლის გასწვრივ. იმავდროულად, დაიწყო არქიპელაგის სანაპირო ზოლის და შიდა რეგიონების მოსახლეობის ერთმანეთისგან განსხვავებული სუბკულტურის ფორმირება [11. 37].

ჯიომონის პერიოდის არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ იმ ეპოქის ადამიანები მართკუთხედის ან ელიფსის ფორმის ამოთხრილ ორმოებში ცხოვრობდნენ. ამ ტიპის საცხოვრებელს ტატეანა (იაპონურად ნიშნავს - ორმოს) ეწოდება. მართალია, სხვადასხვა დასახლებათა სადგომებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა, მაგრამ უმეტეს წილად ეს იყო 4-5 მეტრის დიამეტრიანი ერთი მეტრის ან ცოტა მეტ სიღრმეზე ამოთხრილი ნაგებობა, ქვის ან მიწის იატაკით. საცხოვრებლის ცენტრში განთავსებული იყო ქვის ან კერამიკის კერია, გადახურული იყო მერქნით და ფოთლებით, რომელიც ხის კარკასს ებჯინებოდა [11. 37]. აღსანიშნავია, რომ ტატეანას ტიპის საცხოვრებლები იაპონიაში მომდევნო ხანებშიც შემორჩა. კერძოდ, პერიფერიულ სოფლებში ხანგრძლივი დროის მანძილზე უბრალო ხალხი კვლავ ორმოებში ცხოვრობდა. ხსენებული მიწური საცხოვრებლების გარდა, მცირე რაოდენობით იყო ისეთი ნაგებობებიც, რომლებსაც მიწის ზედაპირის დონე-

ზე ჰქონდათ იატაკი, რაც ქონებრივი დიფერენციაციის ფონზე, უფრო შეძლებული ფენის პრეროგატივას წარმოადგენდა [14. 27]. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, ჯიომონის ადრეულ ხანაში ის დაახლოებით 20 ათასი იყო, შუა ჯიომონის პერიოდში - 200 ათასი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. არქეოლოგიური მასალა მეტყველებს იმის თაობაზე, რომ ჯიომონის პერიოდის მოსახლეობა თანდათან ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდა, რაც უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა მომდევნო - იაიოს ეპოქაში მიწათმოქმედ საზოგადოებაზე სწრაფად გადასვლისათვის.

ისევ და ისევ არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ გვიან ჯიომონის ხანაში ადამიანები უკვე იყენებდნენ სამკაულებს - ნიჟარის, ქვის, თიხის საყურეებს, მძივებს და სამაჯურებს. სავარაუდოდ, ისინი გამოიყენებოდა არა მხოლოდ როგორც მოსართავი საშუალება, არამედ, იმავედროულად, მათ გააჩნდათ მაგიური, სოციალური, ასაკობრივი, სქესობრივი კუთვნილების მაჩვენებელი ფუნქცია. ნივთების მეორე ჯგუფი, რომელსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდა, წარმოდგენილია ქვისგან ან თიხისგან დამზადებული, მცირე ზომის (3-დან 30 სმ-მდე) ქალის ფიგურებით - დოგუთი (დოგუ იაპონურად ნიშნავს - თიხის გამოსახულებას). სხვადასხვა ორნამენტებით გაფორმებული ეს არაჩვეულებრივი მინიატურული ფიგურები განასახიერებდნენ ნაყოფიერების ღვთაებას, ოჯახის დიასახლისს, მონადირეთა, ფეხმძიმეთა და ბავშვების მფარველს, ასევე - ცხოველთა და ფრინველთა მფარველ ქალღმერთს [9. 129-131]. საყურადღებოა, რომ დოგუს უმეტესი ნაწილი ნაპოვნია დამტვრეული სახით. როგორც ჩანს, ეს შემთხვევითი არაა, რამდენადაც ფიგურები ძირითადად განსაზღვრული რიტუალების დროს გამოიყენებოდა. კერძოდ, ეს უკავშირდებოდა ავადმყოფის ან დაჭრილის განკურნებას ანუ ხდებოდა დოგუს იმ ნაწილის მომტვრევა, რომელიც ადამიანის სხეულის ავად-

მყოფ ნაწილს შეესაბამებოდა [14. 26]. დოგუ იმთავითვე მაგიურ-რელიგიური ფუნქციის მატარებელი იყო, რაც თითქოსდა ავი თვალისგან იცავდა ადამიანებს. როგორც ჩანს, ამით აიხსნება მისი სიმრავლე და პოპულარობა იაპონიის მთელ არქიპელაგზე. იმავდროულად ეს მიუთითებს ქალის მაღალ სოციალურ სტატუსზე იმჟამინდელ იაპონურ საზოგადოებაში. კერძოდ, ის აღჭურვილი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო ფართო უფლებამოსილებით [12. 10; 14. 27].

რელიგიური რიტუალების ევოლუცია იაპონიის არქიპელაგზე ყველაზე ნათლად დასაკრძალავი აქსესუარების ნიმუშზე ვლინდება. სოციალური დიფერენციაციის კვალდაკვალ ფიქსირდება როგორც მდიდრული სამარხები ბრინჯაოს ხმლებით, სამკაულებით და სარკეებით, ისე სამარხები ყოველგვარი აქსესუარების გარეშე. როგორც წესი, მიცვალებულს ახვევდნენ ცხოველის ტყავში ან ნაჭერში და ისე ათავსებდნენ კერამიკის ჭურჭელში, რომელშიც სხვადასხვა ნივთების ჩატანება ხდებოდა. დასაკრძალავ ნივთებში დომინირებდა სავარცხელი, საყურეები, სარკე, სამაჯურები და სხვ. [12. 33-34]. ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში იაპონიის არქიპელაგზე პირველყოფილი თემური წყობილებიდან ძველ პერიოდში გადასვლის პროცესი დაიწყო, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა - ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან ახ. წ. მე-3 საუკუნის შუა ხანებამდე. იაპონიის ისტორიის ეს ხანა იაიოის სახელწოდებითაც ცნობილი და რკინა-ბრინჯაოს ხანას შეესატყვისება.

იაიოის პერიოდი. მისი სახელწოდება სპეციფიკური სახეობის კერამიკის აღმოჩენის ადგილიდან მომდინარეობს. კერძოდ, 1884 წელს ტოკიოს ჰონგო იაიოის რაიონში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალი ტიპის კერამიკული ნაკეთობები, რომლებიც მიკუთვნებულ იქნა ჯიომონის შემდგომ დაწყებულ ეპოქასთან [6. 12-13]. იაიოის პერიოდის არტეფაქტები აღმოჩენილია იაპონიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთ-

რებით აღსანიშნავია თანამედროვე ნარა-ოსაკა-კიოტოს რაიონები, სადაც იაიოის კულტურამ გამორჩეულად მაღალ განვითარებას მიაღწია. სამეცნიერო წრეებში ცალსახად აღიარებულია, რომ აღნიშნული კულტურის მატარებელი კორეის ნახევარკუნძულიდან მიგრირებულები იყვნენ [7. 82-86; 11. 41].

აღსანიშნავია, რომ იაიოის პერიოდში მარტივდება სარიტუალო ატრიბუტიკა. მაგალითად, სრულიად ქრება ზემოთ ხსენებული დოგუ, მის ნაცვლად ჩნდება საკრალური დატვირთვის მქონე ბრინჯაოს ხმლები და ზარები. არქეოლოგიური მასალის მონაცემებით დასტურდება, რომ ყოველდღიურ ყოფაში ისინი მინაში ჩამარხული სახით ინახებოდა და მხოლოდ რიტუალური ცერემონიების დროს ხდებოდა მათი გამოჩენა. ეს ტრადიცია შემდგომში მემკვიდრეობით გადაეცა იაპონელთა ეროვნულ სარწმუნოებას - შინტოიზმს (იაპონურად შინტო ნიშნავს - ღმერთების გზას). კერძოდ, შინტოისტური ტაძრის კონკრეტულ სინმინდეს ანუ შინტაის მომლოცველებს მხოლოდ რიტუალის შესრულების დროს უჩვენებდნენ. სხვა შემთხვევებში ის ტაძრის დახურულ კარს მიღმა ინახებოდა და ასეა დღესაც, ზოგ ტაძარში კი საერთოდ არ ხდება მისი გამოჩენა [2. 19; 11. 52]. ბრინჯაოს ხმლები და ზარები უზრუნველყოფდნენ თემის ან ტომის ერთობას და ადამიანების დაცვას ბნელი ძალების ზემოქმედებისგან. გვიანი იაიოის პერიოდიდან მოყოლებული, დასაკრძალავი აქსესუარის გარდა, სარკეები გამოიყენებოდა ცოცხალთა კეთილდღეობისადმი მიძღვნილი რიტუალების შესრულების დროსაც. სარკე, უკვე როგორც შინტოისტური ტაძრის სინმინდე, თანამედროვე პერიოდშიც ინარჩუნებს საკრალურ მნიშვნელობას. ამის დასტურად საკმარისია ითქვას, რომ ის საიმპერატორო ოჯახის ერთ-ერთ შემადგენელ რეგალიას წარმოადგენს.

იაიოის ნაკეთობები ძირეულად განსხვავდებოდა ჯიომონის კერამიკისგან. მათ უფრო მეტად უნიფიცირებული დატ-

ვირთვა ჰქონდათ, მათთვის დამახასიათებელი იყო სადა და მარტივი ფორმები, სწორხაზოვანი მოხატულობა და პლასტიკურობა. ფერთა გამა უმეტეს ნილად მონითალო ფერის იყო. დამზადების ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ჯიომონის კერამიკა გაცილებით პრიმიტიული იყო, თუმცა მხატვრულად ის უფრო მეტად გაფორმებული და მრავალფეროვანი იყო, ვიდრე იაიოის კერამიკა [2. 19; 8. 5-6].

იაიოის პერიოდის მთავარ სიახლეს წარმოადგენდა რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობათა გამოყენების დაწყება. მათი გავრცელება ყოფა-ცხოვრებაში პირდაპირ კავშირში იყო კონტინენტიდან გადმოსახლებულებთან, რომლებიც შესანიშნავად ფლობდნენ მეტალის დამუშავების ტექნოლოგიას. თავდაპირველად იაპონიაში ჩინეთიდან და კორეის ნახევარკუნძულიდან შეტანილი მეტალის ნაკეთობები და სხვადასხვა სახის იარაღი (როგორც სამუშაო, ისე საბრძოლო) გამოიყენებოდა. მოგვიანებით იაპონელებმა თავად წამოიწყეს საკუთარი წარმოება მატერიკიდან შეტანილი ნედლეულით. ადგილობრივი მეტალურგიის აღმოცენებას ადასტურებს 60-ზე მეტი ადგილიდან (უმთავრესად კუნძულ კიუსუს ჩრდილოეთ ნაწილში) მოპოვებული არქეოლოგიური მასალა [13. 69]. როგორც წესი, რკინის ნივთები სამეურნეო და საომარ სფეროებში გამოიყენებოდა, ბრინჯაო კი - ძალაუფლების სიმბოლოებისა და საკულტო ნივთების დასამზადებლად (კერძოდ, ზარების, სარკეების, საკულტო ხმლების და სხვ.). ეს განპირობებული იყო კონტინენტზე არსებული ტრადიციის ზეგავლენით, რომლის მიხედვითაც ბრინჯაოსგან დამზადებული ნივთები უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა და, იმადროულად, საკულტო დანიშნულებისთვის იყო განკუთვნილი [5. 19-20]. იმხანად მაღალ დონეზე იყო განვითარებული ასევე ხის საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება. აღმოჩენილი მრავალფეროვანი ნაკეთობებიდან აღსანიშნავია: ხის მასალისგან დამზადებული ნავეები, ძაფის სარ-

თავი დაზგები, კოვზები, ჯამები, როდინები, სასოფლო-სამე-
ურნეო ინვენტარი და სხვ. [10. 35-37]. საერთო ჯამში, ძვ. წ.
მე-3-2 საუკუნეთა მიჯნაზე კონტინენტიდან იაპონიის არქიპე-
ლაგზე მეტალის კულტურისა და ქვის დამუშავების ახლებური
ტექნიკის შეღწევამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია საზოგა-
დობრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

კონტინენტური ზეგავლენა (იგულისხმება ჩინური ზეგავ-
ლენა კორეის მეშვეობით) აისახა ადრეული ხანის იაპონიის
როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურაზე, პოლიტიკა-
ზე, ეკონომიკაზე. სწორედ ჩინეთიდან მიგრირებულთა წყალო-
ბით შეაღწია იაპონიაში მინათმოქმედებამ, ბრინჯის, ჩაის და
სხვა კულტურებმა, ხელოსნობის და ხელოვნების მთელმა რიგ-
მა დარგებმა. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, მე-4-5 საუკუნეებ-
ში ჩინეთიდან იაპონიაში იეროგლიფური დამწერლობა გავ-
რცელდა, რამაც ბიძგი მისცა საისტორიო მწერლობის, ლიტე-
რატურის, სხვადასხვა სამეცნიერო დარგების და სწავლა-გა-
ნათლების სისტემის განვითარებას [2. 52; 8. 6]. ამას მოჰყვა,
კორეის გზით, ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების -
ბუდიზმის, კონფუციონიზმის და ტაოიზმის შეღწევა იაპონია-
ში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბუდიზმის რო-
ლი იაპონურ რეალობაში. გარდა ამისა, ჩინეთის ნიმუშით მიმ-
დინარეობადა იაპონური სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტე-
ბის ფორმირება, საკანონმდებლო აქტების შექმნა, ქალაქების
დაგეგმარება-აღმშენებლობა და სხვ. ამ კონტექსტში ხაზგა-
სასმელია, რომ ჩინური ცივილიზაციიდან გადმოღებული ელე-
მენტები იაპონიაში გარკვეული დოზით ტრანსფორმაციას გა-
ნიცდიდა, ახალ თვისებებს იძენდა და ადგილობრივ ტრადიცი-
ებს ჰარმონიულად ერწყმოდა ანუ ქვეყანაში ფეხს იკიდებდა
ის ინსტიტუტები და იდეები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებო-
და საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ადგილობრივ ნორ-
მებს [11. 10; 15. 114]. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ კონ-

ტინენტური ცივილიზაციის ბევრი მონაპოვარი გადაიღო, ის მუდამ ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ეროვნულობას.

გვიანი იაიოის პერიოდში (ახ. წ. მე-2-3 საუკუნეები) იაპონიის არქიპელაგზე სხვადასხვა ტომობრივ გაერთიანებებს შორის გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა ლიდერობის მოსაპოვებლად. საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა კინაის რაიონში (ნარას დაბლობზე) - იამატოში ფორმირებულ ძლიერ ტომობრივ კავშირს, რომლის ძალაუფლება არქიპელაგის აღმოსავლეთ პროვინციებიდან კუნძულ კიუშუმდე ვრცელდებოდა [14, 32]. საზოგადოების ევოლუციური განვითარების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენდა მე-3-4 საუკუნეებში ტომობრივ გაერთიანებათა სათავეში იამატოს მოქცევა. ამ ფონზე კი მნიშვნელოვანი ნამძღვრები ადრეკლასობრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის ანუ იაპონიის არქიპელაგზე, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის საფუძველზე, კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობდა. ამას ადასტურებს იაპონიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მონაცემები [7. 110-113; 12. 123-124]. იაპონიის არქიპელაგზე მიმდინარე აღნიშნული მოვლენები ქრონოლოგიურად იაიოის მოდევნო ისტორიულ პერიოდს - ყორღანების (იაპონურად - კოფუნ) ხანას შეესატყვისება. ეს უზარმაზარი ნაგებობები (საშუალოდ 200 მ დიამეტრის) იგებოდა, როგორც დიდგვაროვანთა და იმპერატორთა აკლდამები. რამდენადაც ყორღანების ხანა (მე-3-7 საუკუნეები) უკვე სცილდება უძველესი იაპონიის ქრონოლოგიურ ჩარჩოს, ის განხილვის ცალკე თემას წარმოადგენს.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბ., 2001.
2. გელაშვილი ნ., იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბ., 2012.
3. პრონიკოვი ვ., ლადანოვი ი., იაპონელები, თბ., 1991.

4. An Introduction of Japanese Civilization, New York-London, 1979.
5. Kenneth G. Henshall, A History of Japan from Stone Age to Superpower, USA-New York, 1999.
6. Pictoral Encyclopedia of Japanese Culture, editorial consultant Nakayama Kaneyoshi, Tokyo, 1990.
7. The Cambridge History of Japan: Ancient Japan, vol. I, ed. by Delmer M. Brown, Cambridge University Press, 1997.
8. Varley H. P., Japanese Culture, Honolulu- Hawaii Press, 1984.
9. Васильевский Р. С., По следам древних культур Хоккайдо, Новосибирск, 1981.
10. Елисеефф В., Елисеефф Д., Японская цивилизация, Москва, 2008.
11. История Японии, 1, отв. редактор Жуков А. Е., Москва, 1999.
12. Кузнецов Ю. Д., Навлицкая Г. Б., Сырицын И. М., История Японии, Москва, 1988.
13. Мещеряков А. Н., Грачёв М. В., История древней Японии, Санкт-Петербург, 2002.
14. Сабуро Изэнага, История Японской культуры, Москва, 1972.
15. Сэнсом Дж. Б., Япония, краткая история культуры, Санкт-Петербург, 1999.

Nana Gelashvili

Japanese Culture in Ancient Times

Summary

The study of Japanese ancient history and culture is fraught with difficulties due to the scarcity of written sources about that era. The main reason for this is that until the 5th century A.D. the Japanese did not have their own script. It should be noted that frequent earthquakes and other natural disasters in the Japanese archipelago prevented the preservation of an abundant amount of early cultural material monuments.

In view of the above, the importance of archaeological material is extremely great. Material cultural monuments of the Paleolithic or Old Stone Age (40000-13000 BC) of the Japanese archipelago are very scarce. We can talk about them only according to the typology of stone tools. The later period of Japanese history is Jomon period (13000 BC-3rd B.C.). The culture of this period was especially famous for its wonderful cult utensils decorated with images of various animals. Archaeological evidence suggests that during this period people already used jewelry – sinks, stones, clay bracelets and earrings. The next period in Japanese history is known as Yayoi and dates back to the Iron Bronze Age (3rd B.C-3rd A.D centuries). Yayoi wares, in terms of manufacturing technology, were fundamentally different from the archeological material of the previous period. They were characterized by plain and simple shapes, linear painting and plasticity. The presented paper discusses and reconciles the material culture monuments and artefacts of the ancient period of Japan. In addition, handicrafts from different stages of the study period are compared with each other.

სოფიო გუგუნავა

ისე ჯინგუ - იაპონელი ხალხის ტრადიციების მცველი

იაპონიაში გავრცელებულ რელიგიებს შორის ისტორიულად უმთავრესი ადგილი ეროვნულ რელიგიას - შინტოს უკავია, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური ნყობილების ხანაში ჩაისახა. ის ქადაგებს ბუნების მოვლენებისა და წინაპართა სულების პატივისცემას [2.48]. შინტოიზმს მკაფიოდ გამოხატული ნაციონალიზმი ახასიათებს, მისი კონცეფციის თანახმად, შინტოს ღმერთებმა და კამებმა გააჩინეს მხოლოდ იაპონელები და რომ არაიაპონელი წარმოუდგენელია შინტოს მიმდევარი იყოს. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის მანძილზე შინტოისტს არ ეკრძალება გახდეს სხვა რელიგიის მიმდევარი, რადგან ყველა იაპონელი შინტოისტად იბადება და სიკვდილის შემდეგაც შინტოისტად რჩება, ხოლო სხვა რელიგიასთან ზიარება კი მხოლოდ დროებით მოვლენად აღიქმება [6.35-36]. იაპონიის ტერიტორიაზე მრავლადაა გაფანტული შინტოისტური ტაძრები, მაგრამ მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ისე ჯინგუს დიდებულ წმინდა ტაძრებისა და სალოცავების კომპლექსს უკავია.

ისე ჯინგუ წარმოადგენს იაპონიის უმნიშვნელოვანეს რელიგიურ ცენტრს, რომელთანაც დაკავშირებულია იაპონელი ხალხის ისტორია, სულიერი და კულტურული ცხოვრება. მას დიდი როლი ენიჭება იაპონელი ხალხის ტრადიციების დაცვასა და განმტკიცებაში, ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში. აქ ასობით მომლოცველი ჩამოდის იაპონიის ყველა კუთხიდან - სავალდებულოა სიცოცხლეში ერთხელ მაინც ყველა იაპონელმა მოინახულოს იქაურობა. დიდებული ტაძრებისა და სალოცავების კომპლექსი განლაგებულია შიმას ნ.კ-ზე, წყნარი ოკეანის

სანაპიროზე, უმშვენიერეს ბუნებრივ ისე შიშას ნაციონალურ პარკში, რომელიც 520 ჰექტარზეა გადაჭიმული. ამ ადგილების, ბალნარებისა და პარკების სილამაზე ატყვევებს მნახველს.

ისე ჯინგუს კომპლექსი შედგება ორი ჯგუფის ტაძრებისგან: გეკუ (გარე) და ნაიკუ (შიდა). უძელესი ტაძარი გეკუ განლაგებულია ისეს ცენტრში, ხოლო შემდგომ აშენებული ტაძრები გაფანტულია მშვენიერი პარკის მთელ ტერიტორიაზე. შინტორისტური ტაძრები გამოირჩევა სისადავითა და უბრალოებით. ტაძრებში უმეტესწილად ღმერთებისა და ღვთაებების გამოსახულებები არ გვხვდება, თუმცა ზოგიერთ მათგანში გვხვდება მაიმუნის, ლომის, ირმის და სხვა ცხოველების გამოსახულებები, რომლებიც ითვლებიან შესაბამისი ღვთაების წარგზავნილებად, როგორც ტაძრის მცველები [3. 123-124]. შინტორისტური ტაძრების ინტერიერი საერთო პრინციპს ემორჩილება. კერძოდ, ის ორი ნაწილისგან შედგება: 1. საკურთხეველი - ჰონდენი, სადაც ინახება კონკრეტული ტაძრის წმინდა სულის კამის სიმბოლო - შინტაი. 2. სამლოცველო დარბაზი - ჰაიდენი [2.145]. შიდა და გარე ტაძრები ერთმანეთისგან თითქმის 5 კმ-ით არის დაშორებული. გარდა ამ მნიშვნელოვანი ტაძრებისა, ისე ჯინგუს კომპლექსი აერთიანებს 14 დამატებით სამლოცველოსა და 109 ნაკლებად მნიშვნელოვან ტაძარს [5. 36]. ისეს ტაძართა მონახულება იწყება გარე ტაძრებიდან. შიდა ძირითადი უძველესი ტაძარი მიეკუთვნება უმაღლეს ღვთაება ქალღმერთ ამატერასუსს, რომელიც ტრადიციულად ითვლება იმპერატორთა ოჯახის წინაპრად და მას უდიდესი პატივი მიეგება. „ნიჰონ შიოკში“ (იაპონიის ანალები) მოთხრობილი ლეგენდის თანახმად, პირველი ათასწლეულის დასაწყისში იმპერატორმა სიჯინმა თავის ქალიშვილს, რომელიც მომავალში ამატერასუსს ქურუმი უნდა გამხდარიყო, დაავალა ქალღმერთის კულტის პატივსაცემად წმინდა ადგილი შეერჩია. ხანგრძლივი ძიების შემდეგ გოგონა ისეს ადგილმდებარეობამ

მოხიბლა, ხოლო არჩევანი თვით ამატერასუმ მოუწონა. იმ ადგილზე მწვანეში ჩაფლული პარკის სიღრმეში, სადაც არავინ დაარღვევდა მათ მყუდროებას, აიგო ამატერასუს მთავარი ტაძარი - ისე ჯინგუ, რომელიც როგორც ყველა შინტოისტური ტაძარი, ძალიან სადაა და დახვეწილი. ტაძარი აგებულია ხინოკისაგან (იაპონური კვიპაროსი), სახურავი კაიას ბალახით არის დაფარული. ტაძარი საუკუნოვანი კრიპტომერიების ხეივნებითაა გარშემორტყმული, რომლებიც ხის კარიბჭით თორით მთავრდება, ის წმინდა ხის საკაკას ტოტებითაა შემკული [4.14-15].

შორეული წარსულიდან მოყოლებული დღემდე, ისეს მთავარ ტაძარში იაპონიის იმპერატორები განსაკუთრებულ რელიგიურ ცერემონიალებს ატარებენ. კერძოდ, იმპერატორმა აკიჰიტომ 1989 წელს თავისი ინაუგურაციის წინა ღამე გეკუში ლოცვებში გაატარა. ხსენებულ ტაძარში ინახება საიმპერატორო ძალაუფლების სიმბოლო - სარკე, რომელიც ამატერასუს სულს განასახიერებს და მისი ხმალი. ისინი ყველაზე მნიშვნელოვანი საგანძურია შინტოიზმის წმინდათაწმინდა რელიქვიებს შორის. VII საუკუნიდან მოყოლებული ყოველ 20 წელიწადში ერთხელ იგება ძველი ტაძრების იდენტური ახალი ტაძრები, ამიტომ ყოველ ტაძარს გვერდით აქვს მომზადებული კობერტი (მიწის ნაკვეთი), რომელზეც ახალ სამლოცველოს აგებენ, შემდეგ ძველი ტაძრებიდან ახალ მოსასვენებელში ღვთაებები გადასახლდებიან. ამ ცერემონიალს შკინენ სენგუ ჰქვია. ის 13 საუკუნეა, რაც ტარდება. პირველად შკინენ სენგუ 690 წელს იმპერატორ ციტოს დროს ჩატარდა. მის შემდეგ 20-წლიანი თანმიმდევრობა დაირღვა 1443-1585 წ.წ. შუა პერიოდში და მეორე მსოფლიო ომის დროს. ბოლო შკინენ სენგუ 2013 წელს ჩატარდა, ხოლო მომდევნო 2033 წლისთვის არის დაგეგმილი. აღნიშნული ცერემონიალი მეტად საპასუხისმგებლოა. ის დიდ დროს, თანხებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ამ პროცესში ჩართულია ასობით

ადამიანი: დურგალი, მშენებელი, მქსოველი, მღებავი და სხვა, რომლებმაც 525 სახის სხვადასხვა სამოსი, გადასაფარებელი, მაქმანი, სამკაული უნდა დაამზადონ. შინტოიზმის წმინდა საგანძური 491 ერთეულს შეადგენს და იყოფა 189 კატეგორიად. გარდა ამისა, შიკინენ სენგუს მიმდინარეობისას გამოიყენება დამატებითი 1600 წმინდა აქსესუარი. აღსანიშნავია, რომ ყველა მოსართავი წინამორბედი შიკინენ სენგუს დროს გამოყენებული მოსართავის ზუსტი ასლი უნდა იყოს. მაგალითად, სადღესასწაულოდ შერჩეული ნაჭრები იღებება იმ მეთოდით, რომელსაც ნარას ეპოქაში (710-794 წ.წ.) იყენებდნენ.

რიტუალური განწმენდის შემდეგ ქურუმებს ხელით გამოაქვთ ღვთიური სიმბოლოები ძველი ტაძრებიდან ახალ ტაძარში დასასვენებლად. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი განძი - ამატერასუს სარკე და ხმალი ქათქათა თეთრი ნაჭრითაა დაფარული ავი თვალისაგან დასაცავად. იმპერატორის მიერ წარგზავნილი პირი აღავლენს საზეიმო ლოცვას. მლოცველთა და მაყურებელთა პროცესია მამლის ყვილით მიემართება ახლად აღმართული ტაძრებისკენ. აღსანიშნავია, რომ შიკინენ სენგუს პროცედურა ღვთაებების და საგანძურის გადატანით არ მთავრდება. მას მრავალი ცერემონიალი მოსდევს, რომელიც თითქმის 10 წელი გრძელდება, მაგალითად, ღმერთებისათვის წმინდა საკვების მირთმევა, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ისე ოდითგანვე ცნობილია, როგორც მიკე-ცუკუნი (მიკეს მინა) - ის ადგილი, საიდანაც საკვებით ამარაგებდნენ იმპერატორთა ოჯახს და სწირავდნენ ძღვენს ღმერთებს. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება იაპონიაში. ისეს გარშემო მრავალი მინდორია, სადაც მოჰყავთ ხილი, ბოსტნეული, ბრინჯი. ხოლო ზღვა მათ დიდძალი თევზით ამარაგებს. სწორედ ისეს მდიდარი და უხვი ბუნება, როგორც ხმელეთის, ისე ზღვის, გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ისე ჯინგუს ტაძრების აღნიშნულ ადგილას აგებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიკინენ სენგუს ჩატარება საკმაოდ ძვირი ჯდება. ბოლო შიკინენ სენგუს ჩასატარებლად 550 მილიონი დოლარი დაიხარჯა. წინათ ეს დანახარჯები იფარებოდა სახელმწიფო ხაზინიდან. ამჟამად ამ ცერემონიალის ორგანიზატორებს აფინანსებენ ქვეყნის ძლიერი წრეები, კერძო ფირმები, ორგანიზაციები, ასოციაციები და ასევე ცალკეული მეცენატები. 2033 წლის შიკინენ სენგუსთვის მზადება და თანხის შეგროვება უკვე დაწყებულია.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გელაშვილი ნ., იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში, თბ., 2012.
2. გელაშვილი ნ., შორეული აღმოსავლეთის რელიგიები, თბ., 2018.
3. Gillespie J. K., Traditional Japanese Culture and Modern Japan, Tokyo, 1994.
4. Miori Inata, Ise Jingu the Origins of Japan , Tokyo 2018.
5. Varley H.P., Japanese Culture, Honolulu, 1984.
6. Сабуро, История Японской культуры, Москва, 1972.

Sopio Gugunava

Ise Jingu – Guardian of Japanese Traditions

Summary

Among all religions prevalent in Japan, the national religion – Shinto historically has been the most prominent, which preaches respect of natural phenomena and ancestral spirits. All over Japan's territory there are many Shinto temples, but the most important of them is Ise Jingu holy temples and shrine complex. It is located in Ise Shima park on Ise island.

Ise Jingu complex consists of two groups of temples; Geku (outer) and Naiku (inner). The inner and outer temples are almost 5 km apart. In addition to these important temples the Ise Jingu Complex includes 14 additional chapels and 109 less important shrines.

The Inner Shrine, Naikū is located in the south of central Ise, and is dedicated to the worship of goddess Amaterasu, which is traditionally considered as an ancestor of the emperor's family.

The shrine buildings are rebuilt every 20 years as a part of the Shinto belief of the death and renewal of nature and the impermanence of all things and as a way of passing building techniques from one generation to the next. The twenty-year renewal process is called the Shikinen Sengū.

The last Shikinen Sengu was in 2013 and it cost 550 million USD. Preparation for the next ceremony has been started it will be held in 2033 and will be funded by private donations.

ხათუნა თუმანიშვილი

მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად შემადგენელთა საკითხისათვის

(არაბული ანდაზების კორპუსზე
ქართული შესატყვისებით)

ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით, მარტივი და დახვეწილი ანდაზა საკმაოდ რთული სპეციფიკის პარემიას წარმოადგენს. ეს გარემოება, ალბათ, განპირობებულია ფაქტორთა იმ მრავალმხრივი სპექტრით, რომელიც უდავოდ მონაწილეობს მისი ფორმალური და აზრობრივი ფაბულის შექმნაში: მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება, ხელოვნება (საკუთრივ, ფოლკლორი) და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია, კვლევის ეს სფერო კი, სავსებით ობიექტურად, ყველაზე რთულად ითვლება. ანდაზაში ჩადებული ცოდნა, პრაქტიკულად, მოცემული ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ანუ, მისი სახით მოცემული ენობრივი კოლექტივი (მოცემული ეთნოცნობიერება) ხატოვნად (მყარი კლიშეირებული ფორმით) აფიქსირებს ისტორიული გამოცდილების ნიადაგზე შექმნილ (ცნებითი აზროვნების დონეზე ფორმირებულ) განზოგადებულ სიბრძნეს. ამიტომ არის რთული უცხოენოვანი ანდაზების სილრმისეული (სწორად) გაგება, სათანადო ზოგადაზრობრივი განფენილობის რელევანტური ჩარჩოების (გამოყენების სფეროს) დადგენა. ამას, როგორც ჩანს, ანდაზის აგებულების რთული სპეციფიკა, მისი სტრუქტურულად მრავალმხრიანი სემანტიკური ფაბულა განაპირობებს.

ანდაზის თეორეტიკოსთა ნაწილი სწორად ფიქრობს, რომ ისეთმა შეცდომებმა და გამარტივებამ თეორიულ კვლევებში, როგორცაა პოეტური ნაწარმოების შინაარსის „სრული“ გამოყოფა მისი ფორმისაგან და, შესაბამისად, იმ სირთულეების გაუაზრებლობა, რომლებიც წარმოიშობა მისი ცალკე შინაარსის კვლევისას, ნეგატიურად აისახა ანდაზების, როგორც ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის მქონე პარემიების კვლევაშიც [3. 147].

ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა რომ ძირეულად თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება, პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს პარემიოლოგია (თუმცა მიდგომები განსხვავებულია [5; 6; 10]. არსებული კვლევების საფუძველზე ზოგადად ვლინდება ანდაზის აზრობრივი სტრუქტურის ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სფერო საფუძვლად ედება მეორეს, რითიც კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ვ. ალახვერდოვი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების აღმის პროცესის თანმხლებ ემოციურ ასპექტებს იკვლევს, ანდაზას „ორმაგი ფსკერის მქონე ტექსტად“ («ТЕКСТ С ДВОЙНЫМ ДНОМ») მოიხსენიებს [4. 126].

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლოა ასევე ზოგად პლანში (*a priori*) ჩამოყალიბდეს ამგვარი დასკვნა: ანდაზის ზოგადაზრობრივი ლოგიკურ-სტრუქტურული მოდელი ზედაპირული და სიღრმისეული დონეების ერთობლივი ოპერირებით იქმნება. სათანადო „სიტუაციურ ნიშაში“ მისი ყოველი კონტექსტუალიზებისას მუშაობას იწყებს ანდაზური მეტაფორული „ძრავა“, რომლის დროსაც მიმდინარე დემიფირება – (ცნების სახით ჩადებული) განზოგადებული სიბრძნის წვდომა,

მოცემული ეთნოსის მიერ სამყაროზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნას ემყარება.

მაგრამ, ზოგად მოცემულობაზე დაყრდნობით, კონკრეტულად დასადგენია, როგორ, რა სემანტიკური ნებსებით ხორციელდება ანდაზის ზოგადაზრობრივი ფაბულის კონსტრუირება, დეშიფრირება და გამოყენება? უშუალოდ რა ძირითადი (ღია თუ ფარული) შემადგენლები ამუშავებს ანდაზურ მეტაფორულ „ძრავას“?..

ერთი რამ უდავოა... ანდაზის (ფორმალური და აზრობრივი) ფორმირების პროცესში მონაწილე ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი აქტუალიზაციისას კომბინირებულად მუშაობს და საერთო „მენტალურ ენაზე“ [2. 264] – „კოლექტიურ ქვეცნობიერზე“ (კ. გ. იუნგი) გადის. ცნობილია, რომ ქვეცნობიერი პროცესები გაცილებით რთული ფენომენია და გაცილებით რთული სტრუქტურით გამოირჩევა, ვიდრე ცნობიერი. როგორც ჩანს, ანდაზის მრავალგანზომილებიანი ფენომენის თეორიულ პლანში გააზრება, ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით, კვლევის კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

მით უფრო, რომ დასმული საკითხის ირგვლივ არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების გაცნობამ აჩვენა, რომ ანდაზის აზრობრივი სტრუქტურის შესწავლასთან დაკავშირებულ კვლევათა უმეტესობა, ძირითადად ორიენტირებულია გამონათქვამების სტატიკურ დონეზე ფიქსირებული ტროპების შინაარსობრივ მხარეზე. მაგალითად, ამ ასპექტისადმი მიძღვნილ კვლევაში ა. კრიკმანთან ძირეული აქცენტი კეთდება ანდაზებში მოცემული მეტაფორული სემანტიკების ცალკეულ როლზე მისი სემანტიკის შექმნაში. მკვლევარი აქვე გამოყოფს ანტროპომორფულ, ანტროპოცენტრულ და ალეგორიულ ტროპებს. მისი მოსაზრებით, მათი გადანაწილება სხვადასხვა ენის საანდაზო ფონდებში განსხვავებული სახით გვეძლევა [7].

არსებობს სხვა სახის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ანდაზის ფუნქციონირებისას გადამწყვეტია გადატანითი მნიშვნელობა – „ანდაზის აქტიური შინაარსი“, ხოლო პირდაპირი მნიშვნელობა – „ანდაზის ნომინალური შინაარსი“, ფაქტობრივად, ფორმალურია [1. 12].

კვლევის გამოცდილება აჩვენებს, რომ ანდაზის სტატიკურ დონეზე მოცემული ხატის შესწავლა მართებულია. ეს დონე, ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, მისი სემანტიკური სტრუქტურის ფორმირებაში უცილობლად მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამავდროულად, ამგვარ კლიშეებში, როგორც წესი, სწორედ ექსპლიციტურ დონეზე ვლინდება მოცემული ეთნოსის ინდივიდუალური ხედვა – სამყაროს შემეცნების პროცესში (კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით) მიღებული კერძო (ეთნიკური) ცოდნა.

ამ ჭრილში უდავოდ მნიშვნელოვანი და საინტერესოა სხვადასხვა ხალხთა საანდაზო ფონდების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა, რათა დადგინდეს ამა თუ იმ ფუნქციურად საჭირო იდეის – ანდაზის შესაქმნელად სხვადასხვა ისტორიული განვითარებისა და მენტალობის მქონე ეთნოსი „საშენ მასალად“ რა სინტაგმატურ კავშირებს ირჩევს მოცემული საყოველთაოდ განზოგადებული სიბრძნის გამოხატვისთვის, მათზე დაყრდნობით რა სახის ლოგიკურ მიმართებებს ხედავს მოცემულ გარემოში არსებულ მოვლენებსა და კატეგორიებს შორის.

ზოგიერთი მკვლევარი, ვფიქრობთ, ხელოვნურად ცდილობს, დააცალკევოს ანდაზის მრავალშრიანი სემანტიკური ქსოვილი. მაგალითად, ი. ლევინი რუსული ანდაზების აზრობრივი ასპექტის კვლევისას წინა პლანზე წევს მასში მოცემული ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, მათ ცალსახა როლს ანდაზის სემანტიკის შექმნაში. ავტორის აზრით, ანდაზის მრავალშრიანი ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინა-

რე, მრავალშრიანი ხდება მასში გამოყენებული ყოველი ცალკეული სიტყვა. მას მაგალითად მოჰყავს ხატოვანი ანდაზა «С паршивой овцы хоть шерсти клок» (ქეციანი ცხვრისგან ერთი ბლუჯა მატყელიც ხეირია). იგი ამბობს, რომ სიტყვაში «овца» (ცხვარი) შეიძლება გამოიყოს, როგორც მინიმუმ, სამი შრე, რომელიც აქტუალიზდება გამონათქვამის გამოყენებისას:

ა) პირდაპირი (სალექსიკონო მნიშვნელობა, რომლის გარეშეც ტექსტი კარგავს აზრს);

ბ) ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც შესაბამისობაშია ანდაზაში ჩადებულ ქვეტექსტურ მნიშვნელობასთან („ნებისმიერი პირი, რომელსაც ძირითადად აქვს უარყოფითი თვისებები და რომელიც, ამის მიუხედავად, შეიძლება გამოყენებულ იქნას რაღაც, თუნდაც უმნიშვნელო სარგებლის მისაღებად“);

გ) კონკრეტული პირი, რომელსაც მიემართება მოცემულ შემთხვევაში მოცემული ანდაზა [8. 100].

თუ გავიაზრებთ იმ გარემოებას, რომ ზოგადად ანდაზის სემანტიკური მექანიზმის შექმნასა და აქტუალიზაციისას მის ფუნქციურად სწორად ამუშავებაში, როგორც წესი, არსებით როლს ასრულებს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მათი შიდატექსტობრივი სინტაგმატური მიმართებები, მაშინ მოცემული ანდაზის მიმართ ამგვარი (ლევინისეული) მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ უნდა გამოდგეს. გავაანალიზოთ წარმოდგენილი რუსული მაგალითი. აქ მეტაფორული ექსპანსიის მიმართულებაა: ცხოველთა სამყარო → ადამიანი. შესაბამისად, მოცემულ ანდაზაში არსებული ალევორიული ტროპის გახსნისას «овца» (ცხვარი) = „ადამიანს“. მაგრამ აქ საუბარია არა ზოგადად (ნებისმიერი თვისებების მქონე) ადამიანზე, არამედ „უვარგის“, უარყოფითი თვისებების მქონე სუბიექტზე (რასაც

ავტორი სავსებით სწორად თავადვე აღნიშნავს მოცემული ანდაზის ძირითადი მნიშვნელობის განმარტებისას, პუნქტი – ბ;). ანუ გამონათქვამში გამოხატული ზოგადაზრობრივი მნიშვნელობის მითითებული კუთხით გამოვლენის შესაძლებლობას, არა ცალკეული ელემენტი – «овца» (ცხვარი), არამედ სინტაგმა – «паршивая овца» (ქეციანი ცხვარი) იძლევა. სწორედ ეს „ღია“ (ზედაპირულად გამჟღავნებული) სინტაგმატური კავშირი განაპირობებს მოცემულ ანდაზში ჩაშიფრული დედააზრის განზოგადებული სახით ჩამოყალიბებას და შესაბამის კონტექსტში მისი უარყოფითი კონოტაციით გახსნას.

განხილული რუსული მაგალითის ქართული აზრობრივი პარალელია: „ყვავს ჭიანი კაკალი გაავდებინო, ისიც კარგიაო.“
არაბული: [šá'ra mən danb əl-ḥ ənzīr máksab] شعرة من دنب الخنزير مكاسب

– ღორის კუდიდან ერთი ღერი ჯვგარიც სარგებელიაო.

შდრ. ქართ.: „ყვავს ჭიანი კაკალი გაავდებინო, ისიც კარგიაო“, რუსული „ქეციანი ცხვრის“ ანალოგიურ ფუნქციას ასევე „ღია“ სინტაგმა „ჭიანი კაკალი“ ასრულებს. რაც შეეხება „ყვავს“, აქ „დაფარული“ სინტაგმატური მიმართებაა. ის მოცემულ (და არა მხოლოდ ქართულ) ცნობიერებაში უმრავლესად უარყოფითი სემის, ანუ „ცუდი ყვავი“ მნიშვნელობის მატარებელია, რომელიც მოცემული ანდაზის კონტექსტუალიზებისას ადეკვატურად დეკოდირდება.

შდრ. არაბ.: „ღორის კუდიდან ერთი ღერი ჯვგარიც სარგებელიაო“, მასში კოდირებული უარყოფითი კონოტაციის მატარებელი დედააზრის გახსნა („ღორთან“ მიმართებით) „დაფარული“ სინტაგმატური კავშირის საფუძველზე ხორციელდება. ცნობილია, რომ ამ ცხოველს ისლამურ სამყაროში მკაცრად განსაზღვრული ნეგატიური (საკვები სახით აკრძალული) – „ცუდი / ბინძური ღორი“ – სემა აქვს.

მოხმობილი მაგალითები ცხადად ადასტურებს გ. პერ-
მიაკოვის მსჯელობის მართებულობას, როდესაც ის ამბობს,
რომ ანდაზის ძირითადი მნიშვნელობა – „ლოგიკური ჩარ-
ჩო“ [9.61] – მისი პირველადი მნიშვნელობით – ხატიტ „შენ-
დება“. ასევე ცალსახადაა მისაღები ავტორისეული მოსაზრე-
ბა, რომ ანდაზას ქმნის არა მხოლოდ ცალკეული „რეალი-
ები“, არამედ ის სინტაგმატური კავშირები, რომლებშიც ეს
რეალიებია წარმოდგენილი მოცემული ანდაზის კონ-
ტექსტში [9.19; 10. 25-26].

მეტიც, ნ. ბარლი პრაქტიკულად აღიარებს ანდაზების
ორსახოვან ბუნებას. ის მიუთითებს, რომ მათი სინტაგმა-
ტური ხასიათი ვარიანტულობისა და შემადგენელ სემან-
ტთა გადაადგილების შეზღუდულობაში ვლინდება. ის „კო-
მიკური ეფექტები“ (ავტორი მრავლად მოიხმობს მაგალი-
თებს), რომლებსაც ამგვარი ცვლილებების მცდელობა ინ-
ვეეს, ამავდროულად, მათი პარადიგმატული ბუნების ილუს-
ტრირებას ახდენს [5. 134].

მსჯელობის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ არაბული
(კერძოდ, სირიულდიალექტური) ანდაზური ფონდებიდან
შერჩეული რიგი საანდაზო წინადადეგებისა. აქ ერთი და
იგივე ლექსიკური ერთეული „ვირი“ სხვადასხვა (როგორც
„ღია“, ისე „დაფარული“) სინტაგმატური მიმართებით გვეძ-
ლევა. ამ ფონზე, ყოველ კონკრეტულ შინაარსში, ის (პი-
რობითად, „კარგი“ ან „ცუდი“ ვირი), სხვადასხვა კუთხით
წარმოაჩენს რა შესაძლო თვისებებს, ყოველი მათგანი სი-
ტუაციაურად განსხვავებულ საკომუნიკაციო კონტექსტში
რეალიზდება. ანუ, ყოველი კონკრეტული მაგალითის შემ-
თხვევაში, განსხვავებულად მუდავნდება თითოეულში ჩადე-
ბული პარემიული აზრი. შესაბამისად, განსხვავებულია თი-

თოეულის ზოგადაზრობრივი განფენილობის – კონტექსტუალ-ლიზების „ნიშა“ და გამოყენების არეალი.¹

لا تاخذ الرخصة القويه إلا من الحمار الضعيف

[la táħud ər-ráfse l-'awije 'illā mne l- ħmār əð-ða'if]

§ – ყველაზე მაგარი ნიხლის კვრა გამხდარმა ვირმა იცისო.

„ღია“ სინტაგმა: **გამხდარი ვირი.**

ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო.

ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიაო.

تكرار يبيعلم حتى الحمار

[tʰkrār bji'állem ħátta əl- ħmār]

– გამეორება **ვირსაც** კი ასწავლის.

„დაფარული“ სინტაგმა: **(ჯიუტი) ვირი.**

§ გამეორება ცოდნის დედააო.

الحمار ما يبيع بالجره مرتين

[əl-ħmār mā bjú'a bɪlʒurra martén]

– **ვირი** არ ჩაეფლობა ორჯერ (ერთსა და იმავე) ტალახში.

„დაფარული“ სინტაგმა: **(ჭკვიანი) ვირი**

¹ არაბულენოვანი მასალა მოპოვებულია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ სირიელი/ლიბანელი ინფორმანტებისაგან. მოცემული ანდაზები ფიქსირებულ იქნა შესაძლო კონტექსტებით, ინფორმანტთა კომენტარებით და ახსნა-განმარტებებით, რაც აუცილებელი პირობა იყო მათი სიღრმისეული სემანტიკის წვდომისათვის, თითოეულის კონოტაციური სპექტრისა და გამოყენების სფეროს – სათანადო „სიტუაციური ნიშის“ დასადგენად. არაბული მაგალითების ქვეტექსტური მნიშვნელობის ამოხსნაში დაგვეხმარება შესაბამისი ქართული პარალელები.

§ ვირი, სადაც ერთხელ ლაფში ჩაეფლობა, იქ აღარ გაივლისო.

ნახაფანგარი მელა ადვილად აღარ გაეგმისო.

عطا الحمار وراه أكليا

[‘áṭū l-ḥmār wárdē ‘akálhā]

– ვირს ვარდი მისცეს – შეჭამა.

„ღია“ სინტაგმა: ვარდისმჭამელი ვირი

„დაფარული“ სინტაგმა: (ბალახის / იონჯისმჭამელი) ვირი

§ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.¹

ვირს ოქროს ყელსაბამიც რომ შეაბა, მაინც ვირი იქნებაო.

ვირს სჭედნენ და ტლინკებს ისროდაო.

ربوط الجحش محلّ ما بدو صاحبو

[rbōṭ əž-žḥš maḥáll ma bíddō šāḥbō]

– ვირი იქ დააბი, სადაც პატრონს სურს.

„ღია“ სინტაგმა: პატრონის ვირი

§ პატრონმა უკეთ იცის, თავის მკვდარს საით უყოს პირიო.

تعلم البيطره بحمير النور

[t‘állem əl-báṭara bḥamír ən-náwar]

– ვეტერინარმა ხელობა ციგნის ვირებზე ისწავლა.

¹ საინტერესოა, რომ ამ ცნობილმა ანდაზამ ქართულში საპასუხო ახალი ინტერპრეტაციის „დაბადება“ გამოიწვია: „ვირი ის არის, ვისაც ხურმა ხილი ჰგონიაო“ (მოგვანოდა ერთ-ერთმა ინფორმანტმა)

„ღია“ სინტაგმა: ციგნის ვირები

§ დალაქმა ხელობა ჩვენს თავებზე ისწავლაო.

اللي بيقتل حمار العرب بيكلف بحمل القرب

[’əllī bjé’tel ħmār əl-’árab bjətkállef əbħaml əl-’irab]

– ვინც მოკლავს არაბის ვირს, წყლის მათარაც იმან ატაროს.

„ღია“ სინტაგმა: (შურისმაძიებელი) არაბის ვირი.

§ ძალღი ვინც მოკლა, იმანვე გაათრიოსო.

كالحمار بينظلون

[kal-ħmār bibáñṭalūn ’asfāra]

– ვირი შარვალში.

„ღია“ სინტაგმა: ვირი შარვალში.

§ ვირს ოქროს ყელსაბამიც რომ შეაბა, მაინც ვირი იქნებაო.

ვირი ორშაბათსაც ვირია და ოთხშაბათსაცო.

بعد حمارى ما يثبت حشيش

[ba’d ħmārī mā jānbot ħašīš]

– ჩემი ვირის შემდეგ ბალახი ნურც ამოსულაო.

„ღია“ სინტაგმა: ჩემი ვირი (არა - სხვისი)

§ ჩემ შემდეგ თუნდაც ქვა თოვოსო.

კათალიკოზო, ქვეყანა დალოცეო და, მე თუ აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო.

كلّ حمار بنهيقو معجب

[koll ħmār binahī’ō mú’žab]

§ – ყველა ვირს თავისი ყროყინი მოსწონს.

„ღია“ სინტაგმა: ყველა ვირი / ნებისმიერი ვირი.

§ ყველა თავის ნაბადს აქებსო.

ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.

مثل حمار اللى بيحمل أسفاره وبيقول ائو أستاذ

[(mtl) ħmār əllī bjīħmal'asfāra u bjī'ūl 'innō 'ustaz]

– (როგორც) ვირი, რომელიც წიგნებს ზიდავს და ამბობს, მასწავლებელი ვარო. „ღია“ სინტაგმა: **წიგნების მზიდველი ვირი/მასწავლებელი ვირი**

كالحمار بأسفارة

[kal-ħmār bjīħmal 'asfāra]

– (როგორც) ვირი წიგნებით. (არ ნიშნავს, რომ ჭკვიანია). „ღია“ სინტაგმა: **ვირი წიგნებით / წიგნების მატარებელი ვირი.**

§ თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა თეთრი წვერი მაქვსო.

ვირს თოფრა ჩამოაცვეს და ჭიხვინი მოინდომაო.

ვირს უნაგირი ცხენად ვერ აქცევსო.

ამდენად, წარმოდგენილ კორპუსში განხილულმა მაგალითებმა, ერთი მხრივ, დაადასტურა ანდაზის რთული აზრობრივი ფაბულის აგებულების ზოგადი საყრდენი: სამყაროში დაფიქსირებული ერთი მოვლენის თვისებები (ლოგიკური მიმართებების დახმარებით) ასოცირდება, საფუძვლად ედება მეორეს და ზოგადაზრობრივ დატვირთვას იძენს. ამავდროულად, ცხადი გახადა, რომ კონკრეტული ანდაზის კონკრეტულ ვითარებაზე მორგებისას აქტივირდება და თავის მრავალშრიან აზრობრივ პოტენციალს ამჟღავნებს არა მხოლოდ ესა თუ ის ცალკეული კომპონენტი, არამედ მოცემული ანდაზის კონტექსტში მოცემულ სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მთლიანი შინაარსი, მასში გამოხატული კერძო

ნიშნულებით და მახასიათებლებით. ეს პროცესი სწორედ იმ საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რაც დადგენილი და მიღებული ნორმაა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

უფრო ზუსტად, ანდაზის (ერთ მთლიან ბირთვად შეკრული) სემანტიკის კონსტრუქტი, მასში მონაწილე ყველა შემადგენელი ელემენტის სინქრონული ამუშავების პრინციპს ეფუძნება. მეტიც, ზედაპირულად ფიქსირებული ხატი და მისი შემადგენელი („ღია“ თუ „დაფარულ“) სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მეტაფორული ტროპები პრაქტიკულად „საძირკველია“ მასში ჩადებული ქვეტექსტის – განზოგადებული სიბრძნის „ლოგიკური ჩარჩოს“ შენებაში. ანუ, ყველა ზემოხსენებული კომპონენტი პრაქტიკულად თანაბრად მნიშვნელოვანია. (საკომუნიკაციო აქტის თანმხლები) ანდაზური მეტაფორის „ძრავის“ ამუშავება, რომელიც მასში (ცნებითი აზროვნების დონეზე) ჩაშიფრული ზოგადაზრობრივი კოდის გახსნას უზრუნველყოფს, ზედაპირული (ხატის) და სიღრმისეული (ცნებითი) დონეების სინთეზური ურთიერთქმედების საფუძველზე მიიღწევა. ამდენად, მისი „ფარული“ სემანტიკის სიღრმეში, არსებითში ჩანვდომის საშუალებას მხოლოდ მოცემულ დონეებს შორის არსებული ურთიერთმიმართებების გარკვევა იძლევა.

ლიტერატურა – REFERENCES

1. შურღაია თ. (2003): სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა, ავტორეფერატი, ფშკ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
2. Haskell R. E., A Phenomonology of Metaphor: A precise study into metaphor and its cognitive movement through Semanic space. Ibid. Norwood, 1987. pp. 257-292.

3. Jakobson R., *Subliminal Verbal Patterning in Poetry, Selected Writings, III*, Mouton Publishers, The Hague-Paris-New-York, 1981.
4. Аллахвердов В. М., *Психология искусства, Эссе о тайне эмоционального воздействия художественных произведений*, изд. ДНК, «Психология и культура», Санкт-Петербург, 2001.
5. Барли Н., *Структурный подход к пословице и максиме*, в: *Паремиологические исследования*, Москва, 1984, с. 127-148.
6. Крикманн А. А., *К проблематике исследования содержания и мирозрения пословиц (на материале эстонских пословиц)* АКД, Талин, 1975.
7. Крикманн А. А., *Некоторые аспекты семантической неопределённости пословицы*, Москва, 1978.
8. Левин Ю. М., *Провербиальное пространство*, в: *Паремиологические исследования*, Москва, 1984, с. 108-126.
9. Пермяков Г. Л., *От поговорки до сказки (заметки об общей теории клише)*, Москва, 1970.
10. Пермяков Г. Л., *К вопросу о структуре паремиологического фонда. – Типологические исследования по фольклору*, Москва, 1975.

Khatuna Tumanishvili

**Towards the Question of Main Components
Of Minor Proverb Constructin**

(On the Example of Arabic Material with Georgian Parallels)

Summary

A proverb is an integral part of the verbal folklore of a given ethnos - "cast" in the mould of the common national consciousness, which is directly linked with speech (speech in its turn, naturally, is expressive of thinking). Accordingly, it qualitatively (both formally and semantically) is the micro-model of the life and mentality of the world where it was created and where it operates.

The present paper aims to interpret the proverb – a formula modeled as a certain concept in a given mentality . On the basis of study of Arabic Syriandialect (with Georgian parallels) material, it is identified how, by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given stereotyped wisdom is created. Conclusions also cover the general theoretical aspect of the problem.

On the basis of the analysis of the examples it becomes clear that a proverb comes into being by the simultaneous operation of all the components involved in its creation. Each of them is equally important. The objective reality reflected in them are as usual constructed on specific syntagmatic relations sometimes on the surface level (obviously) and on the deep level (non-obviously) as well. Accordingly they cannot be regarded as mutually independent objects and phenomena, as they are a whole system of regularities being in a certain conceptual connection by means of logical relations. Accordingly, it is possible to understand a proverb only by gaining deep insight into these connections, understanding the regularities found in the historical reality of the given ethnos and by studying the conceptual thinking recorded within the existing mentality.

All Arabic examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese, informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs the best way proved direct relationship with informants. By re-interpretation in appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified.

The urgency of this topic is also due to the fact that it is the first attempt to introduce a new topic into Georgian Arabistics.

იზოლდა ბელთაძე

ბიზანტიის ურთიერთობა ფრანკთა სამეფოსთან ხლოდვიგისა და კარლოს დიდის მმართველობის დროს

ჩვენი მიზანია, გავარკვეოთ, თუ როგორი იყო ფრანკთა სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიასთან მეროვინგთა დინასტიის მეფის - ხლოდვიგის (481-5110 წწ.) და კაროლინგთა დინასტიის გამორჩეული მმართველის კარლოს დიდის დროს (768-814 წწ.).

ისმის კითხვა, როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის. რა ფაქტორისათვის უნდა გაენიათ ანგარიში და ურთიერთობის რა ფორმა უნდა აერჩიათ: დიპლომატიური, მეგობრული თუ სხვა.

ამ საკითხების შესწავლაში დაგვეხმარა ორი უმნიშვნელოვანესი წყარო: გრიგოლ ტურელის „ფრანკთა ისტორია“ და კარლოს დიდის სასახლის კარის ისტორიკოსის ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“. ეს უკანასკნელი პროფესორ გუ-რამ კუტალიას მიერ პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

ცნობილია, რომ V საუკუნის დასაწყისში რომის იმპერია დაიშალა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიად. ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ბალკანეთის მთელი ნახევარკუნძული, მცირე აზია სომხეთის მთებამდე, სირია ევფრატის მარცხენა ნაპირებამდე, ეგვიპტე და კირენაიკა [4.13].

ამავე საუკუნის დასასრულს გერმანელებმა დაიპყრეს დასავლეთის იმპერია და მან არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, ამას არ მოჰყოლია ეკლესიათა გათიშვა, რადგან რომის ეკლესია რჩებოდა დანარჩენი ეკლესიების მეთაურად. ამავდროულად, აღმოსავლეთის ეკლესიაში გაძლიერდა თეოლოგიური კამათი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკიუსი (472-

489 წწ.) ამცირებდა ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილების მნიშვნელობას და მიისწრაფვოდა, თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა აღმოსავლეთის ყველა ეპარქიაზე. ამავდროულად, მისმა გადასვლამ მონოფიზიტობაზე ხელი შეუწყო სქიზმას, რის შედეგადაც 484 წელს რომში სინოდზე შეკრებილმა ეპისკოპოსებმა დაგმეს აკაკიუსი და პაპმა ფელიქს III-მ (483-492 წწ.) ანათემა გამოუცხადა კონსტანტინეპოლის ეკლესიას. ეს იყო სქიზმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის, რომელიც დაახლოებით ორმოც წელს გაგრძელდა.

ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565 წწ.) მხარი დაუჭირა ქალკედონის დოქტრინის მომხრეებს და გაუსწორდა მონოფიზიტებსა და არიანელებს. ამდენად, მან საქმე პაპის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იუსტინიანემ კიდევ ერთხელ აღიარა რომის ეკლესიის უპირატესობა და იგი ყველა ეკლესიის დედად მიიჩნია, მაგრამ მის მიერ იტალიის დაპყრობა რომის ეკლესიაშიც აისახა. იმპერატორი ნიშნავდა რომის პატრიარქებს (პაპებს) და ისინი, ბუნებრივია, ბიზანტიის პოლიტიკას ატარებდნენ. გარდა ამისა, კონსტანტინეპოლის პატრიარქი, რომელიც თავისი მდგომარეობის გამო ყველაზე ახლოს იყო საიმპერატორო კართან, მიისწრაფვოდა პირველობის მოსაპოვებლად [3.38-39].

დასავლეთის სამღვდელოება ხშირად თავისი მეფეების მეთაურობით ორიენტაციას იღებდა რომის პაპზე, რომელიც VIII ს-დან გახდა პაპის ოლქის დამოუკიდებელი ხელმწიფე, ხოლო აღმოსავლეთის სამღვდელოება კი – მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორზე.

ბიზანტიაში საეკლესიო ორგანიზაციის სათავეში უშუალოდ იდგა იმპერატორი. იგი ითვლებოდა არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურად, არამედ პირველ იერარქადაც. „ბიზანტიის იმპერატორები, - წერდა XII ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი და

მწერალი ნიკიტა ხონიატი, - დიდ შეურაცხყოფად თვლიდნენ, თუკი მათ არ მიიჩნევდნენ ისეთ ბრძენად, როგორც სოლომონ მეფეს, ერთი სიტყვით, ღვთიურ და ადამიანურ საქმეებში შეუცდომელ მსაჯულებად“ [3.38-39].

ბიზანტიის ხელისუფლების სიძლიერეს, მის განდიდებას, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდნენ ფრანკთა მეფეებიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ტურელის ფრანკთა ისტორია გვაძლევს ცნობებს ბიზანტიის და მეროვინგთა დინასტიის მეფეების ურთიერთობის შესახებ და მოვლენები მიჰყავს 591 წლამდე. განსაკუთრებით საინტერესოა, მეროვინგთა დინასტიის ძლიერი მეფის ხლოდვიგის პერიოდი (481-511 წწ.), რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები. შემოიერთა ბურგუნდიის, ვესტგოთების, რიპუარების, კამბრეს მიწები, ამიტომ მას, როგორც ძლიერ ხელისუფალს, ანგარიშს უწევდა ბიზანტიის იმპერატორი.

ბიზანტიის იმპერატორმა ანასტასიმ (491-518 წწ.), სცნო რა ბარბაროსთა მეფე ხლოდვიგი, მასთან დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად გამოგზავნა ელჩობა.

როგორც წყარო გადმოსცემს: „წმინდა მარტინეს ბაზილიკის სიახლოვეს ტურში უმაღლესი სამღვდელოების თანდასწრებით ხლოდვიგი შეხვდა ბიზანტიის იმპერატორის ელჩებს. დარბაზში ოქროს შანდლებზე მდგარი თეთრი სანთლები ლივლივებდნენ, კედლებს ამშვენებდა წმინდა ხატები. მოწინებით მიუახლოვდნენ ელჩები ფრანკთა მეფეს და ორი პერგამენტის შეკვერა უწყალობეს“.

„ეს სიგელი ჩვენი იმპერატორისაგან მოგვინდვია შენთვის, მეფევ, რომლითაც შენ ამიერიდან კონსულ-ავგუსტუსის სახელით მოგიხსენიებენ. ყოვლისშემძლე იმპერატორი გიგზავნის სალამს. „ამ სიტყვებით ელჩებმა თავი დახარეს ხლოდვიგის წინაშე, გადასცეს მას მანტია და გვირგვინი.

გრ. ტურელის მიხედვით, ხლოდვიგმა ბიზანტიის იმპერატორ ანასტასისაგან მიიღო კონსულის ტიტული 507 წელს. „წმინდა მარტინეს ბაზილიკაში ჩააცვეს წითელი მანტია და ტუნიკა, თავზე დაადგეს გვირგვინი. შემდეგ მეფემ ცხენზე ამხედრებულმა გაიარა ბაზილიკის წინა კედლიდან ქალაქის ეკლესიამდე, გულუხვად მიაყარა ოქრო და ვერცხლი შეგროვილ ხალხს. ყოველ ნაბიჯზე მდგომი ხალხი შესძახოდა: „გაუმარჯოს ჩვენს მეფეს, დიდება დიდებულ ხლოდვიგს, დიდება კონსულსა და ავგუსტუსს“. იმ დღიდან ის იწოდებოდა კონსულად ანუ ავგუსტუსად (იმპერატორად - ავგუსტუსად). ტურიდან ის ჩავიდა პარიზში და გამოაცხადა სამეფოს დედაქალაქად. სწორედ იქ შემდეგ ჩავიდა (ხლოდვიგის ვაჟი ავსტრაზიის მეფე - ი.ბ.) თეოდორიხი, - ვკითხულობთ წყაროში [5.57].

გრიგოლ ტურელის „ფრანკთა ისტორიის“ მთარგმნელი (ლათინურიდან ფრანგულად - ი.ბ.) ფრანსუა გიზო ამ საკითხთან დაკავშირებით იძლევა განსხვავებულ განმარტებას: „ხლოდვიგისთვის სრულებითაც არ მიუნიჭებიათ კონსულის ტიტული, არამედ მას ჩააცვეს კონსულის სამოსი, რასაც ხშირად იძლეოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარი“ [5.371].

გრიგოლ ტურელის სხვა ცნობაში მოცემულია ბიზანტიის იმპერატორის იუსტინე II-ის დახასიათება და მისი ურთიერთობა ფრანკთა სამეფოსთან. მეოთხე წიგნის მე-40 თავში ვკითხულობთ: „იმის შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა იმპერატორი იუსტინიანე (527-565 წწ.), ხელისუფლება გადაეცა მის ნათესავს იუსტინე II-ს (565-578 წწ.). ის იყო ძუნწი, დევნიდა ღარიბებს და ძარცვავდა სენატორებს. იგი იმდენად ძუნწი იყო, რომ ბრძანება გაუცია, დაემზადებინათ მისთვის რკინის სკივრები, რომელშიც ინახავდა ოქროს მონეტებს. ის იყო პელაგიანელი ერესი“ [5.104].

პელაგიანობა იყო ქრისტიანობის მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა რომში V საუკუნის დასაწყისში. მან ეს სახელ-

წოდება მიიღო ბერი პელაგიას სახელისაგან, (360-418 წწ.), რომელიც ამტკიცებდა, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია საკუთარი ძალებით ეკლესიის დახმარების გარეშე გამოისყიდოს თავისი ცოდვები და მიაღწიოს ხსნას. პელაგიანობა დაგმო 431 წელს ეფესის მესამე საეკლესიო კრებამ.

მეცნიერი რ. ლატუში მიიჩნევს, რომ იუსტინე II-ის მხილება პელაგიანობაში ნაკლებად შეეფერება სიმართლეს. გრ. ტურელს ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა თეოლოგიურ დისკუსიებზე, რომელიც იმართებოდა ბიზანტიაში. მან იცოდა მხოლოდ ერთი ერესი-არიანელობა [5.225].

წყაროში ვკითხულობთ: „რამოდენიმე ხნის შემდეგ იუსტინემ, დაკარგა რა სახელმწიფოს მართვის უნარი, თავის თანამმართველად აიყვანა 574 წელს ცეზარი ტიბერიუსი (578-582 წწ.), რათა დაეცვა თავისი პროვინციები. გრ. ტურელის დახასიათებით, „ტიბერიუსი იყო სამართლიანი, კეთილი, შეუვალი კამათში და ბრძოლებში წარმატებული. რამდენადაც ტიბერიუსი გამოირჩეოდა კეთილი საქმეებით, ამბობენ, რომ ის იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. და აი, მეფე სიგიბერტმა გაუგზავნა იუსტინეს ელჩები: ფრანკებიდან ვარმარია და კლერმონიდან ფირმინა მშვიდობის დასამყარებლად. გაიარეს რა საზღვაო გზა, ისინი შევიდნენ ქალაქ კონსტანტინეპოლში. მოხდა შეთანხმება იმპერატორთან და მიიღეს ის, რასაც ითხოვდნენ - მშვიდობიანი ურთიერთობის ხელშეკრულება. ელჩები გალიაში დაბრუნდნენ მომდევნო წელს.“ [5.104].

ირკვევა, რომ ფრანკთა სამეფოსა და ბიზანტიას შორის იყო მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობა არა მარტო ხლოდვიგის, არამედ შემდგომ პერიოდში, VI-ის მეორე ნახევარშიც.

არანაკლებ საინტერესოა მეორე წყარო, კაროლინგთა დინასტიის გამორჩეული მეფის კარლოს დიდის (768-814 წწ.), სასახლის კარის ისტორიკოსის ეინჰარდის „კარლოს დიდის

ცხოვრება“. მასში დაცულია საყურადღებო ცნობები ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის შესახებ. კარლოსის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ გააფართოვა სამეფოს საზღვრები. „მან შემოიერთა აქვიტანია, მთელი იტალია, საქსონია, პანონია და დუნაის ნაპირზე მდებარე დაკია, ლიბერნია, დალმაცია ზღვისპირა ქალაქების გამოკლებით, რომელიც კარლოსმა დაუთმო კონსტანტინეპოლის იმპერატორს“ [2.15]. როგორც ჩანს, ის ანგარიშს უწევდა ბიზანტიას, რომ დაუთმო ზღვისპირა ქალაქები.

ეინჰარდი წერს, რომ „კარლოსი არა მარტო ღვთისმოსაობამ აიძულა, მოეწყო თავისი უკანასკნელი ლაშქრობა მარადიულ ქალაქში რომში, არამედ ის გარემოება, რომ რომაელებმა მძიმედ შეურაცხყვეს პაპი ლეონ III, დააბრმავეს და ენა ამოგლიჯეს. აი, ამიტომ ჩავიდა კარლოსი რომში, რათა აღედგინა გათელილი წესრიგი. მან იქ მთელი ზამთარი გაატარა. კარლოსმა სწორედ რომში ყოფნის დროს მიიღო იმპერატორის გვირგვინი და ავგუსტოსის წოდება (25 დეკემბერი 800 წ). ამას მოყვა კონსტანტინეპოლის იმპერატორების აღშფოთება. მათში დიდი ეჭვი აღიძრა, თითქოს კარლოსს უნდოდა წაერთმია იმპერია. კარლოსმა ამ დროს გამოიჩინა სიფხიზლე და წინდახედულება. მან ბიზანტიასთან მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით უფრო მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ხშირად აგზავნიდა ელჩებს და წერილებში მათ ძმებად მოიხსენიებდა“ [2.23]. აქ ჩანს მისი დიპლომატია.

საერთოდ, რომაელები და ბერძნები ყოველთვის უნდობლობით ეკიდებოდნენ ფრანკების სიძლიერეს. აქედან წარმოსდგება ანდაზაც: „იყოლიე ფრანკი მეგობრად, მეზობლად კი არაო“ [2.17].

გამოდის რომ, კარლოსი დიპლომატიურ, მეგობრულ ურთიერთობას ამჯობინებდა ბიზანტიასთან. ამასვე ადასტურებს მეორე ცნობაც: „ფრანკთა სამეფოსთან მეგობრობის განსამტკიცებლად კონსტანტინეპოლის იმპერატორები ნიკიფორე

(802-811 წწ.), მიხეილი და ლეონ V (813-820 წწ.) ხშირად აგ-
ზავნიდნენ ელჩებს კარლოსთან“ [2.17].

საინტერესოა ისიც, რომ კარლოსის უფროსი ქალიშვილი როტრუდა დანიშნული იყო ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეზე, მაგრამ ეს ქორწინება არ შედგა, ვინაიდან როტრიდა ნაადრევად გარდაიცვალა [2.19].

ეინჰარდი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კარლოსს უყვარდა უცხოელები და ყოველთვის ზრუნავდა იმაზე, რომ კარგად მიეღო ისინი. (მათ შორის ბიზანტიელები - ი. ბ.). მათი სიმრავლე თითქოს არა მარტო სასახლის, არამედ სახელმწიფოს გაჩანაგებასაც კი იწვევდა, მაგრამ ის მხედველობაში არ იღებდა ამ დანახარჯებს, რადგან იმედოვნებდა, რომ ეს დანაკარგები ამ შემთხვევაში ანაზღაურებული იქნებოდა დიდების სიუხვითა და კეთილი სახელით [2.20].

მართლაც კარლოსმა დიდება და სახელი მოუტანა ფრანკთა სამეფოს, უფრო მეტიც, მოიწვია სწავლულები ინგლისელი ალკუინი, პეტრე პიზელი (იტალიელი), გოთი ვულფილა, რითიც ხელი შეუწყო ქვეყანაში საგანმანათლებლო საქმეს. კარლოს დიდის დროს ჩაისახა და აყვავდა „კაროლინგური რენესანსი“ .

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი წყაროები გრიგოლ ტურელის „ფრანკთა ისტორია“ და ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“, მეტად საინტერესოა თავისი მრავალმხრივი ცნობებით მეროვინთა და კაროლინგთა გამორჩეული მეფეების - ხლოდვიგისა და კარლოს დიდის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა მათი დიპლომატიური ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან. მასთან, როგორც ძლიერ სახელმწიფოსთან აუცილებელი იყო, შენარჩუნებულიყო მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა. ასევე ბიზანტიაც ანგარიშს უწევდა ძლიერ მეროვინგთა მეფეს ხლოდვიგს და კაროლინგთა მმართველს კარლოს დიდს, მათ სიძლიერეს და საერთაშორისო ავტორიტეტს.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ბელთაძე-ხინიკაძე ი., შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 2020.
2. კუტალია გ., ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“, თბ., 2005.
3. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995.
4. ბიზანტიის იმპერიის ისტორია (შარლ დიდი. მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე), თბ., 1998.
5. Григории Турский, История Франков, Москва, 1987.
6. История средних веков. Под редакцией З.В. Удальцовой и С. П. Карпова, т. I, Москва. 1990.

Izolda Beltadze

Byzantine relations with the Kingdom of the Franks During the Khladvig and Carlos the Great

Summary

Our goal is to find out what the relationship between the Frankish kingdom and Byzantium was during the reign of the Merovingian dynasty - the Khladvig and Carolingian dynasty - Carlos the Great.

The question is what kind of relationship these two mighty states should have. What factors to take into account and what form of relationship to choose: diplomatic, friendly or otherwise.

Two sources are very important in the study of these issues: Gregory Tourell's "History of the Franks" (VI century) and Eginhard's "Life of Charles the Great" (VIII century).

According to Gr.Turel, it is clear that Chlodwig received the title of consul from the Byzantine emperor Anastasius in 507. On the tour, a red mantle and tunic were placed in St. Martin's Basilica, with a crown on his

head. From the tour he arrived in Paris and declared it the capital of the kingdom.

However, there is another opinion. According to François Guizot, Chlodwig was not fully given the title of consul, but rather wore the uniform of a consul, which was often given to the Byzantine imperial gates, which is less convincing.

It turns out that there was a friendly, peaceful relationship between the Frankish kingdom and Byzantium not only in Chlodwig, but also in the later period, in the second half of VI. King Sigibert sent Justinian's ambassadors: Varmaria from the Franks and Firmina from Clermont to establish peace. An agreement was reached with the emperor and a peace treaty was accepted.

Also interesting is Carlos's great relationship with the Byzantine Empire. It was during his stay in Rome that Carlos received the emperor's crown and the title of Augustus, which was followed by the indignation of the emperors of Constantinople. Great suspicion arose in them, as if Carlos wanted to seize the empire. Carlos was vigilant and prudent at this time. He established closer diplomatic relations with Byzantium to avoid impending trouble. He often sent ambassadors and referred to them as brothers in letters.

Thus, the study of two important sources: the "History of the Franks" by Gregory Tourell and the "Carlos the Great" by the historian of the palace of Charlemagne Einhard, showed that it was necessary to maintain peaceful, friendly relations with Byzantium as a powerful state. Byzantium also reported on the mighty Merovingian king Chlodwig and the Carolingian ruler Charlemagne, their strength and international authority. They therefore received ambassadors from Byzantium with great honor and concluded a treaty of peaceful relations.

ნინო თომაძე

რუსთაველის პორტრეტის რემინისცენცია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიაში

შოთა რუსთაველის შემოქმედება-მოღვაწეობის საკრალურობა და მასზე არსებული წყაროების სიმწირე, ურთიერთგამომრიცხავობა, პარადოქსული ფაქტები და ჰიპოთეზები საქართველოს ისტორიის ბოლომდე ამოუხსნელ ნაწილად რჩება.

საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიის მიხედვით, რუსთაველი სიცოცხლის ბოლოს ბერად აღკვეცილა და პალესტინისკენ გამოუწვია, XII საუკუნის ბოლოს მას იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აღუდგენია, მოუხატვინებია, იქვე გარდაცვლილა და დასაფლავებულიც იქვეა. ეს თქმულება ძირითადად XVII-XVIII საუკუნეების ქრისტიანულ-ლიტურგიკული წყაროებიდან მომდინარეობს (მეფე არჩილი, კათოლიკოსი ანტონი, ტიმოთე გაბაშვილი და სხვ.), რასაც გარკვეულწილად ეხმიანება მონასტრის ფრესკებიც. ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“ წერდა: „ჯვრის მონასტერი დაძველებულია და გუმბათის ქუეით სუეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ჰხატია მოხუცებული“[3. 80]. ტიმოთე პირველია მკვლევართაგან, ვინც შოთა რუსთაველს ჯვართან მიმართებით ახსენებს.

პლატონ იოსელიანი თვლის, რომ შოთა რუსთაველი 1215 წელს გარდაიცვალა იერუსალიმში [11.41].

ზაქარია ჭიჭინაძე თვლის, რომ შოთა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისთვის სამღვდლოებამ იერუსალიმში განდევნა, სადაც ჯვრის მონასტერში გარდაიცვალა [16.34].

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ა. ქუთათელაძის (ქუთათელის) წერილი „ჯვრის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე“, სადაც იგი წერს, რომ ნისიმე მონა-

ზონს მისთვის გადაუცია ჯვრის მონასტრიდან ჩამოტანილი ხელნაწერი, შესრულებული ა. ლორთქიფანიძის მიერ, სადაც მოიპოვება მონასტრის ფრესკების აღწერა, სადაც აღნიშნულია, რომ: წმინდა მატსიმე აღმსარებელსა და წმინდა იოანე დამასკელს შორის მუხლმოყრილია მოხუცი თეთრი წვერით, თავზე ჰხურავს მალალი, თეთრი არაღჩინი, აცვია მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზევიდან ასხია თეთრსამხრიანი ჯიგრისფერი მოსასხამი. ამას აწერია: „ამისსა დამხატვასა შეუწდოს ღმერთმან. შოთა რუსთაველი“ [13. 3-4].

ა. ლორთქიფანიძისეულ აღწერილობას იმეორებს ა. ცაგარელი [22.94-95]. 1896 წელს ამ საკითხის გამო ვრცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა [18. 183].

სიმონ ქვარიანი თავის ნაშრომში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ წერს, რომ რუსთაველს ჰქონდა აღმოსავლური განათლება, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ეროტიკული ხასიათისაა [10.1-35].

სხვადასხვა დროს შოთას ფრესკას შეეხნენ ზ. ჭიჭინაძე [17.10] და პავლე ინგოროყვა, რომელიც შოთა რუსთაველს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრთან აიგივებდა [6.380].

ცალკე კვლევის თემაა პოეტ შოთა რუსთაველისა და თამარისდროინდელი დიდმოხელე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტობის საკითხი.

აკადემიკოსი ე. მეტრეველი თვლიდა, რომ ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“ B და C ხელნაწერებში საუბარია არა შოთას პოეზიაზე, არამედ მის მონაწილეობაზე ჯვრის მონასტრის აღდგენის საქმეში, რადგან იგი მოიხსენიება მონასტრის დამცველ და აღმდგენ მეფე-დიდებულთა სიაში. ტიმოთე C ხელნაწერში პოეტის შემოქმედებას გარყვნილებას და ბოროტებას მიაწერს, რისი მიზეზიც ქართლში XVIII საუკუნეში არსებული იდეოლოგიური ბრძოლა უნდა იყოს. ზემოხსენებუ-

ლი ცნობების შეჯერებით, ე. მეტრეველი სათუოდ მიიჩნევს შოთა რუსთაველის იდენტობას შოთა მეჭურჭლეთუხუცესთან [3. 054,056,82].

პ. ინგოროყვა წერს, რომ შოთას ფრესკა 1250 წლამდეა შესრულებული, ე. ი. მაშინ, როცა საქართველოდან იერუსალიმში ჩასულ ანტონ ალავერდელ ეპისკოპოსს ჩაუწერია შოთა ჯვრის მონასტრის ალაპთა წიგნში მეჭურჭლეთუხუცესის სახელით. მკვლევარი მცდარს უწოდებს პოეტის იერუსალიმში დამკვიდრება-დასაფლავების ფაქტს, რადგან თვლის, რომ ანტონ ალავერდელი მას თვითონ გაუგზავნია იერუსალიმში თავის წარმომადგენლად. ანტონს თან ხლება ცოტნე დადიანის მოციქული გრიგოლ დრანდელიც. მათ 1245-50 წლებში განუახლებიათ ჯვარი [5.115; 1, 278].

აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელიც ირაკლი აბაშიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად იმყოფებოდა ჯვრის მონასტერში (1960 წლის ოქტომბერი), შოთა რუსთაველსა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესს ერთ პიროვნებად თვლიდა მონასტრის ალაპთა ნუსხაზე დაყრდნობით, თუმცა მონასტერში მისი დასაფლავების ფაქტს არ იზიარებდა [23.94].

კონცეფცია შოთას სიცოცხლის ბოლო პერიოდში იერუსალიმში ჩასვლის, ბერად აღკვეცის, მის მიერ მონასტრის განახლების და სიკვდილის მერე მონასტერში დასაფლავების შესახებ შეიქმნა მას მერე, რაც აქ შესრულდა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც, ისევე, როგორც სხვა ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, ტოვებს მიხატულის, ჩახატულის ან ჩამატებული შთაბეჭდილებას. მონასტრის ძირითადი ფრესკული ფენა ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე წმინდა მამების და საეკლესიო პირების, ბიბლიური პერსონაჟების ასახვას წარმოადგენს, ესაა XIII-XIV საუკუნეების, მონასტრის აღმშენებელი გიორგი-პროხორეს (XI საუკუნე) შემდგომი ფენა, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, შოთამ მარ-

თლაც მიიღო მონაწილეობა მონასტრის აღდგენა-განახლებაში [4.279], თუ მისი პორტრეტი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროს მოხატეს ან ჩაამატეს.

პროფესორი ი. სურგულაძე თვლიდა, რომ ფრესკაზე შოთას ჩაცმულობა გვაფიქრებინებს, რომ სავარაუდოდ, მისი პორტრეტი XIV საუკუნემდეა შესრულებული [12.5].

შოთა რუსთაველზე არსებულ მწირ ისტორიულ ცნობებს მეცნიერთა ერთი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევით ავსებს, პოემაში არსებული პასაჟები ისტორიულ სიბრტყეზე გადმოაქვს, რაც ჩემი, როგორც ისტორიკოსის აზრით, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იქნეს გაზიარებული, რადგან ლიტერატურული ნაწარმოების სრულფასოვან საისტორიო წყაროდ მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუ ის მეტ-ნაკლებად შეესაბამება რეალურ საისტორიო წყაროებს, რასაც შოთა რუსთაველის შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

„ქართლის ცხოვრებაში“ თამარის მეფობაში შოთა მეჭურჭლეთუხუცესი მოხსენიებული არ არის, სამაგიეროდ გვხვდება ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი, რომელსაც რუსთაველად თვლიდა პავლე ინგოროყვა. მეცნიერმა ვლადიმერ ჭელიძემ „ქართლის ცხოვრებაზე“ და ვეფხისტყაოსნის პასაჟებზე დაყრდნობით ასევე წამოაყენა ვერსია, შოთა რუსთაველისა და შოთა კუპრის იდენტობის შესახებ. მეცნიერი ეთანხმება პავლე ინგოროყვას, პარალელს ავლებს შოთა კუპრის ცხოვრებასა და „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს შორის და თვლის, რომ შოთა კუპრს შესაძლოა რქმეოდა არა კუპრი, არამედ კუხარი ანუ შოთა კუხარი (ჰერეთის სახელი კუხეთიდან), ის იყო მეჭურჭლეთუხუცესიც და პოეტიც, რომელმაც თავისი პოემა თამარის სიკვდილის შემდეგ, XIII საუკუნის 50-60-იან წლებში შექმნა, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟები ძალიან ჰგავს ამ პერიოდის მოვლენებს, რომლებიც ან საქართველოში ხდებოდა, ან საქართველოსთან კავშირში იყო (მაგ: ქაჯეთის ციხის აღება

- ბაღდადის ციხის აღებას ჰულაგუ ყაენის მიერ 1258 წელს, ხვარაზმშას მიერ ნესტან-დარეჯანის დანიშვნა - რუსუდანის მიერ ჯალალედინის ცოლობაზე უარის თქმას და ა.შ.) [15.3-11].

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ არსებობს უცხოელ მეცნიერთა უაღრესად ორიგინალური კვლევები, მაგალითად, სრულიად ახლებური მოსაზრება გამოთქვა რუსმა აღმოსავლეთმცოდნე ფელიქს კურცვაილმა. იგი ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ პირდაპირ მიუთითებს პოემის ირანულ წარმოშობაზე და მასში გადმოცემულია ისლამური დოგმატები, რის გამოც ის არ მიიღო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. უფრო მეტიც, მეცნიერი მამუკა თავაქარაშვილის მიერ ლევან დადიანის დაკვეთით გადწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან გამომდინარე (სადაც თამარ მეფე მოხსენიებული არ არის) პოემის დაწერის თარიღად XVII საუკუნის პირველ ნახევარს მიიჩნევს, ხოლო შოთას თვლის მის კარზე მოღვაწე პოეტად, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობასაც იკავებდა.

ცნობილია, რომ ლევან დადიანმა ნიკიფორე ირბახს ფინანსური დახმარება გაუწია ჯვრის მონასტრის აღდგენის და ხელახლა მოხატვის საქმეში. ფ. კურცვაილის ვარაუდით, სწორედ ამ დროს დახატეს შოთას ფრესკაც [20.24-92].

უფრო შორს მიდის ისრაელში მოღვაწე მეცნიერი ზოია ჯინჯიხაშვილი, იგი წერს:

„რუსთაველის შესახებ ცნობები მწირი და ბუნდოვანია, ბუნდოვანია, მისი გვარის რაობაც, არის მოსაზრება, რომ „რუსთაველი“ სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა უფროა, ვიდრე გვარი და მომდინარეობს იმ პერიოდის მესხეთში მდებარე დაბა რუსთავიდან, საიდანაც წარმოშობით ყოფილა თითქოს პოეტი. ამგვარი მოსაზრების საბაზს პოემის შემდეგი სტროფი იძლევა: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისად ამისა“.

სხვა ვარაუდით, „რუსთაველი“ თითქოს ხელობის, კერძოდ, რუების გამყვანის, მრთველის ხელობას აღნიშნავს: „მე რუსთველი (რუსმრთველი) ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“-ო, ნათქვამია პოემის შესავალში. ზემოთ მოყვანილი სტროფი - „ვნერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ - გარკვეულ ეჭვს და, შესაბამისად, კითხვასაც ბადებს „ვინმე მესხი მელექსისა“ და რუსთაველის იდენტიურობის შესახებ, ხოლო პოემის შემდეგი სტროფი:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარადავთქვი, საქმე

ვქმენ საჭოჭმანები“,

გარკვეულ ეჭვს აღძრავს უკვე პოემის ორიგინალობის შესახებ, გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსანი „ყოფილა სპარსული პროზაული ნაწარმოების ქართული თარგმანის გალექსილი, ანუ პოეტური ვარიანტი“ [19.13-14].

ზოია ჯინჯინაშვილი თვლის, რომ რუსთაველი იძულებული იყო, ალევორიულად, იგავური ენით ელაპარაკა, რადგან პირდაპირ ლაპარაკი არ შეეძლო, იდევენებოდა, რადგან იყო იუდეველი, ამის დამადასტურებლად მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ პასაჟები, რომელთა მისეულ კვლევა-აღწერას არ შეუდგებოდა, მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს მოვიტანთ: „ტექსტი არ შეიცავს გამონათქვამებს ქრისტიანული საღვთო წიგნებიდან, მაშინ, როცა სავსეა ბიბლიურ-ებრაული გამონათქვამებით, სახეებით, სიუჟეტებით... ავთანდილის ვედრება არ არის მიმართული მისადმი (ქრისტესადმი – ნ.თ.), იგი მიმართავს სამყაროს ერთადერთ უსახო ღმერთს - იაჰვეს. კითხულობ ავთანდილის ლოცვას და გგონია დიდი დავითის ფასლმუნებს კითხულობ“ [19. 40-41], „პოემის პირველივე სტრიქონები თორისებრი პოსტულატი იწყება“ [19.44-45] და ა.შ. რაც შეეხება რუსთაველის ფრესკას, ქ-ნი ჯინჯინაშვილი

თვლის რომ ფრესკაზე არსებული პირი და პოეტი ორი სხვადასხვა პიროვნება უნდა იყოს, რადგან იუდეველ და ტიმოთე გაბაშვილის მიერ „ბოროტ ლექსთა „მთქმელ“, ქრისტიანობის წარმყენელ პოეტს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არავინ დახატავდა [19.106-107].

რუსთაველის კავშირზე იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან საინტერესო ცნობებს გვანვდიან ბერძნულ-ლათინური ნარატიული წყაროები. 1905 წელს ბერძნული ორთოდოქსიის იერუსალიმის საპატრიარქოს თეოლოგიურ ჟურნალში „*Nea Zion*“ (ახალი სიონი), ტ.2, დაიბეჭდა არქიეპისკოპოს ქრუსოსტომოს ა. პაპადოპულოსის ვრცელი ნარკვევი „წმინდა ჯვრის მონასტერი“, რომელიც მანამდე არსებული მასალების და წყაროების შეკრება-გარჩევის თავისებურ ცდას წარმოადგენს. ავტორი ფართოდ იყენებს ქართულ, რუსულ და უცხოურ საისტორიო წყაროებს. ნაშრომი აშკარად პრობერძნულია.

იმონმებს რა მარი ბროსეს და ნაკლებად ცნობილ ისტორიკოსს ა. გრეგორობიუსს, იგი აღნიშნავს, რომ თამარის მეფობაში ცხოვრობდა შოთა რუსთაველი, რომელმაც 1192 წელს იმოგზაურა წმინდა მთასა და იერუსალიმში. მას თამარმა დაავალა დახმარება, აღმოეჩინა მონასტრის ძმობისათვის და შეეკეთებინა იგი, რაც პოეტს შეუსრულებია. პაპადოპულოსის ცნობით, ჯვრის მონასტერში შესასვლელიდან მარჯვენა მხარე სვეტზე არის მისი გამოსახულება წმინდა მაქსიმე აღმსარებელსა და წმინდა იოანე დამასკელს შორის. ავტორის აზრით, ეს სურათი განახლებულია XVII საუკუნეში [4.281].

ტრადიცია შოთა რუსთაველის იერუსალიმში ყოფნისა და მოღვაწეობის შესახებ, მტკიცედ დამკვიდრდა ჯერ პალესტინის, შემდეგ ისრაელის ადგილობრივ ბერძნულ-ებრაულ სამეცნიერო თუ სასულიერო წრეებში. ცნობილი ებრაელი მეცნიერი ზეევ ვილანი თავის წიგნში წერდა: „შუა საუკუნეებში ჯვრის მონასტერი მრავალი ბერის სადგომს წარმოადგენდა. რუსთა-

ველი აქ საქართველოდან 1185 წელს ჩამოვიდა. მისი სურათი დღემდე დაცულია წმინდა ეკლესიაში. ამ მონასტერში დანერა მან თავისი „ვეფხისტყაოსანი“ [4.281].

შ. ამირანაშვილი და ე. მამისთვალიშვილი თვლიან, რომ შოთა რუსთაველი იყო თამარის ელჩი სულთან სალადინთან. იგი ეხმარებოდა ეგვიპტესა და იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ჯვრის მონასტრის ბერებმა უკუდავწყვეს მისი სახე და სახელი [9.21]

შოთა რუსთაველის იერუსალიმისკენ სწრაფვა შესაძლოა თამარის იქ დაკრძალვის ფაქტითაც ყოფილიყო განპირობებული, რადგან არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, თამარის ძემ, გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშამ (1213-1222 წწ.) დედის ნეშტი იერუსალიმში წაიღო დასაკრძალად.

ვასილ ჩაჩანიძის მოწმობით, ვატიკანის ფონდებში აღმოჩნდა უცნობი ჯვაროსანი მხედრის მიერ დანერილი საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ მონღოლების შემოსევის წინა ხანაში თამარ მეფის ცხედარი ქართველთა ლაშქარმა ახალგაზრდა უფლისწულის წინამძღოლობით გადაასვენა იერუსალიმში და დაკრძალა ქართველთა მონასტერში [14.26].

არსებობს ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ თამარ მეფემ სიცოცხლეში იერუსალიმში წასვლის აღთქმა დადო, მაგრამ ვერ განახორციელა იგი. ამიტომ, მისმა ვაჟმა ლაშა-გირგიმ დედოფლის ძვლები წამოიღო და ძლევამოსილი ლაშქრით წამოვიდა წმინდა ქალაქის მისაღწევად და სარკინოზთა შესამუსრავად, რათა დედამისი ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც შესულიყო იერუსალიმს [24.223-224].

რაინდ დე ბუას წერილს ი. დავიდი ათარიღებს 1202 წლით [4.283], შ. ლომსაძე 1220-1222 წლებით [8.35]. ს. კაკაბაძე თვლის, რომ ლაშა-გიორგის შეეძლო დედის ნეშტი გადაესვენებინა იერუსალიმში [7.3]

იერუსალიმში თამარის გადასვენებას შეეხო შ. ამირანაშვილიც. იგი წერდა, რომ, მიუხედავად ოფიციალური ცნობისა თამარის გელათში დაკრძალვის შესახებ, აქ მისი აკლდამა „დიდი ხნის განმავლობაში ცარიელი ყოფილა. თანახმად წესისა, ყოველწლიურად თამარ მეფის გარდაცვალების დღეს, 18 იანვარს, ახდიდნენ ფიქალის აკლდამას და თამარ მეფის მოსახსენებლად პანაშვიდს გადაიხდიდნენ. ეს ფაქტი დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით. ამიტომ, ჩვენ საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ფრანგი რაინდის ცნობა ლაშა-გიორგის შესახებ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს [2.65].

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბერძენი არქეოლოგის ათანასიოს იკონომოპულოსის ცნობა, რომელიც ჯვრის მონასტერში 1976 წლამდე არქეოლოგიურ და სარესტავრაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მან მონასტერში, მარცხენა წინა სვეტის ქვეშ ნახა ორი დიდებული ქალის სამარხი, სადაც აღმოჩნდა მიცვალებულის სასთუმლის ქსოვილის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი ბერების მონასტერში მანდილოსანთა (თუნდაც დიდგვაროვანთა) დაკრძალვის ფაქტი ფრიად იშვიათია შუა საუკუნეების არქეოლოგიაში [1.65-66].

ზემომოყვანილი ცნობებიდან ყალიბდება ორი ვერსია:

1. თამარი დაკრძალულია იერუსალიმის „ქართველთა მონასტერში“, რომელსაც ე. მამისთვალიშვილი ჯვრის მონასტრად მიიჩნევს [9.22-24]. ამ ვერსიას ადასტურებს უცნობი ჯვაროსანი რაინდის ცნობა და ა. იკონომოპულოსის მონაცემები.

2. თამარი დაკრძალულია ქრისტეს საფლავის ახლოს, ამას ადასტურებს დე ბუას წერილი, რომელსაც ემხრობა შ. ამირანაშვილიც.

ამ ორი ვერსიიდან გამომდინარე, თამარის კავშირი იერუსალიმთან და წმინდა მინასთან უდავოა. ეს გარემოება გასაგებს ხდის შოთა რუსთაველის სწრაფვას წმინდა ქალაქისაკენ.

შ. ამირანაშვილის აზრით, „ჯვრის მონასტრის საეანეში პოეტი პოულობს განსვენების ადგილს“ [2.65].

ზემოთქმულ ცნობათაგან გამომდინარე, შესაძლოა ჩვენ დასაშვებად მივიჩნიოთ უკვე გამოთქმული არგუმენტები, მაგრამ, სამწუხაროდ, თამარის სურვილი, დასაფლავებულიყო იერუსალიმში, არ არის მოხსენიებული სხვა ისტორიულ წყაროებსა და საისტორიო დოკუმენტებში.

აღსანიშნავია, რომ დღეს მონასტერში შეიმჩნევა მხატვრობის ორი ქრონოლოგიური ფენა, პირველი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროისაა (რომელმაც ლევან II დადიანის სახსრებით მოხატა ჯვარი) – XVII საუკუნისა, მეორე – 1305-1314 წლებისა (როგორც ჩანს, ნიკიფორემ 1643 წელს მთლიანად არ გადაფარა ძველი მხატვრობა), რომელიც კიდევ უფრო ძველი XI-XII საუკუნეების მხატვრობის განახლება-შევსებას წარმოადგენს [21.75].

სამწუხაროდ, მეცნიერთა მრავალი კვლევის მიუხედავად, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის პორტრეტის ისტორიის საკითხი გადაუჭრელი რჩება და დარჩება მანამ, სანამ არ მოხდება ფრესკის დამუშავება ულტრაიისფერი სხივებით ან სხვა თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც ზუსტად დააფიქსირებს მის ასაკს¹ და იქნებ დიდი პოეტის ცხოვრების და მოღვაწეობის ბუნდოვანებით მოცულ საკითხებსაც მოჰფინოს ნათელი.

¹ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნათელა ვაჩნაძემ პრივატულ საუბარში მომითხრო, რომ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, კერძოდ, ულტრაიისფერი სხივების დახმარებით, იგორ მიხაილის ძე გინგულდორფმა შეაღწია ბეთანიის კედელში და აღმოაჩინა თამარის თავდაპირველი პორტრეტი, რომელიც დიდად განსხვავდება გვიანდელისგან და სწორედ ქალთა სპარსული პორტრეტების გავლენით არის შექმნილი: მრგვალი სახე, გადაბმული წარბები, ამონეული ყვრიმალეები.

ლიტერატურა – REFERENCES

1. აბაშიძე ი., შანიძე ა., წერეთელი გ., შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 12, 1960.
2. ამირანაშვილი შ., შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4, 1961.
3. გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, გამოსცა ე. მეტრეველმა, თბ., 1956.
4. დავიდი ი., ნაწერები, ტ. I, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976.
5. ინგოროყვა პ., შოთა რუსთაველი, ნაწილი I, თბ., 1958.
6. ინგოროყვა პ., *Rustaveliana*, ტფილისი, 1926.
7. კაკაბაძე ს., ერთი საკითხი საქართველოს ისტორიიდან, გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“, 11 დეკემბერი, 1940.
8. ლომსაძე შ., მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964.
9. მამისთვალისძევილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2002.
10. ჟურნ. „მომამბე“, №VIII, 1903.
11. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI საუკუნეები), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები გ. შარაშიძისა, თბ., 1971.
12. სურგულაძე ი., შოთა რუსთაველის პორტრეტის გამო, თბ., 1961.
13. ქუთათელაძე ა., ჯვრის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, გაზეთი „ივერია“, 1889 წლის 1 აპრილი, 4 აპრილი.
14. ჩაჩანიძე ვასილ., პეტრე იბერიელი და ქართველთა მონასტრის გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974.
15. ჭელიძე ვ., ჰერეთის ერისთავი შოთა („რუსთველიანას“ კვალდაკვალ), კრებული რუსთველოლოგია 8, თბ., 2017.

16. ჭიჭინაძე ზ., ქართული მწერლობა XII საუკუნეში, თბ., 1887.
17. ჭიჭინაძე ზ., შოთა რუსთაველის სურათის ამბავი, ჟურნ. „რუსთაველი“, №2, 10 ივნისი, 1918.
18. ჯანაშვილი მ., შოთა რუსთაველი (XII ს.), ტფილისი, 1896.
19. ჯინჯიხაშვილი ზ., იერუსალიმის საკრალური იდეა ვეფხისტყაოსანში, თელ-ავივი, 2019.
20. Курцвайль Ф., Эпоха творчества Шота Руставели (Иран и Закавказье в XVII веке, КАРАВАН, № 72, Сентябрь 2019.
21. Вирсаладзе Т.Б., Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тбилиси, 1973.
22. Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, ППС, IV, 1888.
23. Шанидзе А., Абашидзе И., Церетели Г., Поездка в Иерусалим, к вопросу о портрете Ш. Руставели, Вестник академии наук СССР, №8 Москва, 1961.
24. Meistermann.P., Cuida di terra Santa, Ierusalem, 1925.

Nino tomadze

Reminiscence of Rustaveli's Portrait in the History of Jerusalem Cross Monastery

Summary

Sacral nature of Shota Rustaveli's art and activities and scarcity of the sources about him, their mutually exclusive nature, paradoxical facts and hypotheses still comprise the part of Georgian history that was not finally clarified.

According to the widespread version, in the end of his life, Rustaveli has taken the monastic vows and headed to Palestine, in late 12th century he has restored Jerusalem Cross Monastery, ordered wall-painting. He died and was laid to rest there. This legend originates from

the Christian-liturgical sources of 17th – 18th centuries (King Archil, Catholicos Anthon, Timothy Gabashvili etc.) and the frescos in the monastery correspond to this to certain extent. Timothy Gabashvili, in his “Mimosvla” [Travels] wrote: “Cross Monastery was old and Shota Rustaveli, the royal treasurer has restored the columns under the dome and ordered wall painting and there is his portrait as well, where he is aged.” Timothy is the first of the researchers who has mentioned Shota Rustaveli, in relation to Cross Monastery.

The scientists’ opinions still differ about identity of Shota Rustaveli and his portrait in Cross Monastery: some of them think that he was the treasurer of Queen Tamar (1184-1213) and some identify him as Shora Kupri, prince of Hereti, there are certain scholars who do not regard the individual on the portrait as poet Shota Rustaveli. There is a version that the poet was the Jew, minister of Levan Dadiani, prince of Samegrelo (1611-1657) etc.

The views are different with respect of the portrait as well. Some researchers regard that Shota’s portrait in Jerusalem Cross Monastery was painted before 14th century and some of them dated it 17th century.

In this article we made attempt to collect all available historiographical and source materials about Shota Rustaveli’s identity and his portrait (we used absolutely unknown works by Zoia Jinjikhashvili and Felix Kurzweil offering quite original hypotheses on the studied issue.) and present them to the wide society.

**ციური ახვლედიანი
გიორგი ყუფარაძე**

ფრანგულ ფონეტიკური თავისებურებანი

ენა მუდმივგანვითარებადი მოვლენაა და ბუნებრივია, რომ მასზე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შემოჭრილი გლობალიზაციაც მოქმედებს. ვილჰელმ ჰუმბოლდტის თეორიის მიხედვით, ენა წარმოადგენს ხალხისა და მისი სულის ასახვას; შესაბამისად კი, ყველაფერი, რაც ხდება ცხოვრებაში, აისახება ენაში. პურისტთა მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, ფრანგული ენა ვერ ასცდა გლობალიზაციის ტენდენციებს. ეს პრობლემები უკავშირდება ფრანგული ენის მომავალსაც და ამიტომაც აქტუალურია მათი კვლევა.

ჩვენი კვლევის მიზანია ფრანგულ ფენომენის ფონეტიკურ თავისებურებათა შესწავლა. განვიხილავთ ფრანგული ენის კანადურ ვარიანტს, რადგან ის წარმოადგენს ორი ენის შერევის ყველაზე ნათელ მაგალითს. ფრანგული ენის კანადური ვარიანტი სავსებით ასახავს იმ მოვლენებს, რომლებიც ახასიათებს ფრანგულს. ჩვენი კვლევის მასალას წარმოადგენენ აუდიოვიზუალური მასალები.

ორი ენის თანაარსებობის ისტორიულ თავისებურებათა საფუძველზე, რომელთაც არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ ერთმანეთზე, წარმოიშვა ტერმინი ფრანგლე, რომელიც გაჩნდა ფრანგული ენის იმ ვარიანტის ბაზაზე, რომელიც იყო ინგლისური ენის ზემოქმედების ქვეშ. სახელდობრ, ამ მოვლენამ შეუწყო ხელი ფრანგულს გამოყოფას ანგლიკანიზაციის პროდუქტის სახით. ფრანგლე წარმოადგენს ფრანგული ენის ისეთ სახეობას, რომელშიც არის დიდი რაოდენობის ინგლისური სიტყვები და ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები.

ტერმინი „ფრანგლე“ წარმოიშვა ორი სიტყვის, ორი ენის სახელწოდებათა შეერთებით - "français" (ფრანგული ენა) + "anglais" (ინგლისური ენა) = franglais. ზოგი მკვლევარი შეცდომით ვარაუდობს, რომ ტერმინი „ფრანგლე“ პირველად შემოიტანა ენათმეცნიერმა **რენე ეტიემბლმა** თავის ნაშრომში „ლაპარაკობთ ფრანგლებზე?“ ("Parlez-vous franglais?", 1964). ხუთი წლით ადრე, 1959 წელს, გრამატიკოსმა მაქს რატმა გამოიყენა ეს ტერმინი თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "France-soir"-ში; თუმცა ეს ტერმინი ფართოდ გავრცელდა **ეტიემბლის** ნაშრომის შედეგად.

ფრანგული ენის ანგლიკანიზაციის ძირითად მიზეზთა შორის მკვლევრები გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს: გლობალიზაციის გარდაუვალ გავლენას, ორი კულტურისა და ორი ენის ურთიერთინტეგრაციას, მოდის, სტილის, განათლებულობის მინიშნებას, თვითგამოხატვის ერთ-ერთ მსუბუქ გზას, რთული ფრანგული კონსტრუქციების გამოყენების თავიდან აცილებას.

ფრანგლეს ენის გეოგრაფია სავსებით ლოგიკურია: ეს არის ის ადგილები, სადაც ისტორიულ გარემოებათა გამო, ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი კულტურა ერთმანეთს შეხვდა. დღეს ესენია: **ახალი ორლეანი, კანადა, ნანტილობრიკ კვებეკი და ონტარიო**, ასევე ცოტ-ცოტა რაოდენობით სხვადასხვა ადგილას.

ფრანკოკანადელთა ენაზე ინგლისური ენის გავლენა საკმაოდ ძლიერია. ამ გავლენის გამავრცელებლებია ბილინგვიზმი და ბიკულტურალიზმი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში და ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისური ენის დინამიური მეზობლობა. კანადაში ბილინგვიზმს თავისი თავისებურებანი გააჩნია. თუმცა ორივე ენა წარმოადგენს ოფიციალურად თანაბარუფლებიან სახელმწიფო ენას, ინგლისურ ენას მაინც, ფაქტობრივად, დომინირებული მდგომარეობა უჭირავს.

თავისი მდგომარეობით, ფრანგული ენა კანადაში, განსაკუთრებით კვებეკის პროვინციაში, წარმოდგენილია შინაგანი დიგლოსიით, ანუ სალიტერატურო და სასაუბრო ფორმების თანაარსებობით, ფრანგული ენის ერთიანი კანადური ვარიანტის ჩარჩოებში. ფრანკო-კანადური დიგლოსიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სალიტერატურო ფრანგული ენა განიცდის გავლენას არა მარტო ჟუალის მხრიდან, არამედ ინგლისური ენიდანაც. („ჟუალი“ არის კანადური სასაუბრო ენა, რომლის სახელწოდება მომდინარეობს მონრეალური თავისებური წარმოთქმიდან სიტყვისა „cheval“ - horse ცხენი, წარმოთქვამდნენ „joul“). ტერმინი „დიგლოსია“, მეცნიერული გამოყენებით, შემოიტანა ამერიკელმა მკვლევარმა ჩარლზ ალბერტ ფერგიუსონმა 1959 წელს. მანამდე ლინგვისტიკაში გამოიყენებოდა ტერმინი „ორენოვნება“, რაც იყო ადაპტირებული ეკვივალენტი ინტერნაციონალური ტერმინისა „ბილინგვიზმი“.

კვებეკური ფრანგულის ერთ-ერთი ნათელი თავისებურებაა დაჭიმული არტიკულაციის არარსებობა, წარმოთქმის შერბილებული მანერა. კანადელი ფრანგები გამოირჩევიან „არადაჭიმული პირით“, რაც იწვევს თანხმოვანთა არასაკმარის დაჭიმულობას და ხშირი თანხმოვნების ფრიკატიულ თანხმოვნებში გადასვლას. ეს განსაკუთრებით ვლინდება ინტერვოკალურ თანხმოვნებში; მაგალითად, **avec elle** ჟღერს, როგორც **aveg el - blind; encore - still** – როგორც **agor**. ამ მოვლენამ ასევე გამოიწვია ხმოვანთა დიფთონგიზაცია (**mon p[ai]re** „ჩემი მამა“, **gar[au]ge -garage** „გარაჟი“), თანხმოვან-აფრიკატთა გაჩენა [**ts**], [**dz**] - [**t**], [**d**] -საგან, ხმოვანთა წინ (**tu dis [tsudzi]- you say** „შენ ამბობ“, **viaduc - viadzuc, tien – tsien, tu – tsu, dimanche – dzimanche, petit – pœtsi**, ასევე პალატალიზებულ თანხმოვნებთანაც [**k**], [**g**] ზოგიერთი ხმოვნის წინ (**curé [kɥre]- priest** „კიურე, მღვდელი“).

კანადელთა წარმოთქმაში ხმოვნები მეტად ღიაა, ჟღერადობის გრძლიობა მეტად ხანგრძლივია, ვიდრე სტანდარტულ ფრანგულ ენაში. ხმოვანთა დახურულობა და ღიაობა არ არის დამახასიათებელი კანადური ფრანგულისათვის, რაც ინგლისური ენის მემკვიდრეობითაა მიღებული.

კანადური დახურული ხმოვნები ხშირად ღია ხმოვნებივით ჟღერენ: **vous avez – you are** ჟღერს, როგორც [vu-za-ve]; **tu es allé – gone to the kingdom, he passed away** როგორც [ty-ε-za-le], [ε] r -ს წინა პოზიციაში ხდება [a] : **mer1e [mar1], éternité [e-tar-nite]**. უმახვილო ხმოვნები წარმოითქმიან, როგორც საშუალო [e]: **soucoupe - saucer** ჟღერს, როგორც [se-kup]; **concombre** როგორც [ke-kon:b]. ცხვირისმიერები ხშირად კარგავენ ცხვირისმიერობის ხარისხს: ცხვირისმიერი **a** ხშირად ჟღერს, როგორც [a]; **o** ცხვირისმიერი – როგორც [o]. მეორე მხრივ, უფრო შესამჩნევი ხდება ხმოვნის ტენდენცია ნაზალიზაციისაკენ ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ: **il aime - beloved; il gagne – win win situation; winning edge**.

საფრანგეთის ნორმატიულ წარმოთქმასთან შედარებით, უფრო ხშირია [ə]-ს ამოვარდნა; ასე, მაგალითად, ფრაზაში **Je l'ai fait de nuit – I did it at night** კანადელი ორჯერ „ყლაპავს“ (არ წარმოთქვამს) [ə]-ს და წარმოთქვამს, როგორც **J' l'ai fait d' nuit**, იმ დროს, როდესაც ნორმატიულ ფრანგულში, როგორც წესი, მეორე [ə] აუცილებლად ჟღერს.

კანადაში [oi] ინარჩუნებს წარმოთქმა [we]-ს; [œ] ან [e], რომლებიც XVI საუკუნის შემდეგ შეიცვალა [wa]-თი, სიტყვებში **boîte, oiseau, roi, fois, étoile** ჟღერს, როგორც [boet], [wezo], [fwe], [etwe1]. სიტყვები, რომლებიც ბოლოვდებიან **-oir**-ზე, ხშირად წარმოითქმიან **ouère**-ად: **histouère (histoire), mémouère (mémoire)**.

კანადელები წარმოთქვამენ დიფთონგ **ai**-ს, რაც ნორმატიულ ფრანგულში აღარ არსებობს მრავალი საუკუნეა: **fête [feit]**,

caire [keir]. ასევე საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული უკანა რიგის [ɑ]-ს შენარჩუნებაც, რომელსაც ახლავს ბაგეების ისეთი მომრგვალება, რომ მიიღება [o]-ს მსგავსი ბგერა: **là-bas > là-bâ** „იქ“.

ხმოვანთა შორის განლაგებული თანხმოვნები ხშირად არ წარმოითქმის; ასე, მაგალითად, **elle a mal à la tête - she has a headache** ჟღერს, როგორც **e a a mal à la tête**.

რიტმულ ჯგუფებს შიგნით უმახვილო მარცვლები გრძელია, მახვილიანი მარცვალი კი - ნაკლებად გრძელია, ვიდრე ნორმატიულ ფრანგულში. ამის შედეგად, ბოლოსწინა სიტყვა, ნორმატიული ფრანგულის თვალსაზრისით, გამოყოფილად აღიქმება, მაგალითად: **deux** ფრაზაში **Il l'a fait deux fois - He did it twice; est** ფრაზაში **La cave est pleine - The cellar is full; ses** ფრაზაში **Elle a lavé ses bas - She washed her stockings**. ფრაზის რიტმის ცვლა კანადურ მეტყველებას გაჭიმულობისა და მდერადობის მეტ ელფერს სძენს, ნორმატიულ ფრანგულთან შედარებით.

ლიტერატურა – REFERENCES

1. Lambert, James, A multitude of 'lishes': The nomenclature of hybridity. English World-wide, 39(1): 14, 2018.
2. Rowlett P., "Franglais", Concise Encyclopedia of Languages of the World, Elsevier, 2010, pp. 425-426.
3. Кобринец О., К проблеме изучения франгле во французском языке. 221 Studia
4. methodologica. Вип. 35, Тернопіль: ТНПУ, 2013.
5. Бондаренко Е., Parlez-vous franglais? Смена. № 4, 2011.

ინტერნეტრესურსები:

www.babbel.com

Интернет ресурс - «Французский язык в Канаде».

Tsiuri Akhvlediani
Giorgi Kuparadze

Phonetic features of Franglais

Summary

Franglais (French: [fʁɑ̃ˈglɛ]; also **Frenghish** /^lfɹɛŋɡlɪʃ/) is a French blend which referred first to the overuse of English words by French-speakers, and later to diglossia or the macaronic mixture of French (*français*) and English (*anglais*). Language is a constantly evolving phenomenon and there is no doubt that it is affected by globalization that has invaded all areas of our lives. According to Wilhelm Humboldt's theory, language is a reflection of a people and their souls. Consequently, everything that happens in life is reflected in language.

The aim of our study is to analyze the phonetic features of Franglais. We have taken the Canadian version of French as it is the clearest and most suitable example of a mixture of two languages. The Canadian version of the French language fully reflects the events that characterize the French. The material of our research is audiovisual sources.

In conclusion, the change in the rhythm of the phrase gives the Canadian speech a more elongated and chanting colouring than the normative French.

ხატია ცეცხლაძე

ხალხური აღზრდის მეთოდები სამეგრელოში

ნეს-ჩვეულებათა ლოკალურ თავისებურებათა შესწავლის თვალსაზრისით, ერთ-ერთ საინტერესო კუთხედ საქართველოში წარმოდგენილია სამეგრელო, რომლის მაგალითზეც ნათლად ჩანს აღზრდის ქართული ხალხური ტრადიციები.

სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ბავშვის დაბადება ყველაზე სასიხარულო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოჯახში. ზოგადად ამ რეგიონში ქალს, რომელსაც ბევრი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა, ყველაზე ბედნიერად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. გასული საუკუნის დასაწყისში ბევრი დეტალი იყო წინ წამოწეული ბავშვის აღზრდის თვალსაზრისით, ძველი ადათ-წესების მიხედვით, როდესაც ბავშვი იზადებოდა, ბებია ქალი ნელთბილი წყლით დაბანდა, ბავშვის დასაბან წყალში ცოტა მარილს ჩაყრიდა კანის სიმაგრისათვის, ბავშვი თუ ვაჟი იყო, ცოტა ღვინოსაც ჩაუმატებდა, „ღვინის ამტანი დადგებო“, პირველ ნაბან წყალს კი ერთი თვის განმავლობაში სახლში, ცეცხლის ახლოს, ან საწოლის ქვეშ ღვრიდნენ, ავი სული რომ არ დაპატრონებოდა, ახალშობილი ბავშვის ტანსაცმლის ნარეცხ წყალსაც გარეთ არ ღვრიდნენ იგივენაირად ერთი თვე და იტყოდნენ, ღამით ცამ არ დახედოსო. არსებობდა კიდევ უამრავი სხვა დეტალი, რომელიც, რასაკვირველია, ტრანსფორმაციის შედეგად თითქმის რეგიონის არც ერთ კუთხეში არ არის შემორჩენილი სრულად, თუმცა ამ წესების დაცვით მათ გაზარდეს თაობები. სამეგრელოში გავრცელებული იყო ასეთი წესიც, რომელსაც ბავშვის „მონოხუნაფა“ - მიგდება ეწოდებოდა. ამას აკეთებდნენ უშვილოდ დარჩენილი ოჯახებისათვის, უკანონო ან უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს დაუსვამდნენ ასეთ ოჯახებს, კარებთან ან ეზოში და

ასე აბედნიერებდნენ მათ, ისინიც ზრდიდნენ შვილს ისე, როგორც საკუთარს და ა.შ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამაგრელოში აკვანს. აკვანის მათ წარმოსახვაში გასულიერებული იყო და ამიტომ მას, როგორც სულიერს, ისე ეპყრობოდნენ და მიმართავდნენ. აკვანს, რომელშიც ბევრი ბავშვი იყო გაზრდილი, ბედნიერ აკვნად ითვლებოდა. ხალხის რწმენით, ასეთ აკვანში ბავშვი კარგად გაიზრდებოდა და ბედნიერი იქნებოდა. თუ ოჯახს არ „ჰყავდა“ აკვანი, მაშინ ითხოვნდნენ ბედნიერ აკვანს მეზობლისგან ან ახლობლისგან იქამდე, ვიდრე ქალის მშობლები „მოუყვანდნენ“ ახალ განყობილ აკვანს ოჯახს. იყო ასეთი წესიც, ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში იმართებოდა დალოცვა „ხვამა“, ამ დღეს ბავშვს ფუძის მფარველს შეავედრებდნენ, ტრადიციული რიტუალის შესრულებით. გავრცელებული და წესად მიღებული იყო ბავშვის გაძიძავებაც. ეს წესი ხელს უწყობდა ღარიბ გლეხს დაახლოვებოდა შეძლებულ ოჯახს, რომელსაც შეეძლო მისთვის გაენია დახმარება და მფარველობა. ამ მიზნით გლეხის ოჯახი სთხოვდა თავადს, აზნაურს, შეძლებულ ვაჭარსა თუ მოხელეს შვილს გასაზრდელად, შემდეგ კი ეს „ძიძე“ თავის მოზრდილს ზრდიდა შვილივით და ხშირად უსასყიდლოდაც.

ხალხურმა აღზრდამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, უკვდავია მისი საშუალებანი: სიმღერა, ზღაპარი, გამოცანა, ანდაზა, თქმულებანი და ბევრი სხვა.

დედა იყო ბავშვის პირველი და განუყრელი მასწავლებელი, რომელიც აკვნიდან იწყებდა „ნანას“ (იავნანა) მელოდიის მღერით, რომლითაც ხდებოდა ბავშვის გარე სამყაროსთან ადაპტაცია. შემდგომ ამისა, ყველაზე კეთილი მეგობრები და მასწავლებლები მოზარდთათვის იყვნენ ბებიები და ბაბუები, რომლებიც მუდამ მათ გვერდით იმყოფებოდნენ და ფრთხილად, მოფერებითა და დაყვავებით ცდილობდნენ, შეეყვანათ

პატარა არსებები იმ დიდ სამყაროში, რომელშიც შემდეგ მოუხდებოდათ მათ ცხოვრება. ისინი ხშირად შეუმჩნევლად და უბრალოდ გამოთქვამდნენ ისეთ სიბრძნეს, რომელსაც ბავშვი სხვაგან ვერსად შეხვდებოდა.

ბავშვის გონებრივი თვისებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდა ზღაპარიც, რომელიც მას ასწავლიდა მშობელი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს. სამეგრელოში, ამ მხრივ, ცნობილია თქმულება „არამხუტეს“ შესახებ, რომელიც იგივე ამირანია. ხალხის რწმენით, კარგი შვილის აღზრდა დამოკიდებული იყო ოჯახზე. ცოლ-ქმარი თუ ერთმანეთისა და ოჯახის მოყვარული, პატიოსანი და შრომისმოყვარე იყო, ბავშვიც ისეთივე იქნებოდა და ეს მართლაც ასე ხდებოდა, თუ ისინი ერთმანეთის მიმართ მოკრძალებას და პატივისცემას გამოხატავდნენ, რასაკვირველია, ეს დიდ ზეგავლენას ახდენდა პატარების მორალურ აღზრდაზე და გამოიხატებოდა ყველაფერში. მოზარდებიც მოკრძალებით და რიდით ეკიდებოდნენ ოჯახის უფროს წევრებს და განსაკუთრებით სტუმარს, სტუმრის დახვედრა მიღებული იყო 6-7 წლის ასაკიდან, გოგონა უნდა შეხვედროდა სტუმარს, წყალი მიერთვა მისთვის და ხელი დაებანინებინა, ბიჭს კი ცხენი ჩამოერთმია. მათ იცოდნენ, რომ ეს მათი მოვალეობა იყო და უსიტყვოდ ასრულებდნენ ამ წესს. ძირითადად ბავშვებს შრომას ადრეული ასაკიდან აჩვენებდნენ, 5-6 წლიდან, ისინი ასრულებდნენ იოლ სამუშაოებს, გოგონები დედის დამხმარეებად გვევლინებიან მეტწილად საოჯახო, საქალბო საქმეებში: სახლის დავა, ჭურჭლის დარეცხვა, პატარა დებისა და ძმების მოვლა, კერვის, ქსოვის შესწავლა, ფრინველის, პირუტყვის მოვლა. ვაჟს უმეტესად მამა აჩვენებდა შრომას, საქმიანობა მწყემსობით იწყებოდა, თანდათანობით ასწავლიდნენ ხარების უღელში შებმას და გამოხსნას, ურმის გამართვას, ვაჟები ეხმარებოდნენ მამას ბარვაში, თონხაში, მოსავლის აღებაში, შრომას მსუბუქად და

შეუმჩნევლად აჩვენებდნენ მშობლები მოზარდებს, რომ დალღა არ ეგრძნოთ. მათი შრომით აღზრდაც ბუნებრივად ხდებოდა, ის საქმიანობა, რომელიც მათ ევალუბოდათ, პატარაობიდანვე უღვივებდა პასუხისმგებლობის გრძნობას, ითვისებდნენ დიდი ადამიანების ჩვევებს, პირველ რიგში, ითვისებდნენ იმას, რასაც ოჯახში ხედავდნენ მშობლებისგან და ასე ყალიბდებოდა მათი ხასიათი.

უფროს-უმცროსობის ჩანერგვაც პატარაობიდანვე ხდებოდა ბავშვებში. ყველაფერს წესისამებრ აჩვენებდნენ მათ, ეს წესები კი გამოიხატებოდა სადილობის და ზოგადად საჭმლის მირთმევის დროსაც, კერძოდ, სუფრასთან დაჯდომის დაგეგმარებით. მეგრელები ცხოვრობდნენ ჯარგვალში (მეგრული ოდა სახლი), ოთახში, სადაც სადილობდნენ, ორი ტაბაკი (მაგიდა) იდგმებოდა, ერთი გრძელი ტაბაკი დიდებისთვის და მეორე – დაბალი და პატარა, რომელსაც შემოდგმული ჰქონდა ხის სკამები, პატარა ტაბაკს ბავშვები მოუსხდებოდნენ თავიანთი „კველებით“ (ხის სკამი), დიდ ტაბაკს კი – უფროსები. სუფრის თავში მამა ან ბაბუა დაჯდებოდა, როგორც ოჯახის უფროსი, შემდეგ კი დედა და ბებია, ხოლო შემდგომ ამისა, 12 წელს გადამორებული შვილები, რომლებსაც ზრდასრულობიდან გამომდინარე შეეძლოთ უფროსებთან ერთად დაჯდომა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფროსი სახლში არ იმყოფებოდა, მის სკამზე დაჯდომა შეეძლო მხოლოდ უფროს ვაჟს, ხოლო ქალს ამის უფლება არ ჰქონდა. სუფრასთან დაჯდომის წესი უცვლელი იყო, სტუმრის მოსვლის შემთხვევაშიც.

როგორც წესი, აუცილებელი პირობა იყო სუფრის დალოცვა ღვინით ოჯახის უფროსის მიერ, პირველი სათქმელი ყოვლად წმინდისა იყო - „საყოვლად წმინდა“, ღვინოს კი სვამდნენ ერთი ჭიქიდან, რომელიც ბზისგან იყო დამზადებული, ეს იყო ბზის ხისგან გამოთლილი ჭიქა (ბზის გამოყენება ძირითადად კოლხეთში ხდებოდა, რადგან ბზა აქ დიდი და მაღალი იზრდებოდა).

ოჯახის უფროსები, სუფრაზე ბავშვების საყურადღებოდ, მათ გასაგონად საუბრობდნენ მორალზე, უფროსისა და უმცროსის დამოკიდებულებაზე, ასწავლიდნენ უმცროსებს, ყოფილიყვნენ წესიერები, არ ეჩხუბათ, უნმანური სიტყვა არ ეთქვათ და, ზოგადად, მიებაძათ უფროსებისათვის. შესაბამისად, უფროსიც უნდა ყოფილიყო პირველრიგში მისაბაძი. ეთიკური საუბრები აღმზრდელის მიერ ავტორიტეტით უნდა ყოფილიყო სამაგალითო, მაღალზნეობრივი ქცევით განმტკიცებული. ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე კი, თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინდელი სუფრა და მისი წესები აღმზრდელობითი დატვირთვის იყო, რამაც დიდი შედეგი გამოიღო შემდგომ ბავშვების, მოზრდილების სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

არის კიდევ უტყუარი, აუცილებლად აღსანიშნავი ფაქტორი - მეცხენეობა, რაც სამეგრელოში არა მარტო მეცხოველეობის განვითარებაში გამოიყოფოდა მნიშვნელოვან წილად, არამედ ბიჭის კაცად, ვაჟკაცად ჩამოყალიბებაშიც. ამ რეგიონში ცხენი წინნამონეული შინაური ცხოველი იყო. მის გარეშე წარმოუდგენელი იყო ნადირობა და ლაშქრობა, ამიტომ ცხენზე ჯდომაც და ცხენით ჯირითიც ვაჟკაცობად ითვლებოდა, ვაჟკაცი კი უნდა ყოფილიყო ყველა ბიჭი შვილი, თუ ამის უნარი ჩამოუყალიბდებოდა და განუვითარდებოდა. შესაბამისად, ცხენით ჯირითიც და გათამაშებაც ძალიან გავრცელებული იყო სამეგრელოში. აწყობდნენ „მარულას“ (ცხენით ჯირითიდოლი) წელიწადში რამდენიმეჯერ, რომელიც აუცილებლად რომელიმე დღესასწაულთან იყო კავშირში, „მარულაში“ გამარჯვებულს კი აჯილდოვებდნენ დროშით, ფულითა და ნივთებით. ამ წეს-ჩვეულებათა დეტალური ანალიზი კი ძალიან საინტერესოდ აქვს განხილული სერგი მაკლათიას თავის ნაშრომში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფი“, რომელიც

თვალსაჩინო მაგალითია რეგიონში სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებისა.

სამეგრელოში ალზრდის სისტემაში გამოიყოფოდა კიდევ ერთი წესი - ხალხური თამაშების განვითარებისა, რაც ჯანსაღი მომავლის განსაზღვრაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რომელიც ისევე და ისევე უნარების განვითარებას უწყობდა ხელს, ეს იყო საზრიანობა, გამბედაობა, ამტანობა, ნებისყოფა, აქტიურობა. ამ უნარების განვითარება კი კარგად აისახებოდა ამ თამაშებში, მაგალითად, „სახლობანას“ თამაშში გამოიხატებოდა, თუ როგორ იღებდა, ითავისებდა ბავშვი ოჯახიდან აღებულ წესებს, ამზადებდნენ სათამაშო საოჯახო ნივთებს, ბურთს და ა.შ. თამაშებიდან ცნობილია „გერობაია“ (მგელობანა), ლელო ბურთი, „ოფრიალაია“ - ნყავის ფოთლებისგან დამზადებული ბურთით თამაში, ცხენაობა, „თარხვანტია“ (გასროლა), „ტყობინჯაია“ (დამალობანა). სამეგრელო ძირითადად დასახლებული იყო მრავალშვილიანი ოჯახებით. ოჯახის როლი კი დიდი იყო ყველა შვილის აღზრდა-განვითარებაში, უფროსი შვილები მზრუნველობდნენ უმცროს დაძმაზე, პატრონობდნენ, ასწავლიდნენ, ხოლო იშვიათი შემთხვევა იყო, როცა უმცროსს შვილს შეეძლო უფროსზე მიეცა რჩევა-დარიგება, ამ შემთხვევაში ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო აუცილებლად განათლებული, პატივსაცემი კაცი, მასწავლებელი ან მღვდელი. ალზრდის ამ ფასეულობათა გადაცემას კი ისინი თავიანთ დაძმაზე იწყებდნენ ადრეული ასაკიდან.

ზემოთ აღნიშნულ მრავალფეროვანი მაგალითების საფუძველზე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალზრდა არის მავალმხრივი პროცესი და იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, საქართველო კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ამ თვისებათა მაგალითზე კი კარგად ჩანს, თუ როგორ თანმიმდევრულად ვითარდებოდა საქართველოში სულიერი კულტურა.

რა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ერის განვითარებასა და წინსვლაში.

ლიტერატურა – REFERENCES

1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1939.
2. კაპანაძე ნ., ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წესჩვეულებანი, თბ., 1986.
3. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
4. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979.

Khatia Tsetskhladze

Methods of folk upbringing in Samegrelo

Summary

The article presents and describes, based on the ethnographic material of Samegrelo, a number of features and examples of upbringing, child care and related customs from an early age to adulthood. In terms of studying local peculiarities, it is confirmed that Samegrelo is distinguished in this respect by interesting Georgian-folk traditions of upbringing. The article describes the peculiarities and importance of raising a cradle, the elements of caring for the health of the child from birth, prostitution, the rule of „single parent“, which had a significant positive impact on childless families, the norm and custom of older youth, the importance of fairy tales, proverbs, sayings and songs in the development of a child's mental development and moral qualities, the rules of receiving a guest, elements of folk games, how the upbringing of

a good child depended on family, wife, grandparents as on the best teachers of morals and many other important factors. All this is a clear example of the development of spiritual culture in Georgia and its regions, specifically in the Samegrelo region, in particular the example of traditional elements of child rearing, which is crucial for the development and progress of the nation.

ლალი გულედანი

მე-19 საუკუნეში საქართველოში მიგრირებული ებრაელები¹

საქართველოში მცხოვრები ებრაელები მიგრაციის თარიღის მიხედვით რამდენიმე ნაკადს ქმნიან: პირველი ტალღა - 26 საუკუნის წინ შემოსული ებრაელები სეფარდული ტრადიციის მიმდევრებად ითვლებიან. აშქენაზი ებრაელები საქართველოში ჩამოსახლდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ხოლო ლახ-ლუხები და მთიელი ებრაელების მცირე ნაკადი საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა.

სტატიაში განხილულია ინფორმაცია საქართველოში მე-19 საუკუნეში მიგრირებული ებრაელების ქვეყანაში შემოსვლის, მათი იდენტობისა და ადგილობრივ ებრაელებთან ურთიერთობის საკითხები.

სახელწოდება აშქენაზი უნდა მომდინარეობდეს ბიბლიიდან: ნოეს ძე იაფეთი, მისი პირველი ძე - გომერი და გომერის პირმშო- აშქენაზი [1.10.3]. თავდაპირველად აშქენაზი ებრაელების ებრაული დიასპორა გაერთიანდა წმიდა რომის იმპერიაში პირველი ათასწლეულის ბოლოს [11.143; 13;]. შუა საუკუნეებში ისინი გადავიდნენ ჩრდილოეთ ევროპაში მდინარე რეინის გასწვრივ ძირითადად გერმანიასა და საფრანგეთში. აშქენაზი ებრაული დიასპორის ტრადიციული ენა გახდა იდიში (გერმანული, ებრაული და არამეული ელემენტებით). უფრო მოგვიანებით რელიგიური დევნის გამო, აშქენაზი მოსახლეო-

¹ მოხსენება მომზადდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით გრანტის ფარგლებში [გრანტის ნომერი: I-2016-32] „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“.

ბის უმეტესობა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გადასახლდა. ესენია: ბელორუსია, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუსეთი და უკრაინა [12].

მე-18 და მე-19 საუკუნეების ბოლოს იმ ებრაელებმა, რომლებიც დარჩნენ ან დაბრუნდნენ გერმანულ მიწებზე, კულტურული რეორგანიზაცია მოახდინეს ჰასქალას გავლენის ქვეშ ემანსიპაციისთვის ბრძოლაში და შეიმუშავეს ებრაული რელიგიური ცხოვრების ახალი სახეები და კულტურული იდენტობა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ აშქენაზ ებრაელებს მიუძღვით. მეორე მსოფლიო ომის ჰოლოკოსტის ტრაგედია თითქმის ყველა აშქენაზურ ოჯახს შეეხო, განადგურდა მათი უმრავლესობა. ტრაგედიამდე პიკს მიღწეული მათი რაოდენობა (92% მთელი ებრაული მოსახლეობის) მკვეთრად დაეცა.

საუკუნეების მანძილზე ისინი ებრაულ ენას იყენებდნენ მხოლოდ წმინდა რელიგიური მიზნით, ვიდრე ისრაელში ებრაული ხელახლა არ გააცოცხლეს. ევროპაში აშქენაზურმა დიასპორამ დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკასა და მეცნიერებაში [8.20; 9.147-148;].

რაც შეეხება საქართველოში მაცხოვრებელ აშქენაზებს, მათზე რაიმე ხასიათის კვლევა ან პუბლიკაცია არ გამოქვეყნებულა. აშქენაზი რესპოდენტებისაგან და ფრაგმენტულად გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება შემდეგი:

1801 წელს საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ განსაკუთრებით მის დედაქალაქ თბილისში დაიწყო დასახლება როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებმა ებრაელებმა. უკვე მე-19 საუკუნის 30-იანი წლებში საქართველოში მუდმივად ცხოვრობდა რამდენიმე ასეული რუსი აშქენაზი ებრაელი, რომლებიც ძირითადად თავისუფალ პროფესიებს ფლობდნენ (ექიმები, ფარმაცევტები, ფოტოგრაფები, მკერავები, მესაათეები, იუველირე-

ბი, მშენებარე ინჟინრები, მწარმოებლები), რასაც საკმაოდ დიდი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკისთვის.

აშქენაზ ებრაელთა უმეტესობა საქართველოში რუსულენოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ იდიში და თავდაპირველად ხშირად მშობლიურ ენადაც ასახელებდნენ, საქართველოში ცხოვრებისას საურთიერთოდ მაინც რუსულს იყენებდნენ, რაც იყო მათთვის საკომუნიკაციო ენა როგორც ოჯახში, ასევე სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან. განათლებასაც რუსულად იღებდნენ, სწავლობდნენ რუსულ ბალებსა და სკოლებში, შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლას უმეტესად რუსეთში ან საქართველოში რუსულენოვან სექტორებზე აგრძელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა, რაც 1922 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა, აშქენაზ ებრაელთა დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ არ შეცვლილა. ისინი კვლავ რუსულენოვანები დარჩნენ, რასაც ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკაც.

ამდენად, თბილისში მცხოვრები აშქენაზი ებრაელები გამართულად ფლობდნენ იდიშსა და რუსულს. მათ იცოდნენ ქართული, ესმოდათ, შეეძლოთ საუბარიც, თუმცა მას იშვიათად იყენებდნენ. ასევე, თავიანთივე თვითშეფასებით, ნაკლებად შეეძლოთ ქართულად წერა და კითხვა. რაც შეეხება აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებ აშქენაზებს, იდიშის, რუსულისა და ქართულის კომპეტენციები მათთანაც ანალოგიური იყო, მაგრამ აფხაზეთში მცხოვრებ ებრაელთა თვითშეფასების მიხედვით, მათ შეეძლოთ აფხაზურად საუბარიც, ესმოდათ ეს ენა და რადგან აფხაზური ანბანი ეფუძნებოდა რუსულ ანბანს, შეეძლოთ წერა-კითხვაც. ცხინვალში მცხოვრებ ებრაელებსაც ესმოდათ და საუბრობდნენ კიდევ ოსურ ენაზე და შეეძლოთ

წერაცა და კითხვაც, რადგან ოსური ანბანიც რუსულის საფუძველზე იყო შექმნილი [5.58-59].

რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ და საქართველოს ტერიტორიის ანექსიამ მკვეთრად შეცვალა ქართველ ებრაელთა მდგომარეობა ზოგადად. თავდაპირველად რუსული ადმინისტრაცია ქართველ ებრაელებს ქართველებისაგან მხოლოდ იუდაისტური რწმენით განასხვავებდა, რომლებზეც არ უნდა გავრცელებულიყო რუსეთის იმპერიის მიერ აშქენაზ ებრაელებზე დაწესებული შეზღუდვები, მაგრამ შემდგომ როგორც მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ისე რუსეთის მმართველმა წრეებმა, დაიწყეს ანტისემიტური შეზღუდვები. მათ შეიმუშავეს ანტისემიტური იდეოლოგია და გაავრცელეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში.

1897 წლის აღწერის მიხედვით,¹ 18,574 საქართველოში მცხოვრები ებრაელებიდან ორი მესამედი იყო აშქენაზი (12,540 ადამიანი). აშქენაზები უმრავლესობას წარმოადგენდნენ საქართველოს უდიდეს ორ ებრაულ თემში - თბილისსა და ბათუმში. მხოლოდ ქუთაისში, საქართველოს მესამე დიდ ქალაქში უპირატესობდნენ ქართველი ებრაელები. განსხვავებები რიტუალებში, ტრადიციებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საერთო ენის არარსებობა, აშქენაზების ნაწილის რელიგიური თავისუფლება და ქართველ ებრაელთა უმრავლესობის კულტურული და რელიგიური ცხოვრების დაბალი დონე ხელს უწყობდა ორ თემს შორის დაძაბულ ურთიერთობას. აშქენაზე-

¹ შედარებით სრული სურათი მოგვცა რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მ პირველმა საყოველთაო აღწერამ (1897 წ.), მაგრამ ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენა ამ აღწერილთა ც შეუძლებელია, რადგან ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნად მხოლოდ მშობლიური ენა მიიჩნეეს. XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც მიგრაციულმა ნაკადებმა შედარებით მოიკლო, 1897 წლისთვის ასეთი ეთნოდემოგრაფიული სურათი წარმოგვიდგება: ებრაელების ნაკადი შემცირდა - 0,6%-დან (1865 წ.) 0,9%-მდე [2.14]

ბი ქართველ ებრაელებს პრიმიტიულ საზოგადოებად განიხილავდნენ და ქართველი ხალხის ინტეგრალურ ნაწილად თვლიდნენ. ყოფა-ცხოვრებით და ყოველდღიური ტრადიციებით ქართველი ებრაელები არაფრით არ გამოიჩინებოდნენ ადგილობრივი ქართველებისაგან. ქართველი ებრაელების იუდაიზმი რელიგიური ლიბერალიზმით გამოიჩინებოდა და მათთვის უცხო იყო ის რელიგიური გავლენა, რაც მან განიცადა აღმოსავლეთ ევროპაში მე-17-19 საუკუნეებში ხასიდიზმის გავლენით.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ეს დაძაბულობა კრიზისში გადაიზარდა: ქართველმა ებრაელებმა უარი განაცხადეს, ელიარებინათ იმ აშქენაზი რაბინის უზენაესი ხელისუფლება, რომელიც ყველა ებრაელის მთავარ რაბინად აღიარა ხელისუფლებამ კავკასიის რეგიონის ამ ადმინისტრაციულ ცენტრში. 1909 და 1912 წლებში თბილისსა და ფოთში მცხოვრებ ადგილობრივ ებრაელებსა და აშქენაზის თემს შორის დაძაბულობა განიხილებოდა ებრაული და რუსული პრესის გვერდებზე. „აღსანიშნავია, რომ ქართველთა ებრაელები კავკასიის სხვადასხვა ებრაელთა უფრო ადვილად უახლოვდებიან, ვიდრე ევროპის და რუსეთის ებრაელთა. იშვიათად მოხდება, რომ ქართველ ებრაელმა თავის ქალი ევროპის, ან რუსის ებრაელს მისცეს. ეს მათში დღემდეც კი არ არის, ძლიერ იშვიათად ხდება...“, - წერს ზაქარია ჭიჭინაძე [7]. ამავდროულად, რამდენიმე ადგილას, კავშირი ქართველ ებრაელებსა და აშქენაზებს შორის მაინც საკმაოდ მჭიდრო იყო, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ქართველ ებრაელთა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ამ დადებითი გავლენის კარგ მაგალითს წარმოადგენს რაბინ ა. ხვოლესის საქმიანობა.

უკვე 1890-იან წლებში თბილისის აშქენაზთა შორის არსებობდა სიონის მოყვარულთა ანუ ჰიბბათ სიონის საზოგადოება (იუჯ ჰიბუი, იუჯ თუი). მე-20 საუკუნის დასაწყისში ებრაული ნაციონალური და სიონისტური მოძრაობის ლიდერის მ. უსიშკინის

დახმარებით, რომელიც მოღვაწეობდა ქ. მოსკოვში, ჩამოყალიბდა სიონისტური წრეები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში [10.52-56]. ეს ჯგუფები ძირითადად აშქენაზებისგან შედგებოდა. სიონიზმის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტები კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, იყვნენ ამერ ერლიხი (1878-1952), რომელიც 1904 წელს ისრაელში ავიდა და სტომატოლოგი მიხაელ შტრეიხერი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სიონისტურ მოძრაობას საქართველოში მე-20 საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში. 1902 წელს თბილისში დაარსდა რელიგიური სკოლა ქართველ ებრაელთა შვილებისთვის. 1912 წლისთვის ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 390-ს აღწევდა. მათი უმრავლესობა აშქენაზთა ებრაელების წარმომადგენლები იყვნენ. ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის დავით ბააზოვი - საქართველოს ებრაელთა სულიერი მოძღვარი, საზოგადო მოღვაწე, ღრმად მორწმუნე და ებრაული ფილოსოფიის უბადლოდ მცოდნე საქართველოში სიონიზმის გამავრცელებელი და ებრაული თემის ლიდერი ხდება. იგი აფუძნებს და გამოსცემს გაზეთს „ებრაული ხმა“, რომელიც ხელს უწობს ებრაელი ახალგაზრდობის იდენტობის განვითარებას [6.334].

ფართო მასშტაბი მიიღო სიონისტურმა საქმიანობამ საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსეთის რეგიონების სამხედრო ოპერაციების ადგილებიდან გაქცეული ებრაელი მოსახლეობა (ძირითადად აშქენაზები) საქართველოში კონცენტრირდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის დედაქალაქ თბილისში 1920-იანი წლების შუა რიცხვებამდე ფუნქციონირებდა სკოლა ივრითზე, ხოლო 1930-იანი წლების შუა რიცხვებამდე ებრაული სკოლა იყო იდიშზე სწავლებით; 1940-იანი წლების დასაწყისამდე ქალაქში წარმოდგენებს მართავდა სამოყვარულო თეატრის დასი იდიშზე (დაარსდა 1910 წლის დასაწყისში). ამ პე-

რიოდის საქართველოში მაცხოვრებელი აშქენაზების უმრავლესობამ იცოდა იდიში და საუბრობდა რუსულად.

1926 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 30,534 ებრაელი ცხოვრობდა, რომელთა შორის 20,897 ქართველი ებრაელი იყო და 9,637 - აშქენაზი. 1897 წლის აღწერასთან შედარებით, საქართველოს ებრაული მოსახლეობის შემადგენლობაში აშქენაზების რიცხვის მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში მათი მნიშვნელოვანი ემიგრაციით (ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში), რაც ქართველ ებრაელებს არ შეხებია. თუმცა, 1920-იანი წლების უმუშევრობისა და 1930-იანი წლების დასაწყისში შიმშილობის გამო უკრაინაში, ასევე, ე.წ. საბჭოთა მშენებლობის სანაყის პერიოდის სხვა შედეგების გათვალისწინებით, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს აშქენაზი მოსახლეობა.

1989 წლის ყველა მონაცემის მიხედვით, საქართველოში 24,800 ებრაელი ცხოვრობდა, ძირითადად, აშქენაზები. ებრაელების უმრავლესობა (13500) ცხოვრობდა დედაქალაქ თბილისში. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ქართულ-აფხაზურმა ომმა და მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ განაპირობა ებრაელების, როგორც ქართველი, ასევე აშქენაზების, მასიური მასობრივი რეპატრაცია არა მხოლოდ ისრაელში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში [14].

თბილისში დღემდე არსებობს აშქენაზების სინაგოგა. თბილისის მოქმედი აშქენაზების სინაგოგა 1910-იან წლებშია აშენებული. თავდაპირველად იგი ერთსართულიანი იყო. რეკონსტრუქციის შედეგად ამოღებული იქნა მიწა და ქვედა სართულზე განთავსდა სალოცავი, რომელშიც მოთავსდა არონ-ჰაკოდეში, რომელიც თითქმის 150 წლისაა. სინაგოგის შენობას სარკმელებზე გაუკეთდა ფერადი სარკმელები. რეკონსტრუირებულ სინაგოგას ეწოდა ა. მაშკევიჩის (ევრაზიის ებ-

რაული კონგრესის თავმჯდომარე, რომელმაც დააფინანსა სინაგოგის რეკონსტრუქცია) დედის სახელი - ბეთ რახელი [15].

2000 წლისთვის საქართველოში ფუნქციონირებდა ძირითადად ორი სათემო ორგანიზაცია: აშქენაზი ებრაელების ქართული თემი (რახამიმ) და ქართველ ებრაელთა ასოციაცია (დერეს იეჰუდი). ამჟამად ებრაელები საქართველოში ისე მცირერიცხოვანნი არიან, რომ აღარ ხდება მათი დიფერენციაცია და აშქენაზებიც და ქართველი ებრაელებიც ერთად აკეთებენ ებრაულ საქმეს.

XIX საუკუნეში თბილისში გამოჩნდა კიდევ ორი ებრაული თემი - „ლახლუხები“ (სპარსეთიდან იმიგრირებული იუდეველები) და „ყუბელები“ (მთიელი იუდეველები). „ლახლუხები“ არიან ებრაელები სალამასიდან და ურმიის ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში გადავიდნენ ირან-აზერბაიჯანიდან. მათი ნაწილი თბილისში დასახლდა. აქ მათ საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ქართველ ებრაელთა თემთან, ასევე ქართველებთან და თბილისში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან. ისინი საქართველოში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომამდე დარჩნენ. 1939 წელს მთელი თემი გადაასახლეს თბილისიდან აღმა-ატაში, სადაც დარჩნენ სტალინის გარდაცვალებამდე. 1956 წელს ყველამ დატოვა აღმა-ატა, ნაწილი წავიდა ირანში, იქიდან ისრაელში და მხოლოდ რამდენიმე მათგანი დაბრუნდა თბილისში. ამ დროისთვის მათი უმეტესობა ისრაელში ცხოვრობს და, მშობლიური და ებრაული ენების გარდა, რუსულ და ქართულ ენებზეც საუბრობს. ისინი საუბრობდნენ თანამედროვე არამეულის ერთ-ერთი დიალექტზე, რომელიც ცნობილია როგორც სალამასის ნეოარამეული ებრაული ენა. მოცემული დიალექტის გამორჩეულობის დასტურად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი ერთადერთია საქართველოში არსებულ თანამედროვე არამეულ დიალექტებს

შორის, რომელიც ებრაული მოსახლეობის სასაუბრო ენას წარმოადგენდა. რელიგიური და ენობრივი კუთვნილების გამო, ეს საზოგადოება ერთგვარი დამაკავშირებელი იყო ქართველ ებრაელებსა და ასურულ საზოგადოებას შორის, რომელიც საქართველოში მე-18 საუკუნიდან ცხოვრობს და რომლის წევრებიც საუბრობენ სხვადასხვა ნეოარამეულ დიალექტზე. ეს ებრაული საზოგადოებები თითქმის მთლიანად დაიშალა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. თბილისში მათი თემის არსებობის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე ამ ეროვნულმა უმცირესობამ თავის მშობლიურ ენასთან ერთად შეითვისა ქართული და რუსული ენებიც. განსხვავებულმა ენობრივმა გარემომ განაპირობა დიალექტში ახალი ნასესხობების შემოსვლა უკვე არსებულ ებრაული და ირანული წარმოშობის სიტყვებთან ერთად. მათ ენაში (სალამასის დიალექტი) მრავლად არის ებრაიზმები, რაც განპირობებულია მათი რელიგიური იდენტობით და გვხვდება საკულტო და ტრადიციებთან დაკავშირებულ ტექსტებში, ხოლო ირანული და რუსული სიტყვები ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექსტებში იჩენს თავს. საქართველოში მათი ცხოვრების პერიოდი იმდენად ხანმოკლე იყო, რომ ქართული სიტყვები მათ მეტყველებაში თითქმის არ გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმატორთა უმრავლესობამ ქართული საკმაოდ კარგად იცის. ამას უდავოდ ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ სალამასის ებრაელთა თემის არსებობის პერიოდში საქართველოში დომინანტი ენა რუსული იყო და ეროვნული და რელიგიური უმცირესობებისთვისაც სწორედ რუსული წარმოადგენდა სავალდებულო ენას [4.52].

რაც შეეხება მთიელ ებრაელებს, ისინიც წარმოადგენენ ებრაელი ერის ერთ-ერთ შტოს. ისინი მრავალი საუკუნეა, ცხოვრობენ კავკასიაში, უმთავრესად, დაღესტნის მთებში და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, ბაქოს გუბერნიაში და ასევე, ყუბანის ოლქში [16]. რუსეთის რევოლუციის შემდეგ შეცვლილმა სოცი-

ალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მათი ამ ადგილებიდან გადინება, რის შედეგადაც მთიელი ებრაელების მცირე ნაწილი საქართველოშიც გადმოვიდა. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ მთის ებრაელები ძველი ებრაელების შთამომავალნი არიან, რომლებიც თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთ ირანში დასახლდნენ, სადაც მათ შეითვისეს გარშემოყოფი მოსახლეობის ენა (თათური). შემდგომში კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მთის ებრაელთა წინაპრები ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და დაღესტანში განსახლდნენ და დამოუკიდებელ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ. ანთროპოლოგიურად მთის ებრაელები დიდი ევროპეიდული რასის წინააზიურ ტიპს მიეკუთვნებიან (კავკასიური ტიპის მინარევებით) და ქართველ, შუა აზიისა და წინა აზის ებრაელებთან ერთად, ებრაელთა კავკასიურ ტიპს ჰქმნიან. როგორც აღინიშნა, მთის ებრაელები თათური (უფრო ზუსტად საშუალო სპარსული) ენის ჩრდილოეთ კავკასიურ დიალექტზე ლაპარაკობენ, თუმცა ფლობენ რუსულსაც და სარწმუნოებით იუდეველები არიან [3.65].

ამრიგად, მე-19 საუკუნეში საქართველოში ებრაელობა წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წარმოშობის, ისტორიისა და ტრადიციების მქონე მოსახლეობით, რაც მართალია, გარკვეულ პერიოდებში ინვეცდა თემებს შორის დაძაბულობას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საერთო რელიგიური რწმენა ხელს უწყობდა მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.
2. დუმბაძე ნ., საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (სამაგისტრო შრომა), თბ., 2019.
3. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007.

4. კურტანიძე თ., არსებითი და ზედსართავი სახელები სალამასის ებრაელთა თანამედროვე არამეულ დიალექტში, „სემიტოლოგიური ძიებანი“, I საერთაშორისო კონფერენცია - 2017 წლის სექტემბერი, თბ., 2017.
5. ლომთაძე თ., აშქენაზ ებრაელთა ენობრივი კომპეტენციისთვის საქართველოში, „სემიტოლოგიური ძიებანი“, III საერთაშორისო კონფერენცია - 22-23/ X, თბ., 2019.
6. ციციაშვილი ა., ებრაელები და საქართველო, „რესპუბლიკა“, თბ., 2003.
7. ჭიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1990.
8. Abramson Glenda (ed.) Encyclopedia of Modern Jewish Culture, Routledge, 2004.
9. Blanning T. C. W., (ed.) Oxford History of Modern Europe, Oxford University Press, 2000.
10. King S., The Mighty Warrior, the Life Story of Menahem Ussishkin, 1959.
11. Mosk, Carl Nationalism and economic development in modern Eurasia. New York: Routledge. 2013.
12. Noll K. L., Canaan and Israel in Antiquity: A Textbook on History and Religion, A&C Black, rev. ed., 2012.
13. Телушкин Иосиф, «Еврейский мир»; Ашкеназы и Сефарды, (2012, 4 ноября).
<http://www.istok.ru/library/78-evreyskiy-mir-4-chast-chetvertaya-no-voe-vremya.html>
14. <https://eleven.co.il/diaspora/regions-and-countries/11321/>
15. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90
16. <https://zserials.ru/ka/kto-takie-gorskie-evrei-na-kavkaze-gorskie-evrei-dagestanskie.html>

Lali Guledani

Jews who migrated to Georgia in the 19th century ¹

Summary

Jews living in Georgia form several streams according to the date of migration: The first wave - Jews who arrived 26 centuries ago are considered to be followers of the Sephardic tradition. Ashkenazi Jews settled in Georgia in the early 19th century, while Lakhlukhes and a small stream of entire Jews appeared in Georgia in the late 19th and early 20th centuries.

Ashkenazi Jews - are a Jewish diaspora population who coalesced in the Holy Roman Empire around the end of the first millennium. The traditional diaspora language of Ashkenazi Jews is Yiddish (a Germanic language with elements of Hebrew and Aramaic), developed after they had moved into northern Europe: beginning with Germany and France in the Middle Ages. For centuries they used Hebrew only as a sacred language, until the revival of Hebrew as a common language in Israel. Throughout their time in Europe, Ashkenazim have made many important contributions to its philosophy, scholarship, literature, art, music and science.

No research or publication has been published about Ashkenazi the of residents living in Georgia. According to Ashkenazi respondents and fragmented information, the following is clear:

After joining the Georgia to the Russian Empire in 1801, especially in his capital Tbilisi, the inhabitants of the settlement were settled by Jews from Russia as well as abroad. Already in the 30s of the 19th century there have been several hundreds of Russian Jews who lived in Georgia permanently. According to the 1897 census, 18,574 out of the Jews living in Georgia, two thirds were Ashkenazi (12,540 people). Ashkenazi was the majority in the two largest Jewish communities in

¹ This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant number: I-2016-32: "Speech of Georgian Jews in Israel"]

Tbilisi and Batumi. Only Georgian Jews in Kutaisi, in the third big city of Georgia were preferred. Differences in rituals, traditions, everyday life, lack of common language, religious freedom of the part of the Ashkenazim, outlook and the low level of cultural and religious life of the majority of Georgian Jews contributed to the tension between the two communities. In the 90s of the 19th century, this tension in Tbilisi grew to the crisis: Georgian Jews refused to recognize the Supremacy of Ashkenaz Rabin, which was recognized by government as the main Rabin of all the Jews in the administrative center of the Caucasus region. Tensions between the local Jews and the community of Ashkenazim in Tbilisi and Poti in 1909-1912 were discussed in the pages of the Jewish and Russian press.. Already in the 1890s there was a amateurs of Sion, or " Hibbat Zion" Society (חֵבֶבֶת צִיּוֹן, חֲבֻבֵי צִיּוֹן) among the Tbilisi Ashkenazs. In the middle of 1930's, there was a Hebrew school in Idish teaching; In the beginning of the 1940s, In the city the performances were organized by the amateur theater troupe in Idish (founded in 1910).

According to the 1926 census, there were 30,534 Jews living in Georgia, among them 20,897 Georgian Jews and 9,637 - Ashkenazi. Compared to the description of 1897, the sharp decline in the number of Ashkenaz Jewish population in the first decades of the twentieth century was caused their significant emigration (mainly in the United States), which does not touch Georgian Jews. However, due to the unemployment in the 1920s and hunger in the beginning of 1930s at Ukraine, as well as taking into consideration other results of the initial construction of the Soviet formation, especially in big cities, Ashkenaz population of Georgia increased.

According to all 1989 data, there were 24,800 Jews living in Georgia, mostly Ashkanazim. The majority of the Jews (13500) lived in capital city-Tbilisi. The collapse of the Soviet Union, the Georgian-Abkhazian war and the hard economic situation caused massive repatriation of Jews, both Georgians and Ashkanezim, not only in Israel but in the world as a whole.

The majority of Ashkenazi Jews who came to Georgia spoke Russian. It should be noted that the Sephardi Jews did not know Hebrew.

They used Hebrew only for prayers and most of them did not understand the meaning of what they read. There was a different situation with Ashkenazi Jews. Most of them knew idish, they could write, read and speak the language. At the same time, they considered Ydish as a native language. The Ashkenazi Jews were educated and belonged to a high social group. In Georgia they studied at Russian kindergartens/playschools and high schools. In order to get higher education, most of them went to Russia or studied at Russian-speaking sectors in Georgia. Russian was the language of their communication both in the family and with other ethnic groups. They could write, read, and speak Russian fluently. It was the second native language for them.

In Tbilisi there is the synagogue of Ashkenazim till today. By 2000, two community organizations were functioning in Georgia: the Georgian Community of Ashkenazi Jews (Rakhamim) and Georgian Jewish Association (Derekh Yehudi). Now the Jews are too small in Georgia, so differentiation is no longer and Ashkenazes and Georgian Jews are doing the Hebrew work together.

In the 19th century, two more Jewish communities appeared in Tbilisi – the Lakhluks (Jews who immigrated from Persia) and The Mountain Jews. Their migration to Georgia was caused by the difficult socio-political situation of this period. The lakhlukhs are from Salamas and Lake Urmia who moved To Georgia from Iran-Azerbaijan after World War I. Some of them settled in Tbilisi. Here they had quite good relations with the Georgian Jewish community, as well as with Georgians and other ethnic groups living in Tbilisi. They remained in Georgia only until the Second World War.

As for the mountain Jews, they are also one of the branches of the Jewish nation, living for many centuries in the Caucasus, mainly in the mountains of Dagestan and northern Azerbaijan, in the province of Baku and also in the Kuban region. The changed socio-political situation after the Russian revolution caused them to leave these places, as a result of which a small number of Jews left for Georgia. Most scholars believe that the mountain Jews are descendants of the ancient Jews who first settled in southwestern Iran, where they assimilated the language of the surrounding population. Later, for various reasons, the ancestors of the

Mountain Jews settled in northern Azerbaijan and Dagestan and formed an independent ethnic group. However, they know Russian and use this language while living in Georgia.

Thus, in the 19th century, Judaism was represented in Georgia by people of different backgrounds, histories and traditions, which at times caused tensions between communities, but despite all, the common religious belief contributed to their peaceful coexistence.

ელენე გეგეშიძე

ებრაული თემა ქართულ კულტურაში, გაზეთ „დროების“ მიხედვით XIX საუკუნეში

საქართველო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მრავალეთნიკური და მრავალკულტურული სახელმწიფო იყო და დღემდე ასეა, რაშიც, პირველ რიგში, მისი მდებარეობა უწყობს ხელს მსოფლიოს ცივილიზაციათა მიჯნაზე, თუმცა გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად აღსანიშნავია ქართული სტუმართმოყვარეობის ფენომენიც, რომელიც უკვე საქართველოს იდენტობის განუყოფელ ნაწილად იქცა. რა ხალხებს აღარ უცხოვრია საქართველოში, ქურთებს, ასურელებს, გერმანელებს, ბოშებსა თუ სომხებს, მაგრამ იშვიათად მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში ისეთი ჰარმონიული ურთიერთობა, როგორც ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებობს. საუკუნეებს ითვლის ქართველი და ებრაელი ხალხის საქართველოში თანაცხოვრების წლები, რომელსაც მუდამ ავსებდა ორმხრივი სიყვარული, შეზავებული სიტბო, თანადგომა, მოკრძალება და პატივისცემა.

საქართველოში ებრაელების დასახლების თარიღის გარკვევა ზუსტად შეუძლებელია. ქართლის ცხოვრება მათ ჩამოსვლას ძვ.წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობას უკავშირებს, თუმცა ებრაელების ნაკადი საქართველოში არაერთხელ ჩამოსახლებულა (მაგ.: I საუკუნეში, რომის იმპერატორის ტიტუს მიერ იერუსალიმის ხელმეორედ აოხრების შემდეგ; ბათუმში ებრაელები რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დასახლდნენ, სადაც ააგეს სინაგოგა და ა.შ.). ისინი თავს ქართველ ებრაელებს უწოდებენ. ისტორიულად ცნობილია, რომ მათ მშობლიურივით აითვისეს ქართული ენა,

მიიღეს ქართული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ამავდროულად, შეინარჩუნეს საკუთარიც. ხოლო ბოლო პერიოდში საქართველოში გამოჩნდა ევროპიდან ჩამოსახლებულ ებრაელთა მეორე ჯგუფი, რომლებსაც აშქენაზები ეწოდებათ. „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსტაცა სამშობლო და თვითმყოფელობა და გააბნია იგი მთელ დედამინის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება“, [12] - წერს ილია ჭავჭავაძე. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის იმ უიშვიათეს ქვეყანათა რიგში, სადაც ებრაელები არასდროს იდევენ-ბოდნენ.რ

ებრაელები თითქმის ყველა რეგიონში იყვნენ დასახლებული: აღმოსავლეთ საქართველოში, სამხრეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში. სოფელ ლაილაში დგას ებრაელთა ძველი სინაგოგა. დღემდე მოქმედი სინაგოგები კი გვხვდება თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ებრაელთა საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (1866-1885), რომელსაც გ. წერეთლის შემდეგ 14 წლის მანძილზე (1869-1883) სათავეში ედგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, პუბლიცისტი და ნიჭიერი ჟურნალისტი ს. მესხი. ხოლო 1883 წლიდან მას მართავდა, მეორე დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ივ. მაჩაბელი.

1882 წლის გაზეთი „დროება“ (აკოფოვი, ალექსანდრე. „ჩვენებურს ურიებზედ“, №153, გვ. 1-2) აღნიშნავდა: „ქართველებმა პატივით მიიღეს ეს უცხო ტომი. ებრაელები უშიშრად

ცხოვრობდნენ სატახტო ქალაქ მცხეთაში, როცა სხვა ქვეყნებში სრულად აკრძალული ჰქონდათ სატახტო ქალაქებში ცხოვრება. ისინი ავრცელებდნენ ვაჭრობას, მეფეების ვაჭრებიც ურიები იყვნენ, სანამ სომხები არ გამოუჩნდნენ მეტოქეთ. ქართველებისაგან ურიებს არ ახსოვთ არა-ვითარი ჩაგვრა, არც ტანჯვა, არც გაცარცვა... თავისი მხრით ურიებიც მოვალენი არიან, რომ მეგობრულად და კაცობრიულად იმოქმედონ იმ ხალხში, რომელშიაც რამდენიმე საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ მშვიდობიანად და შეუძენიათ დიდი შეძლება. მთელი ქუთაისი თითქმის იმათ ხელშია. ქრისტიანების ოფლით ნაშოვნი ქვითკირის შენობები თითქმის მუქთად გადადიან მათ ხელში. ნამოჭიმეს სასახლეები. მოტყუება ქრისტიანის კაცისა მადლად მიაჩნიათ. გლეხის ჭირნახული ხომ მათი სარგებელია რამოდენიმე თუმანში....

ურიებს ჩვენში საფუძველი არა აქვს, რომ მტრებად გვიცქეროდნენ და ჩავგვთვალონ. მათი მოქმედება ჩვენში არა გზით არ გამართლდება. ეს ნიშნავს ნამდვილ ებრაულ ფანატიკოსობას და ზნეობის სიმახინჯეს“[8].

ამ ტექსტში იკვეთება ის მორალური პასუხისმგებლობა, რასაც ავტორი აკისრებს ებრაელებს იმ ხალხის წინაშე, რომელმაც ისინი შეიფარა და საუკუნეების მანძილზე კეთილდღეობაში ცხოვრების საშუალება მისცა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ნიკო ხიზანიშვილი გაზეთ „დროების“ 1884 წლის №166-ში (გვ.3): „ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ებრაელი საქართველოში დასახლდა და, რასაკვირველია, გაქართველდა. მაგრამ ეს გაქართველება თავისებურად მოხდა. ებრაელმა შეითვისა მხოლოდ ქართული ზნე, ჩვეულება და ენა. თორაში ლოცვის დროს ხახამი დაბადებას და სხვა წიგნს ჯერ ებრაულად უკითხავს, მერე და მერე ქართულად უთარგმნის მლოცველებს. იგივე ხახამი შეგირდებს ქართული ენის საშუალებით

ასწავლის ებრაულსა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გაქართველებული ებრაელი მაინც სულითა და გულით ქართველი არაა. ამ ებრაელისთვის სქართველო დროებითი ბინაა, მეტად ტურფა და სასიამოვნო სამყოფია, მაგრამ სამშობლოს მაინც არ შეადგენს. თვითოეული ქართველი ებრაელი თავისებური სიონისტია და ღრმად დარწმუნებულია, რომ მოვა მესია და ისრაელიც ხელმეორედ პალესტინაში დამკვიდრდება“[10].

ებრაელთა იდენტობის კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა „დროების“ 1868 წლის № 43-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია ქუთაისიდან, სადაც მკაფიოდ ჩანს ავტორის პოზიცია ორი ჯგუფის - ქართველი კათოლიკეებისა და ებრაელების - ქართულ კულტურულ სივრცესთან მიმართებასთან დაკავშირებით. ეს არის ერთგვარი მცდელობა ქართული ეთნიკური და კულტურული ფაქტორის დომინირებული ურთიერთობის ჩვენებისა. ამ მიზნით, ხაზგასმულია როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე არაქართველი მოსახლეობის მჭიდრო კავშირი ქართულ კულტურასთან: „აქ იმერლები უფრო ჩერქეზულ ტანთ საცმელ იცომენ, ფრანგები და ურიები კი ქართული ტანთ საცმლით არიან: კაბას და კალმუხის - ან ბუხრის ქუდს თავითგან და ტანიტგან არ იშორებენ“ [1].

ქართველი ხალხის ცხოვრებაში არ ყოფილა არცერთი მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხი, რომელიც გაზეთ „დროების“ განხილვის საგნად არ ქცეულიყო. ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატისა და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი „დროება“, დემოკრატიული იდეებით გაჟღენთილი მისი ფურცლები ხალხთა შორის ძმობისა და ერთობის მქადაგებლად გვევლინებოდა, ჩაგრულ და მცირე ერთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია გაზეთ „დროების“ დამსახურება ებრაელთა საკითხისადმი.

„დროება“ თავის ფურცლებზე ხშირად ანთავსებდა აღ-შფოთებით სავსე კორესპონდენციებს, წერილებს აღნიშნული ფაქტების ირგვლივ, ილაშქრებდა მათი ველური ხასიათის წინააღმდეგ, ამხელდა მათ ნამდვილ მიზეზებს, მათ კლასობრივ არსს.

1880 წლის 25 მაისის ნოემერში „დროება“ რუსეთში მომხდარი ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ სწერდა: „რასაკვირველია, ყოველი გონიერი კაცი, ვინც ხალხთა შორის ძმობის დამყარებას ცდილობს, ბარბაროსობას დაარქმევს რუსეთის უბრალო ხალხის მოქმედებას“[6]. მაგრამ გაზეთი აქ როდი ჩერდებოდა ხოლმე. 1881 წლის აპრილში ქ. ელისავეტგრადში მოხდა ებრაელთა მართლაც და რომ საშინელი დარბევა. „დროება“ 1881 წლის 14 მაისს დაწვრილებით აღწერს რა ამ მოვლენებს, ბოლოს ასკვნის:

„მართალია, ურიები, რადგანაც ისინი მოკლებული არიან ბევრ სამოქალაქო უფლებებს და განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ჩამდგარი კანონებისაგან, ვაჭრობას ეტანებიან და ხალხს კარგა გვარიანაც ცარცვენ; მაგრამ ამ მოვლენების ასახსნელათ სხვა უფრო ძირეული და ნამდვილი მიზეზი უნდა მოვიყვანოთ.

ამის მიზეზი უკიდურესი ნივთიერი ეკონომიკური მდგომარეობაა რუსის გლეხობისა. გლეხობას ნაკლებათ აქვს მიწა--წყალი, სახელმწიფოს და სხვა გადასახადი კი ნამეტანია; ასე რომ, რაც უნდა ეცადოს, ვერ მოიმუშავებს, რომ ცოლ-შვილიც არჩინოს და მმართველობაც დააკმაყოფილოს.

გარდა ამისა, უკანასკნელი ომის გამო ჩვენი ქალაქის ფული უზომოდ დაეცა, განიავდა, ასე რომ, მანეთის ფასი სამ აბაზზე დადგა თითქმის. ამით შევიწროვდა მთელი სახელმწიფო, ამან გლეხობა კიდევ უფრო დაამშია, დაალარიბა, გაღატაკდა, გაუჭირდა ცხოვრება. არ იცის, თუ რომელ წყაროდან მოიპოვოს ცხოვრების საშუალება, საიდან გადაიხადოს სახელ-

მნიფო ვალი და როგორ არჩინოს ცოლ-შვილი და უმეცარ ხალხს გონია, რომ ამ უბედურების მიზეზი ურიები არიან, რადგან საზოგადო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გაგება არ შეუძლიათ და ურიებს დაერიენ. ურიებიც რომ არ ყოფილიყო, ხალხი უიმისოთაც ახლანდელ შენუხებულ მდგომარეობაში იქნებოდა, ჩემი - მოყვანილ მეზუზის გამო....“ [7].

ცარიზმის ანტისემიტური პოლიტიკის უდელ-ქვეშ მოქცეული ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი „დროების“ ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს. იგი ამხელდა რა ცარიზმის ანტიებრაელურ პოლიტიკას, ილაშქრებდა ებრაელთა პოლიტიკური, სოციალური და სხვა შეზღუდვათა წინააღმდეგ, სააშკარაოზედ გამოჰქონდა საერთოდ ცარიზმის ნაციონალური თვითმპყრობელური, კოლონიალური პოლიტიკა, მიმართული რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული მცირე და დაჩაგრული ერების წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე „ნ. სკანდელიის“ ფსევდონიმით 1871 წლის №32-ში აქვეყნებს სტატიას სათაურით „ურიების მდგომარეობა საქართველოში“. ნ. ნიკოლაძე სტატიაში მოკლედ მიმოიხილავს ებრაელთა ისტორიას, ამ ხალხის ტანჯვით სავსე გზას. იგი ეხება იმ მიზეზებს, რომლებმაც ებრაელები აიძულეს, ცხოვრების საარსებო წყაროდ ვაჭრობა აერჩიათ, რამაც შემდგომ, თავის მხრივ, ისინი საერთო სიძულვილის საგნად გადააქცია. ნ. ნიკოლაძე ეხება იმ ძვრებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში შეიმჩნევა ებრაელთა საკითხისადმი დამოკიდებულებაში და წერს: „როცა დიდი და გამწარებული ბრძოლის შემდეგ, ლესსინგის, მენდელსონის და მსგავსებით ხომ დაამტკიცა, რომ ურიებიც ღვთისაგან გაჩენილი კაცები არიან, რომ იმათაც უძგერს გული, აქვთ გრძნობა და გონება, რომ ისინიც ღირსნი არიან სწავლისა და საპატიო უფლებებისა „მაშინ დაიწყო ახალი ერა ურიების ცხოვრებისა, რაკი ურიები მიიღეს სასწავლებელში, რაკი იმა-

თაც მისცეს სწავლა და ისინიც ეღირსნენ საზოგადო უფლებების მიღებას, მაშინ აღმოჩნდა, რომ ისინიც საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცები არიან, რომ იმათაც შეუძლიათ სიკეთის მოტანა და პატიოსნათ შრომა“ [2].

და, აი, სწორედ აქ დაუმიზნა ნ. ნიკოლაძემ ბასრი კალამი. იგონებს რა ვორონცოვის განზრახვას, ქუთაისელი ებრაელები აეყარა თავიანთი უბნიდან და ქალაქიდან შორს, სადმე დაესახლებინა, იგონებს რა პოლიციის გადანყვეტილებას „პარასკეობის“ მოშლის შესახებ, რომელიც ებრაელთა ვაჭრობის წინააღმდეგ იყო მიმართული და სხვა, ასკვნის:

„აქედან ცხადად სჩანს, ჩვენშიაც გადასახლებით და შევიწროებით, პარასკეობის მოშლით და კუნძულზე გადენით ურიებს ვერავინ ვერ მოარჯულებს. თუ ჩვენ საზოგადოებას ისინი მავნებელ პირებად მიაჩნია, ეცადოს, რომ ურიების შვილები ჩვენ შვილებთან იზრდებოდნენ, რომ ყოველ ყმანვილს - ურიის იყოს თუნდ ქრისტიანის - მიეცეს უსათუოდ ხეირიანი სწავლა, რომ მათ წინ გახსნილი იყოს იმნაირივე მომავალი, როგორც გახსნილია ჩვენებური ყმანვილების წინ, რომ მათ იმნაირივე უფლება ჰქონდეთ ყველაფერში, როგორც ჩვენებურებს აქვთ და მაშინ ნახავთ, რომ ერთი-ორი თაობის შემდეგ ურიები იმნაირივე ქართველები გახდებიან, როგორც ჩვენი შვილები იქნებიან, რომ ისინი ხეირიანათ და ძმურად ჭირში და ლხინში და ეხლანდელი შეურაცყოფის და მტრობის მაგიერ ეხლანდელი შევიწროების და გამოხსნის მაგიერ, ძმურად შეგვიდგებიან ჩვენ საზოგადო უღელში, თუ ჩვენ იმათ ძმურად წილს დაუდებთ საზოგადო სიკეთეებით სარგებლობაში“ [2].

ეს აზრი უფრო მკვეთრად და უფრო თვალნათლივ ჩამოაყალიბა მესხიმ 1875 წ. №9-ში მოთავსებულ წერილში „ებრაელების შესახებ“. ს. მესხი, ეხება რა „თითქოს და მთავრობის განზრახვას ებრაელებისათვის ყველგან დასახლების უფლების მინიჭების შესახებ, სწერს: „ყველა ვინც ახლანდელი

ებრაელების მდგომარეობა იცის, ვისაც ესმის - თუ რა ცუდი შედეგები და ზედ-მოქმედება აქვს თვით ქრისტიანებისათვისაც იმ შევიწროებასა და დევნას, რომელსაც ურიები ითმენენ, ვინც ხედავს, რა მოსდევს, რომ ამგვარი კანონი კეთილ ნაყოფს მოიტანს. ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო რომელიმე კაცი შევიწროებულია, რაც უფრო მოკლებულია ყოველგვარ უფლებას, ისე უფრო ურიგოა და საზოგადოების მავნებლად არის იმის ცხოვრება და მოქმედება წარმართული“ [3].

საშუალო საუკუნეების ქრისტიანული რელიგიისა და გაბატონებული წრეების ფანატიკურმა დამოკიდებულებამ ებრაელთა მიმართ ყველაზე მეტად თავი იჩინა საშინელ ცილისწამებაში, რომელიც მდგომარეობს ებრაელთა მიერ თითქოსდა ქრისტიან ბავშვთა წამება-წვალებაში, რაც ხშირად წარმოადგენდა მიზეზს ებრაელთა დევნისა და აკლებისა. სარგებლობდა რა ჯერ კიდევ ხალხის ფართო მასების სიბნელით და შეუგნებლობით, ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატი ფარულად და აშკარად ან ცილისწამების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორს წარმოადგენდა. ადამიანის გონება ყოველთვის იბრძოდა ამ ცილისწამების წინააღმდეგ, საშუალო საუკუნეების ქართულმა სინამდვილემ არ იცოდა ამ აზრის არსებობაც კი. ყოველ შემთხვევაში, ამის საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. მე-19 საუკუნის საქართველოში კი ცარიზმის ანტიებრაელური, ანტისემიტური პოლიტიკის შედეგად თავს იჩენს ამ ცილისწამების მოვლენებიც. „დროებამ“ იმთავითვე გადაჭრით აღიმალლა ხმა ამ ყოვლად საზიზღარი ცილისწამების წინააღმდეგ და თავის ფურცლებზე ცდილობდა, ხალხის ჩამორჩენილ, ჯერ კიდევ შეუგნებელ ფენებში შეეტანა შეგნება და სიცხადე მისი უაზრობისა. ამ მხრივ, გაზეთ „დროების“ ტონი განსაკუთრებული მკვეთრი და მძაფრია.

1877 წ. აპრილში საჩხერის რაიონის სოფ. ოსიაურში ერთი გლეხის პერევისაში ბავშვის დაკარგვის შედეგად აღიძრა სასა-

მართლო ძიება საჩხერის რამდენიმე ებრაელის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია, ე.წ. „სარა მოდებადის საქმის“ სახელწოდებით. ბრალდების მთავარი სიმძიმე გადატანილი იყო იმ ფაქტზე, რომ ბავშვის დაკარგვის მომენტები ემთხვეოდა ბრალდებულ ებრაელთა სოფელში გზად გავლის მომენტებს. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ იმთავითვე აუღო ალლო საშინელ ცილისწამებას და ყოველნაირად ამხელდა დაუსაბუთებელ, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „მგონიაობაზე“ დამყარებულ სასამართლო ძიებას. და თუ აღნიშნული ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, მისი სჯა-ბაასისა და განხილვის საგნად გადაიქცა, ერთ-ერთი მთავარი დამსახურება გაზეთ „დროებას“ მიუძღვის. „დროება“ გადაჭრით ილაშქრებს ებრაელთა წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო, რომელსაც, რაც მთავარია, ანტიებრაელური მიმართულება ჰქონდა მიცემული. კიდევ მეტი, საერთოდ გამოძიებამ და განსაკუთრებით სასამართლოს მსვლელობამ საკმაოდ ეჭვი დაბადა, რომ აღნიშნულ საქმეში ვილაცის მაორგანიზებელი ხელი ერია, რომელიც ცდილობდა წყლის ამღვრევას. საკმარისია, გადაათვალიეროთ იმ დროის „დროების“ ფურცლები, რომ იგი თუ არა აშკარად, ყოველ შემთხვევაში გადაკვრით მაინც აღმფოტებით მიუთითებდა ამ გარემოებაზეც.

„სარა მოდებადის საქმეს“ „დროებამ“ მიუძღვნა მთელი რიგი წერილებისა, რომელთაგან უმეტესობა თვით გაზეთის რედაქტორის ს. მესხის კალამს ეკუთვნის. საქმემ საკმაოდ გახმაურებული ხასიათი მიიღო, ისე, რომ სასამართლო პროცესზე დასასწრებად, როგორც „დროება“ აღნიშნავდა, საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოვიდნენ კორესპონდენტები.

როდესაც ქუთაისში აღნიშნული საქმის გამო სასამართლო პროცესი დაიწყო, „დროება“ თითქმის მთელი სამი კვირის განმავლობაში რეგულარულად აქვეყნებდა პროცესის საკმაოდ დანვრილებით ანგარიშს. პროცესი ებრაელთა გამარ-

თლებით დამთავრდა, რასაც ალტაცებით აღნიშნავდა კიდევ გაზეთი თავის ფურცლებზე [4].

გაზეთი 1879 წლის №64-ში მოთავსებულ ფელეტონში „უცნაური თხა და საბრალო სარრა“ ბოლოს დასძენდა: „ღმერთმა ინებოს, რომ ამ საბრალო სარრას და ამ უცნაური თხის ამბავმა უნაყოფოდ არ ჩაიაროს ჩვენს ქვეყანაში“ [5]. მაგრამ ცარიზმის ანტისემიტური პოლიტიკის პირობებში მოქცეული ცრუმორწმუნოებითა და სიბნელით მოცული ადამიანთა გონებაში ძნელი იყო ერთბაშად ჭეშმარიტებისა და შეგნების შეტანა. ამიტომ იყო, რომ სარა მოდებადის საქმის მაგვარ ფაქტს, მეტნაკლები სიძლიერით ერთხელ ჰქონდა კვლავ ადგილი საქართველოში. გაზეთი „დროებაც“ დაულალავად იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ამხელდა, სააშკარაოზე გამოჰქონდა და ცდილობდა, ხალხის შეგნებამდე დაეყვანა ამ ცილისწამებათა ნამდვილი არსი, მისი მავნებლობა და დანაშაულიც კი.

გაზეთი „დროება“, გამოდიოდა რა ებრაელთა ქომაგისა და დამცველის როლში, ამასთან ერთად არ ივიწყებდა მათ საგმობ ზნე-ჩვეულებათა და მიდრეკილებათა კრიტიკასაც, რომელიც საბოლოო ჯამში ისევ ამ ხალხის მომავლისა და კეთილდღეობის სურვილებით იყო გამსჭვალული. გაზეთი თავის ფურცლებზე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ებრაელ მოსახლეობას შორის სწავლა-განათლების გავრცელების აუცილებლობას. ამ მხრივ, „დროების“ გამოსვლები სამართლიანი გულისწყრომით იყო გამსჭვალული.

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპისა და თუნდაც რუსეთის ებრაელი მოსახლეობისაგან განსხვავებით, საქართველოს ებრაელი მოსახლეობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების რუტინისა და საშინელი ჩამორჩენილობის ტყვეობაში იმყოფებოდა.

„დროება“ თავის ფურცლებზე მიმართავდა რა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს, რომ მათ ალღო აეღოთ მომავ-

ლისათვის, შეეგნოთ, რომ მხოლოდ „ჩითით და ნემსით ვაჭრობით“ ისინი შორს ვერ წავიდოდნენ, მოუწოდებდა, რომ მომავალი თაობისათვის შესაფერისი სწავლა-განათლება მიეცათ. 1883 წლის 21 სექტემბრის ნომერში გრ. უმნიფარიძე წერდა: „ჩვენებური ებრაელები კი გაქვავებულან მამა-პაპურ ყოფაცხოვრების კალაპოტში და აქამდის ვერ შეუგნიათ ახალი მეცნიერებისა და სწავლა-განათლების საჭიროება. მათ ემინიათ განათლებისა და არ აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაში, თუნდ შეძლებაც აძლევდეს ამის ნებას. ასე რომ, განათლება, - მეტადრე გიმნაზია და უნივერსიტეტი, - გარყვნის მათ შვილებს, წაართმევს სარწმუნოებას და შეაძულებს ებრაელისა. ის როდი იციან, რომ პირიქით, რაც მეტი განათლებული ებრაელი იქნება, მით უფრო მალე შეიცვლება მათი დაჩაგრული ბედი და უფრო მეტი გონების ძალით შეიარაღებული მოსარჩელე ეყოლებათ... ..დროა, დიდი ხანია, დროა, რომ ჩვენებური ქართველი ებრაელებიც დაუკვირდნენ თავიანთ მდგომარეობას, შეიგნონ სწავლა-განათლების საჭიროება, იცოდნენ ახალი დრო და მიანებონ თავის თავის კარ- ჩაკეტილობას“ [9].

„დროების“ დემოკრატიული იდეები, მისი თავგანწირული ბრძოლა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, მისი გაბედული გამოსვლები ხალხთა შორის ძმობისა და ერთობისათვის, მეფის მთავრობისა და მისი ბიუროკრატიული აპარატის აღშფოთებას იწვევდა. ცენზურის განუწყვეტელი დევნისა და კონტროლის პირობებში მოქცეული გაზეთი, ბოლოს 1885 წ. დახურეს კიდევ. გაზეთის დახურვა ქართველი ხალხის საერთო-სახალხო გლოვის დღედ გამოცხადდა. ამ გლოვას ქართველ ხალხთან ერთად გულწრფელად იზიარებდა საქართველოს ებრაელი მოსახლეობაც. მათ დროების სახით დაკარგეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მეგობარი, მათი ჭირისა და ლხინის ერთგული გუშაგი.

ნიგნში „ქართველთა ებრაელნი“ ზ. ჭიჭინაძე 1904 წელს წერდა: „საზოგადოთ ქართველი მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათა მდგომელთა შესახებ... ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა მიმართ ვალმოხდილია და ამაგდარი“ [13]. ებრაელთა წინაშე ამაგდარი ქართული მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნიმუშს კი სწორედ გაზეთი „დროება“ წარმოადგენს.

როგორც წერილობითი წყაროებით დასტურდება, XIX საუკუნის (და მანამდელი ხანისაც) საქართველოში ებრაელობა სოციალურად და ინტელექტუალურადაც მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებდა. გარე სამყაროსგან, ფაქტობრივად, თვითიზოლაციაში მყოფი და განკერძოებულ თემებად მცხოვრები ებრაელების უმთავრესი მიზანი საარსებო სახსრის მოპოვება იყო. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველ ებრაელებს მათი რეალური პოტენციური ინტელექტუალური შესაძლებლობები თითქმის საერთოდ არ გამოუვლენიათ.

ქართველი ებრაელობა ძირითადად ვაჭრობას მისდევდა და სწავლა-განათლება მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები, ქართველ ებრაელთა ასეთი მდგომარეობა აწუხებდათ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართველი ებრაელების სწავლა-განათლებისაკენ შემობრუნებას.

ზ. ჭიჭინაძე გულისტკივილით წერდა: „მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებს მცირედ შეიგნეს ქუთაისის ებრაელთა, ზოგიერთებმა შვილების სამოქალაქო სკოლაში იწყეს შეყვანა... ღმერთმა ქნას, რომ ამ ერს გაებედოს სწავლის ასპარეზზე გამოსვლა. ამათში მხოლოდ ერთი ზარის რეკა არის საჭირო, რომ დაირეკოს სწავლის ზარი, საჭიროა მხოლოდ, რომ რამდენიმე კაცის შვილმა გაებედოს დაბალი სკოლიდან საშუალო

და უმაღლეს სასწავლებლებში გადასვლა, თორემ მერე თქვენახავთ, მათში როგორ გაიღვიძებს დიდი მიმბაძავობა, დიდი ლტოლვა სწავლისა... დარწმუნებული ვარ, რომ მათის შვილებით აქა-იქ გაივსება სასწავლებლები, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ქართველთ ურიები შენიშნულნი არიან როგორც ნიჭიერი და მოხერხებული ხალხი“...[13].

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ებრაელ და ქართველ ინტელიგენციას ესმოდა რა ბავშვებისათვის განათლების მიღება, თხოვნები მიდიოდა გუბერნიის ხელმძღვანელობასთან ებრაული სკოლების გახსნაზე, სადაც ძირითად საგნებთან ერთად ესწავლათ თალმუდ თორაც. საარქივო მასალებისა და გაზეთ „დროების“ ფურცლებით ცნობილია, რომ საგანმანათლებლო შინაარსის ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი 1849 წლით თარიღდება (ფონ. 4, საბ. 219, ფურ. 2-3), რომლის მხოლოდ თავფურცელია შემორჩენილი [6]. საბუთი განეკუთვნება კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას და წარმოადგენს თბილისის გუბერნატორის ცნობას ქალაქში არსებული ებრაული საზოგადოებების, სინაგოგების, რელიგიური სკოლებისა და ებრაული მოსახლეობის შესახებ.

იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ებრაელების მცირე ნაწილი აქტიურად იყო ჩართული ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობდნენ ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოებში. მაგალითად, ქალაქ ქუთაისის სათათბიროში სხვადასხვა დროს არჩეულნი იყვნენ მ. რიჟინაშვილი (1875 წ.), ე. კაკიტელაშვილი, მ. რიჟინაშვილი, შ. რიჟინაშვილი (1888 წ.).

საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაულმა ყოფამ გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორწილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში. XIX-ე საუკუნის ქართულ-ებრაული კულტურული ცხოვრება გვიჩვენ

ნებს, როგორ ცდილობდნენ, თავად ებრაელები განესაზღვრათ საკუთარი იდენტობა და მიმართება, ერთი მხრივ, ქართულ კულტურულ გარემოსთან, მეორე მხრივ, მსოფლიო ებრაულ დიასპორასა და პალესტინასთან. გამოიკვეთა, თუ როგორ „ტრანსფორმირდა „ურია“ - საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი „უცხო ტომთაგანი“ - „ქართველ ებრაელად“, თუ როგორ გადაფარა ქრისტეს მწვალებელი, „ჩარჩ-წურბელა“ ურიის სახე საქართველოში ქრისტეს კვართის ჩამომტანი, ქართველი ხალხის ისტორიული ბედის გამზიარებელი, საქართველოს პატრიოტი ქართველი ებრაელის იმიჯმა“ [11].

არც ერთ სხვა ერს არ გამოუხატავს ქართველი ერისადმი მადლიერების, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა მსგავსად ებრაელებისა, რასაც ქართველი ერი არასოდეს არ დაივინყებს. ამის ნათელი მაგალითია XIX საუკუნეში ქართველი და ებრაელი ხალხის თანაცხოვრების საინტერესო ისტორიები. ჩვენ ხომ სხვადასხვა გვარტომობრივი ფესვები, მაგრამ საერთო გვარები, საერთო სამშობლო, საერთო ტრადიციები, საერთო კულტურა... და მშვიდობიანი თანაცხოვრების ყველაზე მეტად აუცილებელი, ერთმანეთის სიყვარული გვაქვს?! ათასწლეულების წიაღიდან გამოსულებს მრავალი ჭირი, ვარამი, დამარცხება, გამარჯვება გამოგვივლია და ხშირად სასონარკვეთილებს მაინც შეგვინარჩუნებია, როგორც საკუთარი თავი, ასევე საერთო ქვეყანა, საყვარელი სამშობლო და დაღლილ-დაქანცულები მოვდგომივართ XXI საუკუნეს.

ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობები დღემდე წარმატებულად გრძელდება. საქართველოდან წასულმა უამრავმა ებრაელმა დიდ წარმატებას მიაღწია ისრაელში, მაგალითად იცხაკ დავიდმა, დავით ბააზოვმა, ჯემალ აჯი-აშვილმა და ა.შ.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გაზეთი „დროება“, 1868, № 43.
2. გაზეთი „დროება“, 1871, № 32.
3. გაზეთი „დროება“, 1875, № 9.
4. გაზეთი „დროება“, 1877, № 27.
5. გაზეთი „დროება“, 1879, № 64.
6. გაზეთი „დროება“, 1880, № 27.
7. გაზეთი „დროება“, 1881, № 91.
8. გაზეთი „დროება“, 1882, № 153.
9. გაზეთი „დროება“, 1883, № 181.
10. გაზეთი „დროება“, 184, № 166.
11. იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალენი-
კური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918), თსუ,
თბ., 2014.
12. ჭავჭავაძე ი., „ებრაელთა საკითხზე“, თბ., 1886.
13. ჭიჭინაძე ზ., „ქართველი ებრაელები“ თბ., 1904.

Elene Gegeshidze

**Jewish theme in Georgian culture,
according to the newspaper "Droeba"
In the XIX century**

Summary

Among the Georgian periodicals of the second half of the 19th century, the issue of the Jews was one of the most important topics in the pages of the newspaper "Droeba", which G. For 14 years after Tsereteli, one of the most prominent representatives of the Georgian People's National Liberation Movement, a publicist and a talented journalist, headed S. Meskhe-

tian. And since 1883 it has been ruled by the second great Georgian public figure and publicist Iv. Machabel.

There has never been a painful, needy issue in the life of the Georgian people that did not become the subject of discussion of the "Times". Tsarism, a "time" fighting against the bureaucratic apparatus and colonial policy, its papers imbued with democratic ideas, seemed to preach brotherhood and unity among peoples, standing guard over the interests of the oppressed and small nations. In this regard, the merits of "Droeba" towards the Jewish issue are noteworthy.

"Droeba" often placed angry correspondence in its pages, letters, around the mentioned facts, against their wild character, exposing their real reasons for their classic essence.

The issue of the legal status of Jews under the anti-Semitic policies of tsarism is one of the main topics of the "Times". He exposed the anti-Jewish policies of Tsarism, campaigned against the political, social and other restrictions of the Jews, and exposed the national self-imposed, colonial policy of Tsarism against the small and oppressed nations within the Russian Empire.

The democratic ideas of "Droeba", his selfless struggle for the better mermaid of the Georgian people, his courageous speeches for brotherhood and unity among the peoples, infuriated the King's government and its bureaucratic apparatus. A newspaper under constant persecution and control of censorship, last published in 1885. They even closed it. The closure of the newspaper was declared a day of general mourning of the Georgian people. This mourning was sincerely shared by the Jewish population of Georgia along with the Georgian people. They lost in time one of their best friends, a faithful watchman of their plague and famine.

Throughout the 19th century, unlike the Jewish population of Western Europe and even Russia, the Jewish population of Georgia was still captive to the medieval routine and terrible backwardness.

From the 50s of the XIX century, the Jewish and Georgian intelligentsia understood what it was like to get an education for children, and requests were made to the leadership of the province to open Jewish schools, where the Talmud Torah was taught along with the main subjects.

There were exceptions as well. A small number of Jews were actively involved in the public life of the city, participating in the representative bodies of the city. For example, in the Kutaisi City Council at different times were elected M. Rizhinashvili (1875), e. Kakitelashvili, M. Rizhinashvili, Sh. Rizhinashvili (1888).

Relations between Georgians and Jews continue to this day. Many Jews who left Georgia have achieved great success in Israel, such as Yitzhak David, David Baazov, Jemal Ajiashvili, etc.

ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეიზე

ვარლამ ჩერქეზიშვილი გახლდათ თავისი დროის თვალსაჩინო პოლიტიკოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. ამავდროულად, იგი იყო ძალიან კარგი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, რომელიც იმ ეპოქის ქართულ პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა საინტერესო წერილებს, სადაც ის, როგორც ჟურნალისტი, დიდ ერუდიციას ამჟღავნებს დასავლეთ ევროპის ისტორიაში, ლიტერატურაში, მუსიკასა და ფერწერაში. მისი სახით საქმე გვაქვს იმ ეპოქის ერთ-ერთ განათლებულ პიროვნებასთან. სხვა რომ არაფერი არ გაეკეთებინა, ალბათ, ეს საინტერესო სტატიები საკმარისი იქნებოდა ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის უკვდავსაყოფად. საქმიანობის ეს მხარე დაჩრდილა მისმა პოლიტიკურმა კარიერამ და ფართო წრეებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ, ვეცადეთ, აღნიშნული საკითხი უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი, პირველ რიგში კი, ინგლისის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, სადაც ის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და საკმაო ინფორმირებულობასა და ცოდნას ამჟღავნებდა ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისადმი. ემპირიული და ფაქტობრივი მასალის ცოდნა მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებს და ის, როგორც წყარო, სავსებით საიმედოა. არის კიდევ ერთი საინტერესო თვალსაზრისი, ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ რა პირობებში შეიძლება იყოს მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაცია და შესწავლა ნაყოფიერი. ეს ხდება მაშინ, როდესაც შენ იმყოფები იმ ქვეყანაში, რომლის წარ-

სულსაც იკვლევ. ვარლამ ჩერქეზიშვილი მიეკუთვნება სწორედ ამგვარი „ფუფუნების“ მქონე პიროვნებათა რიცხვს. ეს მისი ემიგრანტული ცხოვრების გამოძახილა.

ამჯერად ჩვენ ვეცდებით, გავარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის სერ ედუარდ გრეისადმი (1862-1933), რომელსაც ეკავა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო წლებში პირველი მსოფლიო ომის წინ - 1905-1916 წლები [1;2;3;4;6;7;8;9]. ძირითად ინორმაციულ წყაროს ვ. ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში ვხვდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება სერ ედუარდ გრეისადმი.

სერ ედუარდ გრეის მოღვაწეობის შეფასებისას ვეყრდნობით სხვადასხვა ავტორთა შრომებს 1;2;3;4;6;7;8;9]. დავიწყოთ იმით, რომ სერ ედუარდ გრეის მოღვაწეობა დღეს მიეკუთვნება ახალ ისტორიას, მაგრამ მაშინ XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვარლამ ჩერქეზიშვილი აქვეყნებდა თავის პუბლიცისტურ წერილებს, ეს იყო უახლესი ისტორია. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო, რომ სერ ედუარდ გრეის საქმიანობა აღმოჩნდა მისი თვალთახედვის არეალში.

უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ეს პუბლიკაციები ეხება იმ პერიოდს, სანამ სერ ედუარდ გრეი გახდებოდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი და სათავეში ჩაუდგებოდა „ფორინ ოფისს“. ის იყო ლიბერალური პარტიის წევრი. რაც შეეხება ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებას სერ ედუარდ გრეის, როგორც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, უნდა ვეძიოთ შემდგომი პერიოდის პუბლიცისტურ

წერილებში, საუბარი გვაქვს ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების მეორე ტომის პუბლიკაციაზე.

ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველ ტომში სერ ედუარდ გრეის სახელი სულ ცხრაჯერ არის ნახსენები. საინტერესოა რა კონტექსტში ახსენებს ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეის, რომელზედაც საკმაოდ არის ინფორმირებული და კარგად იცნობს ემპირიულ და ფაქტობრივი მასალას, რადგან იგი გახლავთ თვითმხილველი და მის ხელთ არსებულ მასალას ინგლისიდან აგზავნის.

პირველად ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში სერ ედუარდ გრეის სახელმა გაიჟღერა ქართულ კონტექსტში. რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ საქართველოს პეტიციას საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წელს, რომელიც თარგმნა ი. ყიფშიძემ და გამოქვეყნდა ჟურნალ „პრომეთეში“ 1918 წლის მესამე ნომერში. „ჰააგის კონფერენციაზე საქართველოს პეტიციის ორგანიზება და წარდგენა გახლდათ ვარლამ ჩერქეზიშვილის დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე. ეს ის შემთხვევაა, როცა სამშობლო და ქართველი ხალხი ვალშია თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ხსოვნის წინაშე“.

აქ სერ ედუარდ გრეის სახელი, რომელიც ამ დროს უკვე იყო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ორჯერ არის მოხსენიებული იმ რეპრესიებთან მჭიდრო კონტექსტში, რომელიც განახორციელა მეფის რუსეთმა საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს. სხვათა შორის, ეს გახლავთ ერთადერთი სიუჟეტი, რომელიც შეეხება სერ ედუარდ გრეის საქმიანობას ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. საინტერესოა, რომ სერ ედუარდ გრეის სახელი პეტიციაში ორივე შემთხვევაში დადებით კონტექსტში მოიხსენიება.

„ლონდონში შედგა კომიტეტი ქალბატონ კევენდიშ და ბატონ მორისის თავმჯდომარეობით, ლიბერალმა ბანკირმა

სკოტტმა კასირობა იკისრა, მაგრამ ამ მოძრაობის მთავარი ღერძი ჩვენი მეგობარი დაუღალავი ნ. დრაიპორსტი იყო. თუ როგორი ენერგიით შეუდგა საქმეს კომიტეტი, იქიდან ჩანს, რომ მან ორ კვირაში 4000-ზე მეტ ინგლისელ ქალს პროტესტზე ხელი მოაწერინა და პოლიტიკაში და ლიტერატურაში ცნობილ ქალთა დელეგაციამ ეს პროტესტი პრემიერს კამპბელ ბანერმანს და სერ ედუარდ გრეის წარუდგინა. ამბობენ, პროტესტმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მინისტრებზე, რომ გადანწყვიტეს განუსაზღვრელი დროით გადაედოთ ინგლისის ფლოტის მეგობრული მანიფესტაცია კრონშტადტში. ნიკოლოზ II-ის მთავრობას არაფრად მოეწონა ასეთი გადანწყვეტილება. ნამეტურ უკმაყოფილო იყო მით, რომ ლექციებზე, სტატიებში და საზოგადოებაში საქართველოზე და მის უფლებებზე ლაპარაკი დაიწყეს.

საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, ჩვენს უფლებაზე - გვექონოდა ავტონომიური ეროვნული თვითმმართველობა, ავტოკეფალური ეკლესია, საკუთარი ფული და ეროვნული ჯარიც გვყოლოდა, ყველა ამის შესახებ არაერთგზის ყოფილა დაწერილი წინეთაც, მაგრამ ფართო საზოგადოებამ ძლიერ ცოტა იცოდა საქართველოს და მისი უფლებათა შესახებ. მხოლოდ უკანასკნელი 25-30 წლებში გაჩნდნენ პოპულარული სტატიები და წიგნები საქართველოს შესახებ და ქართულიდან ინგლისურზე ითარგმნა“ [5.18-19].

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე. დავინწყოთ იმით, რომ დიდი ალბათობით იგი აქ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს გაფორმებულ გეორგიევსკის ტრაქტატს უნდა გულისხმობდეს, რომლის პირობები რუსეთმა უხეშად დაარღვია და შეიერთა საქართველო. გრეისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის კეთილგანწყობილება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოფილა და ამ საკითხში მის მიერ დაკავებული სამართლიანი პოზიციით უნ-

და ავხსნათ. გასათვალისწინებელია გრეის ამგვარი ხისტი პოზიცია რუსეთის მიმართ, როდესაც ის რუსეთ-ინგლისის დაახლოების ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად გამოდიოდა.

მეორე ამონარიდი, სადაც სერ ედუარდ გრეის სახელია მოხსენიებული, პირველის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. „კიდევ მაგალითი ჩვენი პეტიციის გავლენისა, ის იყო ორი თვის წინად ომამდის. ქართული გაზეთებიდან გავიგეთ, რომ რუსეთის მთავრობას გორის მაზრაში სამხედრო პოლიგონის გამართვა გადაუწყვეტია და ამის გულისთვის ბევრი ქართული სოფელი უნდა აეყარათ წინააღმდეგ ამ სოფლების სურვილისა. ჩვენ გლახთა გოდება და ჩივილი გადავთარგმნეთ ქართული გაზეთებიდან და ამ თარგმანითა და ჩვენი პეტიციის ტექსტით მე წავედი ჩემს ძველ ნაცნობთან ელისე რეკლიუ ხისუსთან, ინგლისის სამშვიდობო საზოგადოების მდივანთან. მე ვთხოვე მას მოეხსენებინა მათი საზოგადოების კონგრესისათვის, რომელიც ლივერპულში უნდა შეკრებილიყო, პოლიგონის საქმე და ცდილიყო კონგრესს გამოეტანა საპროტესტო რეზოლუცია. ხისი შემპირდა და კიდევ შეასრულა თავისი სიტყვა: კონგრესმა ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო. „ეთხოვოს ინგლისის მეფის მთავრობას, აცნობოს პეტერბურგის მინისტრთა კაბინეტს, რომ სამხედრო პოლიგონის გამართვა არღვევს საქართველოს უფლებას, რომელიც მას აქვს ხელშეკრულების ძალით. ეთხოვოს სერ ედუარდ გრეის (საგარეო საქმეთა მინისტრს) აცნობოს ამის შესახებ აგრეთვე მეფის მოადგილეს“ [5.31].

ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საინტერესო და სანდოა, გარდა ამისა, მას წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა გააჩნია. იგი ქართულ საზოგადოებას ედუარდ გრეის აქამდე უცნობ ბიოგრაფიულ ნაწილზე აწვდის ინფორმაციას.

* * *

ამის შემდეგ სერ ედუარდ გრეის სახელს ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში ვხვდებით, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1893-დან 1904 წლამდე. ჯერ ეს იყო „ივერიაში“ 1893-დან 1902 წლამდე, სადაც ის წერილებს აქვეყნებდა „W.Vasiam“ (1892-1894), ხოლო შემდეგ 1898-1902 წლებში „ვ. მარველის“ ფსევდონიმით. „ცნობის ფურცელში“ კი მისი ფსევდონიმი ყოფილა „ტემზისპირელი“ და „ლონდონელი“. ეს იმიტომ სჭირდებოდა, რომ მეფის რუსეთის მთავრობა მას, როგორც საერთაშორისო ანარქიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, სასტიკად დევნიდა.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე სერ ედუარდ გრეის სახელი ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში პირველად მოიხსენიება მის ვრცელ სტატიაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1898 წლის 18 ივლისს გაზეთის 153 ნომერში. აქ გრეის სახელი ნახსენებია ინგლის-ამერიკის ლიგის შექმნასთან კონტექსტში. სტატია ქვეყნდება ვ. მარველის ფსევდონიმით. კრებამ ლორდის ბერეს-დარფის წინადადებით დაადგინა: „ვინაიდან ინგლისისა და შეერთებული შტატების ერი მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩამომავლობით, ორთავეს აქვთ ერთი და იგივე ლიტერატურა და კანონები და ერთი და იგივე პრინციპი თვითმმართველობისა, ორთავენი იბრძვიან თავისუფლების და კაცთმოყვარეობისათვის და ყოველივე ეს სულს უდგამს იმათს საერთო პოლიტიკას, აგრეთვე ორივეს კავშირი აქვს ერთმანეთთან მთელი დედამიწის მრავალ ქვეყნებში, მიტინგი იმ აზრისაა, რომ ცივილიზაციისა და მშვიდობის გულისთვის მიღებული უნდა იქნას ყოველგვარი საშუალება, რათა დაარსდეს მჭიდრო, მუდმივი, და გულითადი კავშირი ამ ერთა შორის“.

მეორე დადგენილების ძალით ამ კავშირს სახელად ეწოდება ინგლის-ამერიკის ლიგა.

ლიგის კომიტეტის წევრებად არჩეული იქნა 24 კაცი. მათ შორის არიან: ჯემს ბრაისი, ჰერცოგი სუტერლენდი, ლორდები გრეი და ნოსკოტი, ვალტერ ბეზანტი, ბენტინგი და სხვა სახელოვანი კაცები [5.117].

აქ, უპირველესად, ყურადღებას იპყრობს ვარლამ ჩერქეზიშვილის ფაქტოლოგიური მასალის ცოდნა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წყობასა და ისტორიაზე. ეს ვარლამ ჩერქეზიშვილის ღრმა განსწავლულობის კიდევ ერთი ნიმუშია.

ვარლამ ჩერქეზიშვილი მინიშნებას აკეთებს ოპოზიციაში მყოფ სერ ედუარდ გრეის საქმიანობის ერთ პატარა ნახნაგზე. მის ჩართულობას ინგლის-ამერიკის შეერთებული შტატების ლიგის ჩამოყალიბების საქმეში. დასასრულს გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში სერ ედუარდ გრეის სახელი, როგორც ვხედავთ, კვლავ დადებით კონტექსტშია მოხსენიებული, რაც ინგლის-ამერიკის შეერთებული შტატების ლიგის შექმნისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის კეთილგანწყობილების ლოგიკური შედეგია.

სერ ედუარდ გრეის სახელი მეორედ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გვხვდება, ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიკაციაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1900 წლის 9 მაისს 99 ნომერში. აქ ის ეხება საკმაოდ აქტუალურ თემას, შავკანიანი მოსახლეობის სეგრეგაცია ინგლისში. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. „...ეს ბრძოლა კაპიტალისტების მიერ არის დაწყებული იმ აზრით, რომ შავკანიანი ხალხის იაფფასიანი შრომით თავიანთი შემოსავალი ერთი ათად აქციონ. სამხრეთ აფრიკის სავაჭრო ამხანაგობის თავმჯდომარემ ბ. ლორდმა გარრისმა, ამ წინაზედ პირდაპირ აღიარა მეაქციეთა კრებაზედ, რომ 21 მილიონ

თანხაზედ წლიური შემოსავალი 10 მილიონი მათ ვერ აკმაყოფილებს, ეცოტავებათ, ხოლო ამხანაგობის ინჟენერმა გამონდმა დასძინა, რომ ომის შემდეგ 21 მილიონ თანხას ამდენსავე მოვავებინებთო და სხვა. მაგრამ არ გეგონოთ კი, რომ მათ ჩვენ, ინგლისელებს, სამუშაოს გაგვიჩენენ. არა! მათი გადაწყვეტილებაა, რაც შეიძლება ნაკლებად ისარგებლონ თეთრკანიანების შრომით. იმავე გამონდმა განუცხადა კრებას, რომ ომის შემდეგ მთავრობამ ამხანაგობებს ხელი უნდა შეუწყოს და მღვიმე-მალაროებში სამუშაოდ 80 000 შავკანიანი მოგვცესო... ეს არის იმათი აზრი, ჯერ ისევ 1894 წ. გამოსთქვა როდსმა ის აზრი, რომ შავკანიანებმა მუშაობა დაიწყონ, მაშინ თეთრკანიანების სამუშაო ფასი მთელს ქვეყანაში ძირს დაინეცსო. ომის დროს ხომ ლორდმა გრეიმ პირდაპირ განაცხადა, რომ „შავკანიანების შრომა სავალდებულოდ უნდა გავხადოთ“ [5.147]. აქ, ცხადია, საუბარია ინგლის-ბურების ომზე (1899-1902). ამ შემთხვევაში სერ ედუარდ გრეი ვ. ჩერქეზიშვილის პუბლიკაციაში, როგორც ხედავთ, უფრო უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული. ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია უფრო მისაღები უნდა ჩანდეს, ვიდრე როდსის და გრეის.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში სერ ედუარდ გრეის სახელი კიდევ ერთხელ გვხვდება წერილში „XIX საუკუნე“, რომელიც გამოქვეყნდა 1900 წლის 27 ივნისს გაზეთის 163 ნომერში. იმ წერილებს შორის, სადაც ფიგურირებს სერ ედუარდ გრეის სახელი, ეს პუბლიკაცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩინია, რადგან მას ანალიტიკური, შემეცნებითი და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. აი, რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის პუბლიკაციაში: „საშინაო პოლიტიკაში უნიონისტებს გულით სურთ ტორიების თავიდან მოშორება, მაგრამ ამისათვის ჯერ საკმაო ძალა არ შესწევთ. ასე რომ არ იყოს, სალისბიურს აქამდე ათჯერ გადააბრძანებდნენ და იმის ადგი-

ლას დევონშირის ჰერცოგს დასვამდნენ, ხოლო ბალფურის ადგილას - ჩემბერლენს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ უნიონისტები ამ მხრივ დიდი ხანია, მეცადინეობენ. მკითხველის გასაოცებლად მეტსაც ვიტყვით: საქმის ვითარება აშკარაა ჰყოფს, რომ ინგლისის პოლიტიკის ბატონებად შეიქმნებიან სწორედ ეს უნიონისტები, მაშასადამე, იმათთან ერთად ჩემბერლენიც. საჭიროა მხოლოდ, რომ უნიონისტნი გრეისა, ასკიტისა, გოლდენისა და როზბერის ფრაქციები ლიბერალ-იმპერიალისტებს შეუერთდნენ. ამ მხრივ საქმე კეთდება კიდევ. რაც დრო და ხანი გადის, უნიონ-იმპერიალისტები უფრო და უფრო ახლოვდებიან“ [5.295].

ყოველთვის გავამახვილებთ რამდენიმე მომენტზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის დადებითი მხარეა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ იგი სერ ედუარდ გრეის სახეებით სამართლიანად უკავშირებს ლიბერალ-იმპერიალისტების დაჯგუფებას და, ამავდროულად, ავლენს ერთ საინტერესო თვისებას, მას გააჩნია პროგნოზის დასმის უნარი. მხედველობაში გვაქვს 1901 წელს მის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომელიც გამართლდა და 1905 წელს ხელისუფლების სათავეში ლიბერალები დაბრუნდნენ [1;8;9]. ინგლისის ისტორიაში დაიწყო ლიბერალების ერა. გამოცდილ პოლიტიკოსს ალღომ არ უმტყუნა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სახელის მართლწერამ, შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფეხი ვერ მოიკიდა, მაგალითად, სოლსმერი, ასკვიტი.

ამ ამონარიდის მეორე მონაკვეთი საინტერესოა და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ის ორ ნაწილად გაგვეყო. აი, რას ვკითხულობთ: „დასახელებული ვაჟბატონები, განსაკუთრებით ასკვიტი და გრეი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ძალისა და გავლენის მქონე ხალხია. ნიჭი და ფართო პოლიტიკური შეხედულებები მათ არ მოე-

პოვებათ, მაგრამ ორივენი, როგორც ამბობენ ხოლმე, საქმის კაცები არიან“ [5.235]. როგორც ვხედავთ, ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯერ ედუარდ გრეიზე მაინცდამაინც მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ ნერილებში სერ ედუარდ გრეის სახელი კიდევ ერთხელ გვხვდება მის სტატიაში „ნერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1901 წლის 14 მარტს ორმოცდამეთვრამეტე ნომერში ვ. მარველის ფსევდონიმით. აქ გრეის სახელი ფიგურირებს ინგლის-ბურების ომთან (1899-1902) კონტექსტში. აქ იგი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამ ომში სერ ედუარდ გრეის მიერ დაკავებული პოზიციისადმი. ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა: „მთავრობამ ეს ამოდენა ხარჯი მხოლოდ იმიტომ გასწია, - სთქვა ერთმა მეტად ზომიერმა მოხუცმა, რომ როდესაც, ეკშტიენებსა და სხვა მძარცველთ შეძლება მისცენ, რომ ერთი თავისუფალი რესპუბლიკის მალაროებში ბატონყმური, მონური შრომა შემოიღონ. ამაზე მეტი სირცხვილი და სახელის გატეხვა იქმნება.

მერე გავიფიქრე ჩემთვის, რათა ჰყვიროდით თქვენ ზომიერნი, რადიკალთა, სოციალისტთა და მუშების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, როდესაც ისინი ომის დაწყებისთანავე ამ სიტყვებს ამგვარისავე კილოთი გეუბნებოდნენ. ზოგიერთნი, როგორც კონსერვატორთა, ისე ლიბერალთაგან ტყუილად სცდილობენ ეხლა სამინისტროს გაშავებას. ეხლა - „მოდაშია“ ავადხსენება ომისა, რომელსაც თვით ბალფურმაც კი საზიზღარი უწოდა, მაგრამ განა ლორდი გრეი და ასკვიტი არ იყო - ლიბერალთა ეს ორი წინამძღოლი არ არწმუნებდა ინგლისს, რომ პატრიოტიზმი თხოულობს, რომ რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩემბერლენის მიერ დაწყებული ბოლომდე უნდა მივიყვანოთო?“ [5.160-161]. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, მარ-

ცხნიდან აკრიტიკებდა სერ ედუარდ გრეის პოზიციას და ინგლისის მთავრობას და ეს კრიტიკა ჯანსაღ აზრს მოკლებული არ გახლავთ.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში კიდევ ორჯერ შევხვდით სერ ედუარდ გრეის სახელს სტატიის „წერილები ინგლისიდან“. პირველი დაიბეჭდა 1901 წლის 4 ივლისს ასორმოცდამესამე ნომერში, ხოლო მეორე ოდნავ მოგვიანებით 1901 წლის 15 სექტემბერს გაზეთის მეორასე ნომერში. პირველ შემთხვევაში გრეის სახელი მოხსენიებულია ინგლის-ბურების ომის დროს ინგლისელთა მიერ განხორციელებული რეპრესიების კონტექსტში, რომლისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ნეგატიურია. მეორე შემთხვევაში გრეის სახელი ნახსენებია შოტლანდიის საკითხზე უნიონისტების მიერ დაკავებულ პოზიციასთან კავშირში. განვიხილოთ თანამიმდევრულად.

„აღმოჩნდა, რომ 63 ათასს სულზე მეტი დაუმწყვდევიათ ამ ადგილებში, რომ ბუზებივით იხოცებიან ეს საცოდავნი, რომ შიმშილი და სიტიტვლე შეადგენს უდანაშაულო ბავშვთა ხვედრს, რომელთაგანაც სამი კვირის განმავლობაში 450 სული გამოესალმა ნუთისოფელს.“

მაგრამ ყველაფერი ეს გამოირკვა იანვარში კი არა, მაისის გასულს, მანამდე სამინისტრო სამარცხვინოდ სცრუობდა და ატყუებდა ყველას. მხოლოდ ძალიან დიდის მეცადინეობის შემდეგ ახერხებდნენ ყოველ ამბის შეტყობას და ამ ამბავთა შემონიშნებით პრესასა და პარლამენტში სიცრუის გზაზე დამდგარი სამინისტროს და გამხეცებულ რეაქციის გამტყუნებას. სამაგიეროდ, როდესაც გამოქვეყნებულ იქნა გულშემზარავი ფაქტები, დასასრული აღარ ჰქონდა ხალხის აღელვებას და უკმაყოფილებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტის იმ კრებაზე, რომელზედაც ლაპარაკი ტყვე დედაკაცთა და ბავშვთა შესახებ, სამინისტრო დაცემას გადარჩა მხოლოდ ასკვი-

ტისა და გრეის მეთაურობით შემდგარ ლიბერალ-იმპერიალისტთა ლალატის წყალობით, იმ ლიბერალ-იმპერიალისტთა, რომელთა შესახებ წინადაც ვწერდი, ამ ვაჟბატონებმა, 22 კაცმა, მონაწილეობა არ მიიღეს ხმის მოკრების დროს და ამის მეოხებით სამინისტრო განსაცდელს გადარჩა“ [5.272]. ვარლამ ჩერქეზიშვილი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ლიბერალ-იმპერიალისტებს და მათ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს ასკვიტს და გრეის. როგორც ხედავთ, ამჯერად სერ ედუარდ გრეის სახელი უარყოფით კონტექსტში ფიგურირებს.

მეორე საკითხი, სადაც გრეის სახელი არის ნახსენები, როგორც აღვნიშნეთ, შოტლანდიის თემაა: ვარლამ ჩერქეზიშვილი სამართლიანად ოპონირებს ლიბერალ-იმპერიალისტებს და მათ შორის, ცხადია, გრეის. მისი სახით საქმე გვაქვს ლიბერალ-იმპერიალისტების სერიოზულ კრიტიკოსთან. „ჯერ ერთი საყურადღებოა ის, რომ ლიბერალ-იმპერიალისტები (ასკვიტის, გრეისა და სხვათა ფრაქცია) ჩემბერლენის მხარისდაჭერისათვის ხელცარიელები დარჩნენ შოტლანდიაში: ასკვიტს ცივად შეხვდნენ ედინბურგში, ხოლო ლიბერალ-იმპერიალისტების კანდიდატი პარლამენტში „Daily Mail“-ის გამომცემელი სამარცხვინოდ დამარცხდა არჩევნებზე“ [5.287].

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში სერ ედუარდ გრეის სახელს აგრეთვე ვხვდებით გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომლის გამოცემის თარიღია 1902 წლის 14 სექტემბერს 1924-ე ნომერში. ჩვენი აზრით, ეს ამონარიდი მნიშვნელოვანია და გრეისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულების გასაღებს შეიძლება იძლეოდეს. აი, რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი: „საელემენტარო სწავლა განათლების შესახებ კონგრესმა ერთხმად უკმაყოფილება გამოუცხადა ბალფურის კანონპროექტს და დაადგინა, საპარლამენტო არჩევნების დროს იმოქმედოს იმ კანდიდატთა წინააღმდეგ, რომელნიც მხარს დაუჭერენ პროექტს. ამით კონ-

გრესი გადასწვდა ასკვიტის, ჰოლდენის და გრეის ფრაქციების ფრთათა ქვეშ ამოფარებულ ლიბერალ-იმპერიალისტებსაც. იმ ვაჟბატონებმა ასე დაუნანებლად გაჰყიდეს გლადსტონის ტრადიცია“ [5.328]. ვარლამ ჩერქეზიშვილის ნეიტრალური დამოკიდებულება სერ ედუარდ გრეის საქმიანობისადმი, რომელსაც ასევე ლიბერალ-იმპერიალისტების რიგებს მიაკუთვნებს, საესებით გასაგებია და უკავშირდება მის კეთილგანწყობილებას გლადსტონისადმი.

* * *

ამგვარად, პუბლიცისტური წერილებიდან ვარკვევთ და საესებით ლოგიკურად მივიჩნევთ, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეიზე მაღალი აზრის არ უნდა ყოფილიყო და მის სახელს, უპირატესად, უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს, რომელიც გამონწვეულია გრეის ლიბერალ-იმპერიალისტებთან კავშირით. ვ. ჩერქეზიშვილი ხშირად ეკამათება ლიბერალ-იმპერიალისტებს, მათ შორის, ცხადია, გრეის და ეს ოპონირება, უეჭველად, შეიცავს სიმართლის რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მისი მოსაზრების მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ის გრეის და ლიბერალ-იმპერიალისტებს მემარცხენე პოზიციებიდან ეკამათებოდა. ისინი კი მისგან უფრო მარცხნივ იდგნენ.

ჩვენს ხელთ არსებული ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ ვფიქრობთ, იგი საშუალებას გვაძლევს, გარკვეული დასკვნები გაგვეკეთებინა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საინტერესოა, გამოგვერკვია, თუ როგორი იქნებოდა ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება სერ ედუარდ გრეისადმი, როგორც „ფორინ ოფისის“ თავკაცისადმი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ საკითხზე, ალბათ, სერიოზული მასალა შეიძლება მოვიძიოთ მის პუბლი-

ცისტურ წერილებში, რომელიც იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში 1905-1917 წლებში. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი გაგრძელება პერსპექტიულად გვეჩვენება. პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების მეორე ტომის გამოქვეყნება. ეს გაგვიადვილებს საქმეს და დაგვეზარება კიდევ უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. ახლა კი შეგვიძლია მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვათ, რომ გრეის მოღვაწეობასთან მიმართებით ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ინდიფერენტულია და სერიოზულ ტრანსფორმაციას არ განიცდიდა, ეს არ იყო შემთხვევითი და, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ერთია ლიბერალ-იმპერიალისტებისადმი, რომელთა ბანაკს მიეკუთვნებოდა სერ ედუარდ გრეი, ვარლამ ჩერქეზიშვილის ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც არ შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ იდეალს და მეორეა გლადსტონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის კეთილგანწყობილება, რომელსაც ის, შესაძლოა, აიდეალებდა და მასზე მეტად მაღალი აზრის ჩანდა. მას გრეის და ლიბერალ-იმპერიალისტების პოლიტიკა სავსებით სამართლიანად ესახებოდა გლადსტონის კურსიდან გადახვევად. გლადსტონის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და მნიშვნელოვანწილად ირლანდიის ჰომრულის საკითხში მის მიერ დაკავებული პოზიციით შეიძლება იყოს განპირობებული.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ახალი ისტორია, ნაწილი II, თბ., 1975.
2. გაჩეჩილაძე რ., ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, თბ., 1994.

3. კალანდაძე მ., ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
4. მენტეშაშვილი ივ., ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
5. ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებები, ტომი I, თბ., 2011.
6. Брендон П., Упадок и разрушение Британской империи 1784-1997, Москва, 2010.
7. Британская империя: становление, эволюция, распад. под ред. В.В. Високова. Москва, 2010.
8. История дипломатии, под ред. Зорин В.А. и др, Москва, 1959.
9. Лунёва Ю. В., Лорд Эдуард Грей- мастер английской тайной дипломатии начала XX века. Новая и новейшая история, №5, Москва, 2009.

Tamar Antadze

Varlam Cherkezishvili on Sir Edward Grey

Summary

A famous Georgian anarchist Varlam Cherkezishvili was also a publicist and a journalist. His records contain interesting information regarding the outstanding political figures and events of the recent history of Europe in general and Western Europe in particular. This has enabled us reveal a totally different aspect of Varlam Cherkezishvili's activities, which has not yet been known to the society at large. In fact, we have revealed certain important aspects of Varlam Cherkezishvili's contribution to the promotion of the recent history of Western Europe in Georgia. Discussion of this issue is both interesting and topical.

The given paper focuses on the issue of Varlam Cherkezishvili's attitude to Sir Edward Grey (1865-1933), the Minister of Foreign Affairs of Britain.

Sir Edward Grey was an outstanding figure in the field of foreign relations and, generally, in the history of England at the beginning of the 20th century. Varlam Cherkezishvili makes several mentions of Sir

Edward Grey. This fact has aroused our interest in Varlam Cherkezishvili's attitude to Sir Edward Grey's activities. This issue has not been studied in historical scientific literature so far, hence, we have decided to fill this gap.

We have arrived at a conclusion that Varlam Cherkezishvili's attitude to Sir Edward Grey's activities is indifferent. Certainly, this has its reasons. Firstly, the indifference can be explained by Varlam Cherkezishvili's negative attitude to liberal-imperialists including Sir Edward Grey. Secondly, Varlam Cherkezishvili considered that the liberal-imperialist policy supported by Grey was a deviation from Gladstone's political course.

კიდევ ერთხელ ნოე ჟორდანის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ გამოცხადების შესახებ

ნაშრომში „ნოე ჟორდანის პოლიტიკური პორტრეტი“ ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული ამბობს: „ნოე ჟორდანია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე“ [1.13] და ამის საბუთად იქვე მოჰყავს ის, რომ „მესამე დასის შექმნის შემდეგაც კი ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ თავს არ ანებებს“; ხოლო მისი სოციალ-დემოკრატთა ბანაკში აშკარა გადაბარგების შემდეგ „ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანის მაინც აფასებდა და მისი თაობის მოღვაწეებს შორის გამოარჩევდა კიდევ. სწორედ ამის დადასტურება იყო 1897 წლის ბოლოს ილია ჭავჭავაძის მიერ „ივერიის რედაქტორად ნოე ჟორდანის მიწვევა“ [1. 14].

ამავე წიგნში ავტორი აღნიშნავს, რომ „ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძისა და, საერთოდ, სამოციანელთა დასის მოღვაწეობას პროგრესულად თვლის XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან... გარკვეულ პერიოდამდე..., ხოლო მომდევნო წლებში, კერძოდ კი, 80-90-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა, როგორც იგი თვლის, უკვე აღარ იყო პროგრესული, უფრო მეტიც, მათი იდეები, ზოგადად, მათი ბრძოლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ერის განვითარების შემაფერხებელიც კი გახდა... ეს თაობა (უკეთ რომ ვთქვათ, ძველი დასი) დღევანდელ ცხოვრებასაც მესამოცე წლების სათვალეებით უტყერის, მაშინ, როდესაც ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადნენ ახალი პირობები, აღმოცენდნენ ახალი კითხვები“ [1. 26].

ასეთ ვითარებაში ნოე ჟორდანიას როგორ იქნებოდა ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე, როცა XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, თავად საქართველოში პროგრესის მედროშეობაზე პრეტენზიის მქონე, ილიასა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას პროგრესულადაც აღარ თვლიდა? მაშ, როგორ იქნებოდა იგი მათი მემკვიდრე?! ბატონ ვ. გურულის აზრითაც, აღნიშნულ პერიოდში ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძეზე პროგრესულ მოღვაწედ თვლიდა თავს... ამას მოწმობს 1900 წლის 23 იანვარს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული წერილი „საგულისხმო მოვლენა“. წიგნის ავტორი აღნიშნავს: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ წერილი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ნოე ჟორდანიას კვლავ თავს იკავებს ადრესატის სახელის მოხსენიებისაგან“ [1. 27-28; 5.54-55]. ილიას მოღვაწეობის ნეგატიური შეფასება გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილების სერიალში „პრესა“ [6], „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“ და სხვ., ბოლოს დამთავრდა ილიას „ივერიის“ მიმართ კატეგორიული განაჩენით: „ასე თუ ისე, დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლად ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრისა, რეაქცია ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების“ [7. 108].

ილია ჭავჭავაძის პირმშობე ასეთი აზრის მქონე პიროვნებას მხოლოდ ძალით თუ მოახვევთ თავს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, თორემ რომ ასეთად არ თვლიდა თავს, ეს დღესავით ნათელია. მაგრამ ბ-ნი ვ. გურული მაინც ცდილობს ამას, თუმცა ძალიან ძნელი გასაგებია, რის საფუძველზე და რატომ? მითუმეტეს, რომ ავტორს აქვე მოჰყავს ნოე ჟორდანიას პირდაპირი აღიარებაც, სადაც ის ამბობს: „ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას, რამდენადაც ეს მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა, და არა მის პიროვნებას...“[1].

ნოე ჟორდანიას ეს აღიარებაც კი, რომ ის ებრძვის ილია ჭავჭავაძის მიმართულებას, რომელიც მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა, სრულებით არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ნოე ჟორდანია რაიმე თვალსაზრისით ეროვნულ მოძრაობაში ილიას მემკვიდრე იყო. პირიქით, ის იყო რსდმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც თავის დროზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის გამოცხადების დადებითად აღქმაც კი გაუჭირდა. ასეთ პიროვნება, როგორ შეიძლება ხელოვნურად მივანეროთ ქართულ ეროვნულ მოძრაობას და მისგან ეროვნული მოღვაწის გამოყვანა ვცადოთ?! მაინც რაში გამოიხატებოდა ეს? მითუმეტეს, როდესაც ვ. გურული იქვე აკეთებს მასალის ანალიზიდან გამომდინარე დასკვნას: „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება იყო არა ორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვა გაგების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება რთული ეპოქის შედეგი იყო და იგი რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა არსებებოდა“ [6.29]. ამასთან, ვ. გურული დროულად მიიჩნევს, დაისვას კითხვა: „თუ ილია ჭავჭავაძის კრიტიკა ასე სულგრძელად ეპატია (დავუვინყეთ) არჩილ ჯორჯაძეს, რატომ ხდება ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის რეკლამირება ამ უკანასკნელის სახელის გატეხვის მიზნით?“ ამაზე ავტორისეული პასუხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომაც, მას პირდაპირ უნდა ვუთხრათ: ილია ჭავჭავაძის მკვლევლობაზე არჩილ ჯორჯაძეს არასდროს უთქვამს, რომ „ხე იჭრება, ნაფოტები ცვივაო“, მასში თანამონაწილეობა ხომ საერთოდ გამორიცხულია; და ისტორიული სიმართლის საკუთარი სურვილებისადმი მსხვერპლად მიტანით, მის უარყოფას, მაინც ვერავინ შეძლებს, რადგან ჭეშმარიტება ერთადერთია – ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანია საქართველოს ისტორიული გზის სულ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები არიან და მათი ურთიერთმემკვიდრეობის ამბავიც ისევე წარმოუდგენელია,

რომ ედუარდ შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მემკვიდრედ გამოვაცხადოთ!

იაკობ გოგებაშვილი სრულიად მართებულად ამბობს: „იქნებ, არცერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ [9.179]. სწორედ ამიტომაც მოკლეს იგი რუსული სოციალ-დემოკრატიის მსახურებმა, რომ ასეთი გაუგონარი სისასტიკით ეძიათ მასზე შური საქართველოს გამოღვიძებისა და მისი ფეხზე დაყენების ცდისთვის... მისი მკვლელობის დამგებმავნი თუ მათი მემკვიდრენი, პილატეს უდიდესი ცოდვით დამძიმებულნი, ხელების ბანას დღესაც აგრძელებენ...

როდესაც ილიას როლისა და მისიის განსაზღვრას ცდილობს, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი ამბობს: „თავისი, როგორც ეროვნული, ისე სოციალური იდეალების მისაღწევად თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძის ჯგუფი, უარყოფენ ძალმომრეობას, რევოლუციის გზას. (ამიტომაც შეცდომაა, როდესაც მათ რევოლუციურ-დემოკრატიებს უწოდებენ) [9.184; 3]. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, „მსგავსი დებულებანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება [4. 118-124]. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „თერგდალეულების“ შეფასებაში ხშირად ჭარბობს რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი“ [4. 9,72] და საბოლოოდ აკეთებს დასკვნას, რომ „შეუძლებელია ილიას და თერგდალეულების „სულსხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინაპრებად გამოცხადება“ [4. 118,185], რითიც დიდმა მეცნიერმა ბოლო მოუღო ილია ჭავჭავაძის სოციალიზმის წინამორბედად გამოცხადების ცდას საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მის მატერიალისტურ-დიალექტიკოსად წარმოჩენასაც, - და სრულიად მართებულია ნაშრომში წარმოჩენილი აქედან გამომდინარე დასკვნე-

ბიც [4. 185-186]. დიდი მეცნიერის ეს დასკვნები უნდა გაითვალისწინოს ყველამ და განსაკუთრებით მათ, ვინც საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ რომელიმე სოციალ-დემოკრატის გამოცხადებას მოინდომებს.

„მოძრაობა, რომელსაც ილია მეთაურობდა, არ იყო მხოლოდ სოციალური და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც ის ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდა; იგი ემყარებოდა არა მხოლოდ სოციალურსა და არა იმდენად სოციალურ პრინციპს, რამდენადაც ეროვნულს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება, - ჩვენი პირველი და უკანასკნელი ამოცანაა“... 1906 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგ ილიამ პირდაპირ განაცხადა: „არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“ [4. 187; 10. 7].

ასე რომ, ილიას მოღვაწეობის განსაზღვრისათვის სულ სხვა კატეგორიაა გამოსანახავი, რადგან იგი თავისი სრულყოფილებით არ თავსდება არც ერთ ჩვენთვის ცნობილ დეფინიციამი და არც მხოლოდ ეროვნულ მახასიათებელში. იგი ერის სვე-ბედზე, მის ყველა გამოვლინებაზე მოფიქრალი ღმერთკაცია და ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ მას ტყუილად არ უწოდა ილია მართალი; ილია სრულიად საქართველოს ხელახლა დაბადებისათვის უფლისაგან მოვლენილი ღვთის სიტყვაა, რომლის გარეშეც საქართველოს გამოცოცხლება და ფეხზე დაყენება წარმოუდგენელი იყო. მან, როგორც რჩეულმა წინასწარმეტყველმა, სული შთაბერა თითქმის „თიხად ქცეულ“ ჩვენს სამშობლოს და სწორედ ამიტომაც, ილია მართალი საქართველოსთვის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეროვნული მოღვაწე, ერისკაცი... მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა და კიდევაც სთქვა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული...“

ნოე ჟორდანიას შემთხვევაში კი, სინამდვილეში თუ რას-თან გვექონდა საქმე, თავად მკითხველმა განსაჯოს.

ლენინმა რსდმპ II ყრილობაზე გამარჯვებას მრავალი დარღვევის წყალობით მიაღწია. ამაში მას სრულ სოლიდარობას უცხადებდა გ. პლехანოვი... ისინი ცდილობდნენ, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს არ შეეტყოთ რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების და, რაც მთავარია, იმ დარღვევების შესახებ, რომელთა წყალობითაც ვ. ლენინმა გამარჯვება მოიპოვა... ლენინმა მიზანს მიაღწია... ნოე ჟორდანიას ემიგრაციიდან გამოგზავნილი სტატია „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ [1903, 09-1904, 05], რომელიც აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა და-მალა... [1. 40-41].

ნოე ჟორდანია, რომელიც განსაკუთრებულ პრინციპულობას იჩენდა ილია ჭავჭავაძის „ივერიისა“ და მისი მოღვაწეობის შეფასებაში, რატომ დაექვემდებარა ამ შემთხვევაში ლენინისა და მისი მომხრეების დიქტატს, რატომ თავად არ გამოაქვეყნა ბოლშევიკებისა და ლენინის სიყალბისა და ყალბათანდობის მამხილებელი ეს წერილი (არც უბრძოლია ამისთვის), რომელშიც, როგორც ვ. გურული თავად ამბობს, „ჯერ კიდევ 1903-1904 წლებში ნოე ჟორდანიამ ზუსტად ამოიცნო ლენინიზმის (ბოლშევიზმის) არსი, იმდენად ზუსტად, რომ ეჭვიც კი შეიძლება შეეპაროს მკითხველს ნაშრომის დაწერის თარიღზე. ვ. ი. ლენინის ცნობილმა მოწინააღმდეგეებმა ედუარდ ბერშტეინმა და კარლ კაუტსკიმ, საერთოდ, მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეებმა, ლენინიზმის ასეთი ზუსტი და მეცნიერული შეფასება გაცილებით გვიან მოგვეცეს... [1. 42]. ბ-ნი ვ. გურული აქვე აღნიშნავს, ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება, რომ ლენინიზმი ააფეთქებდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, სულ მალე დადასტურდა. ის, რომ ლენინსა და მის მომხრეებს თავის დროზე არ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა, ძვირად დაუჯ-

და არა მარტო რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, არამედ თვით რუსეთის სახელმწიფოს, მთელ კაცობრიობას“ [1. 43], რაშიც, ჩვენი აზრით, თავისი უპრინციპო ქმედებებით, წვლილი შეიტანა ნოე ჟორდანიამაც, რამაც საქართველო და თავად ისიც, 1921 წლის ტრაგედიამდე მიიყვანა.

როდესაც წიგნის ავტორი შენიშნავს, რომ რსდმპ მეორე ყრილობას შედეგად მოყვა „მესამე დასის“ ლიკვიდაცია, ამ მოვლენას ასე აფასებს: „ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და დათანხმდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში“, რასაც იგი მათ ოდენ პოლიტიკურ მანევრად და დროებით დათმობად უთვლის, ბოლოს კი აკეთებს ჩვენთვის სრულიად გაუგებარ დასკვნას, რომ „ნოე ჟორდანიას ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ ვიწრო პარტიული მნიშვნელობის მოვლენა არ იყო. ამ ბრძოლას მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი ჰქონდა“ [1. 45], რასაც ჩვენ ვერაფრით დავეთანხმებით, რადგან ზემოთ ავტორის მიერ მოხსენიებული „პოლიტიკური მანევრი და დროებითი დათმობა“ და მის მიერვე იქვე მოცემული მსჯელობის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მან რსდმპ-ში საკუთარი პარტიული კარიერისათვის ბრძოლას გადააყოლა თავისი სამშობლოს არა მარტო ეროვნული, არამედ სამომავლო პოლიტიკური პერსპექტივის ინტერესებიც, რუსულ სოციალ-დემოკრატიას საქართველოში შემოუძღვა როგორც რსდმ პარტიის იდეოლოგიის ერთგული მსახური და მისი პროგრამის გამტარებელი. ამიტომაც, მისი „ბრძოლის“ ეროვნულ ხასიათზე საუბარი შეიძლება იმდენად, რამდენადაც იგი ძალიან შორს იყო მისგან; მან ვერ შეძლო რსდმპ მეორე ყრილობაზე ლენინისა და მისი მომხრეების სიყალბესა და ველიკორუსულ თვითნებობას დაპირისპირებოდა, შემდეგ კი თუნდაც ამკარად ემხილებინა იგი; ვერ დაუპირისპირდა ლენინ-

ნის მიერ შემუშავებულ ქართული სოციალ-დემოკრატიის გადაგვარების გეგმებს, ვერც მისი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებას და რსდმპ-ში ბოლშევიზმის ლიკვიდაციას მიაღწია... და ლენინთან და ლენინიზმთან ამ პერმანენტულ დამარცხებათა ფონზე, რომელიც 1903 წლის ყრილობაზე გამოჩენილი უპრინციპობით დაიწყო, განვლო მისმა მოღვაწეობამაც და ცხოვრებამაც, რომელიც უცხოეთში, ემიგრაციაში დასრულდა. როდესაც, თუ თავად ნოე ჟორდანიას დავუჯერებთ, ლენინი მას პირდაპირ მოთხოვნილებას უყენებდა, „ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეშიო“ [7], სჯერდებოდა მისგან არაფრის მომცემ დაპირებებს, თავად ლენინს საშუალებას აძლევდა, თავისი, თუნდაც სიყალბით, გაეტანა სწორედ ნოე ჟორდანიას „ეროვნული პროექტების“ საწინააღმდეგოდ. ნ. ჟორდანიას ეს უპრინციპობა, როგორც ცნობილი ისტორიკოსი ლევან ურუშაძე მართებულად ამბობს, კარგად გამოიყენა „ლენინურმა გვარდიამ“ ნოე ჟორდანიასა და საქართველოს წინააღმდეგაც, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1907-1913 წლების შემდეგ პერიოდს ვ. გურული განსაკუთრებულად მიიჩნევს ნ. ჟორდანიას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ცხოვრებაში და ამბობს: „ამიერიდან ნოე ჟორდანიას მოღვაწეობაში ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გაგრძელება და მისი ბოლომდე მიყვანა ედება საფუძვლად“... იგი კვლავ იმეორებს, რომ – „ილიას ადგილზე დგომა, ილიას საფიქრალის ფიქრი, ილიას საკეთებლის კეთება! სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აქ სიმამაცის, თავგანწირვის ნიჭიც იყო საჭირო – ვინც ილიას ადგილას დადგებოდა, ბუნებრივია, მას ახალი წინამურცი ელოდებოდა. ერის პირველი კაცის ტვირთი ყოველთვის მძიმე იყო საქართველოში. მით უფრო მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ქართველი ერი სულაც ახლოს მივიდა სანუკვარი ოცნების აცხადებასთან... ყველაფრიდან ჩანდა, რომ გადამ-

წყვეტი შერკინების ჟამი ახლოვდებოდა. ერის პირველკაცობა სწორედ ამ დროს არგუნა განგებამ ქართველ სოციალ-დემოკრატიას ლიდერს...“ [10.72].

როგორც ზემოთ, სამწუხაროდ, აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის მოცემული პათოსი სრულიად უადგილო და შეუსაბამოა. ნოე ჟორდანიამ ქართველი ერის ლიდერობაზე და, მითუმეტეს, წინამურზე მაშინ თქვა უარი, როდესაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირი რსდმპ-ს შეუერთა და მის II ყრილობაზე, ფაქტობრივად, ვ. ლენინის სიყალბეთა თანაავტორი გახდა. ამის შემდეგ ის იყო არა ქართველი ერის პირველი კაცი, არამედ რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი და ამადაც დარჩა ცხოვრების ბოლომდე და ამას ვერავინ უშველის, მითუმეტეს, „რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ ლიდერს, მეორე ინტერნაციონალში მიღებულ და დაფასებულ პიროვნებას...“ [10], რომლისთვისაც „კონფლიქტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან და იქ პოზიციების დაკარგვა მხოლოდ პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა“ [10.73]. აი, რა იყო ნ. ჟორდანიასთვის, ვ. გურულის აზრითაც, მთავარი; ავტორის ამ მოსაზრებას თუკი ვერწმუნებით, გამოდის, რომ ნ. ჟორდანიას მთელი ცხოვრება ფარისევლობა და ვიდაცეებს ატყუებდა. ეს, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ არა ქართული საქმის სასარგებლოდ. აქ შეიძლება ისიც თამამად ითქვას, რომ ნ. ჟორდანიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და ვ. ლენინის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიის იდეურ ნიადაგზე პარტიაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად და იგი მას სწორედ პირადი პარტიული კარიერისთვის სჭირდებოდა. ამიტომაც თავისი სამშობლოს წინაშე ნოე ჟორდანიას იყო ამ კარიერას შეწირული კოლაბორაციონისტი, ხოლო იდეის სამსახურის თვალსაზრისით, ერთ-ერთი წარმატებული კონდოტიერი; და ამიტომაც იგი არ იყო მზად იმ დიდი

მისიის შესასრულებლად, რომელსაც მას ვ. გურული დაჟინებით აკისრებს. ამის პირდაპირი დამამტკიცებელია ის ბაზისიც, რომელსაც რუსეთში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ეყრდნობოდა და რომლის შესახებაც თავად ვ. გურული ჩვენ მიერ განხილულ წიგნში ასე მსჯელობს: „თვით რევოლუციის პროცესში (1917 წლის თებერვლის რუსეთის რევოლუცია იგულისხმება – უ. ო.), რევოლუციის გამარჯვებამდე რამდენიმე დღით ადრე აღმოცენებული ხელისუფლების რევოლუციური ორგანო – სხვადასხვა დონის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა (ანუ ქუჩაში ქადაგებებით შეთვისებული რუსული მარქსიზმის სურგატით მოწამლულ და, აქედან გამომდინარე, გაფანატიკოსებულ, გაუნათლებელ პროლეტართა – უ. ო.) დეპუტატების საბჭოები პოლიტიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც დამსობილი ცარიზმის ადგილას ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებას შეძლებდა“... [4.74-75]. სწორედ ეს იყო მიზეზი რუსეთში ბოლშევიზმის, ამ ყველაზე რეაქციული და ბოროტი, ტერორისტული მიმართულების გამარჯვებისა; რადგან ამ ძალებს რაიმე ნამდვილი იდეური მრწამსი და გონიერება კი არ წარმართავდა, არამედ საკუთარი ინსტიქტები და „მუჟიკურ“ დონეზე გაგებული სოციალიზმის დოქტრინა, რაც კარგად გამოიყენეს ისეთმა პოლიტიკურმა ბელადებმა, როგორც ვ. ლენინი და მისი ბოლშევიკ შეთქმულთა ორგანიზაცია იყო. მათ მშვენივრად მოახერხეს რუსეთში 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად შექმნილი ხელისუფლების რადიკალური პოლარიზება – ერთ მხარეს დროებითი ბურჟუაზიული (მდიდრების) მთავრობა და მეორე მხარეს – პროლეტარიატი (თითქმის არაფრის მქონე ღარიბები) თავისი საბჭოებით, ხელოვნურად შექმნეს სახელმწიფოში ორხელისუფლებიანობა და ამით დროებითი მთავრობის დასუსტების ფონზე, მოახდინეს ჯერ ხელისუფლების უზურპაცია, შემდეგ კი ყველა და-

ნარჩენებს ბოლშევიკური ტერორით გაუმასპინძლდნენ და მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სასტიკად ჩაახშვეს პოლიტიკური აქტივობა. ერთადერთი, რაც ამ პროცესში ნოე ჟორდანიას შეიძლება აქტივში ჩაეთვალოს, არის ის, რომ იგი გაემიჯნა ამ წმინდა წყლის რუსულ ავანტიურას და ამიერკავკასიის სამართავად ხელი შეუწყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნას, რომელიც რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენამდე ლოდინის ფუნქციით აღჭურვა; ხოლო 1917 წლის ოქტომბერში იქ მომხდარ ბოლშევიკურ სახელმწიფო გადატრიალებამდე, რეგიონის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესამზადებლად თითქმის არაფერი გაუკეთებია.

ნოე ჟორდანიას, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის, სასარგებლოდ არ ლაპარაკობს მისი საზღვარგარეთ მოღვაწეობა თუ ამ მოღვაწეობის ქართველი ემიგრანტების მიერ შეფასებებიც. თავის 1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული საკითხი“ ნოე ჟორდანია წერს: „საქართველომ გადანწყობა, გამოსულიყო მუსლიმანური გარემოცვიდან და დადგომოდა დასავლეთის ორიენტაციას, რომლისკენაც მიმავალი ერთადერთი გზა მოსაზღვრე რუსეთზე გადიოდა... ამიტომაც საქართველომ პირი იბრუნა რუსეთისაკენ“... [12. 5]. ნ. ჟორდანიას აღნიშნული თეზა, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იძულებული იყო, ორიენტაცია აეღო რუსეთზე, როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოზე, საკმაოდ ძველი, ყავლგასულია და წარმოდგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლისდროინდელ მორიგ სიცრუეს, რომელიც ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით დაუთმო რუსეთს ყველა თავისი სუვერენული უფლებები და საკუთარი ხელით დაიდგა საუკუნო მონობის უღელი. ამ ხელოვნურად შექმნილი თეზის საწინააღმდეგო აუარებელი უტყუარი ფაქტი და არგუმენტი უკვე გამოქ-

ვეყნებული, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა კვლავ მივყვით ნ. ჟორდანიას მსჯელობას და გავარკვიოთ ნაშრომში განხილულ საკითხთა მისეული ხედვის სიღრმე და ვითარებასთან შესაბამისობა.

„საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არ მიუღია არავითარი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, წლების განმავლობაში იგი იბრძოდა სამხედრო დაჯგუფებებისა და ანტანტის წინააღმდეგ. მაშინ, როცა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები იღებდნენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისაგან **პოლიტიკურ და ერთგვარ სამხედრო დახმარებას...** სწორედ ამაში მდგომარეობს ფუნდამენტური განსხვავების არსი (ლენინი)“ [12], – ლენინის სიტყვებით გვმოდღვრავს ნ. ჟორდანია.

როგორც ვხედავთ, 1948 წელსაც კი ვითარების შესაფასებლად ნ. ჟორდანიას მოჰყავს ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი და მასზე დაყრდნობით აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთში არის ეროვნული ფენომენი, მაშინ, როდესაც კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ის წარმოადგენს უცხო მოვლენას, შემოტანილს რუსეთიდან შეიარაღებული ძალადობით“... ნ. ჟორდანია აქვე ამბობს: „ლენინი აგრძელებს – კავკასიის რესპუბლიკები?? უფრო აგრარულია, ვიდრე რუსეთი. ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი იყო და დღესაც რჩება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საგრძნობლად მონყვეტილი. კავკასიას კი უფრო სწრაფად და ადვილად შეუძლია აღადგინოს კეთილმეზობლური ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები კაპიტალისტურ ქვეყნებთან... უფრო მეტი ლიბერალიზმი, მეტი წინდახედულება და მეტი დათმობა წვრილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, გლეხებს“... ისევ ლენინის აზრებით აგრძელებს ჩვენს დამოძღვრას ნ. ჟორდანია და შემდეგ გულმოკლული დასძენს: „კომუნისტმა მმართველებმა (კავკასიის რესპუბლიკებში და,

კერძოდ, საქართველოში – უ. ო.) არ შეასრულეს არც ერთი ამ რჩევათაგანი (აი, თურმე რის იმედად ყოფილა ბატონი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – უ. ო.) და ქვეყანა გადააქციეს სოციალურად და პოლიტიკურად რუსეთის პროვინციად“... [2]. თავს უფლებას მივცემთ, ვიკითხოთ: კი, მაგრამ, რა? – რომ შეესრულებინათ ლენინის ეს რჩევები ბოლშევიკებს, საქართველო რუსეთისაგან დაპყრობილი აღარ იქნებოდა და ეს რაიმეს შეცვლიდა მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობაში?! ან კიდევ, 1948 წელსაც რომ ლენინისა და მისი რჩევების იმედად არის ნ. ჟორდანიას, რას ნიშნავს ეს?! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში (1921-დან 1948 წლამდე) მან ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობაში რუსეთისა და ლენინის როლის სათანადოდ გააზრება?! ამ თვალსაზრისით, აქ იგი უფრო ლენინის ერთგულ მოწაფედ წარმოგვიდგება და არა როგორც ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში და საერთოდ, ამ მიმართულებასთან მიმართებით რომ ნ. ჟორდანიას ქმედებანი და აზრები ბევრ კითხვას ბადებს, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ნ. ჟორდანიას ამავე ნაშრომში მოჰყავს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის – გ. ჩიჩერინის 1920 წლის 3 დეკემბრის პასუხი ლორდ კერზონის კითხვაზე ბათუმის შესახებ, სადაც იგი ამბობს: „რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ ეს არ გააკეთა. მთელი რუსეთის პოლიტიკა ემყარება პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვას და საქართველოსთვის არავითარი მოთხოვნა არ წაგვიყენებია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ ყოფილიყო დაკავებული მტრული ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ განუხორციელებია და არც განახორციელებს მტრულ აქციას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით თუ სხვაგვარად“...[12. 11].

„ამასთან რუსეთმა მიიღო თურქეთის სამხედრო დახმარება“, - აცხადებს ნ. ჟორდანია [12. 18], - და შეგნებულად ტყუ-

ის, რადგანაც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქები, საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების იმედით, თვითონ მოიწვია; მათ კი უღალატეს და საკუთარი მიზნების განხორციელებას მიყვეს ხელი. ამასთან, საკმაო კითხვებს წარმოშობს აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული შემდეგი მოსაზრებანიც: „მან (საბჭოთა კავშირმა – უ. ო.) ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომელსაც კენჭი ეყარა იალტის კონფერენციაზე: „ყოველი ერის უფლებათა, აირჩიოს მმართველობის ის ფორმა, რომელშიც სურთ ცხოვრება“. ავტორი აქვე აკეთებს მეტად „გულუბრყვილო“ დასკვნას, რომ „ამგვარად, მოკავშირე ქვეყნებმა სავსებით უარყვეს ძველი იმპერიალისტური იდეოლოგია – მცირე ერების დაპყრობა დიდი ქვეყნების მიერ და იგი შესცვალეს ახალი დოქტრინით: ერთა თავისუფლება, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება და ერთიან ხალხთა ოჯახის დაარსება“, – და ფიქრობს, რომ ამით გადაწყდა საქართველოს ბედიც - „სამართლიანობა ყველა დიდი და მცირე ერებისათვის“ [12].

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს, გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნ. ჟორდანიას ან მართლაც ასეთი გულუბრყვილო იყო, ან უბრალოდ თვალთმაქცობდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი, ბევრ სხვათა მსგავსად, საბჭოთა კავშირისა და სტალინის ხიბლში იყო ჩავარდნილი და ასეთი განცხადებებით მათ საქმეს ემსახურებოდა. ჩვენ მეორე გგვონია. აღნიშნული განცხადებით, იგი, ფაქტობრივად, გამორიცხავს სხვათა ჩარევის შანსსაც კი საბჭოთა კავშირ-საქართველოს ურთიერთობაში. მითუმეტეს, ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრებები გამოთქმულია მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ 1933 წლის 27 იანვრის „სამახსოვრო“-ში [11], გაკრიტიკებულია რა რუსეთის, ევროპული სახელმწიფოებისა თუ ერთა ლიგის დამოკიდებულება საქართველოსადმი, აქვე მოყვანილია კანადის დელეგატის მაკდონალდის შეფასება რუსეთის მიერ საქართველოს

დაპყრობის გამო: „თითქმის უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში – რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ სცნო საქართველო, დაიპყრო იგი ხელშეკრულების დარღვევით“ (1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება იგულისხმება – უ. ო.). იქვე მითითებულია, რომ „თუ ამას დავუმატებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ პარაგრაფს, რომელშიც იგი ყველა ხალხს უტოვებს გამოყოფის უფლებას, როდესაც ეს მოესურვება, ადვილად მისახვედრია, როგორ დასცინის საბჭოები ყველა იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ცივილიზებული სამყარო“... [3. 7].

მაგრამ, ძალზე სამწუხაროა, რომ ამ დაცინვას ვერ გრძნობს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ის წარმომადგენელი, რომელსაც მისი ღირსების დაცვა ყველაზე მეტად ევალებოდა.

აქ წარმოჩენილი და განხილული მასალაც კი სრულ საფუძველს გვაძლევს, გაკეთდეს ერთადერთი უტყუარი დასკვნა: ნოე ჟორდანიას აღნიშნული ქმედებანი, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შინაარსი არავითარ საშუალებასაც კი არ იძლევა, იგი ქართული ეროვნული მოძრაობის თანამონაწილედ, მითუმეტეს, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ წარმოვადგინოთ. ამ მხრივ, ყოველი სამომავლო მცდელობანი ისევ არაფრის მომტანი და ნაძალადევი იქნება.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გურული ვ., ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 1999.
2. მელიქიშვილი გ., საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, კრებული „საისტორიო წერილები, ნაკვეთი I, თბ., 1968.
3. მელიქიშვილი გ., გაზ. კომუნისტი“, 1978. 28 05.

4. მელიქიშვილი გ., ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, N 4, თბ., 1978.
5. ჟორდანია ნ., საგულისხმო მოვლენა, გაზ. „კვალი“, 1900, N4, 1900, 23 იანვარი.
6. ჟორდანია ნ., საგულისხმო მოვლენა, გაზ. „კვალი“, 1900, N N 7, 9, 11, 13, 16, 21, 23, 25, 26.
7. ჟორდანია ნ., ქართული პრესა (გუშინ და დღეს), გაზ. „კვალი“, თფილისი, 1900, გვ. 108.
8. ურუშაძე ლ., ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., გამომც. „მეცნიერება, 1991;
9. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია (შემოკლებით - ქვაი), ტ. III, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013.
10. ჭავჭავაძე ი., წოდებათა თანახმობა, გაზ. „ივერია“, 1888 წლის 2 ნოემბრის მონინავე (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 5 ტომად პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, ტ.V, თბ., 1962).
11. Aide-Memoire, Paris, 27 Janvier, 1933;
13. Jordania N., La probleme Georgian, Paris, 1948.

Ucha Okropiridze

Onceagainaboutannouncing Noe Jordania Ilia Chavchavadze'ssuccessor

Summary

Using new historical documents and literature published abroad or translated from foreign information based on their historical analysis, the paper criticizes the attempt to modernize Georgian-Soviet historiography – that declare Noe Jordania the successor of Ilia Chavchavadze in GeorgianNational Movement.

Based on the relevant material the author of the paper studies, "Political Portrait of Noe Jordania 1869-1953", V., denying the uncon-

vincing and highly credible provisions of Guruli in this respect and their false pathos.

This issue is discussed by Academician G. The infallible provisions formed by Melikishvili in the most necessary and historically significant works published during the Soviet period, which then put an end to this unhealthy tendency. From La problem Georgien published abroad by Jordania in 1948 and the memorable Aide Memoire published in Paris in 1933 - interesting research material and provisions that provided a solid foundation for the research topic.

Based on a thorough analysis of this material, the final conclusion is that "even the material presented and discussed here gives us a complete basis to make the only unmistakable conclusion: Noe Jordania's actions, the path of his life and work do not give us any possibility to consider him as a part of the Georgian National Movement and the successor of Ilia Chavchavadze.

ბახსენება

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

მედეა ჩახავა

ქართული სცენისა და კინოს ნიჭიერ ხელოვანთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში ქალბატონ მედეა ჩახავას ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო ადგილი უკავია. მის მიერ განსახიერებული გმირები მიმზიდველი, სანდომიანი, უშუალო, გულწრფელი, იუმორით გამთბარი რეალისტური სახეებია. მას ერთნაირად ხელენიფებოდა ტრაგიკული, კომიკური და დრამატული როლების შესრულება.

ადამიანის სახე მისი სულიერი სამყაროს სარკე არისო - უთქვამთ. ქალბატონი მედეას სულიერი სამყარო ისეთივე მიმზიდველი და ლამაზი იყო, როგორიც თავად ბრძანდებოდა.

„თეატრი ზემია“, - ბრძანებდა სასიქადულო ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ვინ იცის, რამდენ ზემს გვაზიარა ქალბატონმა მედეა ჩახავამ...

მედეა ჩახავას სცენური ნათლობა 1973 წლის 17 მაისს შედგა. ალ. ბრუნშტეინის პიესაში „ცისფერი და ვარდისფერი“ მედეა ებრაელ გოგონას ბლიუმას თამაშობდა. წარმოდგენას დიდი რუსი მსახიობი ვ. კაჩალოვი ესწრებოდა. იგი აღფრთოვანებულა ახალგაზრდა მედეას თამაშით.

ბევრს ახსოვს, ალბათ, მ. ჩახავას დებიუტი ჯენევერა ლედონის როლში (ა. დიუსოსა და ჯ. გოუს „ღრმა ფესვები“). სრულიად ახალგაზრდა მსახიობმა მთელი განცდით, ლირიზმით, უშუალოდ წარმოადგინა ჯენევერას უმანკო სიყვარული შავკანიანისადმი. მედეას ჯენევერა არ ეპუებოდა სოციალური უთანასწორობის კანონებს, იჩენდა დიდ ქალურ ნებისყოფას და უარყოფდა თავის კლასს.

ასევე ახლად კურსდამთავრებულმა განასახიერა ასმათის სახე სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევში“ და ღირსეული დუბლიორობა გაუწია უკვე სახელგანთქმულ, შესანიშნავ მსახიობს - ნინო ლაფაჩს.

მსახიობის შემდგომმა შემოქმედებამ თვალისმომჭრელი სიკაშკაშით გაიელვა ჩემს თვალწინ...

სულ პირველად მედგა ჩახავა გაიანეს როლში (ა. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“) ვნახე. მახსოვს, კისკისით რომ შემოვარდებოდა, არა, კი არ შემოვარდებოდა, ლალი ფრინველივით შემოფრინდებოდა თითქოს და რუსთაველის თეატრის უზარმაზარ სცენას, მაყურებელთა დარბაზს, იარუსებს - ირგვლივ ყოველივეს სიცოცხლით ავსებდა, ახალგაზრდულ მგზნებარებას აფრქვევდა, რამეთუ თავად იყო სიცოცხლის ხალისი და მჩქეფარება. ამ როლში მან, სრულიად ახალგაზრდამ, სსრკ სახელმწიფო პრემია მიიღო 1951 წელს.

შემდეგ იყო ჩეხი პატრიოტი გოგონას - ლიდა პლახას შესანიშნავი სახე იულიუს ფუჩიკის მიხედვით მიხეილ თუმანიშვილისა და კოტე მახარაძის მიერ შექმნილ პიესაში „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ სპექტაკლის დიდ წარმატებას მედგა ჩახავასთან ერთად განაპირობებდნენ იულიუს ფუჩიკის შესანიშნავი, უცვლელი შემსრულებელი კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე და ბადრი კობახიძე.

უდიდესი შემოქმედებითი გამარჯვება ახლდა მედგა ჩახავას ლიდა მატისოვას სახეს კოჭუტის პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია“ (რეჟ. მიხ. თუმანიშვილი). ეს იყო არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე, დაუვინყარი სპექტაკლი და ბედნიერია ის მაყურებელი, რომელმაც იგი ნახა!

ლიდა მატისოვას დრამატული სახე მედგა ჩახავამ შესანიშნავად, ღრმა განცდებით, მაღალი ოსტატობით განასახიერა. ...მაყურებელი თითქოს უშუალო მონაწილე იყო ყოველივე იმისა, რაც სცენაზე ხდებოდა. განსაკუთრებით ამაღელვებე-

ლი იყო უკანასკნელი სცენები. ლიდა მატისოვა სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს, მაგრამ სპექტაკლს ჰყავდა მსაჯული - სერგო ზაქარიაძე. ცნობილი იყო რა უკვე ლიდასა და პეტრი პეტრუსის (რამაზ ჩხიკვაძე) სიყვარულის საბედისწერო ფინალის შეახებ, სერგო ზაქარიაძე მოქმედებას უკან აბრუნებდა და აღელვებული ეკითხებოდა ლიდას, მივიდოდა თუ არა პეტრისთან პაემანზე, როდესაც იცოდა გარდაუვალი საბედისწერო შედეგის შესახებ; გაისმოდა ლიდას უყოყმანო პასუხი: „მოვალ!“ და ამით მისი ბედი გადანყევტილი იყო! იდგა მედეა თავანუელი, ელვარე თვალებით, სიმივით დაჭიმული, სიყვარულით მონუსხული და მის ძალას დანებებული...

ღიახ, მივა პაემანზე, რადგან მას სხვაგვარად, უსიყვარულოდ სიცოცხლე არ სწამს და წრფელ სიყვარულს ამქვეყნად ბოძებულ ყველაფერზე ძვირფასს - სიცოცხლეს სწირავს! ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის, რაც დარბაზში ხდებოდა: თავზარდაცემული იყო მსაჯული-მოსამართლე, თავზარდაცემული იყო მაყურებელი... განცდების აპოთეოზი...

კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“ სპეციალურად მედეა ჩახავასთვის დაინერა. დადგმა კვლავ მიხეილ თუმანიშვილმა განახორციელა. მიმზიდველი, სპეტაკი, ხალასი, განუმეორებელი იყო მედეა ჩახავას იამზე მატაბელი. მაყურებელს ძალიან მოსწონდა ხალისიანი სპექტაკლი, ხიბლავდა პიესის გმირების - იამზეს (მედეა ჩახავა), ლეროს (კოტე მახარაძე), ექვთიმეს (გოგი გეგეჭკორი) და სხვათა სცენაზე გათამაშებული ცხოვრება, ხარობდა მაყურებელი...

გავისხენოთ რეზო ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედია“ (დადგმა ა. ვასაძისა). ევა - მედეა ჩახავა, ადამი - კოტე მახარაძე, პროფესორი - ა. ხორავა... რამდენი სიხარული მოგვანიჭა ამ სპექტაკლმა, მედეა ჩახავას ბრწყინვალედ შესრულებულმა ევას სახემ...

ან რა დაგვაგინეებს მედეა ჩახავას გაიანეს ა. სუმბათაშვილი-იუჟინის პიესაში „ლალატი“ (რეჟ. ა. ვასაძე), უზრუნველ, კისკისა ქალღიმიელს, გ. დავითაშვილის ოთარ-ბეგს, თ. ჭავჭავაძის ზეინაბს, ნ. ლაფაჩის რუქაიას, ა. ხორავას დათოს... რა ჰეროიკული სპექტაკლი იყო, როგორ აღვიძებდა მაცურებელში გმირულ სულს...

რად ღირდა მედეა ჩახავას ნატიფი გემოვნებით, ოსტატობით, თბილი იუმორით განსახიერებელი კოპნია, მოხდენილი მელა გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქაში“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი), დაუვინყარი კვარტეტი მედეა ჩახავას, ზინა კვერენჩილაძის, გოგი გეგეჭკორისა და ეროსი მანჯგალაძის შემადგენლობით?! ქართული თეატრალური ხელოვნების შედეგრი ჯონ ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ (რეჟ. მიხ. თუმანიშვილი), საეტაპო სპექტაკლი, სრული ანშლაგით რომ ტარდებოდა ყოველთვის... სპექტაკლი სცენური ფეიერვერკების ნაკრები იყო... რაოდენი სილალე, უკიდევანო ფანტაზია, სიკისკასე, ახალგაზრდული სიანცე ახლდა ქალბატონი მედეას ამარანტას... საერთოდ, ეს სპექტაკლი ნამდვილი ზეიმი იყო, ბრწყინვალე იყვნენ ეროსი მანჯგალაძე - ლოპესის, ემანუილ აფხაიძე - დიეგოს, რამაზ ჩხიკვაძე - ლეანდროს, კოტე მახარაძე - ბარტოლუსის როლში. სპექტაკლი ისეთი ზეანეული იყო თავისი ცხოველმყოფელობით, რომ მაცურებელს მთელი ძალით იტაცებდა, მოქმედი პერსონაჟების ინტრიგების, ტრიუკების ბადეში ხვევდა და თუ სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია, ვინ იცის, რამდენი წუთით, საათით გაუხანგრძლივებიათ სიცოცხლე ამ გამორჩენილ ხელოვანთ მაცურებლისათვის...

მედეა ჩახავას შესრულებით ამარანტა ლამაზი, სიცოცხლით აღსავსე, დაუდგრომელი, ამავე დროს, ჭკვიანი და მოხერხებული ქალია, ხანდაზმულ ქმარს - ბარტოლუსს (კოტე მახარაძე) სახლში ჩიტივით რომ გამოუკეტავს, არც ნიავს, არც ძეხორციელს არ აკარებს, მაგრამ ამარანტას გულს ხომ ნამ-

დვილი სიყვარული სწყურია და აი, ლეანდროც (რამაზ ჩხიკვაძე) გამოეცხადება, გული გულს პოულობს და ახალგაზრდების სიყვარულიც ფრთებს ისხამს, ნავარდობს...

სრულიად განსხვავებული სახეა შექსპირის ოფელია („ჰამლეტი“). მ. ჩახავას ოფელია გრაციოზული, კდემამოსილი, უცოდველი, სუსტი, პასიური არსებაა, ცხოვრების დევიზად ძმის - ლაერტის (კ. მახარაძე) სიტყვები რომ გაუხდია: „მარტო მთვარეს რომ გადაშალოს ქალმა გულ-მკერდი, უბინოებას თავისას იგი მითაც შებლაღავს“. მედეა ჩახავას ოფელია - ლირიკული, დრამატული, ყვავილივით ნაზი და ჰაეროვანი - ასეთი დამამახსოვრდა იგი მე.

მარგარიტა! უნიჭიერესი თვითმყოფადი ქართველი მხატვრის - ნიკო ფიროსმანის თვალშეუდგამი, მიუწვდომელი სატრფო... მედეა ჩახავამ წარმოგვიდგინა ქალური მშვენიებით აღსავსე, განებივრებული ფრანგი მომღერალი ქალი, რომლის სიყვარულით მოჯადოებულმა მხატვარმა უკანასკნელი სარჩო-საბადებელი გროშებად გაყიდა და ყვავილებით სავსე ეტლით სატრფოს მიეახლა, მაგრამ ამაოდ... ჩიტივით თავისუფალი მარგარიტა ჩიტივით გაფრენილი დაუხვდა...

მარია - ფედერიკო გარსია ლორკას პიესაში „ბერნარდა ალბას სახლი“.

და შემდეგ სრულიად კონტრასტული ფეფელას სახე გარბიელ სუნდუკიანის პიესაში „პეპო“ (რეჟ. დ. ალექსიძე). ხანდაზმული დიდვაჭრის მეუღლე, იდაყვებამდე თვალ-მარგალიტით მოკაზმული, ფული რომ გაუფეტიშებიათ მას და მის ქმარს, მას ანაცვალებენ ყველას და ყველაფერს, ერთგული მეუღლის ნიღაბს ამოფარებული ფარულად რომ გააპარებს ხოლმე თვალს ახალგაზრდა მოსამსახურე ბიჭისკენ, მეუღლის შვილებს სახლში რომ არ აჭაჭანებს და ქალური ხრიკებით, მომხიბვლელობით, კეკლუცობით, ალერსითა თუ სიკაპასით ქმარს - არუთინ ზიმზიმოვს (ეროსი მანჯგალაძე) თავის ნება-

სურვილზე ათამაშებს. განა ვინმეს დაავინყდება მედეა ჩახავა-
სა და ეროსი მანჯგალადის ბრწყინვალე დუეტი, მათი განუმე-
ორებელი სიმღერა „კოკობო ვარდო“, ან კოლორიტული ქალა-
ქური ცეკვა?!

ძუნწი შტრიხებით, ლაკონურად შთამბეჭდავად დაგვიხა-
ტა ქალბატონმა მედეამ დედოფალ მარგარეტის ბუნება (უ.
შექსპირის „რიჩარდ მესამე“, რეჟ. რ. სტურუა“).

ნაყოფიერი იყო ქალბატონი მედეას მოღვაწეობა ქართულ
კინოშიც, სადაც დაუფინყარი, შესანიშნავი სახეები შექმნა: ჟუ-
ჟუნა - „ბედნიერი შეხვედრა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, ცქრიალა -
„ჭრიჭინა“ (რეჟ. ს. დოლიძე, ლ. ხოტივარი“, მელანო - „ბაში-
აჩუკი“ (რეჟ. ლ. ესაკია), მეეზოვე ქალი - „მანანა“ (რეჟ. ზ. გუ-
დავაძე, შ. მარტაშვილი), მეფოლადის ცოლი - „დღე პირველი,
დღე უკანასკნელი“ (რეჟ. ს. დოლიძე), ნინო „ნინო“ (რეჟ. ლ.
ესაკია), თამრო - „გლახის ნამბობი“ (რეჟ. ლ. ესაკია), სოფიო -
„მხიარული რომანი“ (რეჟ. ლ. ხოტივარი) და მრავალი სხვა.

...მახსოვს, სკოლაში მოვიწვიეთ ქალბატონი მედეა. დარ-
ბაზი ისე გადაიჭედა, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა:
ვინ იჯდა, ვინ ფეხზე იდგა, ვის ჩამეუხლა... დიდი იყო ჩვენი
სიყვარული და პატივისცემა მსახიობისადმი. სულგანაბულნი
ვუსმენდით. ისეთი ლამაზი, მთვარესავით გაბადრული და
სათნო იყო, რომ გამახსენდა ვერიკო ანჯაფარაძისადმი მიძღ-
ვნილი ლადო ასათიანის სტრიქონები:

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ - მარაბდა!“

1969 წელი... დიდი წარმატებებით იდგმებოდა ლეო ქიაჩე-
ლის „გვადი ბიგვა“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი). იმჟამად კულტუ-
რის სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით სხვადასხვა ღონის-
ძიება ტარდებოდა და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახ-

ლდით. გადაწყდა, რომ სპექტაკლ „გვადი ბიგვას“ შემდეგ თეატრალური დისპუტი უნდა მოგვეწყოს. მედეა ჩახავა გვადი ბიგვას საოცნებო ქალს - მარიამს განასახიერებდა, გვადი ბიგვას - ეროსი მანჯგალაძე. ქალბატონი მედეას მარიამი ლამაზი, სათნო, გულისხმიერი, სიკეთით აღსავსე ქალი იყო. მისი ალერსიანი, მელოდიური ხმა მუსიკასავით იღვრებოდა დარბაზში და გვადისთან ერთად ჩვენც გვაჯადოებდა. სპექტაკლმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. დისპუტის დაწყებამდე მსახიობებმა კოსტუმების გამოცვლა მოასწრეს და სცენაზე მოთავსდნენ. დაიწყო დისპუტი. ვდგავარ ტრიბუნაზე და ვხედავ, სცენაზე ზის თვალწარმტაცი, მშვენიერი, სრულიად ახალგაზრდა, გიშრისფერთმიანი ქალი. ეს ახალგაზრდა ქალი გახლდათ ქალბატონი მედეა ჩახავა. იმ დროისათვის კი იგი ხომ 48 წლის ბრძანდებოდა?!

არ დამავინყდება 1984 წელი. საახალწლო შეხვედრა ფინანსთა სამინისტროში. ქალბატონი მედეა და კიდეც რამდენიმე მსახიობი გვყავდა მონვეული. მან შესანიშნავად გულშიჩამწვდომი ხმით წაიკითხა „იავნანა“: „გეტყვი ახოს ნანასა, ჩემსა ლიზლუტანასა, ჩვილსა პანანასა“... შემდეგ ჩვენთან ერთად იცეკვა კიდეც, იმხიარულა და სალამო გაგვილამაზა. პიროვნულად, როგორც ადამიანი, ქალბატონი მედეა უზომოდ თბილი, ალერსიანი, მოსიყვარულე, ზედმიწევნით ქალური და უშუალო ქალბატონი გახლდათ. იგი ისე თბილად გვეპყრობოდა, როგორც ძალიან ახლობელ ადამიანებს და რა კარგია, რომ სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

ეს ყველაფერი დარჩა მეხსიერებაში. მას ვერაფერი წაშლის...

მრავალი წლის მანძილზე გვატკბობდა ქალბატონი მედეას განუმეორებელი წკრიალა ხმა სცენიდან, ეკრანიდან, რადიოსა თუ ტელევიზიიდან. სამწუხაროდ, 2009 წელს, ქალბატონი მე-

დეას სული შეუერთდა ცათა სასუფეველს. ნავიდა, მაგრამ დაგვიტოვა უამრავი მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული დაუვინყარი როლი, მდიდარი შემოქმედება.

მედეა ჩახავამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში. მის სახელს დავინყება არ უწერია. მადლობა მას იმ ლამაზი დღეების, იმ ზღვა სიხარულის გამო, რომელიც ჩვენთვის ასე უხვად უბოძებია!

Natela Natliashvili-Kvinikadze

Medea Chakhava

Summary

The great Georgian actress Medea Chakhava was born on May 15, 1921, in Sergieti village, Martvili district. She graduated from the Shota Rustaveli State Theater Institute of Georgia, acting faculty in 1943.

In 1943 he joined the Tbilisi Shota Rustaveli State Academic Theater. She is a lyrical-comedian actor; His work is characterized by deep psychologism, stage charm, subtle taste, deep feeling, rare ability to transform, which helps the actor to create dramatically different faces: Geneva (J. Gou and A. Diusso "Deep Roots"), Nadia (Maxim Gorky's "Enemies"), Guyane (I. Mosashvili 's "Sunken Stones "; USSR State Prize, 1951), Amaranta (J. Fletcher' s" Spanish Priest "), Fefela (G. Sundukian's "Pepo"), Ophelia (W. Shakespeare's "Hamlet"), Margarita (W. Shakespeare 's "Richard III"), Zablona ("Me, Grandmother, Iliko and Ilarion" by N. Dumbadze and G. Lortkipanidze) and others; She made some contribution to the development of Georgian cinema; Created Tskrialia ("Dragonfly"), Tamro ("Glakhis Naambobi"), Nino ("Nino"), Melano ("Bashi-Achuki"), Keto Tabagua (TV series "Before Sleep") and other interesting screen faces.

Among the state award bestowed on Chakhava during her career, which spanned both the Soviet Union and the Independent Republic of Georgia, had the title of National Artist.

In 2006, a star named after her was opened in front of Shota Rustaveli State Theater.

Medea Chakhava died on September 7, 2009, at the age of 88.





კადრი კინოფილმიდან „ჭრიჭინა“



კადრი სპექტაკლიდან „პეპო“

მერაბ კალანდაძე

ნოდარ ლომოური - ჩინებული ლექტორი და ორატორი

წინამდებარე ნაშრომს პროფ. ნოდარ ლომოურის მეცნიერული მემკვიდრეობის განხილვის პრეტენზია არ აქვს. ის ისტორიოგრაფიულ ხასიათს არ ატარებს და მოგონების ფორმა გააჩნია, თუმცა გაკვრით ამ თემაზეც ვიტყვით ორიოდ სიტყვას, რომ მოგონებები უფრო სრული იყოს. ალბათ, ბატონი ნოდარის მოწაფეები ვალში არ დარჩებიან მასწავლებლის წინაშე და მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ერთ საინტერესო ნაშრომს მიუძღვნინან, სადაც დანვრილებით განიხილავენ მის წვლილს და დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ უნივერსიტეტის ძნელბედობის ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნას 1926 წელს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის გათავისუფლება. ბოლშევიკების მხრიდან ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი. ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის ძალისხმევით უნივერსიტეტის ოქროს ხანა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარა უნივერსიტეტს, მის დამარსებელს და საერთოდ მთელ იმდროინდელ ინტელიგენციას. ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში ქართული სულიერების ეს სავანე. ეს უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთი დრამატული ფურცელი იყო, რომლის შორეული ექო დღესაც გაისმის. ასე თანდათან, ნელ-ნელა, შემოაბიჯებინეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტში კორუფციას, პროტექციას, ნეპოტიზმს. უნივერსიტეტის ავტონომია, ფაქტობრივად, ფიქციად იქცა. მნიშვნელოვანწილად, დღეს, სწორედ ამის შედეგებს ვიმკით.

მრავალგზის მითქვამს, რომ მე უნივერსიტეტის ოქროს ხანის კუდს მოვესწარი, როდესაც ამინდს უნივერსიტეტში ჯერ კიდევ დიდი ივანე ჯავახიშვილის აღზრდილები და მათი მოწაფეები ქმნიდნენ. როდესაც 1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩავირიცხე, მე მასწავლიდა ბრწყინვალე ლექტორების მთელი თანავარსკვლავედი. თავად განსაჯეთ: საქართველოს ისტორიის პირველ მონაკვეთს მასწავლიდა აკად. შოთა მესხია, მეორე მონაკვეთს - პროფ. ნოდარ ასათიანი და პროფ. შოთა ხანთაძე, არქეოლოგიას - აკად. ოთარ ჯაფარიძე, პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას - პროფ. გია ავალიშვილი, რუსეთის ისტორიას - ჯერ პროფ. იასე ცინცაძე, შემდგომში ის ავად გახდა და ლექციებს გვიკითხავდა პროფ. ვალერიან (ვალიკო) მაჭარაძე. ძველი აღმოსავლეთის ისტორიას გვასწავლიდა ბუმბერაზი მეცნიერი, აკად. გიორგი მელიქიშვილი. ამ ტალანტთა საკრებულოში, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო პროფ. ნოდარ ლომოური.

1970 წელს გარდაიცვალა პროფ. მათე ალექსიშვილი, რომელსაც უნდა ესწავლებინა ჩვენთვის ანტიკური ისტორია, ძველი საბერძნეთის და ძველი რომის ისტორია. ასე გახდა ჩვენი ლექტორი პროფ. ნოდარ ლომოური. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მის ლექციებს დიდი ხიბლი გააჩნდა. ეს იყო არა მარტო საგნის ღრმა ცოდნა, რომელიც ემყარებოდა პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას, არამედ მისი ბრწყინვალე ორატორული თვისებები, რომელიც უნდა ითქვას, რომ პირველივე წუთებიდან ანდამატივით იზიდავდა და ხიბლავდა სტუდენტს. აუდიტორია სულგანაბული უსმენდა ლექტორს. ლექცია არ წარმოადგენდა ფაქტების უბრალოდ გროვას. ასეთი ლექცია საინტერესო არ იქნებოდა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ისტორიული ფაქტების ანალიზს. თხრობა და ანა-

ლიზი ერთმანეთს კარგად იყო შეხამებული. გადმოცემის ბრწყინვალე მანერა ლექციას მეტად სასიამოვნო მოსასმენს ხდიდა. განსაკუთრებით მტკივნეულად ის გარემოება მიგვაჩინია, რომ 1971 წელს, გარკვეულ მიზეზთა გამო, ის ჩამოაშორეს საყვარელ საქმეს. უნივერსიტეტიდან მოკვეთა, ალბათ, მეტად რადიკალური ნაბიჯი იყო. განსაკუთრებით ბევრი დაკარგა სტუდენტობამ. მე პირველ კურსზე ძალიან გატაცებული ვიყავი ანტიკური ისტორიით და ასე განსაჯეთ, სტუდენტთა სამეცნიერო წრეშიც კი ჩავენერე, რომელსაც მაშინ მერაბ ვაჩნაძე ხელმძღვანელობდა. ბატონი ნოდარი უნივერსიტეტიდან რომ არ წასულიყო, დიდი ალბათობით, მე შეიძლება, სწორედ ანტიკურ ისტორიას გავყოლოდი. ყოველ შემთხვევაში, ეს მაშინ პირველი კურსის სტუდენტის გადასახედიდან ასე ჩანდა. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ბატონ ნოდართან. მან როგორც ლექტორმა ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა. ფაქტობრივად, ამით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც შემდგომში გაგრძელდა როგორც უფროსი და უმცროსი კოლეგების დამოკიდებულება. მინდა რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენო.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ბატონმა ნოდარმა დადებითი როლი შეასრულა ჩემი ორივე დისერტაციის დაცვაში. პირველში, როგორც საბჭოს წევრმა, ხოლო მეორეში, როგორც ოფიციალურმა ოპონენტმა. მივყვეთ თანმიმდევრობის მიხედვით. ჩემი საკანდიდატო დისერტაცია ეხებოდა ფრიდრიხ შილერს, როგორც ისტორიკოსს. თემა იყო საინტერესო და ორი მეცნიერების, ფილოლოგიისა და ისტორიის, მიჯნაზე იყო. ამან წარმოშვა შიში, ხომ არ გამოიწვევდა ეს კამათს, თუ რომელ სფეროს განეკუთვნებოდა ნაშრომი. სიტყვა ბ-ნ ნოდარმა ითხოვა. მან ხაზგასმით აღნიშნა თემის კუთვნილება ისტორიის მეცნიერებისადმი, კიდევ უფრო კონკრეტულად კი, ისტორიოგრაფისადმი. ეს იყო სწორი მიდგომა. ამის შემდეგ კამათი შეწყდა. ნაშრომის ისტორიოგრაფიული კუთვნილება

ყოველგვარ ეჭვს გარეშე იყო. ასე შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი ბატონმა ნოდარმა ჩემს პირველ წარმატებაში. დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ.

კიდევ უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა მისი წვლილი ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი, როგორც აღვნიშნეთ, პროფ. ნოდარ ლომოური იყო. საქმე ისაა, რომ ჩემი მონოგრაფიის ერთი მოზრდილი ნაწილი ძველ ისტორიაზე პროფ. გრიგოლ ნათაძის შეხედულებების განხილვას ეხებოდა. ამიტომ ჩემმა სამეცნიერო კონსულტანტმა, პროფ. კოტე ანთაძემ, ნაშრომის ოპონირება ბატონ ნოდარს შესთავაზა. ბატონი ნოდარი დათანხმდა. ის იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ოპონენტი. მისი დადებითი დასკვნა ჩემთვის ძალიან საამაყო და სასიამოვნოა. მან, ფაქტობრივად, ტონი მისცა დისერტაციის დაცვის პოზიტიურ კალაპოტში წარმართვას და ეს პოზიტიური მუხტი დაცვის ბოლომდე იქნა შენარჩუნებული.

მოგონებების ამ ეპიზოდს, ალბათ, აქ დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება. ჩემს სადოქტორო დისერტაციის დაცვას დაძაბული ვითარება ახლდა თან, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ სულ ცოტა ხნის წინ ფაკულტეტის საბჭოს წევრების ერთმა ნაწილმა გამაშავა, რადგან პროტექციით ნიშნებს არ ვწერდი. 14 შავი მივიღე, 15 იყო მომხრე. ეს უნივერსიტეტიდან გაგდების ტოლფასი იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი გაირკვა და მე აღმადგინეს ჩემს უფლებებში. გვეშინოდა, რომ იგივე არ განმეორებულყო დაცვაზე. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. დევი კაციტაძემ ბატონ ნოდარს ჰკითხა, რა აზრის იყო ნაშრომზე და როდესაც დადებითი პასუხი მოისმინა, შვებით ამოისუნთქა და შემდეგ მოუყვა ყველაფერი, რაც

მოხდა. საინტერესო იყო ბატონი ნოდარის რეაქცია: „შეიძლება კაცს ებრძოლო იმისთვის, რატომ ხარ პატიოსანი?“

ჩემი ურთიერთობა ბატონ ნოდართან ამით არ ამოიწურება. მინდა გავიხსენო კიდევ რამდენიმე ეპიზოდი, რომლის აქტიური მონაწილეც ბრძანდებოდა ბატონი ნოდარი. 2002 წლის 25 ოქტომბერს ჩვენ უნივერსიტეტში ჩავატარეთ ერთ-ერთი ჩემი მასწავლებლის, შესანიშნავი მეცნიერის და პიროვნების, პროფ. გივი კილურაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. ის დაამშვენა ბატონი ნოდარის გამოსვლამ, სადაც მან მეტად თბილად გაიხსენა თავისი უფროსი კოლეგა და მეგობარი. მეორე ასეთი შემთხვევა იყო 2009 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც უნივერსიტეტში გაიმართა პროფ. კოტე ანთაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, ხოლო მანამდე კი 2007 წელს 6 ნოემბერს ჩატარდა მისი გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა. ორივე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პროფ. ნოდარ ლომოური, სადაც მან ბევრი საინტერესო ფაქტი მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას. მათ შორის მან გაიხსენა მათი თანამშრომლობა მიმღებ საგამოცდო კომისიაში.

ახლა ორიოდ სიტყვით შევეხებით მის სამეცნიერო მემკვიდრეობას. პროფ. ნოდარ ლომოური ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში შედიოდა ანტიკური ისტორიის, ძველი საბერძნეთის, რომის და ადრეული შუა საუკუნეების, საქართველო ბიზანტიის ურთიერთობების აქტუალური საკითხები. ანტიკურ ისტორიას საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კონტექსტში სწავლობდა. მისი საკანდიდატო დისერტაცია შეეხება „პტოლემეაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“. ხოლო მისი სადოქტორო დისერტაცია ეხება ფრიად საინტერესო და აქტუალურ თემას რომის და ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობას ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. ორივე ეს ნაშრომი იმდროინდე-

ლი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. განსაკუთრებით ფასეულია მისი შრომების ქართული კონტექსტი. „ეგრისის სამეფოს ისტორია: წარმოქმნიდან ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბოლომდე“, „ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში“, „ძირძველი ქართული მხარის - აფხაზეთის ისტორიისათვის“, „საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში“, „К Истории Понтийского царства“, „Грузино-римские взаимоотношения, ч.1. Политические взаимоотношения“, „საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა, ნაწ. 1. (IV-IX სს.)“ და მრავალი სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი წიგნი მასწავლებელზე, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილზე – „სიმონ ყაუხჩიშვილი: მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე“. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი კარგადაა ნათქვამი. კაცი მეტს ვერაფერს დაამატებს. ეს მასწავლებლისადმი პატივისცემის საუკეთესო ნიმუშია.

ბატონ ნოდარს ძალიან კარგად ხელენიფებოდა არა მარტო საქართველოს ისტორიის ძველი და ადრეული შუა საუკუნეების აქტუალური საკითხების კვლევა, არამედ ძველი მსოფლიო ისტორიის საკითხების პოპულარიზაცია. ეს მისი, როგორც ისტორიკოსის, კიდევ ერთი პლუსი იყო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი წიგნი „სპარტაკი: ცხოვრება და გმირული ბრძოლები“. უმადურობა იყო ის, რომ პროფ. ნოდარ ლომოური არ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ის ამას, ჩვენი ღრმა რწმენით, სავსებით იმსახურებდა.

პროფ. ნოდარ ლომოურის სახით საქმე გვაქვს საქართველოს ძველი და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის, საქართველოსა და რომის და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების, ანტიკური ისტორიის, ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევართან საქართველოში. მის ამ შრომებს აღნიშნული საკითხის ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. მას გააჩნია წარსულის საკუთარი ხედვა. ისტორიკოსი გვთავა-

ზობს წარსულის საკუთარ ვერსიას. მთავარი, ვფიქრობ, სწორედ ეს იყო.

ბოლოს ბ-ნი ნოდარი ხშირად ავადმყოფობდა. როდესაც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოვხვდებოდი, სადაც ის ბოლოს მუშაობდა, ხელმძღვანელობდა ბიზანტიის ისტორიის განყოფილებას, ქ-ნი ნელი მახარაძეს ყოველთვის ვაბარებდი მოკითხვას ბატონ ნოდართან. გადავეცი ჩემი ორი წიგნი პროფ. კოტე ანთაძეზე, რომელთანაც მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორიაზე, რომლის წევრებსაც ის ძალიან კარგად იცნობდა, ხოლო პროფ. გივი კილურაძესთან ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. რამდენიმეჯერ დავურეკე სახლში, მოვიკითხე, ვისაუბრეთ. ახლა გული მწყდება, უფრო ხშირადაც უნდა დამერეკა, მაგრამ რალაცნაირად მომერიდა. ეტყობა შევცდი.

ბატონი ნოდარი 2016 წლის 3 აგვისტოს გარდაიცვალა. 90 წლის იუბილემდე სულ რამდენიმე დღე დააკლდა. 6 აგვისტოს ის დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, სადაც დაკრძალულია მამამისი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფ. იულონ ლომოური. იგეგმებოდა ბატონ ნოდარ ლომოურის 90 წლის იუბილის ფართოდ აღნიშვნა. მინდოდა ეს სიტყვები ბატონ ნოდარისათვის იმ საიუბილეო დღეებში მეთქვა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ გამოვიდა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ გამოჩენილი მეცნიერები: აკად. თამაზ გამყრელიძე, აკად. რისმაგ გორდეზიანი, პროფ. ნელი მახარაძე, პროფ. ვალერი ასათიანი, პროფ. გურამ ყორანაშვილი და სხვები. მეც მინდოდა სიტყვით გამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე ქალბატონ ნელი მახარაძის გაფრთხილება, ხოლო შემდეგ, უშუალოდ იქ სიმართლე გითხრათ, ცოტა მომერიდა ამის გაკეთება და აი, ახლა ვასწორებ ამ შეცდომას, ვიხსენებ რა ბატონ ნოდარ ლომოურს. მან ღრმა

კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი მრავალრიცხოვანი შრომები უეჭველად, დაიკავენ თავის კუთვნილ ადგილს ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში.

Merab Kalandadze

Nodar Lomouri – Famous lecturer and orator

Summary

Recent work is not scientific research. It is just memories as we are remembering famous Georgian scholar, historian professor Nodar Lomouri (1926-2016) whose works are of great importance in the XX century Georgian Historiography.

He studied Georgian-Rome and Georgia-Byzantine relationships. He was one of the most competent scholars in this particular field. His work is important for Georgian historiography.

He said his word in popularization of the history of antiquity, history of ancient Greece and Rome, this is another influence in historical sciences. He was famous lecturer with great oratorical talent.

Nodar Lomouri was exceptional and vibrant persons of Georgian Historiography in XX century.

ასალი ნიგნი

გურამ პაატაშვილი

აზრთა კრებული

„მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა აკადემიკოს გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილი. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული - „მაესტროს აზრთა სამყარო“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან - „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- ჭეშმარიტი შემოქმედი და მეცნიერი ის პიროვნებაა, რომელიც თავისი დროის მთელ ეპოქას წარმოაჩენს.
- მუსიკა ოდითგან სულიერი აუცილებლობაა ადამიანის ყოფისა. მუსიკა – მხატვრული აზრის, გრძნობის, დროისა და სიცოცხლის უსასრულობაში გატყორცნაა.
- სანამ სამყარო და ადამიანი არსებობს, სათქმელი და აღმოსაჩენი კიდევ ბევრი იქნება. ეს შეუქცევადი პროცესია.
- სამყაროს ისე არაფერი არ ანათებს და ათბობს, როგორც ჩვილი ბავშვის ლღინი.
- დანგრეული წმინდა ტაძრის ადგილი და ნანგრევები თავის სიწმინდეში რჩება. უფალი არ სტოვებს წმინდა ადგილს.

- ყოველმა ერმა თვისი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით უნდა გაამდიდროს და უკვდავყოს სამყაროსთან კავშირში თავისი არსებობის უზენაესი ჭეშმარიტება.
- ადამს არჩევანი არ ჰქონდა, ალბათ, უყვარდა ევა. სხვა ქალი ქვეყნად არ არსებობდა. ევამ, ალბათ, იმიტომ შესცოდა, რომ დედობა ენადა. ამ ბედნიერებისთვის ეს დიდი ცოდვა უნდა მიეტევოს.
- კულტურის ისტორია ერის ისტორიაა, მაჩვენებელი მისი სიბრძნის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი დონის.
- ცხოვრება ზოგჯერ ერთდროულად დრამაცაა და ფარსიც. ფანტასმაგორია და ექსცენტრიკაც, ტრაგედია და კომედიაც და ყველას არ ძალუძს, თავი დააღწიოს ამ საშინელ ხაფანგს.
- ცხოვრება გვასწავლის, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენ პასუხს ვაგებთ იმათზე, ვინც დროულად არ გავგზავნეთ ერთ ადგილას...
- ჭკუა, სიბრძნე და ცნობისმოყვარეობა ადამიანის არსებობის არსია.
- უფალი ნიგნთა ნიგნის – ძველი აღქმის მეშვეობით ადამიანის ენით გველაპარაკება. ბიბლიურ ხალხს უდიდესი ფასეულობა გააჩნია – ნიგნთა ნიგნი, რაზეც დრო უძღურია და რომელიც მთელი კაცობრიობის უდიდეს საგანძურს წარმოადგენს.
- ძლიერია ის ერი, რომლის თითოეული წევრი ერთი ორგანიზმის ნაწილად გრძნობს თავს. როდესაც ტკივათ, ამას ყველა ერთად გრძნობს.
- რწმენის ფილოსოფია ყველაფერს აღემატება. ესაა ის უპირველესი უნივერსალური ეტალონი, რომლითაც ადამიანები განირჩევიან ერთმანეთისაგან. რწმენა ჰუმანიზმის ფილოსოფიაა.

- შემოქმედის უშრეტი ნიჭი და შთაგონება ასაკს არ ეპყება. შემოქმედის ქმნილებებში თავისი ერის სული, სიტყვა და ჰანგი ბობოქრობს.
- იცხოვრო - ნიშნავს იცხოვრო ადამიანურად და ადამიანებისთვის.
- ის ქვეყანა მარადიული, სადაც განსაკუთრებით ძლიერ შეიგრძნობა ეროვნული და კაცობრიობის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა.
- ერთი კაცის თოფზე ჩამოკიდებული მარიონეტების მართული ქვეყანა აფსურდის თეატრს წააგავს.
- წმინდა ტაძარი მხოლოდ სიძულვილის გამო თუ დაინგრევა და მხოლოდ სიყვარულით თუ აიგება.
- ადამიანი ღმერთს თვითონ უნდა დაუახლოვდეს. ხელისუფლება კი თავად უნდა დაუახლოვდეს ადამიანებს.
- ვინც მთელი სიცოცხლე ღელეში ჭყუმპალაობს, ოკეანეში ვერ შეცურავს.
- ნამდვილი სიყვარული არ ლაპარაკობს. ან დუმს ან ყვირის.
- უცნაურია, მაგრამ ზოგჯერ ერთი ქვეყნიდან გაქცეულ გიჟს სხვა ქვეყანაში ჭკუას ეკითხებიან. ისტორიას არანორმალურების ტრიუმფიც ახსოვს და მათი დაცემაც.
- მოაზროვნე ადამიანებმა კარგად იციან, ზესახელმწიფოს თავკაცების განცხადება სამეცნიერო პროგნოზი არ არის, უბრალოდ, ყველასათვის ახალი განანესია.
- მეცნიერები სანამ არკვევდნენ, თუ რა უნდა ქალს, მან უკვე გადაიფიქრა, უნდა რაღაც ახალი, განსაკუთრებული, მაგრამ ჯერ თვითონაც არ იცის – რა.
- ძალიან საინტერესოა, ყველაზე მეტად რა გსურს, როდესაც უკვე აღარაფერი გსურს. და რეალურად როდესმე ხდება ისე, როცა არაფერი გსურს?

- იდეალური ცოლი თვალისმომჭრელად უნდა გამოიყურებოდეს ქუჩაშიც, საზოგადოებაშიც, ლოგინშიც და სამზარეულოშიც. ისე, რომ ის ყველას საყვარელი ეგონოს.
- განვითარებული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ბუმის ეპოქაში, ხელოვნების გენიალურმა ქმნილებებმა და რელიგიურმა ტაძრებმა ადამიანებს უნდა შეახსენოს პიროვნების როლზე, მის მნიშვნელობაზე, იმის შესახებ, თუ რა არის ცხოვრებაში მთავარი.
- ცხოვრება, როგორც ყოველთვის, ძირითადად მოლოდინებისგან შედგება.
- შემოქმედმა თავისი ქმნილებით ადამიანებში ის გრძნობები და შეხედულებები უნდა აღძრას, რომლებსაც ისინი ხშირად ივინყებდნენ. ძირითადად დიდხანს ის ადამიანები ცოცხლობენ, რომლებიც დადებითი ემოციებით აღვსილნი სამყაროსადმი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი?
- ქალი შეიძლება განაწყენდეს თქვენზე, თუ თქვენ მასში ხედავთ მხოლოდ ქალს და არა ადამიანს. და ის არასოდეს გაპატიებთ, თუ თქვენ მასში ხედავთ მხოლოდ ადამიანს და არა ქალს.
- ადამიანებს მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი ცხოვრება სურთ. მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლას ადამიანები მხოლოდ ერთად დგომით თუ შეძლებენ.
- სიბერე ის სამწუხარო მოვლენაა, როდესაც სიბრძნის გარდა, სხვა ვერაფრით ვერ მოხიბლავ ლამაზმანს.
- როგორ უეცრად შეიცვალა ცხოვრება. ადრე წყალს სულელებზე ეზიდებოდნენ, ეხლა კი სხვა ყველაფერს ხშირად ჭკვიანებზე ეზიდებიან.
- იმათ გზავნიან იქ, სადაც საჭიროა, რომლებიც მოხვდნენ არა იქ, სადაც საჭიროა და მითუმეტეს არადროულად.
- იქ, სადაც სიტყვა, მიმიკა და ფერი უძლურია, მუსიკა იწყება.

- ნუ ჩამოხსნით ადამიანს ნილაბს, თორემ იმედგაცრუების ტალღას შესაძლოა, ვერ გაუძლოთ.
- სიმაღლეების მიღწევა და დაპყრობა დაბლიდან ხდება. ყველაფერი დედამიწიდან იწყება.
- თუ ხალხი დადუმებულია, არ ხმაურობს. ესე იგი პირი დაკავებული აქვთ, რალაცას მიირთმევს...
- ბედნიერება ისაა, როდესაც უბედურება არაა, როდესაც სული მღერის.
- იცხოვრო, შექმნა, იბრძოლო, უმჯობესია მუსიკასთან ერთად.
- ადამიანში ყველაზე მთავარი საღი აზრი, კულტურა და კეთილმოსურნეობაა.
- სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა დღეს სიკეთის კრიტიკიუმების გარეშე ცხოვრობს. ქვეყანას რაიმე საციცოცხლო, მნიშვნელოვანი ხომ უნდა აერთიანებდეს, აძლიერებდეს, თუნდაც იდეა. ადრე იდეა არსებობდა, მათ შორის, ეროვნული იდეა. დღეს იდეა, რომელიც გააერთიანებდა საზოგადოებას, სამწუხაროდ, არ იგრძნობა. ადამიანი ხომ მხოლოდ ბიოლოგიური ობიექტი არ არის, ის, უპირველესად, სულიერი არსებაა. მას სულიერება ისევე ესაჭიროება, როგორ ჰაერი და წყალი.
- შემოქმედი იმას უნდა ხედავდეს, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ. მეცნიერი და შემოქმედი თავისი ქმნილებებით ისტორიას ქმნიან.
- ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიმართლე და საგანძური კლასიკური მემკვიდრეობაა.
- როდესაც ადამიანი კომპრომისზე მიდის, უნდა გაიაზროს ამ შეთანხმების ფასი, რადგან კომპრომისები ხანმოკლეა, მაგრამ ძვირად ღირებული...
- ერთადერთი, რაც კონკურენციის გარეშეა, ეს კულტურაა. ის ყველას თავისი აქვს.

- ცხოვრება დიდი თამაშია, სადაც ყველა თავისი წესებით თამაშობს.
- ხალხი, როგორც წესი, ნდობის კრედიტს ახალ მთავრობას გადასცემს, და, ასევე, როგორც ყოველთვის, თავად ხალხს უხდება ამ კრედიტის გადახდა.
- პოეზია და მუსიკა მხოლოდ ჯადოსნური სიტყვა და ჰანგი კი არაა, ეს უდიდესი განუმეორებელი ცხოვრება და ზღაპრული სამყაროა. ხელოვნება და მეცნიერება ცივილიზაციის საფუძველია.
- პოლიტიკაში იდეალების ადგილი არ არის, ყველაფერი ინტერესების სფეროს უკავშირდება.
- ყველა თავისი ნიჭიერებისა და გამოცდილების წყალობით იღწვის. ერთი და იგივე პარტიტურას ყველა თავისებურად კითხულობს და აჟღერებს.
- ყველაზე მეტად სიბრძნე ფასობს, თუმცა, სიბრძნის გარდა, სხვა ყველაფერში ფულს იხდიან.
- შემოქმედი მაშინ მიდის, როდესაც მას აღარაფერი აქვს სათქმელი.
- ბრბო სამეფო ტახტთან ყოველთვის გამორჩენის მოლოდინშია.
- ცხოვრება ჭკუას იმას ასწავლის, ვისაც ამის გაკეთება თვითონ არ შეუძლია.
- ქათმის ფეხებზე შემდგარი დემოკრატიის ხმა შორიდან ჩაგესმის, ისიც ყრუთ და არა ყოველთვის.
- ცივილიზაცია უმაღლესი რანგის კულტურული ერთიანობაა.
- რასაც ზოგიერთი ქალი ცარიელი ხელებით ვერ აღწევს, ხშირად შიშველი ფეხებით აღწევს.
- ბალეტი - სულისა და სხეულის ნავარდია.

- ადამიანმა შეიძლება დატოვოს სამშობლო, მაგრამ სამშობლო მას არასოდეს დატოვებს. სიცოცხლის ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მასთან იქნება.
- შეუცვლელები არ არიან, არიან დაუფიქრებელი.
- შემოქმედის სული განცდების, ბოხოქრობის და სიმართლის მაძიებლის სულია, ინტელექტუალურ ადამიანს ძალიან ცოტა რამ უნდა. ბედნიერებისათვის მისი საყვარელი საქმეც კი საკმარისია.
- ოჰ, ძნელია, ძალიან ძნელია, იყო ადამიანი, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ანგელოზი იყო. ღმერთო, უბოძე ადამიანს სიბრძნე, რათა ეს სამყარო და თავად ადამიანი ისეთად მიიღოს, როგორც ის არის და არა ისეთი, როგორც თვითონ უნდა ის იხილოს.
- არჩევანი, პირველ რიგში, წარსულსა და მომავალს შორის არჩევანია.
- იუმორის გრძნობა და სიცილის უნარი ყველას გააჩნია, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით გამოირჩევიან.
- გენოსებზე ნადირობა წარსულშიც იყო, არის და მომავალშიც აქტუალური იქნება. სალიერის სინდრომი ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.
- მუსიკოსი ღმერთისგანაა... პოეტიც ღმერთისაგან... პოლიტიკოსი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვისგანაა. ამიტომ დღემდის ღმერთისკენ გზის ძიებაშია.
- სულიერება და შემოქმედებითი გენი ყოველთვის მთავარი შემაკავშირებელი გენი იყო ეროვნულობის შინაგანი ერთობისა.
- თავი არასოდეს წყვეტს ფიქრს, გული კი სიყვარულს.
- ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა მოიპოვოს ცხოვრების ბედნიერების ბილეთი.

- ვაი ქუჩისაგან საზღვრები არ გააჩნია, ის ყველა დროს, ყველა ეპოქაში ბობოქრობს.
- შემოქმედი ხშირად მარტოხელაა - ის თავის შემოქმედებაზე დაქორწინებული.
- ხელოვნებას ძალუძს, შეცვალოს ადამიანის დამოკიდებულება საკუთარ თავთან და სამყაროსთანაც.
- გენია და ბოროტმოქმედება, ნიჭი და არაკეთილმოსურნეობა - ორი შეუთავსებელი ცნებაა.
- მხატვრული აზრი ხშირად შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფია. რა არის მასში რეალური და რა გამოგონილი, ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს. შემოქმედმა უნდა შეძლოს მინიმალური გამომსახველობითი საშუალებებით მაქსიმალური ემოციების გამოწვევა. ქმნილება აზრით, იმედით და სიკეთით უნდა ბრწყინავდეს. ოპტიმიზმით უნდა აღავსოს ადამიანის სული.
- კულტურა და პოლიტიკა სხვადასხვა ცნებაა. კულტურა ყველაზე საუკეთესო და უძლეველი პოლიტიკაა.
- ადამიანების სამშობლოს გარეშე მთელ მსოფლიოში დაუპატიჟებელი სტუმრებივით არიან.
- ტანგოსთვის ორია საჭირო, მესამე ყოველთვის ზედმეტია. მაგრამ ცხოვრებაში ზოგჯერ მესამეს გარეშე არ ხერხდება...
- მუსიკა იყო, არის და იქნება. მუსიკა უკვდავია.
- სიბრძნე - სახალხო უდიდესი ძალაა. სისულელე კი - საერთაშორისო, ყველას თავისი აქვს.
- შემოქმედის ის ნაწარმოებია მისაღები, რომლის მუსიკა, სიტყვა და პალიტრა, ფორმა და შინაარსი ჰარმონიული და ერთი მთლიანია. ოსტატის ორიგინალური ქმნილება სამუდამოდ რჩება ადამიანის მეხსიერებაში.
- ბოლო დროს ლიტერატურასა და ხელოვნების ნაწარმოებებში დადებითი გმირის სახე ქრება, ცხოვრება ხშირ შემ-

თხვევებში მორალის გარეშე მიმდინარეობს, დეგრადაციის ნიშნები სახეზეა. ყოველი მოქმედება თუ მოვლენა საპირისპირო მოქმედებასა და მოვლენას წარმოშობს, რაც საზოგადოებაში თავის ადგილს იმკვიდრებს. იქმნება ახალი მენტალობა, რომელიც არსებულს ჩაანაცვლებს.

- როგორც სიყვარულის, ასევე ახალგაზრდობის სურვილი არასოდეს ტოვებს ადამიანს.
- ხშირად საარჩევნო სიების სათავეში ისეთი კანდიდატებია წარმოდგენილი, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში მზად არიან „მატარებლიდან ჩამოხტომისთვის“.
- სიყვარულის ენა ყველა დროს მარადიული მუსიკაა.
- უმჯობესია, თავად იცოდე, რა გსურს, ვიდრე მიიღო ის, რასაც სხვები გაიმეტებენ შენთვის.
- განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები შეიძლება წინააღმდეგობით აღსავსენი და ერთდროულად ლოგიკურებიც იყვნენ. ისინი სუყველა ინდივიდუალური და თავისებურები, რიგ შემთხვევაში კი, უცნაურები არიან. ისინი დიდებულ ეპოქას ქმნიან.
- მარიონეტების ცეკვა, როგორც შიზოფრენიის ვირუსი, სამწუხაროდ, თანდათან ყველგან ვრცელდება. ვირუსმა განსაკუთრებით ისინი დააზიანა, ვინც სხვის დაკრულზე მიჩვეულია ცეკვა-თამაშს.
- შემოქმედება და მეცნიერება ამოუწურავია. კიდევ რამდენი აღმოსაჩენი, უსახელო კუნძულია მისაკვლევია სამყაროში? შემოქმედებითი ადამიანები და მეცნიერები უნდა მიისწრაფვოდნენ სრულყოფილებისაკენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სრულყოფილებას საზღვრები არ გააჩნია.
- ისტორია, როგორც ბევრს გონია, მხოლოდ წარსული არ არის. ისტორიას მომავლის ფორმირებაში უდიდესი რო-

ლი აკისრია. ამიტომაც ყოველთვის აქტიურად ცდილობენ მის თავიდან გადაწერას.

- შემოქმედება უსასრულო პროცესია, ყოველწუთიერი ბედნიერება, გულის ნუხილი და ტკბობაა, შემოქმედის გულის, სულის გადახსნაა, რომელიც უსასრულოდ გრძელდება.
- როდესაც არანორმალურები თავისას მიაღწევენ, მათთვის ეს არასაკმარისია. მათ სურთ, რომ მთელმა საზოგადოებამ არანორმალურობა ნორმად ცნონ და აღიარონ.
- ადამიანები განსხვავებულები არიან. ზოგიერთს სიხარული მოაქვს, როცა მოდის, ზოგს კი – როცა მიდის.
- თავისუფლების შეტევა ბევრს წყნარი ცხოვრების საშუალებას აღარ აძლევს. ყველას თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურს. თუმცა დასავლური დემოკრატიის ნორმები მათთვის ხშირად მიუღებელია, ხოლო თავისი ნორმებით კი ბევრი ვერანაირად ვერ ეწევა და ვერც ერგება დასავლურს. უმეტესობას ნანატრი თავისუფლება მძიმე ტვირთად დაანვა მხრებზე და არც იციან, რა მოუხერხონ მას.
- ნებისმიერი ადამიანისთვის ტაძრისკენ გზა ცხოვრების აზრის ეტალონად უნდა იქცეს.
- ცხოვრება მუდმივი, დაუსრულებელი ბრძოლაა იმათთან, რომლებიც შენს ბოსტანს თავისად მიიჩნევენ, და შინაურებთან, რომლებსაც ის რატომღაც სხვისად მიაჩნიათ.
- რწმენა ერის სიცოცხლე და დღეგრძელობაა.
- სამყარო უკიდევანოა, მაგრამ ზოგჯერ უკან დასახვევიც კი არსაითაა...
- თეორია გვასწავლის წინ ყურებას და მოვლენების წინ გასწრებას, პრაქტიკა კი – რა არის ცხვირის წინ და რაზე დგახარ.

- ზოგჯერ კარზე თავად ღმერთი აკაკუნებს, ოღონდ არჩევანი – გაალო თუ არა - ადამიანზეა დამოკიდებული. ეს ის შემთხვევაა, როცა ბედნიერება კარზე გიკაკუნებს.
- ხელოვნებამ კლასიკური დროის ეპოქიდან დღემდის დიდი დრო განვლო, გამდიდრდა, გამრავალფეროვნდა. შემოქმედმა ძველზე დაყრდნობით ხელოვნებაში თავისი რაიმე ნოვატორული, ეპოქალური სიახლე უნდა შექმნას.
- დიქტატურა - ეს როცა ირჩევ იმას, რასაც ზევიდან გკარნახობენ და შენ არავინ არაფერს არ გეკითხება. დემოკრატია - ეს როცა შენ რაღაცას გეკითხებიან, ირჩევ იმას, რაც გსურს, მაგრამ იღებ იმას, რასაც ზევიდან იძლევიან.
- ბოლო დროს ბევრი რწმუნდება იმაში, რომ დღეს წესიერება ისაა, თავს იდიოტად რომ გრძნობ ხოლმე და დასაციინი გახდები ზოგ - ზოგების მიერ შენი წესიერების გამო.
- მიუხედავად საზოგადოებაში დიდი ცვლილებებისა, დღემდის ცოცხლობს ის იდეალები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. ამ ზოგად საკაცობრიო საგანძურს ქმნიდნენ ძველი წიგნები, სპექტაკლები, ფილმები, მუსიკა. ადამიანებს ნათელი იდეალები ესაჭიროებათ, მათ სჭირდება ცხოვრების ისეთი წესი, რომელშიც საკუთარს თავს გამოძერწავენ და იდეალს იპოვიან.
- შემოქმედება - ღვთიური საგანძურია. ღმერთმა ნუ ქნას ამ საგანძურის გარეშე ყველამ შემოქმედებას მიჰყოს ხელი, წეროს და თხზას.
- ვისთვის რეკს სადღესასწაულო ზარები და სად და ვისთვის მთავრდება მხიარული სიმღერები?.. ურიგო არ იქნებოდა, ხელისუფლებამ დროდადრო სადღესასწაულო ზარების გარდა თავისი მშობლიური ხალხის ნაღვლიან სიმღერებსაც დაუგდოს ყური.
- თუ მაიმუნს ყურადღებით დააკვირდებით, დარწმუნდებით, რომ მან იცის, როგორ მარტივად შეიძლება ადამიან-

ნი გახდეს, მაგრამ რატომღაც თავს იკავებს და არ სურს ამის გაკეთება... თითქოს ოდესღაც უკვე ყოფილა ადამიანი...

- პაიკსაც თავის დანიშნულება აქვს და თავის როლს ასრულებს. მართალია პაიკი - მხოლოდ პაიკია, მაგრამ თუ ის გამსვლელია, ის უკვე პაიკი აღარა არის. ცხოვრება წამიერი გაელვებაა. ბედნიერება, მზე და ნისლი მარადიული სიზმრის წინ. ეს არის ჩვენი ცხოვრება.
- საჭირო წიგნებს ჩვენ ძირითადად ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ვკითხულობთ.
- ოცნებასა და რეალობას შორის არის მანძილი, რომელსაც ფანტაზია ჰქვია. როდესაც მანძილი ფართოვდება, ფანტაზია ოცნებას და რეალობას გადაფარავს და სივრცე წარმოიქმნება, რომელიც შთანთქავს ოცნებასაც და რეალობასაც.
- უნდა უფრთხილდეთ ხელოვნურად მოდერნიზებულ წარმოებებს, რომლებიც ადამიანის აზრს, უაზრო სივრცეში, სიცარიელისკენ მიაქანებენ...
- ჭკვიანი ადამიანები ევოლუციონერებს უჭერენ მხარს და არა რევოლუციონერებს, რათა ქვეყანამ, დეგრადაციის ნაცვლად, განვითარება განიცადოს.
- თუ დღეს, ესე იგი, არა სხვა დროს. თუ სხვა დროს, და არა დღეს, ალბათ, როდესღაც ან სულერთია, როდის და რა დროს.
- ჩვენ ყველა ჩვენი წინაპრების გაკვალული გზებით მოვდივართ.
- იმედის ხმა ზოგჯერ შორიდან ყრუთ ისმის, მაგრამ მაინც იმედის მომცემია.
- ქალების გაგება იოლი არ არის, მაგრამ მათთვის ბრძოლა ღირს, რადგან მამაკაცი ქალის გარეშე იგივეა, რაც ძალი პატრონის გარეშე.

- ნორმალური ადამიანი სრულყოფილებისკენ მიისწრაფვის, ვინც ამ გზას არ ადგას, საკუთარ ცხოვრებას ბუნდოვანს და უინტერესოს ხდის.
- ცხოვრება უცნაური, საინტერესო და მოულოდნელობებითაა აღსავსე. არც ერთი კარი არ უნდა გამოიხურო, რადგან არავინ იცის, როდის და რომელ კარში მოგიწევს შესვლა.
- ბედნიერებისთვის ყოველთვის აუცილებელი არ არის შენი გამარჯვება, ზოგჯერ შენი შურიანი მეზობლის დამარცხებაც კი საკმარისია.
- უღიმამო ანწყო, მომავალზე ილუზიად ქცეული მარადიული ოცნება - სამწუხარო რეალობაა.
- ვინც რისკავს, მხოლოდ თითო-ორიოლა თუ სვამს შამპანურს, უმრავლესობისთვის კი შესანდობარს სვამენ.
- მამაკაცი მიაღწევს ქალთან მხოლოდ იმას, რაც ქალს მისგან სურს.
- კარგმა დიპლომატმა იცის საიდუმლოს შენახვა, ისიც იცის, როდის, ვისთან და რა დოზით გააჟღეროს.
- კრიმინალურ გარემოცვაში სუსტი ყოველთვის დამნაშავეა.
- ეშმაკს ყოველთვის არ ძინავს და არც ყველასთან სძინავს.
- ქალს ყოველთვის ყურადღებით უნდა მოუსმინო, განსაკუთრებით კი, როცა დუმს.
- ადამიანში მოკალათებული ბანჯგვლიანი მაიმუნი ყოველთვის ეცდება, ის გზას ააცდინოს.
- ტრაგედია - ის ნაწარმოებია, რომლის შემდეგ შემოქმედს ჭაღარა რომ გამოერევა ხოლმე.
- სიმდიდრისგან ყველაზე დიდი სიდიდრე - მუსიკაა. ის ყველასათვის სიმდიდრეა.

- მშობლიურ ადგილას თოვლიც კი თბილია.
- ნაძირლები ვირთხებივით ნაგავში ერთად იქექებიან.
- დედობა სიციცხლის ბოლომდე ნუხილი, სიხარული და ვა-ეზაა.
- სავსებით გასაგებია და მისაღებია: ეყრდნობოდე ძველსა და ქმნიდე ახალს. ეყრდნობოდე კლასიკურ მემკვიდრეობას და ქმნიდე თანამედროვე შემოქმედებას.
- ადამიანს ბოლომდე ვერ შეიყვარებ, თუ მასთან დაკავშირებით ყველაფერს თავის სახელს არ დაარქმევ.
- ზოგჯერ ყველა გზის ბოლოს ყრუ კედელს აწყდება კაცი. სუსტები ნებდებიან, გულგრილნი დეზერტირობენ, ძლიერნი კი ბრძოლას განაგრძობენ.
- მიღწევასა და წარმატებისთვის ყველაფერი მისაღებია, რაც ზნეობრივ ჩარჩოებში ჯდება და სხვათა საზიანოდ არ არის მიმართული.
- ადამიანისგან განსხვავებით, სიტყვები და საქმეები ათასწლეულებს უძლებენ.
- როდესაც ქალი მამაკაცს ეუბნება, რომ ის შეუდარებელია, ყველაზე ჭკვიანი, მიმზიდველი და განუმეორებელია, ესე იგი ქალი დარწმუნებულია, რომ მეორე ასეთ სულელს ვეღარ შეხვდება.
- ცხოვრება წარსულსა და მომავალს შორის წამიერი გაელვებაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ხანდაზმულობაშიც იღწვის, ის თავს ცოცხალ მუზეუმად არ გრძნობს.
- ადამიანების უმრავლესობა ან დროულად ვერ ერკვევა იმაში, თუ რა ხდება, ან ყველაფერი მალე ავინწყდება.
- რა ელის ისეთ ქვეყანას, სადაც ხელისუფლება მხოლოდ სკამების შენარჩუნებაზე ფიქრობს, ხალხი კი თავის გადარჩენაზე?

- კაცობრიობას თუ სურს ხანგრძლივი არსებობა, ბოლო უნდა მოუღოს ომებს.
- ნებისმიერი ადამიანისთვის დამლუპველია ის მომენტი, როდესაც ქრება შინაგანი სურვილი სიკეთის კეთებისა.
- დედა თავადაა სიყვარული, ნუგეში და ღოცვა.
- თითოეული ბგერა, ჰანგი, ყოველი აზრი დიდი აღმაფრენისა და შრომის ნაყოფია.
- სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა, რომელიც ბუნებრივად იბადება და ალერსით ღვივდება.
- ჭკვიანი ადამიანები სხვათა გამარჯვების გაკვეთილებს სწავლობენ.
- რელიგია ფორმალობის დაცვა არ არის. რწმენა ოდითგანვე არსებობს - ის ადამიანის სულში ნათელი სხივია.
- ჭკვიანი და მოხერხებული პოლიტიკოსი მთელი სიცოცხლე თავისი საქმიანობით იმას ამტკიცებს, რომ პოლიტიკა შეუძლებელის შეძლების ხელოვნებაა.
- ქვეცნობიერი სიბრძნე - ეს როცა გავალდებულებენ რაღაცის გაკეთებას, შინაგანი ხმა კი არ ეთანხმება.
- ადამიანების უმრავლესობისათვის ცხოვრება ცრემლნარევი სიხარულია.
- ცნობილად რომ გაიღვიძო, ცნობილმა უნდა დაიძინო. თუმცა ჩვენთან დღეს ამის აუცილებლობა აღარ არსებობს.
- წარსული და აწმყო იმითაც წააგავს ერთმანეთს, რომ ხალხი ძირითადად პურისა და სანახაობის შორის ცხოვრობდა და განაგრძნობს ცხოვრებას.
- ყველაზე კარგი ასაკი ის ასაკია, როცა სისულელე მეტნაკლებად განდევნილია, იცი, რა გსურს, რისკენ მიისწრაფი და სიბერემდე ჯერ კიდევ შორია.

- როგორც თითოეული ჩვენთაგანია, ისეთი საზოგადოება და ხელისუფლებაა. გვაქს ის, რასაც ვიმსახურებთ. როგორი სულისაც ხალხია ისეთი საზოგადოებაა. ყველა მთავრობა თავისი ხალხის წიაღიდანაა გამოსული.
- ადამიანის მთელი სიცოცხლე დროში მოგზაურობაა.
- გულდასაწყვეტია და სიბრალულის გრძნობა გეუფლება ყველა იმათზე, რომლებიც კლასიკის გარეშე იზრდებიან და ცხოვრობენ. ისინი ისეთ ფასეულობას კარგავენ, რის გარეშეც ძალიან ძნელია ადამიანი ადამიანად დარჩეს.
- ლიტერატურა და ხელოვნება დიდებულად, ზუსტად ხსნის და წარმოაჩენს ადამიანების ბუნებას და ხასიათს. ის ხალხის სულის სარკეა.
- ბოლო დროს უფრო ცდილობენ უკვე ცნობილის, ძველის მოდერნიზებას. რაც შეეხება ახალს, ის ან საერთოდ არ არის, ან იშვიათი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ მთელს მსოფლიოში კომუნიკაბელურობამ საგრძნობლად მოიმატა, შესამჩნევლად შემცირებულია ორიგინალური შემოქმედებითი პოტენციალი...
- კულტურა ერის სულიერი დონეა. როგორი დონეცაა კულტურის, საზოგადოების დონეც ისეთია.
- როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ცხოვრება, ადამიანმა ცნობისმოყვარეობისთვის მაინც უნდა იცხოვროს.
- შემოქმედი წინ უნდა უსწრებდეს მოვლენებს, ღრმა ანალიტიკოსი უნდა იყოს. მან ადამიანების ცხოვრებაში გარდატეხა უნდა შეიტანოს, გააფაქიზოს მათი სული, გაამდიდროს გონება. ის მომავლის ადამიანი უნდა იყოს.
- გახსოვდეს, ღმერთი ყველას ეხმარება, მაგრამ ყველაზე მეტად იმათ ეხმარება, ვინც თავის თავს თვითონ ეხმარება.
- თუ ოდესმე რაიმე დიდებული იქმნებოდა - ნიჭიერებით, ცოდნით, სიყვარულითა და ტკივილით იქმნებოდა.

- მშობლიური ენისა და ეროვნების გარეშე გენიალური ქმნილებები არ იქმნება.
- ცხოვრებას ადამიანებიც და შემთხვევებიც მართავს.
- ადამიანი მატერიალურ გაძარცვას როგორღაც ეგუება, სულიერი გაძარცვა კი მორალურად ანადგურებს მას.
- დემაგოგია განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის ბასრი იარაღია, ამავე დროს, დამლუპველიც.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ნოვატორია, მუდამ ახლის ძიებაშია. ეს არის მისი სიცოცხლის არსი.
- ადამიანს ცხოვრების სიხარულის შეგრძნებაში ისე არაფერი და არავინ უშლით ხელს, როგორც თავად ადამიანები.
- იქ, სადაც სიმართლე არ არის, სულიერებაც არ არის.
- ადამიანმა, გარდა ბოროტებისა და სიბინძურისა, ყველაფერს შეიძლება ფილოსოფიურად და იუმორით უცქიროს.
- ნიჭის, სულისა და გუნებაგანწყობილების დამალვა შეუძლებელია. მას ძალდაუტანებლად ამჟღავნებს ადამიანი.
- საოცრება და ზღაპარი ადამიანმა თავის ხელით უნდა შექმნას.
- დემოკრატები დიქტატორებისაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ ყოველთვის მთელი ხმით არ გაიძახიან: „სახელმწიფო ეს ჩვენ ვართ“!
- სამშობლო დედისგან და ბავშვობიდან იწყება.
- რა ფერითაც არ უნდა შელებო რევოლუციამ, მაინც ძალადობა გამოდის.
- წიგნთა წიგნი - ძველი აღთქმა - მთელი სამყაროა ხელის გულზე.
- ხელისუფალი ხალხთან ერთად უნდა ფიქრობდეს და გონივრულ გადაწყვეტილებას თავად იღებდეს.

- ინტუიცია არის ნიჭი, განსაკუთრებულ შემთხვევაში გრძნობდეს უკანალით და არა მხოლოდ თავით და გულით, ფიქრი კი უნდა თავით და არა უკანალით, სიყვარული - გულით და არა მუცლით, შეგრძნება - საჯდომით და არა ცხვირით და, რაც მთავარია, არაფერი არ უნდა აგერიოს. ეს იუმორით. თუმცა იუმორი რა იუმორია, თუ არ დაგაფიქრებს?
- ერთი წამით მაინც შეჩერდი, ასე ელვისებური სისწრაფით ნუ მიფრინავ, სიცოცხლე ...
- გენიოსი ვალდებული არ არის იყოს ჩვეულებრივი, ადვილად გასაგები. ის არაჩვეულებრივია.
- ყველა ხალხის უდიდესი მისია ცივილიზაციის გაფრთხილება და შენარჩუნებაა.
- საყვარელი ადამიანების გარეშე, როცა ფანჯრის გარეთ გაზაფხულია, სულში მაინც ისევ ზამთარია.
- პოლიტიკოსი უნდა იყოს დიპლომატიური, ელასტიური და სამართლიანი. პოლიტიკა - მოთმინების, კულტურის, შორსმჭვრეტელობის და საღი აზროვნების სამყაროა.
- პატარა ქვეყნის მცირერიცხოვან ხალხს დიდი შეცდომების დაშვების ფუფუნება არ გააჩნია. ერთმანეთთან ქიშპობისა და გაუტანლობის ნაცვლად უმჯობესია ხელჩაკიდებულებმა ერთად იღვანონ საქვეყნო საქმეებისთვის, სათითაოდ რომ არ გაქრნენ თვალსაწიერიდან.
- ძირითადად ცხოვრება ორ სფეროს შორის მიმდინარეობს - იდეა და ინტერესი. როგორც წესი, თავდაპირველად ინტერესი წინაურდება, იმარჯვებს, ოღონდ არა დიდი დროით. იდეა კი უფრო სიცოცხლისუნარიანია, დიდი ხნის პერსპექტივაზეა გათვლილი.
- თუ საზოგადოებაში მთავარი და ერთადერთი თემა მხოლოდ მდგომარეობა და ფულია, ეს დამლუპველია და მას-

თან ბრძოლაა საჭირო. საზოგადოებას გამოარჩევს და ალამაზებს ინტელექტუალობა და სულიერება.

- ზოგიერთები საოცრებას ქმნიან, უმრავლესობა კი შექმნის იმიტაციას ქმნის ოსტატურად. ასეა ცხოვრება მოწყობილი.
- მთელი ჩვენი ცხოვრება თეატრია. ზოგიერთებს კი მასში რატომღაც ანტრაქტი უფრო ხიბლავს, რომ უსასრულოდ გაიწელოს ეს წარმოდგენა.
- რა სულისაც არის შემოქმედი, შემოქმედებში და ცხოვრებაშიც ისეთივე კვალს ტოვებს.
- საკმარისი არ არის იყო ნიჭიერი, კეთილგონიერიც უნდა იყო.
- გაიძვერამ და რეგვენმა თუ ოდესმე დღის შუქი იხილა და სადავეები ხელთ იგდო, ცდილობს, ყველაფერს მოეპოტინოს, ცხოვრებას ნაღები მოხადოს. მნიფე ხილი ხომ პირველი ღორისაა - ხიდან ჩამოცვივდება თუ არა, იმნამსვე მიირბენს და შეჭამს.
- უნახავმა თუ ოდესმე რაიმე ნახა, სხვებს იმას ანახებს, რაც არ უნახავთ.
- ცხოვრებაში მთავარი ფასეულობა თავად ცხოვრება და ადამიანური ღირსებაა.
- სიცოცხლე ზოგიერთისთვის ყველაზე გაუაზრებელი და საბედისწერო ნახტომია დედის სამოთხიდან ჯოჯოხეთისკენ.
- სული ისაა, რაც თვალეებში ელავს, ციმციმებს და ნათელს ასხივებს.
- თეატრი დღესასწაულია! სინთეზში იბადება მაღალი ხელოვნება.
- უნიჭო, უღიმღამო ნაწარმოების პოპულარიზაცია იგივეა, რაც მარადიულობას თვალეებში ნაცარი შეაყარო.

- თუ არ არის განახლება, დროთა განმავლობაში ყველა კულტურა კნინდება.
- ცხოვრება სიყვარული, ბრძოლა, დანაკარგი, ხსოვნა და შენაძენია...
- როდესაც მუქთაზე გეპატიჟებიან, უმჯობესია, ხეზე აძვრე, ბრბომ რომ არ ჩაგქოლოს.
- ფანტაზია თავისუფალი აზრის თავისებური ოაზისია.
- დრო დასაწყისი, გაგრძელება და ყველაფრის დასასრულია. ის უწყვეტობა და უსასრულობაა.
- ჩვეულებრივი ოჯახი ჭკვიანი ცოლის და დამჯერი ქმრის კავშირია.
- პოეზია სულის სიმღერაა. სიმღერა კი მუსიკის გარეშე წარმოუდგენელია. ეს ისტორიაა, რომელიც მღერის.
- პროგრესის და ინოვაციის მთავარი ბარიერი უნიჭობა და ბიუროკრატიაა.
- მუსიკის გარეშე ქვეყანა ყრუ-მუნჯი გახდება.
- შეყვარებულებს ერთი გული და ერთი სული აქვთ, ისინი ყოველთვის ერთი მიმართულებით იყურებიან.
- თუ გინდა ცხოვრების სირთულეებს გაუძლო, ყველაფერს ფილოსოფიურად და იუმორით უნდა უცქირო.
- ცარიელ ადგილზე, სადაც არაფერია საკეთებელი და არც გასაყოფი, მხოლოდ სულელები თუ ჩხუბობენ.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ნოვატორია. მუდმივად სიახლის ძიებაშია. ის არ ელოდება შთაგონებას. მუზა არასოდეს ტოვებს მას, ყოველთვის მის გვერდითაა და მასშია. შთაგონება თავად პოულობს გზას შემოქმედის სულსა და აზრებში.
- რაც უფრო ნაკლებია ადამიანში „მე“, მით უფრო ბედნიერები არიან ისინი.

- სიყვარული სიცოცხლეა. მუსიკა პოეზია და ფერთა ლაჟვარდია. სიყვარული სიკვდილზე გამარჯვებაა.
- ქალი, მითუმეტეს ქალიდედა, იშვიათი, განუმეორებელი მოვლენაა. ეს ღვთაებრივი სიტყვა - დედა ამაყად, ხმამაღლა ჟღერს. დედა სიცოცხლის, სიყვარულისა და მარადიულობის განსახიერებაა, იმედსა და ძალას გმატებს, ანათებს და ბრწყინავს...
- ადამიანი გაივლის ცხოვრებას და ცხოვრებაც გაივლის მასში.
- შემოქმედი ზოგჯერ ნაწარმოებს არ წერს, ისე ხდება, თავად იწერება. და ეს ბუნებრივად ხდება. ადამიანებს მთელ მსოფლიოში ხელოვნების ენა გაცილებით უკეთ ესმით, ვიდრე პოლიტიკისა და ესეც ბუნებრივად ხდება.
- მხიარული და კეთილი გული ბუნების საჩუქარია.
- როცა ადამიანი აღარ განასხვავებს ეროვნულობას, კულტურას და ტრადიციებს, კაცობრიობის ისტორიაც დამთავრდება.
- რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, შემოქმედის ქეშმარიტი ქმნილება ყოველთვის დარჩება ფიქრისა და განსჯის საგნად.
- როცა წმინდა ტაძარი ინგრევა, ხალხი ხანგრძლივ დევნილობასა და უბედურებაში აღმოჩნდება, მაგრამ ტაძარი კვლავინდებურად მათ სულში რჩება მარადყვამს.
- სინანული გონიერებასთან ერთად მოგვიანებით მოდის.
- სანდო და მისაბაძი, ერთგული და თავმდაბალი ადამიანის ადგილი რეალურ ყოფაში, სამწუხაროდ, ან აღარ დარჩა, ან გაუფასურებულია.
- ყველა დროს თავისი სირთულეები და წარმატებები ახლავს. ის ზემოქმედებს და ცვლის ადამიანის მენტალიტეტს.

- დაუკმაყოფილებლობის და მიუღწევლობის შეგრძნება ხშირ შემთხვევაში პროგრესისკენ უბიძგებს ადამიანს.
- ბედნიერებისთვის აუცილებელია ნათელი მოგონებები, წარმატებული ანმყო და მომავლის იმედი.
- ჭკვიანი კაცი იმ ქვებს აგროვებს, რომელსაც მას ესვრი-
ან. ეს ქვები მისი ისტორიის და მომავლი ძეგლის საფუძ-
ვლის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.
- ცხოვრება დანაკარგის და შეძენის ხელოვნებაა. ასე იყო
და ყოველთვის ასე იქნება.
- როგორც არ უნდა ჩამოსცილდე პოლიტიკას, ის უფრო
გიახლოვდება. ის შენშია, შენ მასში, ორივე კი ცხოვრება-
ში ჩაფლული.
- ადამიანმა მხოლოდ წარსულით არ უნდა იცხოვროს. წარ-
სული მასში თავისთავად ცხოვრობს. ადამიანს ყოველ-
თვის, ნებისმიერ ასაკში აქვს მომავალი.
- სხვის ტაძარში შენ ნებაზე ნავარდი თავხედობაა, არადე-
მოკრატიულია, მაგრამ დიდი ხნის წინათ დამკვიდრებუ-
ლი მეთოდია.
- ხალხმა, რომელმაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე
გაუძლო და დაამარცხა ყველა რჯულის ტირანები, რომ-
ლებიც მათ განადგურებას ლამობდნენ, ხალხი კი დღესაც
ცოცხლობს, ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე და აღმშენებ-
ლობისკენ მიისწრაფვის, ასეთი ხალხი უკვდავია, მარად
იარსებებს.
- როდესაც ინტელიგენცია არანაირ როლს არ ასრულებს
ქვეყნის მშენებლობის საქმეში, იშვიათად ვხედავთ ინტე-
ლიგენტურ სახეებს ტელეეკრანებზე, იშვიათად ისმის გა-
წონასწორებული და ჭკვიანი საუბრები, საინტერესოა,
რითი ალიზიანებენ ისინი ხალხს ან ხელისუფლებას? ალ-
ბათ, იმით, რომ ჯერ კიდევ არსებობენ. რაღაცით არ
ეთანხმებიან, საკუთარი აზრი გააჩნიათ, ზოგჯერ რაღა-

ცას ამოღერღავენ, რალაცით უკმაყოფილოები არიან. ინტელიგენციას აღარ უყურებენ და აღარც აღიქვამენ საზოგადოებრივი აზრის გამომხატველად, მდგომარება კი დღითიდღე უარესდება.

- გრძნობა და აღქმის უნარი ყველას განსხვავებული აქვს. შემოქმედის ერთი და იმავე ნაწარმოებში ერთმა შეიძლება უფლის ნაპერწკალი დაინახოს, ხოლო მეორემ საერთოდ ვერ შენიშნოს ის და, პირიქით, სულ სხვა რამე წარმოიდგინოს. შემოქმედი პოეტური სულის მეოცნებე ადამიანია. შემოქმედის ქმნილება გულიდან გულისკენ მიმავალი გზაა.
- იდეალისტები ფიქრობენ, რომ ძალუძთ მსოფლიოს შეცვლა. სხვაგვარად მათ არსებობა არ შეუძლიათ. ადამიანების უმრავლესობა, როგორც იდეალისტები, ვარაუდობენ, რომ ხვალ მსოფლიო შეიცვლება და ყველაფერი უკეთესად იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ილუზია კვლავ იმედგაცრუებას იწვევს. ცხოვრება კი მაინც მშვენიერია.
- პროგრესული ხალხის სურვილია სამი დიდი რელიგიის - იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის მშვიდობიანი თანაარსებობა, რადგან სამყაროს მხოლოდ ურთიერთკეთილგანწყობა, თანადგომა და სიყვარული თუ გადაარჩენს.
- მსოფლიოს უმძიმესი დაავადებების განკურნება ყველაზე უკეთესად მუსიკას ძალუძს. ყველა დროის მუსიკა ყველა დროსა და ეპოქაში ერთნაირად დიდებულად ჟღერს.
- ლიდერმა უნდა შეითვისოს სხვა მრავალ მოვალეობებთან ერთად ორი უკიდურესობა. ერთი მხრივ იგი მართლაც თავკაცია, მაგრამ მეორე მხრივ - ხალხის მსახური. ზოგს ჰგონია, რომ ლიდერები მხოლოდ ძალაუფლებით ტკბებიან, ისინი რიგ შემთხვევაში განწირულებიც არიან.

- ხილული წარმატება ხშირად უხილავი ძალისხმევით მიიღწევა.
- ადამიანი იბადება იმისთვის, რომ იცოცხლოს. ცოცხლობს იმისთვის, რომ ქნას სიკეთე, მშვენიერება და გარდაიცვალოს. უკვდავი კი მხოლოდ მისი ნაღვანი და ქმნილებანია.
- გერქვას რწმენადაკარგული, ღარიბ-ღატაკი ხალხის დალხინებული მთავრობა, სამარცხვინოა.
- წვრილფეხა ძაღლებიც მწარედ იკბინებიან. განსაკუთრებით საშიში ხდებიან, როცა ერთად შექუჩდებიან. უჯიშო ძაღლების ხროვა ჯიშინ ძაღლს არ წყალობენ.
- მამაკაცი იქამდე შეტოპავს, რამდენის საშუალებასაც ქალი მისცემს.
- უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც ნებისმიერ ასაკში გსურს, კარგის გჯეროდეს.
- ადამიანები სხვათა კულტურული მონაპოვრებით, თავისი კულტურის გამდიდრებას უნდა ესწრაფვოდნენ.
- სათუთი გაფრთხილება სჭირდება იმ ადამიანთა სახელებს, ვიზეც იდგა და დგას ქვეყნის კულტურა, იდგა და დგას ერის ღირსება.
- ქალებთან დაკავშირებით შემთხვევით და უბრალოდ არასოდეს არაფერი ხდება.
- ზოგჯერ სტუმრებს როგორც არ უნდა ეხვეწო, არ წავიდნენ, მაინც არ მიდიან.
- ჭკვიანი კაცი ისეთ კითხვებს სვამს, როგორ პასუხსაც ელის.
- აუხდენელი ოცნება ცარიელი ჭიქასავით არის, სვამ, სვამ და არაფერი აკლდება, ნოსტალგია კი - შესმულივით.

- რა განსხვავებაა ქალსა და დიპლომატს შორის? დიპლომატი თუ ამბობს „არა“, ის ცუდი დიპლომატია. ხოლო ქალი თუ ამბობს „დიახ“, ეს ქალი ცუდი დიპლომატია.
- სანამ ხალხში ფეოდალიზმის მენტალობა მაღალია, სანამ კვლავ აქტიუალურია აზრი „ბატონი ყოველთვის მართალია“, დემოკრატიაზე საუბარი ფარსია. ამ თვითშეგნებაზე ფეოდალიზმი კიდევ დიდხანს გასტანდა, რომ არ გარკვეულიყო, რომ ყურმოჭრილი ყმა განსაკუთრებით ცივილიზაციის ეპოქაში უკვე აღარავის სჭირდება.
- იდუმალი ქალი განსაკუთრებით მომხიბლავი და საინტერესოა. და საერთოდ, ქალის ყველაზე სასურველი ასაკი ის დროა, როდესაც სილამაზე და ქალურობა ჰარმონიულად არის შერწყმული.
- საერთოდ მსოფლიოში ადამიანებზე დღეს ცოტა რამ არის შესაძლებელი. სცენარი ძირითადად კულისების მიღმა იწერება, თავადვე დირიჟორობენ და სპექტაკლსაც თავად დგავენ. დაქირავებული ხალხი კი თავის როლს ასრულებს.
- დიდი შემოქმედი თავისი ხალხის სულიერი მწყემსია. მისი შემოქმედებითი წარმატება ღმერთის ღიმილია.
- ქველმოქმედება ზარ-ზეიმისა და პიროვნების კულტის გარეშე უხმაუროდ უნდა ხორციელდებოდეს.
- თუ ისტორიაში ხვრელი ან ლაქა ჩნდება, ესეც ისტორიაა. არ შეიძლება იმის რაიმეთი შევსება ან შელამაზება.
- ადამიანების უმრავლესობას, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, უყვართ ფარულად ჭუჭრუტანაში ყურება. თვალთვალი და მიყურადება მათი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობაა, რათა რაიმე საინტერესო არ გამოეპაროთ...

- ყველაზე დიდი და წარმატებული კარიერა და ქალის მისია, თუ გნებავთ მთავარი პროფესია - დედობაა, რაც ღმეთისგან ნაბოძები განსაკუთრებული პრივილეგიაა.
- ადამიანის ბუნება უეცრად არ იცვლება. ადამიანმა უსასრულობიდან დღემდის უძველესი დროის სიღრმეები გამოიარა და ყველა დროს ეკუთვნის. თანამედროვე ადამიანები იგივე ტკივილებით იტანჯებიან, რაც ადამიანები ცივილიზაციის გარიჟრაჟზე.
- იდეალური ქორწინება ისაა, როცა ცოლი პირველ ვიოლინოს უკრავს, ქმარი კი ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს უწევს.
- წარმავალი ახალგაზრდობის და სილამაზის მოგონება და დაკარგული დროის ძიება წარსულზე წუხილია, რაც იყო და აღარ განმეორდება.
- მოძრაობა, ქმედება და ქმნა სიკეთისა - ეს ცხოვრებაა, ეს მიღწევების საშუალებაა. ეცადეთ, დატკბეთ და ისიამოვნოთ ღირსეული მიღწევებით.
- ჭეშმარიტი შემოქმედება მხოლოდ ერთი საშუალებით მიიღწევა, ღვთაებრივი ნიჭით, გულით და გონიერებით. შემოქმედი ადამიანი სულით, აზრით და ხასიათით, ცხოვრების წესით და მოწოდებითაა შემოქმედი. მან არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ დიდებული წარსულის მემკვიდრეა. ყოველთვის უნდა გაამართლოს თავისი - შემოქმედის მაღალი ტიტული.
- ბედნიერებითვის ისიც საკმარისია, როცა თვალებს გაახელებ, გესმის, ხედავ და გრძნობ... და თუ საყვარელი ადამიანებიც თავს დაგტრიალებენ - ეს უდიდესი ბედნიერებაა.
- მხოლოდ სულელებს კი არ ყოფნით ჭკუა ცხოვრება უაზროდ განვლონ, სამნუხაროდ, ჭკვიანებსაც ხშირად მათზე უკეთესად როდი აქვთ აწყობილი თავიანთი ცხოვრება. და

საერთოდ, ადამიანების უმრავლესობა ცხოვრებაზე, ბედნიერებაზე და ფულზე მხოლოდ მაშინ იწყებენ ფიქრს, როდესაც ეს ყველაფერი ამოიწურება. გასაგებია, სისულელე და სიბრძნე, რა თქმა უნდა, ღვთიური საჩუქარია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ პირველი ღვთიური საჩუქრით ასე უსასრულოდ სარგებლობა?

- ცხოვრებაში მთავარია, შეინარჩუნო სალი აზრი. მუშტით კი არა, ნიჭით, ცოდნით და იმ სიმართლის ძალით უნდა გაიმარჯვო, ზურგს რომ გიმაგრებს.
- ისტორიის კარი ყველასთვის ღია როდია, მაგრამ შემთხვევით შეიძლება თავი ამოყო, ან ჭუჭყიანი ფეხებით შეტოპო იქ. ისტორიაში ყველას თავისი კუთვნილი ადგილი აქვს. ამიტომაც არის ისტორია საინტერესო და ისტორიული.
- კლასიკური ხელოვნების საგანძურზე დაყრდნობით შემოქმედმა ორიგინალური თანამედროვე ხელოვნება უნდა შექმნას. თანამედროვე ადამიანი თანამედროვედ უნდა აზროვნებდეს.
- ბუნებრივი თავისთავად ავტორის გარეშე არსებობს. მას არ სჭირდება არც გადამუშავება და არც ავტორის სახელით შემოსვა.
- იყო შემოქმედი - ეს მისიაა... ჭეშმარიტი შემოქმედი დაუმარცხებელია.
- წარმატების თანამგზავრი განმარტოება და სიჩუმეა. ეს შემოქმედის ქრონიკული დაავადებაა, რაც მკურნალობას არ ექვემდებარება.
- სიბრძნე - დიდი ნიჭი, ჭკუა, ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება და ადამიანობაა, რაც დღეს ყველაფერი ეს ერთად აღებული იშვიათობაა.

- შურიანი ადამიანები, განსაკუთრებით კი კოლეგები - ძმარნარევი ნამცხვარივითაა, მათი წყალობით, ცხოვრება - დრამა და კომედიაა მუსიკის თანხლებით.
- ახალგაზრდებს ხშირად ის უფრო აინტერესებთ, რაც მათ ტალღაზეა მომართული. სამწუხაროდ, ახალგაზრდობა დამშვიდობების გარეშე გვტოვებს...
- შემოქმედი ხშირად რას და ვის ეძებს, არავინ იცის. შემოქმედის სათქმელი მის გულში მღერის, მისი სული მუდამ ღიღინებს, ღელავს და იფერფლება.
- პესიმისტი სირთულეებს ყველა საშუალებაში ხედავს, ოპტიმისტი კი საშუალებას ყოველ სირთულეში ხედავს.
- რეალურად ყველაზე ახლობელი ადამიანი ისაა, ვინც იცის შენი წარსული, სჯერა შენი მომავლის და გიღებს ისეთს, როგორიც ხარ.
- დედობა და მამობა შვილებისათვის თავგანწირვას, განსაცდელისა და ტკივილის ატანას ნიშნავს.
- მომავლის ხელოვნება - ზოგადსაკაცობრიო ღრმა აზრების წარმოჩენის ხელოვნებაა.
- იქ, სადაც განუკითხაობა სუფევს, ოდესღაც დავინწყებულნი შევიკი მარშით და ოვაციებით ბრუნდება.
- მდედრი ზოგჯერ მამრს თუ არ უქიციანებს, მამრმა შეიძლება ის ვერც შეამჩნიოს.
- ქმნადობა მუდმივი პროცესია. ბუნებაში არაფერია უმოქმედო. არაფერიც კი შობს რალაცას.
- იდეები დიდებულია, მაგრამ უმთავრესი მოქმედებაა.
- ჭკვიანმა ქალმა კარგად იცის სულელ, მიამიტ გოგონად თავი როდის მოიკატუნოს... ის არ მიდის მამაკაცთან, ის მას ინვესს და აფორიაქებს. თავის წესდებით შეუმჩნეველად შებრძანდება და მოიკალათებს მამაკაცის მონასტერში.

- ყველაფერი ჩვენშია, სიკეთეც და ბოროტებაც, ღმერთიც და ეშმაკიც. ადამიანები ერთმანეთს სიხარულს უნდა ჩუქნიდნენ. ურთიერთგაგების, კეთილგონიერების და მიტევების გარეშე - დღევანდელი ყოფა არსაით მიმავალი გზაა. გზებს, რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ, ტაძრისკენ უნდა მივყავდეთ.
- ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ცენზურა თვითცენზურაა. ეს აღზრდა, კულტურა და შეგნებაა.
- ადამიანი ნებისმიერ ასაკში არ უნდა კარგავდეს იუმორის გრძნობას, სილამაზის წინაშე გაოცებას და აღფრთოვანებას.
- თანდათან ადამიანი, როგორც პიროვნება, ქრება, ეს საშინელი პროცესია. დროა, ნაბიჯი გადავდგათ ადამიანისაკენ. უნდა ვეცადოთ, ჩვენში და სხვებშიც ვიპოვოთ ადამიანი. იყავი ბედნიერი და სხვებიც გააბედნიერე.
- სამშობლო იქაა, სადაც ხშირად მოწყენილი ხარ, ცუდად გრძნობ თავს და ზოგჯერ უსაზღვროდ ბედნიერი ხარ... სამშობლო, როგორც დედა, ყველგან და ყოველთვის ჩვენთანაა.
- ჩვენი სისულელის წყარო ჩვენი გამოცდილებაა. ჩვენი გამოცდილების წყარო - ცოდნა და წლებია. ჩვენი სიბრძნის წყარო ცხოვრებაა. ჩვენი ცხოვრების წყარო სიყვარულია.
- წარსული, აწმყო და მომავალი დიდებული სამეულია. ღმერთს სამება უყვარს. რაც იყო, ყოველთვის დარჩება, კარგიც და ცუდიც ისტორიაა. ის კი, რაც გველის, მომავალს ეკუთვნის. ყოველი დღე ფასეული და მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც, მთავარია მომავალი. მთავარია ხვალისდელი დღე.
- ადამიანების უმრავლესობა ხშირად ცხოვრების ყოველ დღეს, როგორც ომში, ისე იმყოფება, მაგრამ იმედის ნა-

პერნკალი მაინც ღვივის. ვერავინ მოახერხა და ვერც შეძლებს ადამიანისთვის იმედის წართმევას.

- აღმზრდელებისთვის საკმარისი არ უნდა იყოს, აღზარდონ მხოლოდ კარგად განათლებული მოსწავლე. ისინი უნდა ისწრაფვოდნენ, აღზარდონ ასევე ადამიანი, პიროვნება.
- დედა ენა არის ერის სიბრძნის, კულტურის, რწმენის, სილამაზისა და არსებობის საფუძველი.
- დრო და ხანი დიდი მასწავლებელია. ვისაც დრო არაფრად უღირს, დიდებას ვერ ეღირსება. ნებისმიერი ადამიანის, მეტადრე შემოქმედის და მეცნიერის უპირველესი მცდელობა იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რათა დროს გამოსტაცონ ისეთი რამ, რაც მარადიულობასთან იქნება ნილნაყარი.
- ზოგიერთებისთვის ბედნიერება ისაა, როცა შენი ყველას შურს, მაგრამ ჩამწარება არ შეუძლიათ.
- ძირითადად ჩვენი სიცოცხლე იმათ ეკუთვნით, ვინც ჩვენ გვიყვარს.
- ზოგიერთისთვის პოლიტიკა საუკეთესო ადგილია, რადგან იქ ხელის დაბანა ყოველთვის საჭირო არ არის.
- ავი ქალის სილამაზე საშიში ძალაა. და თუ ის ჭკვიანიცაა უფრო საშიშია, ზოგჯერ კი დამანგრეველიც...
- ნებისმიერი დრო, ნებისმიერი ეპოქა ტიტანებს ითხოვს. ადრე ისინი იყვნენ. ბოლო დროს ტიტანები, რომლებიც შესძლებენ ეპოქალური ცვლილებების განხორციელებას, უბრალოდ, აღარ არიან.
- უდიდესი ბედნიერებაა, როცა ნებისმიერ ასაკში ჯერ კიდევ კეთილი საქმეების გჯერა.
- ყველაფერი იცვლება, ზოგი რამ ქრება, მხოლოდ სიღარიბე როგორც იყო, ისევ არის, არსად არ წასულა. ახალი ძველი სიღარიბე კი ახალი რეალობაა.

- არის ქალი - არის უამრავი პრობლემა... არ არის ქალი - არის ერთი პრობლემა: არ არის ქალი და არც ცხოვრების აზრია. ლამაზი და შეუცნობადი ქალი სულისთვის ცეცხლია, თვალისთვის - სიხარული, სასიყვარულოდ ბედნიერება. ჯიბისთვის კი – ბომბი.
- ყველა ხელისუფლებას თვისი ჯინჯილოსანი ტაკიმასხრები ჰყავს. იცვლება ხელისუფლება - მედროვე მომხვეჭელები და ტაკიმასხრები კი ისევ არიან და ახალდახალი სიმღერებით ძველებურად ისევ ეტრფიან სამეფო ტახტს.
- ადამიანები იდეალურები არ არიან, მაგრამ მრავალ მათგანში შეიძლება აღმოაჩინო ისეთი თვისებები, რაც პატივისცემას იმსახურებს. ყველაზე მეტად ადამიანი სიბრძნეს განრისხებასა და უბედურებაში ავლენს. პირველად სიკეთეს ყოველთვის ჭკვიანი აკეთებს.
- ცნობილები, რომლებიც დავიწყებას არ ეძლევიან, ხშირად სიმართლე ჩრდილს აყენებს მათ სიდიადეს.
- ზოგიერთები გამუდმებით მტრის ძიებაში არიან, რეალურად კი მთავარი მტერი ისაა, რაც მათშია მოკალათებული.
- ზოგჯერ სიყვარული ვერ გეხმარება კითხვებზე პასუხის გაცემაში, მაგრამ ხშირად გეხმარება, დაივიწყო ერთიც და მეორეც.
- განდიდების მანიით შეპყრობილ ჯუჯებს ყველაზე მეტად ქვეყნის მართვა სწადიათ. ადამიანს, რომელიც აფრენს, ფსიქიატრი სჭირდება, მაგრამ რაში სჭირდება ხალხს და ქვეყანას ისეთი თავკაცი, რომელსაც ფსიქიატრი სჭირდება?
- ოდესღაც ერთი მაიმუნი მიხვდა, რომ ჯოხით უფრო ადვილია საკვების მოპოვება, მაგრამ ერთი ჭკვიანი მაიმუნი ჯერ კიდევ ადამიანი ხომ არ არის? აი, როცა მეორე მაიმუნიც მიხვდა და ჯოხი ხელიდან გამოგლიჯა, სწორედ

მის შემდეგ დაიწყო ყველაფერი. დროთა განმავლობაში ადამიანი და საზოგადოება გაჩნდა.

- რაც უფრო გვიან გესტუმრება აღიარება, მით უფრო ის მყარი და სასურველია.
- ჭეშმარიტად დიდი პიროვნება სადა და მოკრძალებულია. მისი თავმდაბლობა ისეთივე მიმზიდველი და ლამაზია, როგორც თავად მისი პიროვნება. ბავშვად დარჩენის ხელოვნება უდიდესი ხელოვნებაა. ყოველი გენიოსი მცირე-ოდენად ბავშია.
- ხშირად იმიტომ კი არ გიყვარს, რომ კარგი ან შეუცვლელია, უბრალოდ, იმიტომ, რომ ის შენია.
- როგორც ყოველთვის, გიზიდავს და გაცდებს შემლილი მსოფლიო თავისი მშვენიერებით.
- როდესაც ძალიან დაახლოვებულები არიან და უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, ემშვიდობებიან, მაგრამ ვერ სცილდებიან ერთმანეთს.
- ყველაზე მეტი ნაკლოვანება იმაშია, ვინც სხვებში ეძებს მას.
- ფული ისეთი მძიმე ავადმყოფობა და უმკურნალებელი სენია, რომელითაც ყველას სურს, დაავადდეს და სხვას ეს დაავადება არ გადასდოს.
- სიმდიდრე უნდა დაიცვა, ცოდნა კი თავის თავს თავად დაიცავს.
- ბედნიერებიდან უბედურებამდე ერთი ამოსუნთქვაა, ერთი ნაბიჯი აშორებს, უბედურებიდან ბედნიერებამდე კი მთელი მარადისობაა.
- ხალხმა, რომლებმაც შეძლეს და ისწავლეს სამშობლოს გარეშე ცხოვრება, შეუძლებელია მათი დამარცხება.
- ცხოვრება მრავალფეროვანია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი სიზმარია, უმჯობესია არ გაიღვიძო.

- ყველაზე საშინელი და აუტანელი ის ტკივილია, რომელსაც ვერც გამოთქვამ და ვერც დაიამებ.
- სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს არც უნდა შეადარო და არც დაუპირისპირო. სიცოცხლე ყოველთვის გადასწონის სიკვდილს, თუნდაც ერთი დღის სიცოცხლით. სიცოცხლე რომ არ ყოფილიყო, სიკვდილიც არ იქნებოდა.
- გაჭირვებულ ადამიანს თუ ვერ დაეხმარები და ვერც ანუგეშებ, ნუ დაძრახავ მაინც. შესაძლოა, მას ისეთი ღირსებები გააჩნია, რომელსაც უეცრად თვალი ვერ ამჩნევს.
- ერთი ან ორი და სამი ტყუილი სამი ტყუილია, უფრო მეტი ტყუილი კი პოლიტიკაა.
- ადამიანი ის არის, რასაც სხვისთვის გაიმეტებს და უშურველად გასცემს.
- მსოფლიო ომებით გაიხლიჩა, გმინავს. ბზარი კი ადამიანების გულზე გადის.
- პერსპექტივები ყოველთვის ძალზე დიდია, საშუალებები და რეზერვები უამრავი.
- სამკალი ფრიად არის, მას მიგნება სჭირდება. მომკვლზეა, მის ნიჭიერებასა და გონიერებაზეა ყველაფერი დამოკიდებული.
- ძალას ეწინააღმდეგებიან, აზრს კი ემორჩილებიან.
- ადვილია ხელოვნების ნაწარმოების კრიტიკა, გაცილებით უფრო ძნელია მათი შეფასება.
- ნილაბს, რომელსაც ადამიანი ატარებს, შეეზრდება მას ხოლმე.
- ისინიც კი, ვინც დიდხანს ცხოვრობენ, ყველას როდი ესმის ცხოვრების ენა.
- ცხოვრებაც და ხელოვნებაც უნდა გესმოდეს, გრძნობდე, აფასებდე... ხელოვნების გარეშე ძნელია, დარჩე ადამიანად.

- მსოფლიო ცივილიზაციაში ყველა თავისი კურსით მიცურავს.
- ნურავის გაახარებს ადამიანის დამცირება და სიბინძურეში ამოსვრა. ყველას უნდა ახსოვდეს, სიბინძურე მათ ენაზე და ხელებზეც დარჩება.
- ადამიანს სიკვდილის კი არა, ტკივილისა და ტანჯვის ეშინია. შეუძლებელია, გემინოდეს იმისა, რაც არ იცი და არ გამოგიცდია.
- რომ შექმნა, პირველ რიგში, საჭიროა, იგრძნო, დაინახო, მოისმინო, წარმოიდგინო, განიცადო და შემდეგ შეთხზა. ხშირად ქვეცნობიერის და ფანტაზიის წყალობით, ყოველივე ამის გარეშეც შესაძლებელია შექმნა. უბრალოდ, ყველას ეს არ ძალუძს.
- თანაუგრძნო, დაუთმო, შეუნდო - ეს სისუსტე არ არის, პირიქით, სიძლიერის ნიშანი და კეთილშობილებაა.
- ნიჭიერი ადამიანის ერთი ფრაზაც კი საკმარისია, რათა ათასობით ადამიანის აზრი და გრძნობა გააღვივო და ააგიზგიზო. კარგი ნაწარმოებები მრავლადაა, მაგრამ მესსიერებას თითო - ოროლა თუ შემორჩება.
- გასაოცარი და მშვენიერი ხშირად გვერდითაა, მაგრამ მას არც ყოველთვის და არც ყველა ამჩნევს.
- ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს და არც თავის ხალხი ეხატება გულზე, არც მათი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. უბედურებაა როცა ომების მიზეზი შეიძლება არშემდგარი „ბელადების“ ამბიციები გახდეს.
- მხოლოდ ხელოვნებას და მეცნიერებას ძალუძს ოცნება და ზღაპარი რეალურად გადააქციოს.
- შემოქმედის ყველაზე ძლიერი იარაღი მისი შემოქმედებაა. კარგი მუსიკა ნებისმიერ იარაღზე უფრო ძლიერია.

- ცხოვრებაში განსაკუთრებით იმ დარტყმებს აქვს აზრი, რომლებსაც ადამიანი გაუძლებს და ცხოვრებას განაგრძობს.
- სილამაზე უდიდესი ძალაა, ოღონდ ზოგჯერ ხანმოკლე და ისიც არა ყოველთვის წარმატებული.
- კარგად და გააზრებულად დუმილი ყველას არ გამოსდის, მითუმეტეს საინტერესო საუბარი.
- მსახიობი თავის ერთ ცხოვრებაში მრავალ სხვათა ცხოვრებით ცხოვრობს. ცხოვრება უფრო საინტერესოა მრავალფეროვნებაში. მსახობმა ქალმა, რომელმაც მთელი სიცოცხლე სცენაზე გაატარა, თეატრზეა დაქორწინებული.
- ჭკვიანი პოლიტიკოსი ილუზიონისტის მოხერხებულობით და ბებერი გველის სიბრძნით უნდა გამოირჩეოდეს.
- საზოგადოება მონანილეობას უნდა ღებულობდეს სახელმწიფოს მართვაში, ოღონდ არა ისე, როგორც ადრე, პრინციპით „კუხარკა მართავს და გადაწყვეტილებებს იღებს“. მას შემდეგ ახალმა, თანამედროვე „კუხარკებმა“ მიყვეს ხელი მართვას და კანონებს ღვეზელებივით აცხობენ, თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მართვის კეთილშობილ მისიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ღვეზელებიდან ბევრი ნახევრად გამოცხობილი გამოდის. უმ, უგემურ ღვეზელებზე მოთხოვნილება არ არის. ადამიანების უმრავლესობა ვერ გარკვეულა, აინტერესებთ, თუ როგორ წყობაში უწევთ დღეს ცხოვრება? სოციალისტურში, კაპიტალისტურში თუ ავტორიტარულ ფეოდალიზმის ფრაგმენტებით? თუ დემოკრატიის, დიქტატურის ელემენტებით მოდერნიზებულ ფორმის ხანაში? აი, ეს არის საკითხავი, თუ რომელ გზას მივყავართ ტაძრისკენ? საით მივმუშრებით, წინ თუ უკან?

- ნებისმიერი ხალხი თავის ქვეყნის ღერძი და საფუძველია. მათ ცრუ დაპირებებით კი არა, რელური საქმეებით მხარდაჭერა სჭირდებათ. ადამიანები უნდა ცდილობდნენ, იყვნენ ბედნიერები და სხვებიც გააბედნიერონ.
- მუსიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ბრძოლასა და გამარჯვებაში. მის სიდიადეს და ძალას ვერაფერი შეედრება.
- სიკეთე, ტალანტი და სილამაზე, როგორც მხატვრული აზრის კამერტონი, საერთოდ ცხოვრების ფასეულობას და სიდიადეს ავლენს და აფასებს.
- თურმე, როგორ კარგად და იმედიანად წარსულში ჩვენ ცუდ ცხოვრებაში ვცხოვრობდით და ამას ვერ ვხვდებოდით.
- ადამიანი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, ცხოვრების სარკეა. როგორი ცხოვრებაცაა, ადამიანიც და ახალგაზრდობაც ისეთია. თუმცა აღზრდა და გენეტიკური ფაქტორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. ადამიანის სული ასაკთან და დროსთან მიმართებით ყოველთვის განიცდის ტრანსფორმირებას.
- ხელოვნების ქმნილება პოლიტიკაზე მაღლა დგას, რადგან მშვენიერებით და სიყვარულითაა გაჟღენთილი. ეს ის სამყაროა, სადაც სულიერება მეფობს.
- სიცოცხლე ისაა, რასაც ადამიანები ყველაზე მეტად აფასებენ, აღმერთებენ, ცდილობენ, შეინარჩუნონ და ყველაზე ნაკლებად უფრთხილდებიან.
- ყოველ დროსა და ეპოქაში მცირე თუ მრავალმრიცხოვანი ხალხი და მათი კულტურა ყოველთვის ერთმანეთისაგან რაღაცას გადაიღებდნენ, გაითავისებდნენ და ამით ამდიდრებდნენ ზოგადსაკაცობრიო კულტურას. ეს ტენდენცია დღემდის აქტუალურია.

- თუ მთელი მსოფლიო თეატრია, მაშინ თეატრი მთელი თავისი ბრწყინვალეობით დროის მცირე მონაკვეთში იგივე ჩვენი დიდი ცხოვრებაა, რომელშიც ყველაფერი არის.
- პოლიტიკოსები ისტორიაში სხვადასხვა გზებით შედიან, შემოქმედნი კი მხოლოდ ერთით - ტალანტით.
- ჭკვიანი ადამიანი ყველაფერს სწრაფად, გონივრულად, ოღონდ ფრთხილად აკეთებს. წარმატებისთვის აუჩქარებლად უნდა იჩქაროთ.
- შემოქმედი ხედვის, ფანტაზიის, გრძნობის და წარმოსახვის უნარით გამოირჩევა. ის შემოქმედებითი არსენალის რეალიზაციას თავის ნაწარმოებში ახდენს. შემოქმედებით პროცესში ის თავისთავს არ ეკუთვნის. ის ყოველთვის ცასა და დედამიწას შორის არის. შემოქმედის ხმა ეპოქის ხმაა.
- ხელისუფლება ცვლის და ხშირად აფუჭებს ადამიანს, ადამიანი კი ხელისუფლებას და თვით ადამიანებსაც აფუჭებს. ქვეყანა კი ადამიანების და ხელისუფლების გარეშე ვერ განვითარდება.
- მამაკაცური ლოგიკა უფრო სწორია, ქალის კი უფრო საინტერესო. მათი შერწყმა კი უფრო საინტერესო იქნებოდა.
- ჭკვიანი პოლიტიკოსის საქმიანობაში ბევრი რამის მიხვედრაა შესაძლებელი, დამტკიცებისა კი – არაფრის.
- ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ გაიძვერება და მედროვეებს უკრავენ ტაშს, ხვალ სად და როგორ გაიღვიძებენ, საკითხავია. ადამიანებს სიხარულში ხელს ისე არაფერ უშლის, როგორც თვითონ ადამიანები...
- მამაკაცმა ლამაზმანი სახლში მიიყვანა, მაგრამ გასაღები ვერანაირად ვერ მოახვედრა კარის ჭუჭრუტანაში. ლამაზმანი შეიშმუნა: ესეც შენი კარგი დასაწყისი...

- ადამიანების უმრავლესობისთვის ბედნიერება ჩვეულებრივი უბედურებისგან ხანმოკლე, მცირეოდენი ბედნიერებაა. უბედურება და ბედნიერება ისეთი ბედია, რომელიც ყოველთვის შენთანაა.
- დიდი გრანდიოზული კულტურის შექმნა, დროის თვალსაზრისით, უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე სხვა სფეროებისა. დიდი კულტურის თუნდაც პატარა ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის გვირგვინია.
- ცხოვრება ჭადრაკივითაა, მეტოქეს სათანადოდ თუ არ შეაფასებ, თამაშს წააგებ.
- ნებისმიერ საქმეში, განსაკუთრებით ხელოვნებასა და მეცნიერებაში, ზედაპირულობა მიუღებელია. ნებისმიერი წამოწყება ბოლომდე უნდა იყოს მიყვანილი. შემოქმედებითი აქტის და სამეცნიერო კვლევის განხორციელებისას მთელი არსებით უნდა ვიღვწოდეთ.
- გამომგონებელი და რაციონალიზატორი არაჩვეულებრივი, განსხვავებული აზროვნების ჩვეულებრივი ადამიანია.
- ქალების უმრავლესობის მთელი სიბრძნე ან ნაკლოვანებების შელამაზებაში ან ღირსების გამომზეურებაში გამოიხატება. მამაკაცის არა მხოლოდ ბედნიერება, არამედ ჯანმრთელობა და სიცოცხლეც ქალზეა დამოკიდებული.
- გენიალურობა გარკვეულ წილად გადახრაა და არა ნორმა. გონივრულ აზრს უდიდესი ძალა გააჩნია. წინგაჭვრეტის უნარი სასწაულებს ახდენს. ნიჭიერი გენიოსის მიერ გაკვალულ გზებზე დადის.
- ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა რომლებმაც ცხოვრების ფართო შარაზე გამოანათა, მათი პირველი ნაბიჯები ძირითადად ვიწრო ქვანაყარ გზაზე იწყებოდა...
- სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ეძლევა, ის სიყვარულის ნაყოფია. არცთუ იშვიათად - შემთხვევის.

- ჭკვიანებს უნარი შესწევთ საკუთარ თავზე გაცინებისა, სულელებს კი - სხვებზე.
- იდეოლოგიური ფანატიზმი ნებისმიერ თავის გამოვლინებაში გულისამრევია.
- საკუთარ ქვეყანაში რომ გალიარონ, ამისთვის ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლო...
- ფუნქციის გარეშე არაფერი არ უნდა იდოს და არც ეკიდოს... სამწუხაროდ, ბევრი რამ მოქმედების და ფუნქციის გარეშე დევს და კიდია, თუმცა უნდა ასრულებდეს თავის ფუნქციას, უნდა მუშაობდეს...
- ადამიანები ყოველთვის უნდა იბრძოდნენ იმ მიზნებისთვის, რომლებისაც სჯერათ. გზებს, რომლებსაც ჩენ ვირჩევთ, ტაძრიკენ უნდა მივყავდეთ.
- ზოგჯერ პოლიტიკოსი თავისი კარიერის პიკის პერიოდში ვადამდე ადრე ტოვებს სახელისუფლებო სავარძელს. ეს ტაქტიკური სვლაა: ნავიდეს რომ ცოტა ხანში ისევ დაბრუნდეს დიდი ხნით. მანამდე კი ფარულად კულისების მიღმა მართოს პროცესები. როდესაც სხვები ხალხს თვალელებში მტვერს შეაყრიან და სანამ ხალხი ცვლილებების მოლოდინში ყურებს აფახუნებს, სწორედ მაშინ დროულად გამოჩნდება და სათქმელიც ექნება.
- სახელმწიფო, უპირველესად, თავისი ხალხის სულიერი, ეროვნულობის საყრდენად და უსაფრთხოების გარანტიად უნა გვევლინებოდეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ღირსეული ხელისუფალი თავისი ხალხისა და ქვეყნის სიამაყეა, უღირსი ხელისუფალი კი ვერასოდეს გახდება სულისა და გონების მპყრობელები.
- ადრე ბავშვები მშობლებისგან მაგალითს იღებდნენ. ახლა რაიმეს თუ იღებენ, ურჩევნიათ ფულის სახით აღება. ფულმა არ უნდა დაჩრდილოს ის უნივერსალური ღირებულებები, რასაც ტრადიციულად შვილებს მშობლები აძ-

ლევდნენ: სიყვარულს და აღზრდას, განათლებას... თუ ყველაფერს ამას ისწავლიან, ისინი დარწმუნებულები იქნებიან საკუთარ ძალებში, იქნებიან კეთილმოსურნენი, წარმატებულები და სამართლიანები.

- ღმერთი იმქვეყნიურ სამსჯავროში იმას კი არ მოჰკითხავს ადამიანს, რატომ მაინცდამაინც წმინდანი არ იყავიო, იყავი ის, რაც ხარო. დიდი ღირსებაა, ამ ურთულეს და სწრაფმავალ დროში დარჩე ადამიანად.
- დღეს მშვიდობა წარსულის ნოსტალგია და მომავლის ოცნებაა.
- მხოლოდ კეთილი საქმეები იზომება და რჩება.
- ადამიანმა საკუთარ თავში სულიერების და კულტურის ტაძარი უნდა ააგოს.
- ბუნებაში ყველაფერი ბალანსირებულია: სულელების აზრებიც თანხვედარაშია და დიდი მოაზროვნეებიც ზოგჯერ ერთნაირად ფიქრობენ.
- ფერადი რევოლუციების შემდეგაც კი ქვეყნები და ხალხი რატომღაც ისევ უღიმღამოდ ან უფერულად გამოიყურებიან.
- შემოდგომით, როდესაც ქუჩები ხიდან ჩამოცვენილი ფოთლებითაა მიმოფანტული, პესიმისტებს რატომღაც ტირილი სწადიათ ძლიერ.
- შეიძლება მოიგო ბრძოლა, დაამარცხო მონინალმდეგე, მაგრამ ბიუროკრატიის და უგულო ადამიანების უშველებელი არმიის დამარცხება ადვილი არ არის.
- ვინც ცუდ მუსიკას და ლექსს სთხზავს, უნიჭოდ მღერის და სისულელეს ქმნის - ეს სულში ჩაფურთხების ტოლფასია.
- როდესაც შენ ვილაცას სჭირდები ან მითუმეტეს უყვარხარ, ცხოვრება აზრს იძენს.

- ცხოვრებაში ზოგი ხოტბას, ზოგიც კი სიბინძურეს გასხამს. ცხოვრება სავსეა კეთილი და ბოროტი ადამიანებით. არ გაჩერდე, არ შეგეშინდეს ბოროტი და თავკერძა თავხედების, რა თქმა უნდა, თავად თუ არ დაეცემი მათ დონეზე.
- დედალი გარბის და ფიქრობს: ძალიან სწრაფად ხომ არ გავრბივარ? ვაითუ მამალი ვერ დამეწიოსო. რომ შევჩერდე, იფიქრებს, დამნებდაო. უმჯობესია, თავს მოვიკატუნებ და წავიქცევიო. დედლის და მამლის თავგადასავალი ისე დასრულდა, როგორც დედალს სურდა.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი კლავს, სიცოცხლის უნარიანობისთვის შანსს არ უტოვებს პოლიტიკას. ნებისმიერ დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს პოლიტიკაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ფასეულობანი, რომლებსაც გაფრთხილება ესაჭიროება.
- შემოქმედის ნაწარმოებში, როგორც ცხოვრებაში, ყველაფერია - ცრემლები და სიხარული, ლირიკა და ირონია, ტრაგედია და კომედია. შემოქმედის ქმნილებაც თავისებური ცხოვრებაა.
- ყველა თავისებური და ინდივიდუალურია. აკრძალვები ადამიანში შინაგანად უნდა ხდებოდეს. ყველაზე დიდი მიღწევა კი საკუთარ შინაგან ბოლმაზე გამარჯვებაა.
- ყველაზე უბერებელი და მრავალწლოვანი თაროზე დამტვერილი წიგნებია.
- შენ თუ ნათელი პიროვნება არ ხარ, არავისთვის კვდები, უბრალოდ, შენიანებს ტოვებ.
- ნუ იპარავ, თორემ ძლიერნი ამაქვეყნისანი არ გაპატიებენ. კონკურენტები არავის უყვარს.
- ადამიანებისაგან განსხვავებით, ქვეები არასოდეს იტყუებიან, ისინი ყოველთვის სიმართლეს ღალადებენ.

- ცხოვრებაში ბევრი ღირსეული საქმის გაკეთებას ასწრებს, ოღონდ ხშირად ხის დარგვა ავიწყდება.
- თავის ცხოვრების ისტორიას ყველა თავად წერს.
- იუმორი ნიჭიერებისა და სიბრძნის გამოვლინებაა, როდესაც შენ მხიარული და თავისუფალი ხარ. ცინცხალი იუმორი მხოლოდ ცხვირ-პირს კი არა, ტვინსაც გვარიანად ხვდება ხოლმე.
- დღეს ის უნდა გააკეთო, რასაც სხვები ხვალ მიხვდებიან.
- თუ შემოქმედი შედეგებს ქმნის, მისი თანამოაზრენი და გვერდში მდგომნი იმ ატმოსფეროს ქმნიან, რომელშიც ეს შედეგები იბადებიან.
- მოთმინების უნარი მოაზროვნე ადამიანის ცხოვრების თანმდევია. ეს მისმა მრავალმხრივმა არსებობის ისტორიამაც განაპირობა. ადამიანური ცხოვრება მუდმივი სრულყოფისა და სრულქმნის პროცესია.
- ჩვენ გულებში ყოველთვის ჟღერს ხსოვნის რეკვიემი.
- ეკლესია და სახელმწიფო საერთო იდეალს - ქვეყნის, ხალხის კეთილდღეობასა და აღორძინებას უნდა ემსახურონ. ადამიანის სულიერად გამოსაჯანსაღებლად ტაძარი საუკეთესო თავშესაფარია. სულის სიმშვიდის გარეშე მატერიალური კეთილდღეობა აზრს კარგავს.
- პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურა და არა პოლიტიკა კულტურას. ცნობიერების და კულტურის დონეს, ადამიანების და, მათ შორის, პოლიტიკოსების საქციელსაც კულტურა აკონტროლებს.
- ენა ეროვნული კულტურის მთავარი მატარებელია, მშობლიური ენა, მშობლიური სიტყვა რეალურად ეროვნული კოდია.
- საზოგადოებაში ხალხსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთკავშირის სისტემა ხშირად მოიკოჭლებს. ზოგჯერ

მთავრობამდე მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე თვით ღმერთამდე.

- გათხოვილი დაქალებისთვის გაუთხოვარი ლამაზმანი ფარული საშიშროებაა.
- როდესაც ხალხს ეუბნებიან, რომ ქვეყანა განცხრომისთვის ჯერ კიდევ მზად არ არის, საჭიროა ქაშაღების კიდევ უფრო მაგრად შემოჭერა, ეს ტაქტიკური მინიშნებაა იმის, რომ ხალხისთვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ წაურთმევიანა...
- ხელოვნება და მეცნიერება ყოველთვის პოლიტიკაზე მაღლა იდგა, შემოქმედი და მეცნიერი - მონოდებით, ცხოვრების წესით, გონებითა და სულისკვეთებით არიან შემოქმედნი.
- მტრების ძებნა მტრის ხატის შექმნა არშემდგარი პოლიტიკოსების და მედროვე შარლატანების მცირერიცხოვანი „შანტრაბას“ საყვარელი საქმიანობაა.
- როიალი, როგორც დიდი ცხოვრება, ისეა: კლავიატურა თეთრი და შავი, ხმის დამხშობი და ჟღერადი „პედალი“, ფორტე და პიანო და ხის თავსახური...
- შემოდგომა პოლიტიკური აქტივობის სეზონი და ფოტოლცვენის დროა. ვინ დაენარცხება და ვინ ფეხზე დადგება... ვის გაუმართლებს და ვის არა, თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი დროებითი და პირობითია. სამეფო ტახტიდან სახრჩობელამდე ერთი ნაბიჯია.
- სანამ კლასიკურ მუსიკას და საერთოდ კლასიკურ კულტურას ახშობს დაბალი დონის იაფფასიანი შემოქმედება, კულტურული სიღარიბის განკურნება შეუძლებელი იქნება. რაც უფრო დაბალი გემოვნება აქვთ, მით უფრო ყველაფერი მოსწონთ.
- ბავშვებისა და მოზარდებისათვის ჭკუა შემეცნებასა და განათლებისთვისაა საჭირო, ახალგაზრდობასა და სიჭარბ-

მაგეში - თვითრეალიზაციისთვის და კარიერისთვის, სიბერეში კი - სსოვნისთვის.

- სამთავრობო ტახტის ზოგიერთი მაძიებელი ურიგო არ იქნება, დააკვირდეს ცხვრის ფარას როგორ ერეკებიან და უძღვებიან.
- რჩეულები თავის ხალხსაც ასახელებენ და მთელ კაცობრიობასაც ალამაზებენ.
- საზოგადოება შეუძლებელია დიდი ხნის მანძილზე სულიერების გარეშე არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები დაკარგავენ ადამიანურ სახეს, გამხეცდებიან და ქვეყანაც დაილუპება.
- ყველაზე ძვირად ღირებული - სისულელეა. ყოველთვის ყველაზე დიდი ფასის გადახდა მის გამო გვიხდება.
- სული აუცილებელია სხეულისთვის. რწმენა და რელიგია კი სულისთვისაა აუცილებელი.
- საფოსტო მარკები სათუთ მოპყრობას საჭიროებს. ისინი რომ გამოიყენო და იხმარო, საჭიროა, უკნიდან ენით ალოკო და წინიდან ფაქიზად ხელის წასმით მოეფერო, რომ თავის ფუნქცია შეასრულოს.
- ცხოვრებაში უშრეტი სიმხნევისათვის საუკეთესო რეცეპტი არის ის, რომ სიკეთით იცხოვრო, კეთილი და მიმტვევბელი გულითა და თვალთ უცქირო მთელ სამყაროს.
- იმედი და სიყვარული ყველაზე კარგი გრძნობაა, ის არასოდეს გტოვებს.
- როგორც კი ადამიანი სამყაროს ცენტრად შერაცხეს, სწორედ მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი. ადამიანების უმრავლესობა ცდილობს, უფრო მეტი მოიხვეჭოს, ვიდრე სჭირდება და ნაკლებს, ან არაფრის გაცემა სურს.
- მტრის ხატი უხერხემლო, ყბედი და არაფრისმაქნის ადამიანთა ყველა უბედურების ერთადერთი გასამართლებელი საშუალებაა.

- თავი ბედნიერად რომ იგრძნო, ყოველი ჩვეულებრივი დღე, ნათელი მომავლის მატარებელ ერთ-ერთ დღეთაგანად უნდა აქციო.
- თავისუფლება ჭკვიან და ბრძენ ადამიანებს სჭირდება, თორემ არანორმალურები და სულელები ისედაც თავისუფლები არიან.
- ადამიანებს აბსოლუტურად ყველაფერი სჭირდებათ, მაგრამ, უპირველესად, იდეალი სჭირდება.
- გაცილებით უფრო ადვილია ქალაქი, ძლიერი ქვეყანა ააშენო, ვიდრე დანგრეული სულების ტაძრის აღდგენა.
- გულუბრყვილო ადამიანების ბედი ხშირად სამწუხაროა. ისინი, როგორც ცხვრები, მუდამ თხების მაგივრად აგებენ პასუხს.
- ქალში ყველაფერი უნდა იყოს - ქალურობა, სილამაზე, მომხიბვლელობა, ჭკუა, ერთგულება, ქარიზმა. ქალის სახელს მსოფლიო ისტორიაში ყველა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება. დღემდის მსოფლიოს მართავს იდეა, სიყვარული, ინტერესი, ფული და ყველაფერს ერთად მართავს ქალი.
- ადამიანი თავის მოწოდებით გმირი ან წმინდანი უნდა ყოფილიყო, ცხოვრებაში კი უმრავლესობა რატომღაც ჭამა-ყლაპვის მონებად არიან გადაქცეული.
- კულტურული მემკვიდრეობა უდიდესი განძია. ეს საგანძური ასაზრდოვებს და ქმნის პიროვნებას.
- ადამიანი ნებისმიერ ასაკში ცხოვრებისადმი ინტერესით აღსავსე უნდა იყოს, გამოირჩეოდეს საღი აზროვნებით, იუმორის გრძნობით, აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავს გრძნობდეს კაცობრიობის ნაწილად და წვლილი შეჰქონდეს მის კეთილდღეობისთვის.

- სოციალური თანასწორობის და დემოკრატიის დროსაც ხალხის მსახური მთავრობა რატომღაც ხალხზე უკეთესად ცხოვრობს. სამთავრობო ელიტა თავის ხალხიდან განმარტოებული მათ გარეშე სვამს შამპანურს.
- ცხოვრება მოქმედებაა, შემოქმედებითი პროცესია. გონებრივი და ფიზიკური მუხლჩაუხრელი შრომაა. ერთი ნუთითაც კი არ შეიძლება გაჩერება.
- როგორც კი ფარდა გაიხსნება, სპექტაკლმა მაყურებელი იმ წამსვე უნდა დაატყვევოს. მაყურებელმა რამდენიმე ნუთში მთელი ცხოვრება უნდა განვლოს. სპექტაკლის განმავლობაში მაყურებელი წარმოდგენის მონაწილედ უნდა გრძნობდეს თავს და მსახიობებთან ერთად სუნთქავდეს.
- „ოქროს მთების“ დაპირება ეფექტურად მხოლოდ არჩევნებამდე და ქორწილამდე მუშაობს.
- ცხოვრება, ხელისუფლება, მდიდრები და ღარიბები ჭადრაკის ფიგურებივითაა. ბოლოს მეფეებიც და პაიკებიც ერთი ხის ყუთში ამოყოფენ თავს.
- მთავრობა სულაც არ არის ნაზი ყვავილი, რომ საზოგადოების კრიტიკამ დააჭკნოს.
- ადამიანები რეალურად მაშინ ბერდებიან, როდესაც კარგავენ შეყვარების უნარს.
- იქ, სადაც მუზა მბრძანებლობს, მხოლოდ შემოქმედი სულდგმულობს.
- წლები მიქრიან, სიყვარული კი კვლავინდებურად ისევ ცოცხლობს...
- ადამიანი რომ იყო, უნდა იყო ხსოვნისა და კულტურის ადამიანი.
- უდიდესი ხელოვნებაა ღიმილით და სუფთა ხელებით გამარჯვება.

- ადამიანი დაიბადება თუ არა, იმ წამსვე ჭამა უნდა, შია.
- ეროვნული კულტურა და მშობლიური ენა ბედნიერების ენაა.
- ქმარი ოჯახის ხელმწიფეა, სანამ ცოლს ძინავს.
- შეყვარებული ქალი ყოველთვის ახალგაზრდაა.
- თუ არის და ჟღერს ღვთაებრივი მუსიკა, სხვა ყველაფერიც არის.
- უფროსი ძმა უმცროსს ყოველთვის ყოვლისშემძლე ჰგონია. დროთა განმავლობაში, მისი სუნთქვა, სიახლოვე და შენ მხარზე გადახვეული ხელი ისეთივე უძლეველი და ფასეულია, როგორც წარსულ კეთილ დროში და ოდესღაც.
- ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ბევრი დღეა ღირსახსოვარი, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება და, ცხადია, შემოქმედებასაც. ყველაზე ტკბილი არის ის, რაც ბავშვობაში დიდებული დედ-მამასთან და უფროს ძმებთან ურთიერთობას და მათთან სიახლოვეს უკავშირდება. ახლა, როდესაც ისინი და არც ანგელოზი იაკო აღარ მყავს, ეს განცდა ყველაზე უფრო მძაფრი, მტკივნეული და სანატრელია.
- დედა ეს მთელი სამყაროა. რამდენი სიტბო, სიყვარული, სიბრძნე და თავდადებაა მასში. როგორ გადავუხადოთ მადლობა ჩვენს დედებს? ალბათ, ეს შეუძლებელია. უბრალოდ, გვიყვარდეს და გავაღმერთოთ ჩვენი დედები.
- ცხოვრება, როგორც ყოველთვის, გრძელდება, ოღონდ უკვე ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ადამიანების გარეშე. დედა ნებისმიერ დროს ჩვენთან არის და სიცოცხლის ძალას გვმატებს.
- შემოქმედი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, ახსოვს, რომ მას დაუსრულებელი ნაწარმოები ელოდება. და ასეა ყოველთვის, მთელი სიცოცხლე მოსვენების არც ერთი წუთი

არ არის. ზოგჯერ გინდა, გაექცე საკუთარ თავს, მაგრამ ნურას უკაცრავად, უხილავი ჯადოსნური ძალა გაბრუნებს ღვთაებრივ სამყაროში - ქმნა საოცრებისა.

- საყვარელი ადამიანების, შემოქმედებისა და იუმორის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება.

Guram Paataashvili

THE WORLD OF MAESTRO'S IDEAS

Summary

The first and second parts of Guram Paataashvili's book "Pages of Life and Activity" have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paataashvili. The work contains a collection of his thoughts "The World of Maestro's Ideas". The book is intended for a wide circle of readers.

We are offering a passage from the second part of this book.

გამომცემლობის რედაქტორები:

დამკაბადონებელი
გარეკანის დიზაინერი

რუსუდან მიქენაია

მარინე ჭყონია

ხათუთა ბადრიძე

მარიამ ებრალიძე

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel.: 995(32) 225 14 32

www.press.tsu.ge

